

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეებზე

2012, №4

განსჯადობა

საძიებელი

1. ადმინისტრაციული განსჯადობა
2. სამოქალაქო განსჯადობა
 - ზიანის ანაზღაურებისა და ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის თაობაზე დავის განსჯადობა
 - სამოქალაქო განსჯადობა კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე
 - სამოქალაქო განსჯადობა (ნარდობის ხელშეკრულება)
3. განსაკუთრებული განსჯადობა
 - განსაკუთრებული განსჯადობა ხელშეკრულების შესრულების ადგილის მიხედვით
4. განსჯადობა მოსარჩელის არჩევით
5. საერთო განსჯადობა
6. ნივთობრივი განსჯადობა
7. ტერიტორიული განსჯადობა
 - ტერიტორიული განსჯადობა ნივთის ადგილსამყოფელის მიხედვით
 - ტერიტორიული განსჯადობა (საგადასახადო დავა)
 - ტერიტორიული განსჯადობა

1. ადმინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

18ს-1479-1411 (გ-09)

8 თებერვალი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე

პ. სილაგაძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიებს შორის დავა ა. რ-ესის სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 18 მარტს ა. რ-ესმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის – ქ. თბილისის მერიის მიმართ და მოითხოვა მიყენებული ზიანის – 643 000 აშშ დოლარის, გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 3000 ლარისა და იურიდიული მომსახურების საფასურის – 25 720 აშშ დოლარის გადახდა.

მოსარჩელემ განმარტა, რომ 2004 წლის 8 ოქტომბერს ე. ჩ-ლისაგან შეიძინა ქ. თბილისში, ... 134-ში მდებარე 2033 კვ.მ. მიწის ნაკვეთი და მასზე განლაგებული 714 კვ.მ შენობა-ნაგებობები. თავის მხრივ, ე. ჩ-ელს ეს ქონება შეძენილი ჰქონდა 2004 წლის 8 სექტემბერს სს «...». 2004 წლის 18 ნოემბერს ვაკე-საბურთალოს რაიონულმა სასამართლომ ე. ჩ-ლის სასარჩელო განცხადების საფუძველზე მიიღო გადაწყვეტილება აღნიშნულ შენობაში მყოფი პირების გამოსახლების შესახებ. სასამართლო გადაწყვეტილებაზე კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ, 2004 წლის 26 ნოემბერს გაიცა სააღსრულებო ფურცელი.

2004 წლის 3 დეკემბერს ქ. თბილისის მერიამ განცხადებით მიმართა ვაკე-საბურთალოს რაიონულ სასამართლოს და მოითხოვა ამავე სასამართლოს 2004 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 422-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის შესაბამისად. ამავე სასამართლოს 2004 წლის 6 დეკემბრის განჩინებით განცხადება მიჩნეულ იქნა დასაშვებად და დაინიშნა საქმის განხილვა. ასევე ქ. თბილისის მერიის მოთხოვნით სასამართლომ შეაჩერა 2004 წლის 16 ნოემბრის გადაწყვეტილების აღსრულება. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ 2006 წლის 8 სექტემბრის განჩინებით ქ. თბილისის მერიის განცხადება საქმის წარმოების განახლების თაობაზე არ დაკმაყოფილდა. აღნიშნული განჩინება გასაჩივრების შემდეგ დატოვებულ იქნა უცვლელად და იგი შევიდა კანონიერ ძალაში.

მოსარჩელე მიიჩნევს, რომ ქ. თბილისის მერიის განცხადების მოთხოვნა ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლოს 2004 წლის 16 ნოემბრის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის თაობაზე, ემყარებოდა მცდარ გარემოებას, კერძოდ, განცხადების ერთადერთ ფაქტობრივ საფუძველად მითითებული იყო იმ გარემოებაზე, რომ ა. რ-ესის კუთვნილი შენობა წარმოადგენდა 1... ბაგა-ბაღს, რომელიც ქ. თბილისის მერიის 2000 წლის 27 დეკემბრის 151 ბრძანებით უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით გადაცემული ჰქონდა ქ. თბილისის მერიის განათლებისა და მეურვეობის საქალაქო სამსახურს. აღნიშნული გარემოების უსწორობა შემდგომში დადგენილ იქნა სასამართლოს მიერ.

მოსარჩელე – ა. რ-ესის მოსაზრებით ქ. თბილისის მერიისათვის თავიდანვე ცნობილი იყო მისივე მოთხოვნის უკანონობა, ასევე, ის, რომ გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერებითა და ქონებით სარგებლობის შეუძლებლობით ზიანი მიადგებოდა მოსარჩელეს. ქ. თბილისის მერიის აღნიშნული მოქმედებით მას მიადგა ზიანი, რაც გამოიხატა მოსარჩელის მიერ უძრავი ქონებით სარგებლობის ხელშეშლის გამო მიუღებელი შემოსავლით. მოსარჩელე სარჩელის მოთხოვნებს აფუძნებს სამოქალაქო კოდექსის 411-ე და 412-ე მუხლებზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 9 ივნისის საოქმო განჩინებით მოსარჩელე – ა. რ-ესის სარჩელი, მოპასუხის – ქ. თბილისის მერიის მიმართ, ზიანის დაკისრების თაობაზე განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული წესით საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან. მოსარჩელეს სასარჩელო განცხადებაში მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად მითითებული აქვს სამოქალაქო კოდექსის ნორმები. შესაბამისად, აღნიშნული დავა გამომდინარეობს და მისი განხილვის საკითხები რეგულირდება სამოქალაქო კანონმდებლობით. ამასთან, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ მოსარჩელე ითხოვს სამოქალაქო საქმეზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების შესახებ ქ. თბილისის მერიის მიერ დაყენებული შუამდგომლობის დაკმაყოფილების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას. ამ შემთხვევაში დავის საფუძველი გამომდინარეობს სამოქალაქო სამართალურთიერთობიდან.

ადმინისტრაციულმა კოლეგიამ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ელი, მე-2 და მე-3 ნაწილებზე დაყრდნობით განმარტა, რომ ნებისმიერი დავა მხოლოდ იმ შემთხვევაში განიხილება ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, თუ იგი გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონ-

მდებლობიდან. მოცემულ შემთხვევაში არსებობს კერძო-სამართლებრივი (სამოქალაქო სამართლის) ურთიერთობიდან წარმოშობილი დავა, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის 1-ელი ნაწილის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 19 ოქტომბრის განჩინებით მოსარჩელის – ა. რ-ის სარჩელი საქმის მასალებთან ერთად განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადმოეზღვა საქართველოს უზენაეს სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო კოლეგიამ საქმის მასალებზე დაყრდნობით დადგენილად მიიჩნია, რომ სარჩელზე მოპასუხე იყო ქ. თბილისის მერია, ხოლო სარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა ზიანის ანაზღაურება. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილებზე მითითებით სამოქალაქო კოლეგიამ მიიჩნია, რომ დავის ადმინისტრაციული წესით განხილვისათვის საჭირო იყო ორი სამართლებრივად მნიშვნელოვანი კომპონენტის ერთდროულად არსებობა, კერძოდ დავა უნდა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან და ერთ-ერთი მხარე მაინც უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანო. მოცემულ დავაში მონაწილე ერთ-ერთი მხარე არის ადმინისტრაციული ორგანო (სამართალსუბიექტობა). რაც შეეხება იმას, გამომდინარეობს თუ არა დავა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, უნდა გაირკვეს საკითხი, თუ სამართლის რომელი სფეროს კანონმდებლობის რეგულირების საგანია მოცემული დავა.

სამოქალაქო კოლეგიამ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის «გ» ქვეპუნქტსა და ამავე კოდექსის 26-ე მუხლზე მითითებით, მიიჩნია, რომ საქმეზე უნდა აღძრულიყო დავა განსჯადობის თაობაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და იმავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებებისა და საქმის მასალების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ ა. რ-ის სარჩელი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული და განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით რეგლამენტირებულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები. აღნიშნული მუხლის 1-ელ ნაწილში ჩამოთვლილია, თუ რა შეიძლება იყოს ადმინისტრაციული დავის საგანი სასამართლოში, ანუ კონკრეტულად არის განსაზღვრული ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეთა კატეგორიები და დადგენილია, თუ რომელი საქმეები შეიძლება იქნეს განხილული ადმინისტრაციული იურისდიქციის სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფარგლებში. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვა სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც, აგრეთვე, გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი კი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ დაქვემდებარებას სასამართლოებისადმი. ხსენებული მუხლის 1-ელ ნაწილში ჩამოთვლილია ის სამოქალაქო საქმეები, რომლებსაც სასამართლო განიხილავს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, კერძოდ, სამოქალაქო ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს. ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაც სასამართლოებისადმი სამოქალაქო საქმეთა დაქვემდებარების განსაზღვრის პრინციპად დავის შესაბამისი სამართლებრივი ურთიერთობიდან გამომდინარეობს აღიარებს. ამდენად, დავის კატეგორიის განსაზღვრისათვის არსებითია სწორედ ნორმატიული ელემენტი – დავის გამომდინარეობა ამა თუ იმ სამართლის კანონმდებლობიდან. გადამწყვეტი მნიშვნელობა სადავო სამართალურთიერთობის ხასიათსა და დავის საგანს ენიჭება. კონკრეტულად კი დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივი კატეგორიის განსაზღვრისათვის კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული. კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობა უნდა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. წინააღმდეგ შემთხვევაში, თუ განსაზღვრული სამართლებრივი ურთიერთობა გამომდინარეობს კერძო სამართლის კანონმდებლობიდან, ეს იქნება სამოქალაქო სამართლის იურისდიქციის სასამართლოს მიერ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველი საქმე.

საკასაციო სასამართლო ვერ დაეთანხმება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ მოსარჩელეს სარჩელის სამართლებრივ საფუძველად მითითებული აქვს სამოქალაქო კოდექსის ნორმებზე, ამასთან, მოსარჩელე ითხოვს სამოქალაქო საქმეზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერების შესახებ ქ. თბილისის მერიის მიერ დაყენებული შუამდგომლობის დაკმაყოფილების შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურებას, რის გამოც მოცემული დავა, მატერიალური თვალსაზრისით, კერძო-სამართლებრივ ნორმებთან შესაბამისობის კუთხით შემოწმებას ექვემდებარება.

საქმეში წარმოდგენილი მასალების ანალიზი ცხადყოფს, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულება, რომლითაც დადგინდა ქ. თბილისში, ... 134-ში მდებარე 714 კვ.მ შენობა-ნაგებობიდან სს «...» თანმხლებ პირებთან ერთად გამოსახლება, შეჩერდა ქ. თბილისის მერიის შუამდგომლობის საფუძველზე. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ, მართალია, ქ. თბილისის მერიის შუამდგომლობით შეჩერდა სამოქალაქო საქმეზე მიღებული, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულება, რამაც, მოსარჩელის მოსაზრებით, გამოიწვია მისთვის ზიანის მიყენება, მაგრამ დღეისათვის მოსარჩელე ითხოვს ქ. თბილისის მერიის კანონშესაბამო მოთხოვნით გამოწვეული ზიანის ანაზღაურებას. კერძოდ, მოსარჩელე – ა. რ-ისი მოითხოვს რა ქ. თბილისის მერიისათვის მის მიერ მიუღებელი შემოსავლით მისთვის მიყენებული ზიანის ანაზღაურების დაკისრებას, თვლის,

რომ აღნიშნული ზიანი დადგა ქ. თბილისის მერიის შუამდგომლობის საფუძველზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების შეჩერებით, ხოლო აღნიშნული მოთხოვნის უკანონობა წინასწარ ცნობილი იყო ქ. თბილისის მერიისათვის.

ამდენად, მოცემულ საქმეზე დავის კატეგორიის დადგენისათვის საჭიროა ზუსტად განისაზღვროს, მომდინარეობს თუ არა დავის საგანი ადმინისტრაციული სამართლიდან. კერძოდ, მოქმედებდა თუ არა ქ. თბილისის მერია სასამართლოს წინაშე შუამდგომლობის აღმკვეთი საჯარო უფლებამოსილების განსახორციელებლად. «განათლების შესახებ» საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-7 პუნქტის თანახმად, სახელმწიფო უზრუნველყოფს სკოლამდელ აღზრდას მის დაფინანსებასა და მატერიალური ბაზის შექმნაში მონაწილეობით, პედაგოგიური კადრების მომზადებისათვის აუცილებელი პირობების შექმნით. «საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ» საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად, ქალაქ თბილისში თვითმმართველობისა და მმართველობის განხორციელების სამართლებრივი საფუძველია საქართველოს კონსტიტუცია, საქართველოს ორგანული კანონი «ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ», ეს კანონი და მათგან გამომდინარე სხვა ნორმატიული აქტები. «ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის მე-8 მუხლი (იმ დროს მოქმედი რედაქცია) განსაზღვრავს ადგილობრივი მმართველობის კომპეტენციას. აღნიშნული მუხლის 1-ელი პუნქტის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, განათლების სფეროში – სკოლამდელი აღზრდისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების (საბავშვო ბაღებისა და ბაგა-ბაღების, დაწყებითი, საბაზო და საშუალო სკოლების, სკოლა-ინტერნატების, საშუალო-სპეციალური სასწავლებლების) მოვლა-პატრონობას, მათი მიმდინარე და კაპიტალური ხარჯების დაფინანსებას. ამავე პუნქტის «ი» ქვეპუნქტის თანახმად კი ადგილობრივი მმართველობის კომპეტენციას წარმოადგენს განათლების, სკოლამდელი დაწესებულებების, ჯანმრთელობის დაცვის, კულტურის, სპორტისა და ტურიზმის საკითხების გადაწყვეტა. ქ. თბილისის მერია როგორც ადმინისტრაციული ორგანო, წარმოადგენს დედაქალაქის მმართველობის ორგანოთა სისტემას, რომელიც დედაქალაქის სტატუსის შესაბამისად უზრუნველყოფს ქალაქ თბილისის მიერ დედაქალაქის ფუნქციების განხორციელებას, საკრებულოს გადაწყვეტილებათა აღსრულებას, თბილისის, როგორც ერთიანი ტერიტორიული ერთეულისა და მასში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულების მართვას. 2005 წლამდე მოქმედი, საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 10 დეკემბრის 1685 ბრძანებულებით დამტკიცებული საქართველოს დედაქალაქის – ქალაქ თბილისის მერიის დებულების მე-10 მუხლის თანახმად, ქალაქ თბილისის მერი არის ქალაქ თბილისის უმაღლესი თანამდებობის პირი. ამავე დებულების მე-11 მუხლის «ს» ქვეპუნქტის თანახმად, იგი ხელს აწერს დედაქალაქის სახელით დადებულ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებს, წარმოადგენს და მოქმედებს ქალაქ თბილისის სახელით ოფიციალური ურთიერთობებისას, ასრულებს სხვა წარმომადგენლობით ფუნქციებს.

ამდენად, ქ. თბილისის მერს, ჰქონდა რა უფლებამოსილება წარმოედგინა თბილისის ოფიციალურ, მათ შორის სასამართლოსთან ურთიერთობისას, გააჩნდა ვალდებულება, ქ. თბილისის მერიის სახელით მიემართა სასამართლოსთვის კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ბათილად ცნობის მოთხოვნით, თუ იგი მიიჩნეოდა, რომ აღნიშნული გადაწყვეტილებით უფლებამოსილი პირის მიწვევის გარეშე გადაწყვეტილი იყო იმ ქონების უფლებრივი საკითხი, რომელიც ქ. თბილისის მერიის ბრძანებით, უზუფრუქტით, გადაცემული ჰქონდა ბაგა-ბაღს სკოლამდელი აღზრდის ფუნქციის განხორციელების მიზნით.

ამდენად, ორგანიზაციული და ფუნქციონალური თვალსაზრისითაც, ქ. თბილისის მერია მოცემულ შემთხვევაში მოქმედებდა, როგორც ადმინისტრაციული ორგანო, ვინაიდან ადგილობრივი მმართველობის კომპეტენციას მიკუთვნებული საკითხის გადაწყვეტა მიეკუთვნება მმართველობით ფუნქციას, რომლის განხორციელებასთან დაკავშირებულ სამართალურთიერთობაში წარმოშობილი კონფლიქტები ადმინისტრაციულ დავათა კატეგორიას მიეკუთვნება და ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული. ის გარემოება, რომ მოსარჩელის მოთხოვნა ზიანის ანაზღაურების თაობაზე ემყარება სამოქალაქო კოდექსის ნორმებს, არ ცვლის განსახილველი დავის ბუნებას და მას ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავათა კატეგორიას მიკუთვნებს.

შემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია, რის გამოც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ა. რ-ესის სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ა. რ-ესის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

ბს-158-151(გ-10)

17 თებერვალი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, განიხილა ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო კოლეგიებს შორის დავა აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 28 მაისს აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრომ სასარჩელო განცხადებით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე შპს «...» მიმართ ვალდებულობის შეუსრულებლობისათვის ზიანის ანაზღაურების თაობაზე.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს მიერ 2007 წლის 15 ოქტომბერს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის მისაღებად გამართულ აუქციონზე მონაწილეობა მიიღო და გამარჯვებულად გამოცხადდა შპს «...». აღნიშნულ საწარმოზე აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსის 2007 წლის 23 ოქტომბრის 101-02/104 ბრძანებით გაიცა ლიცენზია 100123.

აღნიშნული ბრძანების შესაბამისად, გამარჯვებულ საწარმოს აუქციონში «ბე-ს» გამოკლებით დასახელებული თანხა – 680478 ლარი უნდა გადაეხადა დადგენილი გრაფიკით – 2008 წლის 18 ივლისამდე, 9 თვის განმავლობაში, ყოველდღიურად 75 609 ლარის ოდენობით. მოსარჩელის განმარტებით, ლიცენზიანტმა აღნიშნული ვალდებულება დაარღვია. მან გადაიხადა მხოლოდ 151 218 ლარი ორ პროპორციულ ნაწილად 2007 წლის 19 ნოემბერსა და 18 დეკემბერს. გადასახდელი დარჩა 529 260 ლარი, რაც დღემდე არ არის გადახდილი და რაც წარმოადგენს ლიცენზიის გაუქმების საფუძველს.

მოსარჩელის მითითებით, საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს 1136 დადგენილებით დამტკიცებული «სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ» დებულების მე-7 მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლით გათვალისწინებული საფუძვლების არსებობისა და «ლიცენზირებისა და ნებართვის შესახებ» საქართველოს კანონის 22-ე მუხლის მე-7 პუნქტის «ა», «ბ» და «დ» პუნქტებით გათვალისწინებულ შემთხვევებში ლიცენზიის გაცემის შესახებ გადაწყვეტილებას ძალადაკარგულად აცხადებს სამინისტრო, ხოლო «აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროსათვის ლიცენზიის გაცემის უფლებამოსილების დელეგირების შესახებ» საქართველოს მთავრობის 2008 წლის 12 აპრილის 198 დადგენილებისა და საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს 1136 დადგენილებით დამტკიცებული «სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების» შესაბამისად, აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო არის უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო, სათანადო საფუძვლების არსებობისას ძალადაკარგულად გამოაცხადოს სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია. მოსარჩელის განმარტებით, კონკრეტულ შემთხვევაში არსებობდა რა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის ძალადაკარგულად გამოცხადების საფუძვლები, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების შედეგად მიღებულ იქნა აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის მინისტრის 155 ბრძანება, რომლითაც ძალადაკარგულად გამოცხადდა აჭარის ა/რ გარემოსა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს 2007 წლის 23 ოქტომბრის 101-02/104 ბრძანება და გაუქმდა შპს «...» გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია 100123. ბრძანებას მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად გაეცნო შპს «...», მოპასუხეს იმავდროულად აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2008 წლის 29 დეკემბრის 101-02/3769 წერილით ეთხოვა 529 260 ლარის გადახდა, მაგრამ შპს «...» ნაკისრი ვალდებულება დღემდე არ შეუსრულებია.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო ითხოვდა, მოპასუხე შპს «...-ს» მის სასარგებლოდ დაკისრებოდა 529 260 ლარის გადახდა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 10 ნოემბრის განჩინებით აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეცა ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია განჩინებაში მიუთითებდა, რომ გასახილველ შემთხვევაში მხარეთა შორის დავის საგანს წარმოადგენს ვალდებულების დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება და არა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებული რომელიმე სახის სამართლებრივი ურთიერთობა, რაც გამორიცხავს დავის წარმოებას ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 21 იანვრის განჩინებით აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სასარჩელო განცხადება მოპასუხე შპს «...» მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადმოეზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს,

შემდეგ გარემოებებზე მითითებით: ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილი შეიცავს იმ დავების ჩამონათვალს, რომლებიც საერთო სასამართლოების მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება. მითითებული მუხლის «გ» პუნქტის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება წარმოადგენდეს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, ეს ჩამონათვალი არ არის ამომწურავი და ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს, ნებისმიერი დავა, რომელიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

იმისათვის, რომ საერთო სასამართლომ განიხილოს და გადაწყვიტოს დავა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, აუცილებელია ერთდროულად ორი კომპონენტის არსებობა: 1) დავა უნდა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან და 2) ერთ-ერთი მხარე უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანო (სამართალსუბიექტის პრინციპი).

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტით განსაზღვრული ლეგალური დეფინიციის თანახმად კი მოცემულ დავაში მონაწილე ერთ-ერთი მხარე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო, კერძოდ, მოსარჩელე ადმინისტრაციული ორგანოა.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, განსახილველ შემთხვევაში აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსის 2007 წლის 23 ოქტომბრის ბრძანება სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის შესახებ არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული სამართლებრივი აქტი. აღნიშნული აქტი გამოცემულია ადმინისტრაციული კანონმდებლობის კერძოდ, კი «ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ» საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2006 წლის 26 იანვრის 121 დადგენილების აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოსათვის ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის უფლებამოსილების დელეგირების შესახებ» პირველი პუნქტის «ა» ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს 136 დადგენილებით დამტკიცებული «სასარგებლო წიაღისეულების მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პროცედურის შესახებ დებულების» მე-2 მუხლის 1-ელი პუნქტის საფუძველზე, ხოლო დავის საგანი არის სალიცენზიო პირობების დარღვევით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება, შესაბამისად, ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, განსახილველი დავაც ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და ამავე სამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შორის განსჯადობის თაობაზე წარმოშობილი დავის გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სარჩელი მოპასუხე შპს «...» მიმართ განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, შემდეგ მოსაზრებათა გამო:

საქართველოს კონსტიტუციის 42.2 მუხლის შესაბამისად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლომ, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება საქმე.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლი განსაზღვრავს იმ კატეგორიის საქმეთა ჩამონათვალს, რომელთა განხილვა და გადაწყვეტა უნდა მოხდეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების პრინციპების დაცვით. აღნიშნული მუხლი იძლევა ადმინისტრაციული სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების რეგლამენტაციას, რომლის მიხედვითაც, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოებში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარეობს. ამდენად, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული.

როგორც საქმეში დაცული მასალები ცხადყოფს, აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2008 წლის 15 აგვისტოს 155 ბრძანებით გაუქმდა შპს «...» გაცემული სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზია 100123. ამავე ბრძანების მე-3 ნაწილით შპს «...» განემარტა, რომ ვალდებულია, გადაიხადოს აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს 2007 წლის 23 ოქტომბრის 01-02/104 ბრძანებით დადგენილი საბოლოო თანხა სრულად. აღნიშნული აქტის საფუძველზე შპს «...» აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს 2008 წლის 29 სექტემბრის 01-02/3769 წერილით დამატებით ეგნობა 529 260 ლარის გადახდის ვალდებულების თაობაზე. მოსარჩელე აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო მიიჩნევს, რომ აღნიშნული თანხის გადაუხდელობით შპს-მ მიაყენა ზიანი, რის გადახდასაც ითხოვს სასარჩელო წესით.

მიუხედავად იმისა, რომ წინამდებარე სარჩელი მიმართულია კერძო სამართლის იურისდიქციის პირის მიმართ და მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი ფორმალურად ემყარება კერძო სამართალს (ზიანის ანაზღაურება), საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ განსახილველი საქმე ექვემდებარება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით განსაზღვრულ დავათა კატეგორიაში.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, საქმის განსჯადობის დადგენისათვის მნიშვნელოვანია სარჩელის ელემენტებისა და სამართალურთიერთობის ცალკეული კომპონენტების განსაზღვრა. დაუშვებელია საჯარო-სამართლებრივი დავის კერძო-სამართლებრივ დავად მიჩნევა მხოლოდ იმ მოტივით, რომ მოსარჩელე თავის საჯარო-სამარ-

თლებრივ მოთხოვნას ასაბუთებს კერძო-სამართლებრივი ნორმების მეშვეობით. ასეთ პირობებში სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს დავის არსით, შეაფასოს და განსაზღვროს მხარის მოთხოვნა და დაადგინოს ვისგან ითხოვს მხარე და რა საფუძველით. წინააღმდეგ შემთხვევაში, განსჯადობის აღრევა გამოიწვევს საქმის განხილვას განსხვავებულ პრინციპებზე აგებული სამართალწარმოების წესების დაცვით.

შპს «...» ლიცენზიის გაცემა მოხდა აჭარის ა/რ გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოს უფროსის 2007 წლის 23 ოქტომბრის ბრძანებით. მითითებული აქტი გამოცემული იყო ადმინისტრაციული კანონმდებლობის, კერძოდ, «ლიცენზირებისა და ნებართვების შესახებ» საქართველოს კანონის მე-7 მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს მთავრობის 2006 წლის 26 იანვრის 121 დადგენილების აჭარის ა/რ მთავრობის საქვეუწყებო დაწესებულების – გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამმართველოსათვის ლიცენზიებისა და ნებართვების გაცემის უფლებამოსილების დელეგირების შესახებ» პირველი პუნქტის «ა» ქვეპუნქტისა და საქართველოს მთავრობის 2005 წლის 11 აგვისტოს 1136 დადგენილებით დამტკიცებული «სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების ლიცენზიის გაცემის წესისა და პირობების შესახებ დებულების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე. უდავოა, რომ მხარეთა შორის ჩამოყალიბებული ურთიერთობა ემყარებოდა საჯარო კანონმდებლობას. შპს «...» სალიცენზიო პირობების დარღვევის მოტივით შეწყდა ურთიერთობა ადმინისტრაციული აქტის – მინისტრის ბრძანების – საფუძველზე და იმავე აქტით საზოგადოებას განესაზღვრა ზიანის გადახდის ვალდებულება. ამდენად, მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს მოპასუხის მხრიდან ადმინისტრაციული კანონმდებლობის უგულვებელყოფა და აღნიშნულის საფუძველზე ზიანის ანაზღაურების ვალდებულების წარმოშობა. დავის საგანი და მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, წინამდებარე სარჩელს, თავისი არსით, მიაკუთვნებს ადმინისტრაციული კატეგორიის დავას, რაც განაპირობებს საქმის განსჯადობით განსახილველად ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისათვის დაქვემდებარებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-2, 26-ე მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს სარჩელი მოპასუხე შპს «...» მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს ბათუმის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. განჩინება გადაეგზავნოს მხარეებს;
3. განსჯადობის თაობაზე მიღებული განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

18ს-22-21 (გ-10)

24 თებერვალი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ლ. მურუსიძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიებს შორის დავა ნ. გ-შვილის სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ნ. გ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის მიმართ და მოითხოვა სახელფასო დავალიანების ანაზღაურება. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ იგი შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში მუშაობდა მეტყველების კულტურისა და უცხოენების კათედრის უფროს მასწავლებლად, მოსარჩელე დაკავებული თანამდებობიდან გაათავისუფლეს შსს აკადემიის რექტორის 12.12.05წ. 11043/შ ბრძანებით. ნ. გ-შვილმა 14.07.09წ. წერილობითი განცხადებით მიმართა შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიას და მოითხოვა სახელფასო დავალიანების ანაზღაურება 816,59 ლარის ოდენობით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 19.08.09წ. განჩინებით ნ. გ-შვილის სარჩელი მოპასუხე სსიპ საქართველოს შსს აკადემიის მიმართ განსახილველად განსჯადობით გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ განჩინებაში მიუთითა, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტის გათვალისწინებით, საჯარო სამართლის იურიდიული პირები ადმინისტრაციულ ორგანოებად განიხილებიან მმართველობის, ადმინისტრირების ფუნქციის განხორციელებისას, რადროსაც შებოჭილები არიან ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის ნორმებით დადგენილი პრინციპებითა და პროცედურებით. ამასთან, მხოლოდ ის გარემოება, რომ მოპასუხე ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მიზნებისათვის წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, მოცემულ შრომით დავას არ განაპირობებს ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიის რიცხვს, რადგან დავის ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის ერთ-ერთ განმსაზღვრელ ელემენტს სწორედ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართალურთიერთობა წარმოადგენს. პირველი ინსტანციის სასამართლომ მიუთითა «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის პირველი მუხლის 1-ელ პუნქტსა და ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტზე, სადაც აღნიშნულია იმ დაწესებულებათა ჩამონათვალი, რომელშიც სამსახური საჯარო სამსახურად ითვლება. ამ ჩამონათვალიში სსიპ შსს აკადემია არ არის მითითებული, რის გამოც სასამართლომ ჩათვალა, რომ მოსარჩელისათვის, როგორც სსიპ – შსს აკადემიის თანამშრომლისათვის, სახელფასო დავალიანების ანაზრაურების საკითხის გადაწყვეტისას არ გამოიყენება «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის დებულებები, ხოლო ის საჯარო დაწესებულებები, რომელთა საქმიანობა მოქმედი კანონმდებლობით არ მიიჩნევა საჯარო სამსახურად, ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები, შრომით-სამართლებრივ ურთიერთობებს ამყარებენ კერძოსამართლებრივი საკანონმდებლო აქტის – შრომის კოდექსის საფუძველზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა შრომითი სამართლებრივ ურთიერთობიდან წარმოშობილი დავა, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 13.11.09წ. საოქმო განჩინებით ნ. გ-შვილის სარჩელი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის მიმართ დავალიანების ანაზრაურების თაობაზე, სარჩელის განმხილველი უფლებამოსილი სასამართლოს განსაზღვრისა და განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად, გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ განჩინებაში მიუთითა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, საერთო სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომელიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარეობს. სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად ადმინისტრაციული წესით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განისაზღვრება დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც გამომდინარეობს საჯარო, კონკრეტულად კი ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან. სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ განსახილველ შემთხვევაში საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებებით დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელე სსიპ «საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში» დასაქმებული იყო როგორც პოლიციის კაპიტანი. სასამართლომ მიუთითა «სახელმწიფო სპეციალური წოდებების შესახებ» კანონის მე-5 მუხლის 1-ელ ნაწილზე და აღნიშნა, რომ შსს სისტემის (საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – საქართველოს სასაზღვრო პოლიციის გარდა) მოსამსახურეთა სპეციალურ წოდებას წინ ემატება სიტყვა «პოლიციის», ხოლო «პოლიციის შესახებ» კანონის მე-19 მუხლის შესაბამისად პოლიციელი არის საჯარო მოსამსახურე, რომელსაც მინიჭებული აქვს სახელმწიფო სპეციალური წოდება და დადებული აქვს ფიცი, რის გამოც სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელე ნ. გ-შვილი სსიპ «საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიაში» დასაქმებული იყო, როგორც საჯარო მოსამსახურე, ხოლო საჯარო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებული ურთიერთობები რეგულირდება «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონით. აღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლომ მიიჩნია, რომ ნ. გ-შვილის მიერ აღძრული სარჩელით განსახილველი დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან და ექვემდებარება განხილვას ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, რის გამოც «საერთო სასამართლოების შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტსა და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილზე მითითებით სასამართლომ ჩათვალა, რომ ნ. გ-შვილის სარჩელი უფლებამოსილი სასამართლოს განსაზღვრისათვის და განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად უნდა გადაეგზავნოს საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებების გაცნობის შედეგად თვლის, რომ ნ. გ-შვილის სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადია შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილავენ ადმინისტრაციულ სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს. განსახილველი დავის საგანს შეადგენს მოპასუხე – სსიპ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიისათვის სახელფასო დავალიანების ანაზრაურების დაკისრება. განსახილველ სადავო სამართალურთიერთობაში მოპასუხე მხარეს წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია. «საჯარო

სამართლის იურიდიული პირის შესახებ» კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ან კანონის საფუძველზე ადმინისტრაციული აქტით შექმნილი ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საქმიანობას. იმავდროულად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ელი ნაწილის «ა» ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ორგანოა. საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის 20.07.07წ. 11007 ბრძანებით დამტკიცებული «საჯარო სამართლის იურიდიული პირის-საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის დებულებით» საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემია არის საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სპეციალური პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება, მოცემული მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, აკადემიაში დაწესებულია კანონმდებლობით დადგენილი პოლიციის სპეციალური წოდებები. დებულების მე-10 მუხლის თანახმად, აკადემიაში სამუშაოდ მიიღებიან პოლიციელები და სამოქალაქო პირები. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელეს მიწიჭებული აქვს წოდება – პოლიციის კაპიტანი, და იყო სსიპ შსს აკადემიის კათედრის უფროსი მასწავლებელი, ნ. გ-შვილი აკადემიის რექტორის 12.12.05 წ. 1104 კ/შ ბრძანებით სამსახურიდან დათხოვნილ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებიდან თადარიგში საჯარო კანონმდებლობის – საქართველოს პრეზიდენტის 17.03.97წ. 1139 ბრძანებულებით დამტკიცებული «საქართველოს შინაგან საქმეთა ორგანოებში სამსახურის გავლის წესის შესახებ» დებულების 67-ე მუხლის «ბ» ქვეპუნქტის საფუძველზე (ავადმყოფობის გამო). აკადემიის რექტორი, აკადემიის დებულების მე-6 მუხლის «გ» ქვეპუნქტის შესაბამისად, დებულებით გათვალისწინებული უფლებამოსილებების განხორციელების მიზნით გამოსცემს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, ამავე მუხლის «ვ» ქვეპუნქტის თანახმად, რექტორი დადგენილი წესის შესაბამისად ნიშნავს და ათავისუფლებს აკადემიის თანამშრომლებს, ხოლო პოლიციის თანამშრომლებს ითხოვს შინაგან საქმეთა ორგანოებიდან. საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელე რექტორის ბრძანებით დათხოვნილ იქნა შსს ორგანოებიდან თადარიგში. «პოლიციის შესახებ» საქართველოს კანონის მე-19 მუხლის თანახმად, პოლიციელი არის საჯარო მოსამსახურე, რომელსაც მიწიჭებული აქვს სახელმწიფო სპეციალური წოდება და დადებული აქვს ფიცი. ამავე მუხლის მე-3 პუნქტით სამსახურებრივი უფლებამოსილების განხორციელებისას პოლიციელი არის სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელი.

მართალია «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრულია იმ სახელმწიფო დაწესებულებების ჩამონათვალი, რომელშიც სამსახური ითვლება საჯარო სამსახურად და ამ ჩამონათვალიში სსიპ საქართველოს შსს აკადემია გათვალისწინებული არ არის, მაგრამ მოსარჩელე ზემოაღნიშნული ნორმატიული აქტების თანახმად, წარმოადგენს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის მოსამსახურეს, პოლიციელს, რომელიც, «პოლიციის შესახებ» კანონის მე-19 მუხლის თანახმად არის საჯარო მოხელე და მასზე, როგორც საჯარო მოსამსახურეზე, ვრცელდება «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონი, რაც დასტურდება, აგრეთვე, «საჯარო სამსახურის შესახებ» კანონის მე-11 მუხლის მე-2 პუნქტის «დ» ქვეპუნქტით, რომლის თანახმად, პოლიციის თანამშრომლები საჯარო მოსამსახურეები არიან.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ სამართალურთიერთობას გააჩნია საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობის დამახასიათებელი ყველა ელემენტი – დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო სარჩელი აღძრულია მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, რის გამოც სახეზეა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლით განსაზღვრული პირობები დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის. სახეზეა დავის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი მიკუთვნების ერთ-ერთი ძირითადი კრიტერიუმი – დავა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარეობს. სასკ-ის მე-2 მუხლის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება რაიმე ქმედების განხორციელებაზე. სასკ-ის 24-ე მუხლის შესაბამისად სარჩელი ქმედების განხორციელების თაობაზე შეიძლება აღიძრას ისეთი მოქმედების განხორციელების ან ისეთი მოქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნით, რომელიც არ გულისხმობს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ «საერთო სასამართლოების შესახებ» ორგანული კანონის 3.2 მუხლის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლოში, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. სასკ-ის 26-ე მუხლის 1-ელი ნაწილი ადგენს სარჩელის განსჯად სასამართლოში წარდგენის ვალდებულებას. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

ამდენად, არასწორია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დასკვნა მოცემული დავის სამოქალაქო კატეგორიად მიჩნევის შესახებ, შესაბამისად, სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯად ადმინისტრაციულ დავას წარმოადგენს, რის გამოც განსჯადობის მიხედვით საქმე განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ხსენებულ სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11, 390-ე, 399-ე, მუხლებით და

დაადგინა:

1. ნ. გ-შვილის სარჩელი მოპასუხე «საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის» მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული განსჯადობა (ტერიტორიული განსჯადობა)

განჩინება

18ს-201-194(გ-10)

8 აპრილი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 19 ოქტომბერს მ. თ-მემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, მას 1990 წლიდან იჯარით ჰქონდა აღებული გარდაბნის რაიონში, ... მდებარე მიწის ნაკვეთი, რომელსაც ამუშავებდა და მიღებული შემოსავლით არჩენდა ოჯახს.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2009 წელს საკუთრების უფლების აღიარების მოთხოვნით განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს, თუმცა მოსარჩელეს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიერ განემარტა, რომ მისი მოთხოვნა დასაზუსტებელი იყო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსათვის 2009 წლის 15 სექტემბრის განცხადების განხილვისა და გარდაბნის რაიონში, ... მდებარე მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარების შესახებ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის დავალება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 25 ნოემბრის საოქმო განჩინებით მოსარჩელე მ. თ-მის სარჩელი, მოპასუხეების – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე განსჯადობის შესაბამისად, განსახილველად გადაეგზავნა გარდაბნის რაიონულ სასამართლოს.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლსა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლზე და მიიჩნია, რომ საქმის განმხილველ უფლება-მოსილ სასამართლოს გარდაბნის რაიონული სასამართლო წარმოადგენდა.

გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 9 თებერვლის განჩინებით მ. თ-მის სასარჩელო განცხადება, მოპასუხეების – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე განსჯადობის დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ ქ. თბილისის, გარდაბნის მუნიციპალიტეტისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ 14173-რს დადგენილების თანახმად, ქ. თბილისის ადმინისტრაციული საზღვრები შეიცვალა «ქ. თბილისის ადმინისტრაციული საზღვრების პროექტის განხილვის შესახებ» საქართველოს მთავრობის 2006 წლის 20 დეკემბრის 1574 განკარგულებით მოწონებული ქ. თბილისის ადმინისტრაციული საზღვრების პროექტის მიხედვით. ქ. თბილისის ახალი ადმინისტრაციული საზღვრები დამტკიცდა თანდართული სქემატური რუკისა და «ქ. თბილისის ადმინისტრაციული საზღვრის აღწერა 1:50 000 მასშტაბის ტოპოგრაფიული რუკის მიხედვით». გარდაბნისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრები შეიცვალა აღნიშნული დადგენილების პირველი და მე-2 პუნქტებით განსაზღვრული ცვლილების შესაბამისად.

რაიონულმა სასამართლომ განმარტა, რომ 2010 წლის 4 იანვრის გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოდან გამოთხოვილი მიმართვის საფუძველზე დადასტურდა, რომ ... გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში არ შედიოდა.

რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ ვინაიდან სადავო უძრავი ქონება ქ. თბილისის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში მდებარეობდა, წარმოდგენილი სარჩელი თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადი იყო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გარდაბნის რაიონული სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოდგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ელი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ დავაში მოპასუხეებს წარმოდგენენ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახური, ხოლო დავის საგანს – საკუთრების უფლების აღიარების შესახებ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის 1-ელი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ საქმის განხილვა, რაც იწვევს საპროცესო ნორმების იმგვარ დარღვევას, რომელიც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური პროცესუალური საფუძველი ხდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ა» პუნქტის თანახმად.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები, თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ხსენებული მუხლი შეიცავს ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფელის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის პირველ ნაწილზე და აღნიშნავს, რომ აღნიშნული ნორმა ადგენს განსაკუთრებულ განსჯადობას, რომლის საფუძველზეც ქონების უფლებრივი დატვირთვის, ან ასეთი დატვირთვისაგან გათავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთზე, მათ შორის მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთის ადგილსამყოფელის მიხედვით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის ანალიზი ნათლად გვიჩვენებს, რომ დასახელებული საპროცესო ნორმა ადგენს სპეციალურ განსჯადობას და იძლევა შესაძლებლობას, შესაბამისი, სუბიექტური და ობიექტური გარემოებების არსებობისას, განსჯადი სასამართლო განისაზღვროს უძრავი ნივთის ფაქტობრივი ადგილსამყოფელის მიხედვით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ქ. თბილისის, გარდაბნის მუნიციპალიტეტისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ 14173-რს დადგენილების თანახმად, ქ. თბილისის ადმინისტრაციული საზღვრები შეიცვალა «ქ. თბილისის ადმინისტრაციული საზღვრების პროექტის განხილვის შესახებ» საქართველოს მთავრობის 2006 წლის 20 დეკემბრის 1574 განკარგულებით მოწონებული ქ. თბილისის ადმინისტრაციული საზღვრების პროექტის მიხედვით. აღნიშნული დადგენილებით განსაზღვრული ცვლილების შესაბამისად, ივერთუბანი ქ. თბილისის შემადგენლობაში შევიდა. საკასაციო სასამართლო ასევე ყურადღებას ამახვილებს საქმეში წარმოდგენილ გარდაბნის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის 2010 წლის 4 იანვრის წერილზე, სადაც აღნიშნულია, რომ ... გარდაბნის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში არ შედის.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ვინაიდან სადავო უძრავი ქონება ქ. თბილისის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში მდებარეობს, წარმოდგენილი სასარჩელო განცხადება ნივთის ადგილსამყოფელის მიხედვით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით და 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის 1-ელი ნაწილით და 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

დაადგინა:

1. მ. თ-ძის სარჩელი, მოპასუხეების საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

18ს-233-224(გ-10)

8 აპრილი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 25 დეკემბერს შ. ც-ძემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – გაზეთ «...» ჟურნალისტ ი. მ-ძისა და საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის გ. გ-რის მიმართ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 10 აპრილის განჩინებით შ. ც-ძის სასარჩელო განცხადება მოპასუხეების – ი. მ-ძის მიმართ დარჩა განუხილველი.

2009 წლის 26 იანვარს შ. ც-ძემ დაუუსტებელი სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების: შპს «...» და თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის – გ. გ-რის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, 2007 წლის 10 დეკემბერს გაზეთ «...» გამოქვეყნდა სტატია, სადაც აღნიშნული იყო, რომ ... შ. ც-ძე პატრულის მიერ გერმანიის საელჩოს მიმდებარე ტეროტირიდან ასათიანის ქუჩაზე ფსიქიატრიულ კლინიკაში იქნა გადაყვანილი. ამავე სტატიაში საპატრულო პოლიციის უფროსის – გ. გ-რის მიერ დადასტურებულ იქნა შ. ც-ძის ფსიქიატრიულ კლინიკაში გადაყვანის ფაქტი.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ გაზეთში გამოქვეყნებული ინფორმაცია იყო ყალბი და მოპასუხეს ასეთი ინფორმაციის გავრცელების უფლება არ ჰქონდა, ვინაიდან აღნიშნული პერსონალურ ინფორმაციას წარმოადგენდა და მისი გამოქვეყნება პიროვნების პირად ცხოვრებაში შეჭრას გულისხმობდა.

მოსარჩელემ დამატებით აღნიშნა, რომ შ. ც-ძე სტატიის გამოქვეყნების დროს არ იყო ... და, შესაბამისად, საზოგადოების ინტერესი ინფორმაციის მიღების მიმართ არ არსებობდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ შპს «...» და საპატრულო პოლიციის უფროსის მიმართ, მოსარჩელის პატივისა და ღირსების შემლახველი ინფორმაციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფორმით ცნობის გამოქვეყნება და სოლიდარულად მორალური ზიანის სახით 10 000 აშშ დოლარის ანაზღაურება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი, მოპასუხეების – შპს «...» და საპატრულო პოლიციის უფროსის – გ. გ-რის მიმართ მოსარჩელის პატივისა და ღირსების შემლახველი ინფორმაციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფორმით ცნობის გამოქვეყნებისა და სოლიდარულად მორალური ზიანისათვის 10 000 აშშ დოლარის ანაზღაურების თაობაზე არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლობის გამო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა შ. ც-ძემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 მაისის განჩინებით შ. ც-ძის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილება.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 მაისის განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა შ. ც-ძემ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკორტების საქმეთა პალატის 2009 წლის 22 ოქტომბრის განჩინებით შ. ც-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ – გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 27 მაისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

საკასაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების შესავალ ნაწილში გ. გ-რი მითითებული იყო როგორც ფიზიკური პირი, სარეზოლუციო ნაწილში კი მოხსენიებული იყო საპატრულო პოლიციის უფროსად. სააპელაციო სასამართლოს უნდა გაერკვია, დავა მიმართული იყო თუ არა ადმინისტრაციული ორგანოსადმი.

საკასაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში ჩამოყალიბებული იყო სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები, რომლის მიხედვითაც, ამავე კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოებში განიხილებოდა დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომელიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარეობდა. ამავე კოდექსის მე-2 მუხლის 1-ელი ნაწილი კი უფრო აკონკრეტებდა, თუ რა შეიძლება გამხდარიყო ადმინისტრაციული დავის საგანი, კერძოდ, მითითებული მუხლის 1-ელი ნაწილის «გ» ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება ყოფილიყო ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 25 ნოემბრის განჩინებით შ. ც-ძის სააპელაციო საჩივარი განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ 2010 წლის 18 იანვრის განჩინებით განსჯადობის შესახებ დავა წამოიწყო და საქმე საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას გადაუგზავნა.

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ განმარტა, რომ სარჩელის საგნის იდენტიფიკაციის მიუხედავად, სახეზე იყო სხვადასხვა სუბიექტების მიმართ განსხვავებული საფუძვლით წარდგენილი სასარჩელო მოთხოვნები.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმე ამ ეტაპზე განსახილველად უნდა გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ხსენებული მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურითიერების არსებობა-არარსებობის დადგენა. იმავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული საქმეების გარდა სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც, აგრეთვე, გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი კი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ დაქვემდებარებას სასამართლოებისადმი, რომლის 1-ელი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე, იურიდიულ პირებს შორის.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა იურიდიულად ეფუძნებოდეს საჯარო-ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ მოსარჩელე პატივისა და ღირსების შემლახველი ინფორმაციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფორმით ცნობის გამოქვეყნებას და შპს «...» და თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამმართველოს უფროსის მიერ სოლიდარულად მორალური ზიანის სახით 10 000 აშშ დოლარის ანაზღაურებას ითხოვს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ელი ნაწილის «გ» ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე.

საკასაციო სასამართლო საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე და 208-ე მუხლების საფუძველზე განმარტავს, რომ მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს განხილული, თუ სადავო ურთიერთობის ერთ-ერთ მხარეს ადმინისტრაციული ორგანო წარმოადგენს, რომლის მიერ მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმართელობის ორგანოს ეკისრება.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 22 ოქტომბრის განჩინებაზე და აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლოს არც სამოქალაქო და არც ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას არ გაუთვალისწინებია უზენაესი სასამართლოს მიუთითებები, რასაც არსებითი მნიშვნელობა ჰქონდა მოცემულ საქმეზე.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელესთან უნდა გაარკვიოს, თუ კონკრეტულად რომელი სამართლებრივი ნორმის საფუძველზე ითხოვს იგი ზიანის ანაზღაურებას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად სახელმწიფო მოსამსახურის მიერ განზრახი ან უხეში გაუფრთხილებლობით მიყენებული ზიანის შემთხვევაში, სახელმწიფო ან ის ორგანო, რომელშიც მუშაობს მოსამსახურე, ვალდებულია, აანაზღაუროს დამდგარი ზიანი. განზრახვის ან უხეში გაუფრთხილებლობის შემთხვევაში მოსამსახურე სახელმწიფოსთან ერთად სოლიდარულად აგებს პასუხს. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად კი სახელმწიფო ადმინისტრაციული ორგანოს, აგრეთვე, მისი თანამდებობის პირის ან სხვა სახელმწიფო მოსამსახურის მიერ მისი სამსახურებრივი მოვალეობის განხორციელებისას მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებელია სახელმწიფო.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლომ უნდა დაადგინოს, მოსარჩელე ზიანის ანაზღაურებას ითხოვს: 1. საპატრულო პოლიციის უფროსის გ. გ-ორისაგან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის საფუძველზე, როგორც ფიზიკური პირისაგან; 2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, გ. გ-ორის, როგორც სახელმწიფო მოსამსახურისა და სახელმწიფოსაგან სოლიდარულად; თუ 3. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე – მხოლოდ სახელმწიფოსაგან.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, იმ შემთხვევაში, თუ სააპელაციო სასამართლო დაადგენს, რომ მოსარჩელე ზიანის ანაზღაურებას ითხოვს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლის საფუძველზე, მაშინ აღნიშნული საქმე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვას დაექვემდებარება, ვინაიდან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის თანახმად, მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, მხოლოდ იმ შემთხვევაში, შეიძლება იყოს განხილული, თუ სადავო სამართალ-ურთიერთობის ერთ-ერთ მხარეს ადმინისტრაციული ორგანო წარმოადგენს, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ექნება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, იმ შემთხვევაში, თუ მოსარჩელე ზიანის ანაზღაურებას მოითხოვს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1005-ე მუხლის 1-ელი ნაწილის საფუძველზე გ. გ-ორის, როგორც სახელმწიფო მოსამსახურისა და სახელმწიფოსაგან სოლიდარულად ან საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 208-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, მხოლოდ სახელმწიფოსაგან, მაშინ სააპელაციო სასამართლომ მოსარჩელესთან უნდა გაარკვიოს, კონკრეტულად რომელ ადმინისტრაციულ ორგანოს ასახელებს მოპასუხედ.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მხოლოდ ზემოაღნიშნული პროცესუალური მოქმედებების განხორციელების შემდეგ გახდება სააპელაციო სასამართლო უფლებამოსილი, საქმე ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილოს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმე საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ამ ეტაპზე უნდა გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქმე შ. ც-ძის სარჩელისა გამო, მოპასუხეების შპს «...» და თბილისის საპატრულო პოლიციის მთავარი სამართველოს უფროსის გ. გ-ორის მიმართ, მოსარჩელის პატივისა და ღირსების შემლახველი ინფორმაციის სასამართლოს მიერ დადგენილი ფორმით ცნობის გამოქვეყნებისა და სოლიდარულად მორალური ზიანისათვის 10 000 აშშ დოლარის ანაზღაურების თაობაზე ამ ეტაპზე განსახილველად გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

18ს-250-240 (გ-10)

17 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

პ. სილაგაძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიებს შორის დავა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 24 ივლისს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – სს «...» მიმართ, რომლითაც მოპასუხისათვის სამუშაოების ვადაგადაცილებით შესრულების გამო საურავის – 2 327,24 ლარის დაკისრება მოითხოვა.

მოსარჩელემ განმარტა, რომ საქართველოს მთავრობის 2008 წლის 16 ოქტომბრის 1675 განკარგულების საფუძველზე 2008 წლის 7 ნოემბერს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს (შემსყიდველი) და სს «...» შორის გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 130.11-1701 ხელშეკრულება ქარელის, გორის, კასპის, მცხეთის, ხაშურის, მარნეულისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში რუსეთის ფედერაციის აგრესიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფისათვის საჭირო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულებაზე, რომლის ღირებულება განისაზღვრა 4 210 463 ლარით დღგ-ს ჩათვლით. განისაზღვრა სამუშაოების შესრულების ვადები, რაც აისახა ხელშეკრულების დანართში.

2008 წლის 21 ნოემბერს სს «...» სამინისტროს 1439/148-8 წერილით შეატყობინა ზოგიერთ სოფელში, მათ შორის, წილკანში, წინამძღვრიანთკარში, შაუმიანსა და ხიხანში სამუშაოების დასრულების შესახებ. ხელშეკრულების შესაბამისად კი აღნიშნულ სოფლებში სამუშაოების დასრულების ვადები განსაზღვრული იყო შემდეგნაირად: წილკანში – 20 ნოემბერს, წინამძღვრიანთკარში – 18 ნოემბერს, შაუმიანსა და ხიხანში – 15 ნოემბერს. ამდენად, მიმწოდებელმა სახელმწიფო ვადები დაარღვევია. ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მე-7 მუხლის 7.1 პუნქტის შესაბამისად, მიმწოდებელს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შესრულებული სამუშაოების ღირებულების 0,20%-ის ოდენობით.

მოსარჩელე აღნიშნავს, რომ პირგასამტეხლო ჯამში შეადგენს 2 327,24 ლარს, რომლის გადახდაზეც სს «...» 2009 წლის 29 ივნისის 1665/146-9 წერილით უარი განაცხადა.

2009 წლის 12 ოქტომბერს გამართულ სასამართლო სხდომაზე მოსარჩელე – საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს წარმომადგენელმა მოითხოვა საქმე განსჯადობის წესების დაცვით გადასცემოდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 12 ოქტომბერს მიღებული საოქმო განჩინებით საქმე განსჯადობით გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო სს «...» ითხოვდა მხარეებს შორის 2008 წლის 7 ნოემბერს «სახელმწიფო შესყიდვების შესახებ» ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულებისათვის საურავის – 2327,24 ლარის დაკისრებას. ამასთან, უნდა გარკვეულიყო სამინისტრო, როგორც ადმინისტრაციული ორგანო, მოქმედებდა თუ არა საჯარო უფლებამოსილების ფარგლებში. სამოქალაქო კოლეგიამ 2008 წლის 7 ნოემბერს გაფორმებული 130.11-1701 ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელის როგორც საგნობრივი (შინაარსი), ისე ნორმატიული (საპროცესო) თვალსაზრისის გათვალისწინებით მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია არ იყო უფლებამოსილი, განეხილა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სარჩელი, მოპასუხის – სს «...» მიმართ, რის გამოც იგი განსახილველად უნდა გადაგზავნილიყო უფლებამოსილ – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 22 იანვრის განჩინებით მიჩნეულ იქნა, რომ განსჯადობის დავის გადასაწყვეტად უნდა გადაგზავნილიყო საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის «ზ» ქვეპუნქტისა და 65¹ მუხლის შესაბამისად, განმარტა, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ხელშეკრულების სამართლებრივი ხასიათის განმსაზღვრელ ძირითად ელემენტს წარმოადგენს როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზანი, ისე სამართლებრივ ურთიერთობაში მისი, როგორც სუბიექტის, სამართლებრივი სტატუსი, კერძოდ, თუ კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტი და ამ პირობებში მასზე არ ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნები.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ მართალია რუსეთის ფედერაციის აგრესიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფა წარმოადგენს საქართველოს მთავრობის კონ-

სტიტუციით გათვალისწინებულ ვალდებულებას, უზრუნველყოს მოქალაქეთა სოციალური დაცვა. თუმცა საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა და სს «...» შორის რუსეთის ფედერაციის აგრესიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფისათვის საჭირო სამშენებლო-სარემონტო სამუშაოების განხორციელებაზე დადებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების გამო საურავის ანაზღაურების საკითხი არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული ორგანოს საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნიდან, რის გამოც სადავო სახელშეკრულებო ურთიერთობიდან კონტრაქტენტებს შორის წარმოშობილი ვალდებულების შესრულების საკითხი განხილულ და გადაწყვეტილ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ სარჩელი საგნობრივი განსჯადობის გათვალისწინებით არ წარმოადგენდა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადს და საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სარჩელი მოპასუხის – სს «...» მიმართ საქმის მასალებთან ერთად უნდა გადაგზავნოდა საკასაციო სასამართლოს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილიდან გამომდინარე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიისა და იმავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებებისა და საქმის მასალების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სარჩელი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული და განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ «საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ» კანონის მე-14 მუხლის თანახმად, ენერგეტიკის სამინისტრო შექმნილია კანონის საფუძველზე, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების განსაზღვრულ სფეროში, კერძოდ ენერგეტიკის დარგში სახელმწიფო მმართველობის უზრუნველსაყოფად. რაც შეეხება მის ფუნქციებსა და უფლებამოსილებებს განსაზღვრულია საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 1 აპრილის 171 დადგენილებით. მათ შორისაა ქვეყნის ერთიანი ენერგეტიკული სისტემის სტაბილურობის უზრუნველყოფა, რაც თავის მხრივ საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, წარმოადგენს საქართველოს უმაღლეს სახელმწიფო ორგანოთა განსაკუთრებულ განმგებლობას მიკუთვნებულ საკითხს. ამდენად, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტრო არის სზაკ-ის მე-2 მუხლის I ნაწილის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ორგანო, რომელიც ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს ენერგეტიკის დარგში. ამასთან, მას როგორც ადმინისტრაციულ ორგანოს შეუძლია დადოს ამავე კოდექსის 65-ე-65' მუხლებით გათვალისწინებული როგორც ადმინისტრაციული, ისე კერძოსამართლებრივი ხელშეკრულება. ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებას განსაზღვრავს ხელშეკრულების მიზანი, რაც განისაზღვრება მისი შინაარსით. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების შედეგად შესაბამისი პირი აღიჭურვება საჯარო-სამართლებრივი უფლებამოვალეობებით, მაშინ როდესაც სამოქალაქო ხელშეკრულების დადებისას მხარეები გვევლინებიან სამოქალაქო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობების მატარებლებად. აღსანიშნავია, რომ სადავო ხელშეკრულება დადებულია საქართველოს მთავრობის 2008 წლის 16 ოქტომბრის 1675 განკარგულების შესასრულებლად, «სახელმწიფო შესყიდვების შესახებ» საქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის «ე» ქვეპუნქტის საფუძველზე. ხელშეკრულების საგანია ქარელის, გორის, კასპის, მცხეთის, ხაშურის, მარნეულისა და თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტებში რუსეთის ფედერაციის აგრესიის შედეგად დაზარალებული მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფისათვის საჭირო სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების შესრულება.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა და სს «...» შორის დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებითი ურთიერთობა. კერძოდ, ხელშეკრულების საფუძველზე მეწარმე სუბიექტმა იკისრა ვალდებულება, შესაბამისი საფასურის სანაცვლოდ განეხორციელებინა მომსახურება, კერძოდ, შეესრულებინა სამშენებლო-სარემონტო სამუშაოები კონკრეტულ რაიონებში მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფის მიზნით. მოსახლეობის ელექტროენერგიით უზრუნველყოფისათვის საჭირო ღონისძიების გატარება არის საჯარო სამართლებრივი ფუნქციის განხორციელება და იგი წარმოადგენს საქართველოს მთავრობის 2006 წლის 1 აპრილის 171 დადგენილებით გათვალისწინებულ სამინისტროს ერთ-ერთ ძირითად ფუნქციას. ამ ფუნქციის განსახორციელებლად დადებული ხელშეკრულება ექცევა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ელი ნაწილის «ზ» ქვეპუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ხელშეკრულების დეფინიციის ფარგლებში.

ამდენად, საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროსა და სს «...» შორის დადებული ხელშეკრულება არ არის დაკავშირებული საქართველოს სამოქალაქო კოდექსის პირველი მუხლით განსაზღვრულ კერძო ხასიათის ქონებრივ, საოჯახო და პირად ურთიერთობასთან და წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ, საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით, ფიზიკურ პირთან დადებულ სამოქალაქო სამართლებრივ ხელშეკრულებას. აღნიშნული ხელშეკრულებით მეწარმე სუბიექტი აღჭურვილია იმ სახის უფლება-მოვალეობებით, რომლებიც გულისხმობს საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილების განხორციელებას. სარჩელის დავის საგანი კი არის საჯარო-სამართლებრივი ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის საურავის დაკისრება. იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულება გამომდინარეობდა ადმინისტრაციული ორგანოს საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნიდან, ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებიდან გამომდინარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული საურავის დაკისრება, წარმოადგენს ადმინისტრაციული სამარ-

თაღწარმოების წესით განსახილველი დავის საგანს და სადავო სახელშეკრულებო ურთიერთობებიდან კონტრა-
ჰენტებს შორის წარმოშობილი ვალდებულების შესრულების საკითხი განხილული და გადაწყვეტილი უნდა იქნეს
ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფ-
ლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლე-
გია, რის გამოც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე,
საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბი-
ლისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი
მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბი-
ლისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

ზს-1114-1070(კ-09)

31 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
ნ. ქადაგიძე

საკასაციო სასამართლომ, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის
საფუძველზე, განიხილა დ. მ-შვილის სააპელაციო საჩივართან დაკავშირებით ქუთაისის სააპელაციო სასამარ-
თლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა პალატებს შორის დავა განსჯადობის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

დ. გ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა აჭარის ა/რ სახელმწიფო ქონების მართვის სააგენტოს და ქო-
ბულეთის რაიონის გამგეობას, რომლითაც მოითხოვა მის მფლობელობაში მყოფი ფართის საკუთრების უფლებით
რეგისტრაცია. მოსარჩელემ მიუთითა, რომ ქობულეთის სასაბურთე კომბინატის 07.07.98წ. 11 კრების ოქმის სა-
ფუძველზე მას გამოეყო სამოთახიანი ბინა მდებარე ქ. ქობულეთში, ... ქ. 1... «ჟ» სახლში, ბ. 1... მოსარჩელემ განცხა-
დებით მიმართა ქობულეთის გამგეობას, რომლითაც მოითხოვა ბინის პრივატიზაცია. გამგეობამ თხოვნა არ დააკ-
მაყოფილა. მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველად მოსარჩელემ მიუთითა 158-ე და 161-ე მუხლები.

მოპასუხეებმა – აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტროს და ქობულეთის რაიონის გამგეობის წარ-
მომადგენლებმა დ. მ-შვილის სასარჩელო მოთხოვნა ცნეს. ქობულეთის რაიონული სასამართლოს 21.06.05წ. გა-
დაწყვეტილებით მოთხოვნა დაკმაყოფილდა, ქობულეთის სარეგისტრაციო სამსახურს დაევალა საკუთრების უფ-
ლებით ბინის გატარება რეგისტრაციაში მოქ. დ. მ-შვილის სახელზე. სასამართლომ სარჩელის დაკმაყოფილების
საფუძველად მიუთითა სკ-ის 158-ე, 161-ე მუხლებზე. სასამართლომ აღნიშნა, რომ ბინა მოსარჩელეს იმ დროს მოქ-
მედი წესის დაცვით გამოეყო, რატომღაც არ მოხდა ბინაზე შესაბამისი ორდერის გამოწერა. ამასთან, მესაკუთრე
ლიკვიდირებულია და სადავო ბინა აღარ ირიცხება გამგეობის ბალანსზე, მოსარჩელე კი ცხოვრობს და კეთილსინ-
დისიერად იხდის გადასახადებს. აღნიშნულის გათვალისწინებით სასამართლომ დააკმაყოფილა სასარჩელო მოთ-
ხოვნა.

10.04.06წ. განცხადებით ზ. ა-მემ სსკ-ის 422-ე მუხლის საფუძველზე მოითხოვა ქობულეთის რაიონული სასა-
მართლოს 21.06.05წ. გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. განმცხადებელმა აღნიშნა, რომ ... ქ. 1...-ში მდებარე საც-
ხოვრებელ ბინას 1989 წლიდან ფლობდნენ ამავე საცხოვრებელ სახლში მცხოვრები მფლობელები, ხოლო 2005
წლიდან სადავო ბინაში მისი ოჯახი შესახლდა, დ. მ-შვილს ბინით არასოდეს უსარგებლია. 25.07.07წ. განჩინებით
ზ. ა-მის განცხადების მოთხოვნა ქობულეთის რაიონული სასამართლოს 21.06.05წ. გადაწყვეტილების ბათილად
ცნობის და საქმის წარმოების განახლების შესახებ არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ მიუთითა, რომ განმცხადებ-
ლის ოჯახის შესახლება ბინაში ვერ გახდებოდა საქმის წარმოების განახლების საფუძველი, ვინაიდან განმცხადებელ-
მა სსკ-ის 120-ე მუხლის შესაბამისად ვერ წარმოადგინა ბინის მისთვის გამოყოფის და მასზე თავისი კანონიერი
უფლების დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება.

07.12.06წ. დ. მ-შვილმა სანოტარო წესით დამოწმებული უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებით საცხოვრებელი ბინა, მდებარე ქ. ქობულეთი, ... ქ. 1... «ჟ», ბ..., თანაბარწილად მიიყიდა ი. შ-შვილს და ჯ. ს-ძეს.

ქობულეთის რაიონული სასამართლოს **30.03.07წ.** გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ი. შ-შვილის სარჩელი, მოპასუხეები: ზ. ა-ძე, ე. მ-ძე, ლ. ა-ძე და ლ. ა-ძე გამოსახლებულ იქნენ ქ. ქობულეთში, ... ქ. 1... «ჟ» მდებარე საცხოვრებელი ბინიდან და ფართი თავისუფალ მდგომარეობაში ჩააბარდა ი. შ-შვილს.

ზ. ა-ძემ ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო საქმის წარმოების განახლების შესახებ **06.07.07წ.** განცხადებით მიმართა ქობულეთის რაიონულ სასამართლოს, განმცხადებელმა მიუთითა, რომ სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიების შეწყვეტის შესახებ **25.06.07წ.** დადგენილებით დადასტურებულია, რომ სასამართლოს გადაწყვეტილება დ. მ-შვილის სარჩელის დაკმაყოფილების შესახებ ყალბ დოკუმენტს ემყარება, დადგენილებით სისხლის სამართლის საქმე შეწყდა ხანდაზმულობის ვადის გასვლის მოტივით. აღნიშნულიდან გამომდინარე, განმცხადებელმა სსკ-ის **423-ე** მუხლის **1-ელი** ნაწილის «ა» ქვეპუნქტის საფუძველზე სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის წარმოების განახლება მოითხოვა.

ქობულეთის რაიონული სასამართლოს **01.11.07წ.** განჩინებით ზ. ა-ძის განცხადება დაკმაყოფილდა, გაუქმდა **26.03.06წ.** გადაწყვეტილება და განახლდა საქმის წარმოება დ. მ-შვილის სარჩელზე საცხოვრებელ ფართზე რეგისტრაციის დავალდებულების შესახებ.

ბათუმის რაიონული პროკურორის **14.11.07წ.** დადგენილებით სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის შესახებ დადგენილება გაუქმდა, საქმე გადაეცა გამოძიებას შემდგომი დაგეგმვის მიზნით.

28.01.08წ. საოქმო განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩაება ი. შ-შვილი. **28.01.08წ.** განჩინებით სსკ-ის **279-ე** მუხლის «დ» ქვეპუნქტის საფუძველზე დ. მ-შვილის სარჩელზე, მოპასუხე – ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის, მესამე პირი – ზ. ა-ძის და ე. მ-ძის მიმართ, უძრავი ქონების საკუთრების უფლებით აღიარებისა და სამართლებრივი რეგისტრაციის შესახებ შეჩერდა იმ საფუძველით, რომ მოსარჩელე დ. მ-შვილის მიმართ ყალბი დოკუმენტის გამოყენების თაობაზე მიმდინარეობდა წინასწარი გამოძიება, რის გამოც სისხლის სამართლის საქმის გადაწყვეტამდე შეუძლებელი იყო საქმის გადაწყვეტა.

ბათუმის რაიონული პროკურატურის **10.10.08წ.** დადგენილებით, სისხლის სამართლის დევნის ხანდამყოლობის ვადის გასვლის გამო, შეწყდა წინასწარი გამოძიება ყალბი დოკუმენტის დამზადების ფაქტზე. ქობულეთის რაიონული სასამართლოს **02.12.08წ.** განჩინებით საქმის წარმოება განახლდა, ხოლო **22.01.09წ.** გადაწყვეტილებით მოსარჩელის მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოების გამო. სასამართლომ მიუთითა, რომ საგამომიებო ორგანოს მიერ მიღებული დადგენილება სისხლის სამართლის საქმეზე დაწყებული გამოძიების შეწყვეტის შესახებ, რომელიც არარეაბილიტირებული მოტივით არის გამოტანილი, კერძოდ, ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, წარმოადგენს შემაჯამებელ გადაწყვეტილებას და თავისი შინაარსით უტოლდება კანონიერ ძალაში შესულ სასამართლო განაჩენს. დ. მ-შვილს არ გაუსაჩივრებია დადგენილება და არ მოუთხოვია საქმის სასამართლოში წარმართვა გამამართლებელი განაჩენის დადგენის მიზნით. სასამართლომ მიუთითა, აგრეთვე, იმ გარემოებაზე, რომ არსებობს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის სხვა საფუძველიც, სკ-ის **183-ე** მუხლის ადრინდელი რედაქცია მოითხოვდა უძრავი ნივთის შესაძენად სანოტარო წესით დამოწმებულ საბუთს და შემდგომის რეგისტრაციას საჯარო რეესტრში, აღნიშნული მოთხოვნა ავალდებულებდა მოსარჩელეს მოეხდინა **03.05.93წ.** ქობულეთის სასათბურე კომბინატის ადმინისტრაციასა და პროფკავშირების გაერთიანებულ კრებას და ამავე ორგანიზაციის **07.07.98წ.** 11 ოქმის სანოტარო წესით დამოწმებას, რაც არ მომხდარა.

ქობულეთის რაიონული სასამართლოს **22.01.09წ.** გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა დ. მ-შვილმა, რომელმაც **22.01.09წ.** გადაწყვეტილების და **01.11.07წ.** განჩინების გაუქმება და ზ. ა-ძის განცხადების განუხილველად დატოვება მოითხოვა, **01.11.07წ.** განჩინების ძალაში დატოვების შემთხვევაში აპელანტმა მოითხოვა მისი სარჩელის მოთხოვნის, კერძოდ, ქ. ქობულეთში, ... ქ. 1... «ჟ»-ში მდებარე 1..-ე ბინის მის საკუთრების უფლებით აღიარება და სამართლებრივი რეგისტრაციის შესახებ, დაკმაყოფილება. აპელანტმა აღნიშნა, რომ ქობულეთის რაიონული სასამართლოს **05.09.06წ.** განჩინებით ზ. ა-ძის განცხადება **21.06.05წ.** გადაწყვეტილების ბათილად ცნობის და საქმის წარმოების განახლების შესახებ დაუშვებლად იქნა ცნობილი იმ მოტივით, რომ იგი წარმოადგენდა არაუფლებამოსილ (არასათანადო) მხარეს განსახილველ დავაში ანუ არ მიეკუთვნებოდა იმ პირთა წრეს, რომელთა მოთხოვნით შესაძლებელი იყო კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილების ბათილად ცნობა და საქმის წარმოების განახლება, რადგანაც სსკ-ის **102-ე** მუხლის შესაბამისად ვერ წარმოადგინა მითითებული ბინის მისთვის გამოყოფის და მასზე თავისი კანონიერი უფლების დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება. ამდენად სასამართლოს **05.09.06წ.** განჩინებით დადასტურებულია, რომ ზ. ა-ძე არ წარმოადგენდა უფლებამოსილ მხარეს. სსკ-ის **275.1** მუხლის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად ზ. ა-ძის განცხადება ახლად აღმოჩენილ გარემოებათა გამო გადაწყვეტილების გაუქმებასთან დაკავშირებით განუხილველად უნდა დარჩენილიყო, რადგან იგი არ იყო აღნიშნული განცხადების შეტანაზე უფლებამოსილი პირი. აპელანტი მიიჩნევს აგრეთვე, რომ საქმის არსებითი განხილვის შემთხვევაშიც უნდა დაკმაყოფილებულიყო სასარჩელო მოთხოვნა, რადგან **06.05.93წ.** ქობულეთის სასათბურე კომბინატის ადმინისტრაციასა და პროფკავშირების გაერთიანებული კრების ოქმი **11** და **15** ბინის გამოყოფის შესახებ არ არის გაუქმებული, აღნიშნული დოკუმენტაციის სიყალბე არ არის დადასტურებული სისხლის სამართლის საქმეზე გამოტანილი კანონიერ ძალაში შესული განაჩენით, რომც არსებობდეს სისხლის სამართლის საქმეზე კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, საქართველოს პრეზიდენტის **29.01.07წ.** **173** ბრძანებულების შესაბამისად არსებობს საფუძველი ბინის საკუთრების უფლებით დაკანონების, რადგანაც აღნიშნული ბინის რეგისტრაცია დღემდე არსებობს (ბინა ირიცხება მესამე პირის – ი. შ-შვილის საკუთრებაში), ხოლო ზემოაღნიშნული ბრძანებულების მე-2 მუხლის «ე» ქვეპუნქტის შესაბამისად «კანონიერ მოსარგებლედ ჩაითვლება პირი, რომელიც უფლებამოსილი ორგანოს მიერ

გაცემული დოკუმენტის (ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი, ბინის ორდერი, საბინაო წიგნი და სხვ.) საფუძველზე კანონიერად სარგებლობს საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 19.03.09წ. განჩინებით სააპელაციო საჩივარი საქმის მასალებთან ერთად განსჯადობით განსახილველად გადაეცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას. პალატამ მიუთითა, რომ აპელანტის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, რის გამოც სასკ-ის 2.1 მუხლის თანახმად, დავა განხილულ და გადაწყვეტილ უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 06.07.09წ. განჩინებით საქმე 13/ბ-213-09წ. დ. მ-შვილის სარჩელისა გამო, უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების აღიარებისა და მისი სამართლებრივ რეგისტრაციაში გატარების შესახებ განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეცა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ საქმის განხილვის შედეგად არ დადასტურდა მოსარჩელის მსჯელობა ყოფილი სასათბურე მეურნეობის ბალანსზე რიცხული საცხოვრებელი კორპუსის, მეურნეობის ლიკვიდაციის გამო, ქობულეთის რაიონის გამგეობისათვის გადაცემის შესახებ. საქმის მასალებით დასტურდება, რომ სადავო სახლთმფლობელობა ქობულეთის მუნიციპალიტეტის ბალანსზე არ იმყოფება და სახელმწიფო საკუთრებას არ წარმოადგენს. მესამე პირის – ზ. ა-მის წარმომადგენლის მიერ სააპელაციო სასამართლოში წარმოდგენილ ქ. ქობულეთში, ... ქ. 1...-ში მდებარე მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის შესაკუთრება ამხანაგობის დებულების თანახმად, ბინებისა და არასაცხოვრებელი ფართის შესაკუთრება ამხანაგობა «...». სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ დავაში ადმინისტრაციული ორგანოების მონაწილეობა, აგრეთვე მოთხოვნის საფუძველად საქართველოს პრეზიდენტის 23.01.07წ. 173 ბრძანებულების მითითება არ განაპირობებს დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ხასიათს, ვინაიდან ბრძანებულებით დამტკიცებული წესის 1-ელი მუხლის თანახმად ის არეგულირებს სახელმწიფო საბინაო ფონდში არსებული არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი ფართობის კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესს და პირობებს, ამ პროცესში წარმოშობილ ურთიერთობებს. ამდენად, მითითებული აქტით კერძო საკუთრებაში გადაცემა მხოლოდ სახელმწიფო საბინაო ფონდში არსებული არაპრივატიზებული ფართი. მოცემულ შემთხვევაში სადავო სახლთმფლობელობა არ იმყოფება ქობულეთის მუნიციპალიტეტის საბინაო ფონდის ბალანსზე და არ წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას, შესაბამისად, აღნიშნული დებულების საფუძველზე კერძო პირებისათვის სადავო საცხოვრებელი ფართის საკუთრებაში გადაცემა დაუშვებელია, რასაც ადასტურებს კიდევაც როგორც ქობულეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო და გამგეობა, ისე აჭარის ა/რ ფინანსთა და ეკონომიკის სამინისტრო. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოთხოვნა საკუთრების უფლების აღიარების შესახებ არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, რის გამოც დავა არ არის ადმინისტრაციული წესით განსახილველი. რაც შეეხება სასარჩელო მოთხოვნის მეორე ნაწილს, სარეგისტრაციო სამსახურისათვის მოსარჩელის საკუთრებად სადავო ბინის აღრიცხვას, აღნიშნული პალატის აზრით არ წარმოადგენს სარჩელის დამოუკიდებელ საგანს, იგი გამომდინარეობს სასარჩელო მოთხოვნის პირველი ნაწილიდან და მისი თანამდევია შედეგია.

სამოტივაციო ნაწილი:

საქმის მასალების, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის და ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინებების შესწავლის შედეგად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ დ. მ-შვილის სააპელაციო საჩივარი განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელე დ. მ-შვილი 06.06.05წ. აღძრულ სარჩელში მოპასუხეებად დაასახელა აჭარის ა/რ ქონების მართვის სააგენტო და ქობულეთის რაიონის გამგეობა. ამდენად, განსახილველ დავაში მოპასუხეს წარმოადგენენ ადმინისტრაციული ორგანოები. ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება საქმეები იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. სარჩელის სამართლებრივ საფუძველად მოსარჩელე უთითებდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25-ე მუხლს, მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში აღნიშნავდა, რომ თავდაპირველად ბინის პრივატიზების მოთხოვნით მიმართა ადმინისტრაციულ ორგანოს – ქობულეთის რაიონის გამგეობას, რომელმაც არ დააკმაყოფილა მისი განცხადება და განუმარტა სასამართლოში გასაჩივრების შესაძლებლობაზე, მოსარჩელე ითხოვს ბინის პრივატიზაციის მომწესრიგებელი კანონმდებლობის მიხედვით, კერძოდ, საქართველოს პრეზიდენტის 29.01.07წ. 173 ბრძანებულებით დამტკიცებული «კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის» ნორმების საფუძველზე სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებას, სადავო ბინის საჯარო რეესტრში მის სახელზე რეგისტრაციას, რაც განსახილველ საქმეს ადმინისტრაციულ კატეგორიათა რიგს მიაკუთვნებს. ამდენად, დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან (სასკ-ის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილი), სადავო სამართალურთიერთობის სუბიექტური შემადგენლობა, ასევე მისი იმპანენტური ბუნება მიანიშნებს, დავის ადმინისტრაციული საპროცესო ნორმების საფუძველზე განხილვის საჭიროებაზე. ის გარემოება, რომ სადავო ბინა აშენებული იყო სასათბურე მეურნეობის მიერ, ასევე მრავალბინიან სახლში შესაკუთრება მიერ ბინის ამხანაგობის შექმნა არ ადასტურებს დავის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვის საჭიროებაზე, ვინაიდან მეურნეობა წარმოადგენდა სახელმწიფო საწარმოს, მის მიერ

ამენებული საცხოვრებელი კორპუსი იქნებოდა უწყებრივი და წარმოდგენდა სახელმწიფო საბინაო ფონდის შემადგენელ ნაწილს. **26.09.06წ.** ბინის მესაკუთრეთა 11 ოქმის თანახმად, ამჟამად საცხოვრებელი სახლი გადაეცა ქ. ქობულეთის საკრებულოს, კორპუსის ბინის ნაწილი პრივატიზებულია და ეს პროცესი გრძელდება. მოსარჩელის მიერ მოპასუხედ დასახელებული ქობულეთის მუნიციპალიტეტის გამგეობა სსკ-ის **85-ე** მუხლის საფუძველზე სასამართლოს მიერ არ მიჩნეულა არასათანადო მოპასუხედ, ამასთანავე, დაუსაბუთებელია ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **06.07.09წ.** განჩინებაში მოყვანილი მოსაზრება იმის შესახებ, რომ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის მესაკუთრეთა ამხანაგობის დებულების თანახმად, ბინებისა და არასაცხოვრებელი ფართის მესაკუთრეთა მრავალბინიანი სახლის ბინისა და არასაცხოვრებელი სახლის მესაკუთრეთა ამხანაგობა «თანადგომა». საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ უძრავი ქონების საკუთრება დასტურდება არა დებულებით, არამედ საჯარო რეესტრის ჩანაწერით, ამასთანავე ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის «...ს» დებულება არ შეიცავს ასეთ მითითებას, გარდა ამისა სადავო სამართალურთიერთობის წარმოშობის დროს მოქმედი (სამოქალაქო კოდექსის **208-ე-232-ე** მუხ.) და ამჟამად მოქმედი კანონმდებლობის («ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ» კანონი) თანახმად, არა ამხანაგობის, არამედ – ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წევრთა საერთო ქონებას შეადგენს – მიწის ნაკვეთი, ამავე ნაკვეთზე განთავსებული მრავალბინიანი სახლი, მასთან დაკავშირებული მომსახურე საინჟინრო ქსელების, მოწყობილობა-დანადგარების, შენობა-ნაგებობებისა და კეთილმოწყობის ობიექტების ერთობლიობა, რომელიც არ იმყოფება ინდივიდუალურ საკუთრებაში, ბინა მრავალბინიან სახლში – ინდივიდუალური საკუთრების საგანია, კორპუსის ბინები იმყოფება არა ამხანაგობის, არამედ კონკრეტული პირების საკუთრებაში, ამხანაგობის წევრები არიან მრავალბინიან სახლებში ბინისა და არასაცხოვრებელი ფართის მესაკუთრეები, ამხანაგობის ცალკეულ წევრთა წილი საერთო საკუთრებაში შეესაბამება მისი ინდივიდუალურ საკუთრებაში მყოფი ფართის წილს სახლის საერთო ფართში. ის გარემოება, რომ ბინა არ იმყოფება გამგეობის ბალანსზე არ ადასტურებს ბინაზე ამხანაგობის საკუთრებას, საქმეში არ მოიპოვება სადავო ბინის სახელმწიფო საკუთრებიდან კერძო – სამართლებრივი პირისათვის საკუთრებაში გადაცემის რაიმე დამადასტურებელი საბუთი. აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა თვლის, რომ სადავო სამართალურთიერთობები საგნობრივად ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის ქვემდებარეა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ელი, მე-2, 26-ე, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11, 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. დ. მ-შვილის სააპელაციო საჩივარი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;
2. საქმე განსახილველად გადაეცეს განსჯად სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

18ს-630-608(გ-10)

8 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. წიკვაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო და ადმინისტრაციულ საქმეთა პალატებს შორის დავა განსჯადობის თაობაზე.

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად გამოარკვია:

ი. ხ-მემ სარჩელი აღძრა ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმართ და მოითხოვა, ხელვაჩაურის რაიონის სოფ. ... მდებარე 4,2 ჰა მიწის ნაკვეთის მის საკუთრებად აღიარება და შესაბამისი ცვლილების შეტანა საკომლო წიგნსა და საჯარო რეესტრში.

რაიონული სასამართლოს 2009 წლის 9 ოქტომბრის გადაწყვეტილებით ი. ხ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა ი. ხ-მემ, მოითხოვა მისი დაკმაყოფილება და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება.

სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე აპელანტის – ი. ხ-მის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ ეთანხმება საქმეში წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარს და დამატებით განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში სადავო საკომლო წიგნის ჩანაწერების რეალობა, რასაც კავშირი არა აქვს ადმინისტრაციულ დავასთან.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 25 მარტის განჩინებით საქმე განსჯადობით გადაეგზავნა ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, რაც ადმინისტრაციულმა სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სასამართლომ განმარტა, რომ დავის საგანი წარმოადგენდა საკომლო წიგნსა და საჯარო რეესტრის ჩანაწერში შესაბამისი ცვლილების შეტანა. მოსარჩელემ მიმართა ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, თუმცა საკრებულოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი დავასთან მიმართებით არ მიუღია.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» კანონი სოფლის საკრებულოს ან გამგეობის კომპეტენციას არ მიაკუთვნებს კომლის რეგისტრაციას და საკომლო წიგნის ჩანაწერში ცვლილების შეტანას, რაც ი. ხ-ძის სარჩელის მოთხოვნაა. სარჩელის ძირითადი მოთხოვნა საკომლო წიგნის ჩანაწერებში ცვლილების შეტანა სამოქალაქო კანონმდებლობით რეგულირდება. ამდენად, სასამართლოს დასკვნით დავა განხილული უნდა ყოფილიყო სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა არ დაეთანხმა ადმინისტრაციულ საქმეთა სასამართლოს მსჯელობას დავის სამოქალაქო წესით განსახილველად მიჩნევის თაობაზე, წამოიწყო დავა განსჯადობის თაობაზე და საქმე განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადმოუგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

საქმის მასალების მიხედვით აპელანტი, როგორც მართლზომიერი მფლობელი, ითხოვდა სახელმწიფოს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებას. მართლზომიერი მფლობელობის საფუძველად მას მიაჩნია საკომლო წიგნებში არსებული ჩანაწერები იმის თაობაზე, რომ მისი წინაპრები ფლობდნენ 0,42 ჰა მიწის ნაკვეთს. სადავო 1000 კვ.მ მიწის საკუთრებად აღიარების მოთხოვნით მან მიმართა საკუთრების უფლების აღიარების კომისიას, მაგრამ მიიღო უარი.

ადმინისტრაციულმა სასამართლომ განმარტა, რომ მოცემული დავა გამომდინარეობდა საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 15 სექტემბრის 1525 ბრძანებულებიდან «ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების წესისა და საკუთრების უფლების მოწმობის ფორმის დამტკიცების შესახებ», რომლის თანახმად, მიწაზე საკუთრების უფლების აღიარება ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლობითი ორგანოს კომპეტენციაა. ამდენად, დავა გამომდინარეობდა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან და მიმართული იყო მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოს მიმართ. სააპელაციო სასამართლომ ასევე მიუთითა, რომ მსგავსი კატეგორიის საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ დადგენილი იყო ერთგვაროვანი პრაქტიკა, კერძოდ დავა უნდა განხილულიყო ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა პალატების მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3. მუხლით მიინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიაჩნია, რომ ი. ხ-ძის სააპელაციო საჩივარი უნდა დაექვემდებაროს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის მიხედვით სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე კოდექსის 2.3 მუხლის შესაბამისად, ამ მუხლის პირველი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

ამდენად, მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1, 2.2 მუხლებში დაკონკრეტებული დავები, აგრეთვე სხვა დავები, რომლებიც ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე, სამართლებრივი ურთიერთობიდან არის წარმოშობილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვისათვის აუცილებელ ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც მითითებულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1, 2.2 და 2.3 მუხლებში, ამასთან აღნიშნული დავები წარმოშობილი უნდა იყოს იმ სამართალურთიერთობებიდან, რომლებიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1. «ა» მუხლის დეფინიციიდან გამომდინარე, მოპასუხე – ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს.

საკასაციო სასამართლოს საქმეში წარმოდგენილი მასალების, სხდომის ოქმების შინაარსის გაცნობის შედეგად მიაჩნია, რომ ადმინისტრაციულმა პალატამ ზედმიწევნით ზუსტად უნდა გაარკვიოს დავის საგანი, კერძოდ, სამოქალაქო საქმეთა პალატის სასამართლო სხდომაზე დაფიქსირებულია, რომ მოსარჩელე, მართლზომიერი მფლობელობის საფუძველით ითხოვს მფლობელობაში არსებულ მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების აღიარებას, ხოლო

სარჩელი ეფუძნება იმ ფაქტს, რომ საკომლო წიგნებში არსებული ჩანაწერების თანახმად, მისი წინაპრები ფლობდნენ 0,42 ჰა მიწის ნაკვეთს. ამასთან, საქმის მასალების მიხედვით, მოსარჩელემ 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთის საკუთრებად აღიარების მოთხოვნით მიმართა საკუთრების უფლების აღიარების კომისიას, რაზეც უარი მიიღო.

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ» კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, გადაწყვეტილებას სახელმწიფო მიწის სარგებლობაში ან საკუთრებაში გადაცემის შესახებ იღებენ შესაბამისი ადგილობრივი მმართველობის რაიონის, ქალაქის, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში, თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები, ხოლო ამავე მუხლის მე-3 პუნქტის «ა» და «გ» ქვეპუნქტების შესაბამისად, რაიონის, ქალაქის, რომელიც არ შედის რაიონის შემადგენლობაში, აღმასრულებელი ორგანოების კომპეტენციას განეკუთვნება სახელმწიფო მიწის განკარგვის ორგანიზება, სახელმწიფოს სახელით სახელმწიფო მიწის განკარგვის შესახებ მოლაპარაკებების წარმოება.

კონკრეტულ შემთხვევაში საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ სადავო მიწა სახელმწიფო საკუთრებაა. ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული დავის განხილვისას, თუკი უნდა გაირკვეს მოსარჩელის მიერ სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სადავო მიწის მართლობიერად ფლობისა და სარგებლობის საკითხი, «სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ» კანონის საფუძველზე, ასეთ პირობებში, აღნიშნული ნორმატიული აქტით მოწესრიგებული სამართალური თიერთობიდან წარმომობილი დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან და უნდა გადაწყდეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განჩინება საქმის სამოქალაქო კატეგორიად მიჩნევის თაობაზე დაუსაბუთებელია, ასევე, არასრულყოფილია სხდომის ოქმი, საიდანაც მკაფიოდ არ სჩანს მოსარჩელის მოთხოვნის შინაარსი. სააპელაციო პალატამ დამატებით სრულფასოვნად უნდა გამოარკვიოს სარჩელის ნამდვილი მიზანი, თუ რისი მიღწევა სურს მოსარჩელეს სასამართლო წესით, მისი რომელი სუბიექტური უფლება შეილახა, რაც მკაფიოდ და სრულყოფილად უნდა აისახოს სხდომის ოქმში.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქმე განსახილველად გადაეცეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; 2.1; 26.3, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ი. ხ-მის სააპელაციო საჩივარი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს ქუთაისის სააპელაციო სამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;
2. საქმე გადაეცეს განსჯად სასამართლოს;
3. წინამდებარე განჩინება გაეგზავნოს მხარეებს;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

1ბს-707-684(გ-10)

8 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. ქადაგიძე,

პ. სილაგაძე

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 9 დეკემბერს ს. და პ. ვ-მეებმა სასარჩელო განცხადებით მიმართეს საჩხერის რაიონის სასამართლოს, მოპასუხეების: პ. ვ-მის, პ. ვ-მის, საჩხერის რაიონის მუნიციპალიტეტის გამგეობის, საჩხერის რაიონის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ზედამხედველობის სამსახურისა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საჩხერის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ.

მოსარჩელებმა 2007 წლის 26 ივლისს პ. ვ-მის სახელზე გაცემული მიწის ნაკვეთის საკადასტრო გეგმის ბათილად ცნობა და ახალი ადმინისტრაციული აქტით სავალი გზის დადგენა, ასევე, პ. და პ. ვ-მეების მიერ ჩამდგარი ჭიშკრის აღება და სასაზღვრე მიჯნების საერთო სარგებლობის გზებთან შესაბამისობაში მოყვანა მოითხოვეს.

საჩხერის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილებით პ. და ს. ვ-მეების სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: სადავო საკითხის გადაწყვეტილად ბათილად იქნა ცნობილი 2007 წლის 26 ივლისის რეგისტრაციის შედეგად გამოცემული 135/07/01454 საკადასტრო ზომა 35, სექტორი 10, კვარტალი 15, ნაკვეთი 102, სოფ. ..., ფართობი – 1980 კვ.მ. შესაბამისად, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საჩხერის სარეგისტრაცი-

ციო სამსახურს დაევალა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის გარემოებების გამოკვლევისა და შეფასების შემდეგ გამოეცა ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი კანონით დადგენილ ვადაში, ამასთან ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემის შემდეგ მოპასუხეებს დაევალათ, შესაბამისობაში მოეყვანათ სასაზღვრე მიჯნები საერთო სარგებლობის გზებთან მიმართებაში საჯარო რეესტრის ახალი საკადასტრო გეგმით დაფიქსირებული საზღვრების გათვალისწინებით; დანარჩენ ნაწილში სარჩელი არ დაკმაყოფილდა უსაფუძვლოების გამო.

საჩხერის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 5 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სსიპ – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საჩხერის სარეგისტრაციო სამსახურმა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 23 მარტის განჩინებით საქმე, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საჩხერის სარეგისტრაციო სამსახურის სააპელაციო საჩივრის გამო ს. და პ. ვ-ძეების მიმართ, განსჯადობის წესით გადაეცა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განმარტებით, მოცემულ შემთხვევაში ფიზიკურ პირებს შორის ძირითად დავის საგანს წარმოადგენდა საზღვრების გამიჯვნა, რომელსაც საფუძვლად არ ედო ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების ბათილად ცნობა ან არარა აქტად აღიარება, არამედ მიმართული იყო მათი ქონებრივი გამიჯვნისაკენ საზღვრების დადგენით. მხარეთა მოთხოვნას წარმოადგენდა უკანონოდ დაკავებული მიწის ნაკვეთიდან მოპასუხის გამოსახლება და წყაროსთან მისასვლელი გზის გახსნა, რომელიც რაიმე ადმინისტრაციული აქტით არ ყოფილა მოწესრიგებული და არ იყო მიმართული ადმინისტრაციული ორგანოსადმი, ამიტომ, სასამართლოს მითითებით, აღნიშნული დავა წარმოადგენდა კერძოსამართლებრივ ურთიერთობას, ხოლო საკადასტრო გეგმის ბათილად ცნობის საკითხი განხილული და გადაწყვეტილი უნდა ყოფილიყო სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, რადგან საკადასტრო აზომვითი ნახაზის სიზუსტეზე პასუხისმგებელი იყო უძრავი ნივთის მესაკუთრე.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, აღნიშნული დავა არ გამომდინარეობდა ადმინისტრაციული კანონდებლობიდან, შესაბამისად, იგი არ უნდა განხილულიყო ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 13 მაისის განჩინებით აღნიშნული საქმე განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეცა საკასაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განმარტებით, იმ ფაქტობრივი გარემოების გათვალისწინებით, რომ სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის ნაწილში გადაწყვეტილება არ გასაჩივრდა და შესული იყო კანონიერ მალაში, ადმინისტრაციული ორგანოს სააპელაციო საჩივრის დავის საგანი იყო ქმედების განხორციელების დავალდებულება, საქმე ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა ყოფილიყო განხილული და განსჯადობით ადმინისტრაციულ პალატას უნდა დაქვემდებარებოდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად საქმე გადმოაგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატისა და ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ხსენებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. იმავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც, აგრეთვე, გამომდინარეობენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს – ყველა სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო ან დაწესებულება, საჯარო სამართლის იურიდიული პირი (გარდა პოლიტიკური და რელიგიური გაერთიან-

ნებისა), აგრეთვე, ნებისმიერი სხვა პირი, რომელიც საქართველოს კანონმდებლობის საფუძველზე ასრულებს საჯარო სამართლებრივ უფლებამოსილებებს.

მოცემულ დავაში მხარეს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო – საჯარო სამართლის იურიდიული პირი საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საჩხერის სარეგისტრაციო სამსახური, ხოლო დავის საგანი არის - ადმინისტრაციული ორგანოსათვის ქმედების განხორციელების დავალეზა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისას ადმინისტრაციული საქმეების განსჯადობის მთავარ ფაქტორს გარდა იმ ფაქტისა, რომ ერთ-ერთი მხარე უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანო, ასევე წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების საჯარო-სამართლებრივი მიზანი. განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისას უპირატესობა ენიჭება სადავო სამართალურთიერთობების ბუნებას და არა მხოლოდ სუბიექტურ შემადგენლობას. დავის საჯარო-სამართლებრივი ხასიათის დასადგენად საკმარისი არ არის ის, რომ დავის ერთ-ერთი მხარე საჯარო სამართლის სუბიექტია, ვინაიდან შესაძლებელია საჯარო სამართლის სუბიექტი მხარედ გამოვიდეს კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებშიც.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მოთხოვნიდან გამომდინარე, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით საქმის განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად ამოსავალია სადავო სამართალურთიერთობის შინაარსი, რის გასარკვევადაც არსებითია დავის უშუალო მატერიალურ-სამართლებრივი საფუძველი – ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობა. იმ შემთხვევაში, თუ ურთიერთობის მონაწილე სუბიექტი არის სახელმწიფოს, საჯარო ხელისუფლების წარმომადგენელი და ურთიერთობა საჯარო-სამართლებრივ მოწესრიგებას მოითხოვს, სახეზეა საჯარო სამართლებრივი ურთიერთობა.

საკასაციო სასამართლო იზიარებს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ წარმოდგენილი სააპელაციო საჩივარი, რომელიც გადაწყვეტილებას ედავებოდა ქმედების განხორციელების დავალდებულების გამო, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა ყოფილიყო განხილული და განსჯადობით ადმინისტრაციულ პალატას უნდა დაქვემდებარებოდა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ გარდა იმ ფაქტისა, რომ მხარეს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო – საჯარო სამართლის იურიდიული პირი – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საჩხერის სარეგისტრაციო სამსახური, ასევე საქმის მასალებით დგინდება რომ დავის საგანს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოსათვის ქმედების განხორციელების დავალდებულება, რაც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს წარმოადგენს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლობიდან და მოცემული საქმე განეკუთვნება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრულ სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ საქმეს, ამიტომ იგი ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განსჯადია, რის გამოც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს საჩხერის სარეგისტრაციო სამსახურის სარჩელის გამო, მოპასუხის – ს. და პ. ვ-ძეების მიმართ, ადმინისტრაციული ორგანოსათვის ქმედების განხორციელების დავალეზის თაობაზე, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას;

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

18ს-956-930 (გ-10)

8 სექტემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 28 იანვარს ქ. ტ-ქმ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, 2005 წლის 26 სექტემბრის ბრძანებით ჩაირიცხა საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში. 2010 წლის იანვარში მისთვის ცნობილი გახდა, რომ 2007 წლის 3 აგვისტოს 11207/05 ბრძანებით, აკადემიური დავალიანების გამო, იგი გაირიცხა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტიდან.

მოსარჩელის განმარტებით, ოჯახური პირობების გამო ვერ ახერხებდა ლექციებსა და სემინარებზე დასწრებას, რის შესახებაც აცნობა ტექნიკური უნივერსიტეტის ადმინისტრაცია, მაგრამ მათ არ გაიზიარეს მოსარჩელის მდგომარეობა და იგი გაირიცხეს უნივერსიტეტიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2007 წლის 3 აგვისტოს 11207/05 ბრძანების ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 28 მაისის საოქმო განჩინებით ქ. ტ-ქმ-ის სარჩელი, მოპასუხის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიმართ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე განსახილველად გადაეგზავნა განსჯად სასამართლოს – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის 1-ელ ნაწილზე და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ელ ნაწილზე და განმარტა, რომ მოცემულ სამართალურთიერთობას არ გააჩნდა დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის აუცილებელი საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობის დამახასიათებელი, კანონით განსაზღვრული პირობები, რის გამოც მოცემული საქმის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვა საქმეზე უკანონო გადაწყვეტილების მიღებას განაპირობებდა, ვინაიდან ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის პრინციპები მკვეთრად განსხვავდებოდა სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებისგან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 15 ივნისის განჩინებით ქ. ტ-ქმ-ის სარჩელი მოპასუხე – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიმართ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ, განსჯადობის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანი «უმაღლესი განათლების შესახებ» საქართველოს კანონიდან, ანუ ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარეობდა.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ განმარტა, რომ «უმაღლესი განათლების შესახებ» საქართველოს კანონის 1-ელი მუხლის თანახმად, აღნიშნული კანონი აწესრიგებდა საქართველოში უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებების საგანმანათლებლო და სამეცნიერო – კვლევითი საქმიანობის განხორციელების პროცესს, უმაღლესი განათლების მართვისა და დაფინანსების პრინციპებსა და წესს, ადგენდა ყველა უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსს, მათი დაფუძნების, საქმიანობის, რეორგანიზაციის, ლიკვიდაციისა და აკრედიტაციის წესს.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განმარტებით, მოცემული დავა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, განსაზღვრულ ადმინისტრაციულ სამართლებრივ დავათა კატეგორიას მიეკუთვნებოდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმე ამ ეტაპზე განსახილველად უნდა გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ხსენებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართვე-

ლოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. იმავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე, გამომდინარეობენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი კი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ დაქვემდებარებას სასამართლოებისადმი, რომლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა იურიდიულად ეფუძნებოდეს საჯარო-ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ელი ნაწილის «დ» ქვეპუნქტზე, რომლითაც რეგლამენტირებულია ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ცნება, კერძოდ, ხსენებული ქვეპუნქტის მიხედვით, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი არის ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი, რომელიც აწესებს, ცვლის, წყვეტს ან ადასტურებს პირის, ან პირთა შეხლადული წრის უფლებებსა და მოვალეობებს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ელი ნაწილის «დ» ქვეპუნქტში მოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ლეგალური დეფინიციის თანახმად, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული ინდივიდუალური სამართლებრივი აქტი.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2007 წლის 3 აგვისტოს ¹1207/05 ბრძანების ბათილად ცნობა წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ «უმადლესი განათლების შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლის «3¹⁸» ქვეპუნქტის თანახმად, უნივერსიტეტი არის უმადლესი საგანმანათლებლო დაწესებულება, რომელიც უმადლესი აკადემიური განათლების სამივე საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოპასუხე – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ელი ნაწილის «ა» ქვეპუნქტით განსაზღვრულ ადმინისტრაციულ ორგანოს მიეკუთვნება, ვინაიდან იგი «საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ¹» საქართველოს კანონის მე-2 მუხლის შესაბამისად შექმნილ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს «საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლზე, რომელშიც მოცემულია საჯარო სამართლის იურიდიული პირის ცნება. აღნიშნული მუხლის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირი არის შესაბამისი კანონით, საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულებით ან კანონის საფუძველზე სახელმწიფო მმართველობის ორგანოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შექმნილი ორგანიზაცია, რომელიც სახელმწიფოს კონტროლით დამოუკიდებლად ახორციელებს პოლიტიკურ, სახელმწიფოებრივ, სოციალურ, საგანმანათლებლო, კულტურულ და სხვა საქმიანობას. იმავე კანონის მე-9 მუხლის (საქმიანობა) პირველი პუნქტის მიხედვით, საჯარო სამართლის იურიდიული პირი შეიძლება შეიქმნას მხოლოდ ისეთი საჯარო მიზნებისა და ფუნქციების შესასრულებლად, რომელთა განხორციელება უშუალოდ არ შედის სახელმწიფო მმართველობის ორგანოების კომპეტენციაში. ხსენებული კანონის მე-10 მუხლის (მართვა და წარმომადგენლობა) მე-2 პუნქტის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიულ პირს მართავს ხელმძღვანელი, რომელიც შესაბამისი კანონის – საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების (ავტონომიური რესპუბლიკის უმადლესი აღმასრულებელი ორგანოს მიერ დაფუძნების შემთხვევაში – მისი სათანადო ნორმატიული აქტის), წესდების (დებულების) და წევრთა გადაწყვეტილებების (თუ საჯარო სამართლის იურიდიული პირი წევრობაზე დაფუძნებული) ფარგლებში დამოუკიდებლად მოქმედებს. იმავე მუხლის მე-3 პუნქტის მიხედვით, კი საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელი საქმეებს უძღვება ერთპიროვნულად. მასვე ეკისრება საჯარო სამართლის იურიდიული პირის წარმომადგენლობა და პერსონალურად აგებს პასუხს მისი საქმიანობის სწორად წარმართვაზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს დავაში მხოლოდ მონაწილეობა არ შეიძლება გახდეს, დავის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვის საფუძველი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ განხორციელებული ქმედების ადმინისტრაციულ აქტად მიჩნევისათვის აუცილებელია, რომ ის ფორმალურ-სამართლებრივი თვალსაზრისით

აკმაყოფილებდეს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ელი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული აქტის ლეგალური დეფინიციის ყველა ელემენტს, კერძოდ : 1) სადავო ურთიერთობის ერთ-ერთი მხარე იყოს ადმინისტრაციული ორგანო; 2) სადავო სამართლებრივი ურთიერთობა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ საქმეში არ არის წარმოდგენილი გასაჩივრებული საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2007 წლის 3 აგვისტოს 11207/05 ბრძანება, შესაბამისად, გაურკვეველია სადავო აქტი გამოცემულია ადმინისტრაციული კანონმდებლობის, თუ კერძო სამართლის კანონმდებლობის საფუძველზე. ამდენად, საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ უნდა დაადგინოს, სადავო აქტი კონკრეტულად რომელი კანონმდებლობის საფუძველზე არის გამოცემული.

ამასთან, საკასაციო სასამართლო განმარტავს შემდეგს: იმ შემთხვევაში, თუ ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია დაადგენს, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის 2007 წლის 3 აგვისტოს 11207/05 ბრძანება გამოცემულია საჯარო კანონმდებლობის, კერძოდ, «უმაღლესი განათლების შესახებ» საქართველოს კანონის საფუძველზე, მაშინ აღნიშნული საქმე ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვას დაექვემდებარება.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმე საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ამ ეტაპზე უნდა გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. ქ. ტ-მის სარჩელი, მოპასუხის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის მიმართ 2007 წლის 3 აგვისტოს 11207/05 ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე, ამ ეტაპზე განსახილველად გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ადმინისტრაციული განსჯადობა

განჩინება

18ს-1217-1184(გ-10)

9 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. წეკელიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

პ. სილაგაძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი განხილვის გარეშე, განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიებს შორის დავა განსჯადობის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 9 სექტემბერს ე. ჯ-ერმა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხეების – სსიპ ქ. თელავის 1... საჯარო სკოლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ, რომლითაც მოითხოვა: 1. მოსარჩელის მადიებელ მასწავლებლად დანიშვნის შესახებ სსიპ ქ. თელავის 1... საჯარო სკოლის 2007 წლის 17 სექტემბრის 1... ბრძანების ბათილად ცნობა; 2. სამსახურიდან დათხოვნის შესახებ 2008 წლის 23 ოქტომბრის 1... ბრძანების ბათილად ცნობა; 3. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 აგვისტოს 1609 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის პირველი ნაწილის ბათილად ცნობა 1... საჯარო სკოლისათვის წერილობითი გაფრთხილების გამოცხადების შესახებ და გადაწყვეტილების მიღება სკოლის დირექტორის ნ. ვ-შვილის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ; 4. სსიპ თელავის 1... საჯარო სკოლის დავალდებულება ე. ჯ-ერის სამუშაოზე მიღების შესახებ ახალი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე; 5. 2007 წლის 17 სექტემბრიდან 2007 სასწავლო წლის ბოლომდე – 15 ივნისამდე ჩატარებული გაკვეთილების ანაზღაურება; 6. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან არსებული შიდა აუდიტის დეპარტამენტის დასკვნის სარეკომენდაციო ნაწილის 1-ელი პუნქტის ბათილად ცნობა და მოსარჩელისათვის მორალური ზიანის ანაზღაურება შემდეგი საფუძველით:

2007 წლის 17 სექტემბრიდან 2008 წლის 17 სექტემბრამდე მოსარჩელე დასაქმებული იყო ქ. თელავის 1... საჯარო სკოლაში შემცველ მასწავლებლად, რეზერვად ახალ სასწავლო წელს სკოლის დირექტორმა ვაკანტურ ადგილზე სხვა პედაგოგები დაასაქმა, ხოლო ე. ჯ-ერი 2008 წლის 23 ოქტომბრის 1... ბრძანებით გათავისუფლდა.

მოსარჩელემ წერილობით მიმართა თელავის საგანმანათლებლო რესურსცენტრს და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს, რის შედეგადაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს 2010 წლის 4 აგვისტოს 1609 ბრძანებით მხოლოდ წერილობითი გაფრთხილება მიეცა თელავის 1... საჯარო სკოლას არსებული დარღვევების გამო.

მოსარჩელის მოსაზრებით, სადავო 2007 წლის 17 სექტემბრის 1... ბრძანების გამოცემისას დაირღვა «ზოგადი განათლების შესახებ» კანონის 43.2 მუხლის მოთხოვნა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 10 სექტემბრის განჩინებით ე. ჯ-ერის სარჩელი სსიპ თელავის 15 საჯარო სკოლისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ თელავის 1... სკოლის დირექტორის 2007 წლის 17 სექტემბრისა და 2008 წლის 23 ოქტომბრის 1..., საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 აგვისტოს 1609 ბრძანებებისა და ამავე სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის დასკვნის ბათილად ცნობისა და თანხის ანაზღაურების თაობაზე განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, რაც საქალაქო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, მოცემული დავა გამომდინარეობს კერძო სამართალურთიერთობიდან და განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, რამდენადაც «ზოგადი განათლების შესახებ» კანონში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის თაობაზე 2010 წლის 16 ივლისის 13442 კანონით 12.3 მუხლი ჩამოყალიბდა შემდეგნაირად: «საჯარო სკოლის დირექტორსა და სკოლის თანამშრომლებს, სამეურვეო საბჭოსა და სკოლის დირექტორს შორის და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის, აგრეთვე, საჯარო სკოლის დირექტორსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის წარმოშობილ დავებს, როგორც სამოქალაქო დავებს სასამართლო განიხილავს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

თბილისის სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 17 სექტემბრის განჩინებით ე. ჯ-ერის სარჩელი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ აღძრული მოთხოვნების ნაწილში 2010 წლის 4 აგვისტოს 1609 ბრძანების, სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის დასკვნის ბათილად ცნობისა და სამინისტროს დავალდებულების ნაწილში ქ. თელავის 1... საჯარო სკოლის დირექტორის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, რაც საქალაქო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

საქალაქო სასამართლოს მითითებით, სარჩელში გაერთიანებული არაერთგვაროვანი მოთხოვნები სხვადასხვა მოპასუხის მიმართ, ამასთან მოთხოვნათა ნაწილი განეკუთვნება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ დავას, კერძოდ, სსიპ თელავის 1... საჯარო სკოლის მიმართ აღძრული მოთხოვნები – მოსარჩელის მამიებელ მასწავლებლად დანიშვნის შესახებ სსიპ ქ. თელავის 1... საჯარო სკოლის 2007 წლის 17 სექტემბრის 1... ბრძანების; ე. ჯ-ერის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ 2008 წლის 23 ოქტომბრის 1... ბრძანების ბათილად ცნობის; ე. ჯ-ერის სამუშაოზე მიღების შესახებ; 2007 წლის 17 სექტემბრიდან 2007 სასწავლო წლის ბოლომდე – 15 ივნისამდე ჩატარებული გაკვეთილების ანაზღაურებისა და მოსარჩელისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ განეკუთვნება სამოქალაქო წესით განსახილველ დავას თანახმად «ზოგადი განათლების შესახებ» კანონის 12.3 მუხლისა, ხოლო სასარჩელი მოთხოვნები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 აგვისტოს 1609 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის 1-ელი ნაწილისა და ამავე სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის დასკვნის ბათილად ცნობა 1... საჯარო სკოლისათვის წერილობითი გაფრთხილების გამოცხადების შესახებ და გადაწყვეტილების მიღება სკოლის დირექტორის ნ. ვ-შვილის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ განეკუთვნება ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავას «ზოგადი განათლების შესახებ» კანონის 49-ე მუხლის დანაწესის შესაბამისად.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის მოთხოვნები - მოსარჩელის მამიებელ მასწავლებლად დანიშვნის შესახებ სსიპ ქ. თელავის 1... საჯარო სკოლის 2007 წლის 17 სექტემბრის 1... ბრძანების; ე. ჯ-ერის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ 2008 წლის 23 ოქტომბრის 1... ბრძანების ბათილად ცნობის; ე. ჯ-ერის სამუშაოზე მიღების შესახებ; 2007 წლის 17 სექტემბრიდან 2007 სასწავლო წლის ბოლომდე – 15 ივნისამდე ჩატარებული გაკვეთილების ანაზღაურებისა და მოსარჩელისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ უნდა გამოიყოს ცალკე წარმოებად და ამ ნაწილში მოსარჩელეს უარი უნდა ეთქვას სარჩელის წარმოებაში მიღებაზე სსსკ-ის მე-15 და 186.1 მუხლის «ე» ქვეპუნქტის საფუძველზე და მოსარჩელეს განემარტა, რომ აღნიშნული მოთხოვნებით მითითებული მოპასუხის მიმართ უნდა მიმართოს თელავის რაიონულ სასამართლოს, რამდენადაც სარჩელი ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ წარედგინება იმ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც არის მისი ადგილსამყოფელი.

საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, სასარჩელი მოთხოვნები – მოთხოვნები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 აგვისტოს 1609 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის პირველი ნაწილისა და ამავე სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის დასკვნის ბათილად ცნობა 1... საჯარო სკოლისათვის წერილობითი გაფრთხილების გამოცხადების შესახებ და გადაწყვეტილების მიღება სკოლის დირექტორის ნ. ვ-შვილის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ განეკუთვნება ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავას, რადგან მოსარჩელის მოთხოვნები ეხება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს სამართლებრივი აქტების

ბათილად ცნობას, რაც «ზოგადი განათლების შესახებ» კანონის 49-ე მუხლის 6^{ნაწილის} შინაარსიდან გამომდინარე, საჩივრდება სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

მოსარჩელეს განემარტა, რომ მაძიებელ მასწავლებლად დანიშვნის შესახებ სსიპ ქ. თელავის 1... საჯარო სკოლის 2007 წლის 17 სექტემბრის 1... ბრძანების; ე. ჯ-ერის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ 2008 წლის 23 ოქტომბრის 1... ბრძანების ბათილად ცნობის; ე. ჯ-ერის სამუშაოზე მიღების შესახებ; 2007 წლის 17 სექტემბრიდან 2007 სასწავლო წლის ბოლომდე – 15 ივნისამდე ჩატარებული გაკვეთილების ანაზღაურებისა და მოსარჩელისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ ე. ჯ-ერის სარჩელის წარმოებაში მიღების საკითხზე სასამართლო იმსჯელებს განსჯადობის საკითხის გადაწყვეტის შემდეგ, რამდენადაც აღნიშნული დამოკიდებულია განსჯადობის საკითხის გადაწყვეტაზე, თუ ამ ნაწილში დავა სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადია, მოსარჩელეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის შესაბამისად, უფლება აქვს, მიმართოს სასამართლოს ერთ-ერთი მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიების მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიაჩნია, რომ ე. ჯ-ერის სარჩელი განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ არსებითად სწორად განსაზღვრა მოცემული დავის განსჯადობის საკითხი და მართებულად მიიჩნია საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯად ადმინისტრაციულ დავად. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დასკვნას, მიაჩნია, რომ ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა იგი, რითაც დაირღვა სსსკ-ის 393-ე მუხლის მოთხოვნები.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში განსჯადობის ობიექტს წარმოადგენს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ აღძრული მოთხოვნების ნაწილში სარჩელის განსჯადობის საკითხი, კერძოდ, 2010 წლის 4 აგვისტოს 1609 ბრძანების, სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის დასკვნის ბათილად ცნობისა და სამინისტროს დავალდებულების ნაწილში ქ. თელავის 1... საჯარო სკოლის დირექტორის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ, რამდენადაც თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ ე. ჯ-ერის სასარჩელო მოთხოვნები მთლიანად იქნა მიჩნეული სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველად და განსჯადობით გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, ხოლო სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოთხოვნათა ნაწილი განეკუთვნებოდა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ დავას, კერძოდ, სსიპ თელავის 15 საჯარო სკოლის მიმართ აღძრული მოთხოვნები – მოსარჩელის მაძიებელ მასწავლებლად დანიშვნის შესახებ სსიპ ქ. თელავის 1... საჯარო სკოლის 2007 წლის 17 სექტემბრის 1... ბრძანების; ე. ჯ-ერის სამსახურიდან დათხოვნის შესახებ 2008 წლის 23 ოქტომბრის 1... ბრძანების ბათილად ცნობის; ე. ჯ-ერის სამუშაოზე მიღების შესახებ; 2007 წლის 17 სექტემბრიდან 2007 სასწავლო წლის ბოლომდე – 15 ივნისამდე ჩატარებული გაკვეთილების ანაზღაურებისა და მოსარჩელისათვის მორალური ზიანის ანაზღაურების შესახებ, თანახმად «ზოგადი განათლების შესახებ» კანონის 12.3 მუხლისა, ხოლო სასარჩელო მოთხოვნები საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 აგვისტოს 1609 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის პირველი ნაწილისა და ამავე სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის დასკვნის ბათილად ცნობა 1... საჯარო სკოლისათვის წერილობითი გაფრთხილების გამოცხადების შესახებ და გადაწყვეტილების მიღება სკოლის დირექტორის ნ. ვ-შვილის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ განეკუთვნება ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავას «ზოგადი განათლების შესახებ» კანონის 49-ე მუხლის დანაწესის შესაბამისად. ამდენად, საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ განსჯადობის შესახებ დავა წამოიწყო სასარჩელო მოთხოვნების – საქართველოს განათლების მინისტრის 2010 წლის 4 აგვისტოს 1609 ბრძანების, სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის დასკვნის ბათილად ცნობისა და ქ. თელავის 1... საჯარო სკოლის დირექტორის დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლების შესახებ სამინისტროს დავალდებულების ნაწილში, რა ნაწილშიც აქვს საკასაციო სასამართლოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3 მუხლით მინიჭებული კომპეტენცია გადაწყვიტოს დავა განსჯადობის შესახებ.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. ამავე კოდექსის 2.3 მუხლის შესაბამისად, ამ მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

ამდენად, მითითებული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, მოქმედი საპროცესო კანონმდებლობით განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექ-

სის 2.1, 2.2 მუხლებში დაკონკრეტებული დავები, აგრეთვე, სხვა დავები, რომლებიც, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე, სამართლებრივი ურთიერთობიდან არის წარმოშობილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვისათვის აუცილებელ ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც მითითებულია ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1, 2.2 და 2.3 მუხლებში, ამასთან აღნიშნული დავები წარმოშობილი უნდა იყოს იმ სამართალურთიერთობებიდან, რომლებიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობითაა მოწესრიგებული.

საკასაციო სასამართლო იზიარებს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას, რომ სასარჩელო მოთხოვნები, რომელთა ნაწილშიც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ წამოიწყო დავა განსჯადობის შესახებ და რა ნაწილშიც საკასაციო სასამართლო წყვეტს დავას განსჯადობის თაობაზე ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3 მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში, კერძოდ, სასარჩელო მოთხოვნა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 აგვისტოს 1609 ბრძანების ბათილად ცნობის, რომლითაც წერილობითი გაფრთხილება მიეცა სსიპ ქ. თელავის 1... საჯარო სკოლას და დავებზე, რეაგირება მოეხდინა აუდიტის დეპარტამენტის დასკვნაში მითითებულ დარღვევებზე, ხოლო გატარებული ღონისძიებების თაობაზე დეპარტამენტისათვის ინფორმაციის წარდგენა; საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის დასკვნის ბათილად ცნობის შესახებ, რომლითაც მიზანშეწონილად იქნა მიჩნეული საქართველოს კანონმდებლობის დარღვევისათვის სკოლისათვის წერილობითი გაფრთხილების გამოცხადება, სკოლას დავებზე ადმინისტრაციული წარმოების ჩატარება, დასკვნაში დაფიქსირებული დარღვევებზე პასუხისმგებელ პირთა მიმართ დისციპლინური ზომების გატარება და აღნიშნულის შესაბამისად, გატარებული ღონისძიებების შესახებ ანგარიშის წარდგენა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში, განეკუთვნება ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავათა კატეგორიას.

საკასაციო სასამართლო აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტავს, რომ გასაჩივრებული აქტების მიღებისას საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ გამოსცა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების – ქ. თელავის 1... საჯარო სკოლის მიმართ სახელმწიფო კონტროლის განხორციელების პირობებში, რაც «ზოგადი განათლების შესახებ» საქართველოს კანონის 49.2 მუხლის შესაბამისად, გულისხმობს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების შესრულებაზე ზედამხედველობას. ამავ კანონის 49.6 მუხლის შესაბამისად, საჯარო სკოლის სტრუქტურული ერთეულების მიერ საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების დარღვევის შემთხვევაში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უფლებამოსილია სკოლას მისცეს წერილობითი გაფრთხილება ან/და სკოლის სამეურვეო საბჭოს მიმართოს შესაბამისი დასაბუთებული წარდგინებით დირექტორისათვის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში სახეზეა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის «ა» ქვეპუნქტით განსაზღვრული ადმინისტრაციული დავა და ანიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დასკვნას «ზოგადი განათლების შესახებ» საქართველოს კანონის 12.3 მუხლის დანაწესის შესაბამისად, დავის სამოქალაქოდ მიჩნევის შესახებ. მითითებული ნორმის შესაბამისად, საჯარო სკოლის დირექტორსა და სკოლის თანამშრომლებს, სამეურვეო საბჭოსა და სკოლის დირექტორს, აგრეთვე საჯარო სკოლის დირექტორსა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის წარმოშობილ შრომით დავებს, როგორც სამოქალაქო დავებს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილავს სასამართლო.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში სადავო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 აგვისტოს 1609 ბრძანება და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის დასკვნა, რომლის საფუძველზეც გამოიცა მინისტრის ბრძანება, წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს, რომლის კანონიერებაც უნდა შემოწმდეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, რამდენადაც იგი გამოცემულია ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის – «ზოგადი განათლების შესახებ» კანონით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული დავა სწორედ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილი დავაა, რამდენადაც ერთ-ერთ განმსაზღვრელ ელემენტს დავის ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის სწორედ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართალურთიერთობა წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ სამართალურთიერთობას გააჩნია საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობის დამახასიათებელი ყველა ელემენტი – დავა გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო სარჩელი აღძრულია მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს მიმართ, რის გამოც სახეზეა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლით განსაზღვრული პირობები დავის ადმინისტრაციულ კატეგორიად მიჩნევისათვის.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული საქმის სამოქალაქო სამართალწარმოების პროცედურით განხილვა გამოიწვევს საპროცესო ნორმების ისეთ დარღვევას, რომელიც აუცილებლად განაპირობებს საქმეზე უკანონო გადაწყვეტილების დადგენას, ვინაიდან ადმინისტრაციული საპროცესო სამართლის პრინციპები მკვეთრად განსხვავდება სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებისაგან, რომელთა გამოყენება მხოლოდ ადმინისტრაციული

ციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ და მკაფიოდ განსაზღვრულ საქმეებზე დასაშვებია.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის 1-ელი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან, ამკვიდრებს არა მხოლოდ განსჯადი სასამართლოს პრინციპს, არამედ ადმინისტრაციული კანონმდებლობის მნიშვნელოვან პრინციპს – უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებას. ადმინისტრაციული კანონმდებლობის აღნიშნული პრინციპი კი ასახვას პოულობს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში (მუხლი 26-ე), კერძოდ, დავის განხილვის და გადაწყვეტის აუცილებლობაში უფლებამოსილი სასამართლოს მიერ.

ამდენად, არასწორია თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დასკვნა მოცემული დავის სამოქალაქო კატეგორიად მიჩნევის შესახებ, შესაბამისად, ე. წ-ერის მიერ აღძრული სარჩელიდან სასარჩელო მოთხოვნები – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 აგვისტოს 1609 ბრძანებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის დასკვნის ბათილად ცნობის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯად ადმინისტრაციულ დავას წარმოადგენს, რის გამოც განსჯადობის მიხედვით საქმე განსახილველად უნდა დაექვემდებაროს მითითებულ სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; 2,1; 26.3, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ე. წ-ერის სარჩელი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 4 აგვისტოს 1609 ბრძანებისა და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შიდა აუდიტის დეპარტამენტის დასკვნის ბათილად ცნობის შესახებ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეცეს განსჯად სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. სამოქალაქო განსჯადობა

განჩინება

18ს-1460-1394(გ-09)

20 იანვარი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

პ. სილაგაძე

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 3 ივნისს საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – ვაზისა და ღვინის დეპარტამენტმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – გ. ა-აცის მიმართ და მოითხოვა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო აუქციონის წესით საგარანტიო ნივთის – იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია, რომლის შედეგად საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ვაზისა და ღვინის დეპარტამენტს დაუბრუნდებოდა მის მიერ მიმწოდებლისათვის გადარიცხული თანხა – 12 310 ლარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 18 ივნისის განჩინებით საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ვაზისა და ღვინის დეპარტამენტის სარჩელი მოპასუხის – გ. ა-აცის მიმართ, საგარანტიო ნივთის – იპოთეკით დატვირთული ქონების აუქციონის წესით რეალიზაციის თაობაზე განსჯადობის წესების დაცვით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განმარტებით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის «ზ» ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულება წარმოადგენდა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებულ სამოქალაქო სამართლებრივ ხელშეკრულებას. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილი იყო გამოეყენებინა საქმიანობის როგორც საჯაროსამართლებრივი, ასევე კერძოსამართლებრივი ფორმები, მათ შორის, დაედო როგორც ადმინისტრაციული, ისე კერძოსამართლებრივი ხელშეკრულება, რომელთა გამოიყენა უნდა განხორციელებულიყო ხელშეკრულებათა მიზნის დადგენის გზით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მითითებით, კონკრეტულ შემთხვევაში მხარეებს შორის ვენახის გასაშენებლად დადებული ხელშეკრულება, არ გამომდინარეობდა ადმინისტრაციული ორგანოს საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნიდან, რის გამოც, ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულების გამო, თანხის ანაზღაურების მიზნით საგარანტიო ნივთის – იპოთეკით დატვირთული ქონების აუქციონის წესით რეალიზაციის ვალდებულება არ წარმოადგენდა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავის საგანს და სადავო სახელშეკრულებო ურთიერთობიდან კონტრაქტებს შორის წარმოშობილი ვალდებულების შესრულების საკითხი განხილულ უნდა ყოფილიყო სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 25 სექტემბრის განჩინებით საქმე სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად გადაეზღვნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია, რომ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ვაზისა და ღვინის დეპარტამენტსა და გ. ა-ავს შორის 2004 წელს გაფორმდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება, რომლის მიხედვით, შემსყიდველმა ჩაატარა ღია ტენდერი ვაზის უნიკალური ჯიშის ნერგებით ვენახების გაშენების მომსახურების შესყიდვაზე, რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის სატენდერო წინადადება, რომლითაც მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება შემსყიდველისათვის გაეწია ზემოაღნიშნული მომსახურება 12 310 ლარად. სასარჩელო განცხადების თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიულმა პირმა – ვაზისა და ღვინის დეპარტამენტმა სრულად გადაურიცხა მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხა, მაგრამ მოპასუხემ ვალდებულება არ შეასრულა და არც გადაცემული თანხის ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია წარადგინა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ ხელშეკრულებათა გამიჯვნისათვის არსებითი მნიშვნელობა არ ჰქონდა მხარეთა სამართლებრივ სტატუსს. მოცემულ შემთხვევაში საჯარო სამართლის იურიდიული პირის ვაზისა და ღვინის დეპარტამენტის მიერ სარჩელი აღძრული იყო იმ ხელშეკრულებით გათვალისწინებული დავალიანების ანაზღაურების თაობაზე, რომლითაც მის მიერ განხორციელებულ იქნა სახელმწიფო შესყიდვა გარკვეული მომსახურების მიღების სახით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მითითებით, საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის 2003 წლის 11 თებერვლის '2-30 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირი ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი შეიქმნა «ვაზისა და ღვინის შესახებ» საქართველოს კანონის შესაბამისად, სახელმწიფო ქონების საფუძველზე, რომელიც აწესრიგებდა მევენახეობა-მეღვინეობის დარგში საქმიანობას. ამავე დებულების 2.3 მუხლის თანახმად, დეპარტამენტის საქმიანობის ძირითად საგანს წარმოადგენდა საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის დარგის რეგულირება და დარგის განვითარების ხელშეწყობა. ამდენად, ნებისმიერი საქმიანობა, რომელსაც დეპარტამენტი ახორციელებდა მისი საქმიანობის ძირითადი საგნის ფარგლებში, ერთნაირად წარმოადგენდა მოსარჩელის საჯარო უფლებამოსილებას და მის პირდაპირ ფუნქციას, ანუ ამ შემთხვევაში, ვაზის უნიკალური ჯიშის ნერგებით ვენახების განაშენიანების მომსახურების შესყიდვისას დეპარტამენტი ახორციელებდა საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებას და უშუალოდ ამ მიზნით იქნა დადებული მოპასუხესთან სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულებაც.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ ვინაიდან, მოსარჩელე სადავო თანხების ანაზღაურებას ითხოვდა სწორედ ასეთი ხელშეკრულების საფუძველზე, 2004 წლის 3 დეკემბრის მხარეთა შორის დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 1... ხელშეკრულება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას განეკუთვნებოდა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოცემული დავა თავისი არსით წარმოადგენდა ადმინისტრაციული ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ სახელშეკრულებო დავას, შესაბამისად, იგი განეკუთვნებოდა ადმინისტრაციულ დავათა კატეგორიას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობით საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიების განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობის გაცნობის შედეგად მივიდა დასკვნამდე, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ვაზისა და ღვინის დეპარტამენტის სარჩელი განსახილველად უნდა გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობა აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25¹ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერძოსამართლებრივი ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კანონიერი ინტე-

რესების დასაკმაყოფილებლად ისარგებლოს კერძო სამართლის საშუალებით, თუ აღნიშნული უფრო მისაღებია მისთვის. ამდენად, ის გარემოება, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს, თავისთავად არ ქმნის განსახილველი დავის ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიისადმი მიკუთვნების საფუძველს. საჯარო-სამართლებრივი და კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯვნისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არა ხელშეკრულების მონაწილეთა სტატუსს, არამედ – ხელშეკრულების მიზანს. ამდენად, ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებას განსაზღვრავს ხელშეკრულების მიზანი. ხელშეკრულების მიზანი განისაზღვრება მისი შინაარსიდან გამომდინარე. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების, ხელშეკრულების დადების შედეგად წარმოშობილი უფლება-მოვალეობების შინაარსს. ის გარემოება, რომ «ვაზისა და ღვინის შესახებ» კანონის მე-3¹ მუხლის თანახმად და საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის 2003 წლის 11 თებერვლის 12-30 ბრძანებით დამტკიცებული დეპარტამენტის დებულების 2.3 მუხლის «ბ» ქვეპუნქტით მევენახეობა-მეღვინეობის დარგში საქმიანობას არეგულირებს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი, რომლის საქმიანობის ძირითად საგანს, დებულების თანახმად, შეადგენს «დარგის განვითარების, მევენახეობა-მეღვინეობის პროდუქციის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა», ასევე, არ წარმოადგენს დავის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვის საფუძველს.

საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობა არ იზიარებს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ვაზისა და ღვინის დეპარტამენტსა და გ. ა-აცს შორის დადებულია ადმინისტრაციული ხელშეკრულება, საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით. განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიულ პირს – ვაზისა და ღვინის დეპარტამენტსა და გ. ა-აცს შორის დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებითი ურთიერთობა. ხელშეკრულების საფუძველზე ფიზიკურმა პირმა იკისრა ვალდებულება, შესაბამისი საფასურის სანაცვლოდ განეხორციელებინა მომსახურება, კერძოდ, გაეშენებინა ვენახი ვაზის უნიკალური ჯიშის ნერგებით. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ხოლო თვით ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების, ღია ტენდერის შედეგად დაიდო, ხელშეკრულება არ აღჭურავს პირს საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობით, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება არ შეიცავს ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ან სხვა მმართველობითი ღონისძიების განხორციელების ვალდებულებას, ხელშეკრულების დადება სახელმწიფო შესყიდვის შედეგად, ღია ტენდერის ჩატარებით თავისთავად არ წარმოადგენს სადავო სამართალურთიერთობის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი მიკუთვნების საფუძველს. ამასთან, დავის საგანს წარმოადგენს არა სახელმწიფო შესყიდვის პროცედურა, არამედ – ტენდერის შედეგად დადებული ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხისათვის 12 310 ლარის დაკისრება, სანოტარო წესით დამოწმებული იპოთეკის ხელშეკრულების საფუძველზე აუქციონის წესით საგარანტიო ნივთის – იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია, რეალიზაციის შედეგად საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ვაზისა და ღვინის დეპარტამენტის მიმწოდებლისათვის გადარიცხული თანხის დაბრუნება. ამდენად, სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან. მხარეთა შორის არსებული სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს ხელშეკრულებიდან, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ სამოქალაქო ხელშეკრულებას განეკუთვნება. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება ამ კოდექსის ნორმები და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები ხელშეკრულებათა შესახებ. ასევე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65¹ მუხლის თანახმად, კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს, როგორც სამოქალაქო სუბიექტი, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულების დადებისას გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისი ნორმები, ხოლო საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 25¹ მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერძოსამართლებრივი ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასა და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს კოლეგიური შემადგენლობის უმრავლესობა მიიჩნევს, რომ საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადია და იგი განსახილველად უნდა გადაეცეს შესაბამის სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ელი მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ვაზისა და ღვინის დეპარტამენტის სარჩელის გამო საქმე გ. ა-აცის მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;

2. საქმე გადაეცეს განსჯად სასამართლოს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო განსჯადობა

განჩინება

1ბს-1257-1201 (გ-09)

8 თებერვალი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიებს შორის დავა სსიპ – ვაზისა და ღვინის დეპარტამენტის სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 3 ივნისს სსიპ – ვაზისა და ღვინის დეპარტამენტმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის – ი/მ თ. ბ-შვილის მიმართ და მოითხოვა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო აუქციონის წესით საგარანტიო ნივთის – იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაცია, რომლის შედეგად დეპარტამენტს დაუბრუნდებოდა მის მიერ მიმწოდებლისათვის გადარიცხული თანხა – 17 500 ლარი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 5 ივნისის განჩინებით სსიპ – ვაზისა და ღვინის დეპარტამენტის სარჩელი მოპასუხე ი/მ თ. ბ-შვილის მიმართ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურების თაობაზე განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ელი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის «ზ» ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება. ადმინისტრაციულმა კოლეგიამ ზემოაღნიშნული ნორმის საფუძველზე მიუთითა, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, გამოიყენოს საქმიანობის როგორც საჯარო-სამართლებრივი, ასევე კერძო-სამართლებრივი ფორმები, დადოს როგორც ადმინისტრაციული, ისე კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულება. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ადმინისტრაციული და სამოქალაქო ხელშეკრულების გამოიჯენა უნდა განხორციელდეს ამ ხელშეკრულებათა მიზნის დადგენის გზით. სასამართლოს მოსაზრებით, სსიპ ვაზისა და ღვინის დეპარტამენტსა და ი/მ თ. ბ-შვილს შორის ვენახის გასაშენებლად დადებული ხელშეკრულება არ გამოდინარეობს ადმინისტრაციული ორგანოს საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნიდან, რის გამოც, ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებიდან გამომდინარე, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურების მიზნით საგარანტიო ნივთის – იპოთეკით დატვირთული ქონების აუქციონის წესით რეალიზაციის ვალდებულება არ წარმოადგენს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავის საგანს და სახელშეკრულებო ურთიერთობიდან კონტრაქტებს შორის წარმოშობილი ვალდებულების შესრულების საკითხი განხილული უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 3 აგვისტოს განჩინებით სსიპ – ვაზისა და ღვინის დეპარტამენტის სარჩელი საქმის მასალებთან ერთად განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, შემდეგ გარემოებათა გამო:

«ვაზისა და ღვინის შესახებ» საქართველოს კანონის მე-31 მუხლის შესაბამისად, მევენახეობა-მეღვინეობის დარგში საქმიანობას არეგულირებს სსიპ – ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი, რომლის საქმიანობაზე კონტროლს ახორციელებს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო. აღნიშნულიდან გამომდინარე, სსიპ – ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის შესაბამისად, წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, რომელიც კანონმდებლობის საფუძველზე ახორციელებს საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებებს. ხელშეკრულება, როგორც სამოქალაქო სამართლის ინსტიტუტი, არის ორმხრივი (ან მრავალმხრივი) ნების გამოვლენა, რომელიც მიმართულია სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობის, შეცვლის ან შეწყვეტისაკენ. ხელშეკრულება იდება ხელშეკრულების მხარეების ურთიერთთანხვედრი, საერთო მიზნისაკენ მიმართული ნების გამოხატვის შედეგად და თუ არ არსებობს ორმხრივი ნება, შესაბამისად, არ არის ადმინისტრაციული ხელშეკრულება. ამასთან, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია დადოს როგორც ადმინისტრაციული, ასევე კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულება. ამასთან, განსახილველი საკითხის გადაწყვეტისათვის იგი უნდა შეფასდეს არა მხოლოდ დავის მონაწილე სამართალსუბიექტების თავლსაზრისით. საქმის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი მიკუთვნების ძირითად კრიტერიუმს წარმოადგენს იმ მნიშვნელოვანი საკითხის შეფასება, რომელიც ცხადყოფს, თუ როგორია დავის უშუალო მატერიალურ-სამართლებრივი შინაარსი – რომელიც კანონმდებლობიდან გამომდინარეობს დავის საგანი.

საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ დადგენილად მიიჩნია, რომ 2004 წლის 3 დეკემბერს სსიპ – ვაზისა და ღვინის დეპარტამენტსა და ი/მ თ. ბ-შვილს შორის დაიდო სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულება '1...', რომლის თანახმად, შემსყიდველმა ჩაატარა ღია ტენდერი ვაზის უნიკალური ჯიშის ნერგებით ვენახების გაშენების მომსახურების შესყიდვაზე, რომელშიც გამარჯვებულად მიჩნეულ იქნა მიმწოდებლის სატენდერო წინადადება და მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება გაუწიოს შემსყიდველს ზემოაღნიშნული მომსახურება 17 500 ლარით. კონკრეტულ შემთხვევაში დავის საგანი არის სწორედ ის ვალდებულებები, რომელიც გამომდინარეობს საჯარო სამართლის იურიდიულ პირსა და ფიზიკურ პირს შორის 2004 წლის 3 დეკემბერს დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებიდან.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის 2003 წლის 11 თებერვლის 12-30 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ – ვაზისა და ღვინის დეპარტამენტის დებულების მე-2 მუხლით განსაზღვრულია მისი უფლებამოსილებანი და საქმიანობის საგანი. აღნიშნული მუხლის მე-3 პუნქტის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, დეპარტამენტის საქმიანობის ძირითად საგანს წარმოადგენს «დარგის განვითარების, მევენახეობა-მეღვინეობის პროდუქციის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა». სწორედ აღნიშნულის გათვალისწინებით, «ვაზის უნიკალური ჯიშების ნერგით ვენახების გაშენების» ტენდერში გამარჯვებულ პირთან – ი/მ თ. ბ-შვილთან 2004 წლის 3 დეკემბერს სსიპ – ვაზისა და ღვინის დეპარტამენტმა გააფორმა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება.

სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის მიერ დასახელებული ხელშეკრულების დასაბუთებად გამოვლენილი ნება გარკვეულწილად შეზღუდულია და არ ემყარება სამოქალაქო სამართლის ბრუნვისათვის დამახასიათებელი ხელშეკრულების დადების ნების თავისუფლებას, რადგან ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი ახორციელებდა მისთვის კანონმდებლობით მინიჭებულ ადმინისტრაციულ ფუნქციას და სწორედ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით დადო მან ტენდერში გამარჯვებულ პირთან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო კოლეგიამ მიიჩნია, რომ დეპარტამენტსა და ი/მ თ. ბ-შვილს შორის დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, რადგან არსებობს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის «ზ» ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულებისათვის აუციელებელი ელემენტები. კერძოდ: ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე ადმინისტრაციული ორგანოა, ის დაიდო საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე. ამასთან, მოსარჩელე სადავოდ ხდის სწორედ ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებებით-სამართლებრივ ურთიერთობას, ხოლო მოთხოვნა – იპოთეკით დატვირთული ნივთის რეალიზაციით თანხის დაბრუნება – გავლენას ვერ მოახდენს მხარეთა შორის არსებული ვალდებულებებიდან გამომდინარე მოთხოვნის შინაარსზე, ვინაიდან იპოთეკა წარმოადგენს მხარეთა შორის არსებული ვალდებულებებიდან გამომდინარე მოთხოვნის უზრუნველყოფის საშუალებას (აქცესორული უფლება), ხოლო თავად ხელშეკრულების შინაარსი, საიდანაც ვლინდება მმართველობითი ფუნქციის განხორციელების მიზანი, აქცევს მას საჯარო-სამართლებრივი ინტერესის მქონე ადმინისტრაციულ ხელშეკრულებად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და იმავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებებისა და საქმის მასალების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ – ვაზისა და ღვინის დეპარტამენტის სარჩელი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული და განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კანონიერი ინტერესების დასაკმაყოფილებლად ისარგებლოს კერძო სამართლის საშუალებით, თუ აღნიშნული მისთვის უფრო მისაღებია. სასკ-ის 25¹ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ კერძოსამართლებრივი ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასა და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. ამდენად, ის გარემოება, რომ სსიპ – ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი სზაკ-ის მე-2 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს, თავისთავად არ ქმნის განსახილველი დავის ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიისადმი მიკუთვნების საფუძველს. საჯარო-სამართლებრივი და კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების გამოიჯენისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არა ხელშეკრულების მონაწილეთა სტატუსს, არამედ – ხელშეკრულების მიზანს. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დეფინიციის (სზაკ-ის 2.1 მუხლის «ზ» ქვეპუნქტი) ძირითად ელემენტს შეადგენს ხელშეკრულების დადება საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით. ამდენად, ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებას განსაზღვრავს ხელშეკრულების მიზანი. ხელშეკრულების მიზანი განისაზღვრება მისი შინაარსიდან გამომდინარე. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების, ხელშეკრულების დადების შედეგად წარმოშობილი უფლება-მოვალეობების შინაარსს. ასევე, ის გარემოება, რომ «ვაზისა და ღვინის შესახებ» კანონის მე-3¹ მუხლის თანახმად და საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრის 2003 წლის 11 თებერვლის 12-30 ბრძანებით დამტკიცებული დეპარტამენტის დებულების 2.3 მუხლის «ბ» ქვეპუნქტით მევენახეობა-მეღვინეობის დარგში საქმიანობას არეგულირებს სსიპ – ვაზისა და ღვინის დეპარტამენტი, რომლის საქმიანობის ძირითად საგანს დებულების თანახმად, შეადგენს «დარგის განვითარების, მევენახეობა-მეღვინეობის პროდუქციის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობა», არ წარმოადგენს დავის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვის საფუძველს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების შედეგად შესაბამისი პირი აღიჭურვება საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით მაშინ, როდესაც სამქალაქო ხელშეკრულების დადებისას მხარეები გვევლინებიან სამოქალაქო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობების მატარებლებად. განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს სსიპ – ვაზისა და ღვინის დეპარტამენტსა და ი/მ თ. ბ-შვილს შორის დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებითი ურთიერთობა. ხელშეკრულების საფუძველზე ფიზიკურმა პირმა იკისრა ვალდებულება, შესაბამისი საფასურის სანაცვლოდ განეხორციელებინა მომსახურება, კერძოდ, გაეშენებინა ვენახი ვაზის უნიკალური ჯიშის ნერგებით. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ხოლო თვით ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების ღია ტენდერის შედეგად დაიდო, ხელშეკრულება პირს არ აძლევს უფლებას საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით. მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება არ შეიცავს ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ან სხვა მმართველობითი ღონისძიების განხორციელების ვალდებულებას, ხელშეკრულების დადება სახელმწიფო შესყიდვის შედეგად ღია ტენდერის ჩატარებით თავისთავად არ წარმოადგენს სადავო სამართალურთიერთობის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი მიკუთვნების საფუძველს. ამასთან, დავის საგანს წარმოადგენს არა სახელმწიფო შესყიდვის პროცედურა, არამედ – ტენდერის შედეგად 2004 წლის 3 დეკემბერს დადებული 1... ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხისათვის 17 500 ლარის დაკისრება, სანოტარო წესით დამოწმებული 2004 წლის 13 დეკემბერს იპოთეკის ხელშეკრულების საფუძველზე აუქციონის წესით საგარანტიო ნივთის – იპოთეკით დატვირთული ქონების (შპს «...» კუთვნილი მიწის ნაკვეთის) რეალიზაცია, რეალიზაციის შედეგად სსიპ – ვაზისა და ღვინის დეპარტამენტის მიმწოდებლისათვის გადარიცხული თანხის – 17 500 ლარის დაბრუნება. მოსარჩელის მოთხოვნას საფუძველად უდევს სამოქალაქო კოდექსის მე-300 (იპოთეკით დატვირთული ნივთის რეალიზაციის მოთხოვნა) და 301-ე (იძულებით გაყიდვა აუქციონზე) მუხლები. ამდენად, სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან (სასკ-ის 2.3 მუხლი). მხარეთა შორის არსებული სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს ხელშეკრულებიდან, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ სამოქალაქო ხელშეკრულებას მიეკუთვნება, შესაბამისად, მის შესრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა, სსკ-ის მე-11 მუხლის, აგრეთვე, სზაკ-ის 25' მუხლის, სზაკ-ის 65.2 65' მუხლების საფუძველზე სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადია და სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ელი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-2, მე-5, 25', 26-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11, 284-ე, 285-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ – ვაზისა და ღვინის დეპარტამენტის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო განსჯადობა

განჩინება

1ბს-1347-1286 (გ-09)

8 თებერვალი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

პ. სილაგაძე

დავის საგანი: სასარჩელო განცხადების განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2005 წლის 11 მარტს ქ., ა., ა. და ა. ს-იანებმა სარჩელით მიმართეს თბილისის ისანი-სამგორის რაიონულ სასამართლოს მ. და შ. ს-იანების მიმართ, საერთო საკუთრებიდან – ქ. თბილისის, ...ის ქ. კორპ. 6, ბინა 16-იდან წილის უფლების გამოყოფისა და პრივატიზაციის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის მოთხოვნით. მოსარჩელებმა ასევე მოითხოვეს ამავე მისამართზე მდებარე 19 ბინაზე წილის უფლების აღიარება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2005 წლის 17 ივნისის განჩინებით საქმე განსჯადობის გამო დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატას.

თბილისის საოლქო სასამართლოს ადმინისტრაციული სამართლისა და საგადასახადო საქმეთა სააპელაციო პალატის 2005 წლის 8 ივლისის განჩინებით აღნიშნული საქმე განსჯადობით დაექვემდებარა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

2006 წლის 15 დეკემბერს მოსარჩელებმა დამატებითი სასარჩელო განცხადებით მომართეს სასამართლოს, მოპასუხეების – მ., შ. და ლ. ს-იანების მიმართ, რომლითაც შ. და მ. ს-იანებსა და ლ. ს-იანს შორის უძრავ ნივთზე, მდებარე – ქ. თბილისის, ... ქ. კორპ. 6, ბინა. 16-ზე დადებული ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა მოითხოვეს.

2007 წლის 23 იანვარს მოსარჩელებმა შუამდგომლობით მიმართეს სასამართლოს საქმეში მესამე პირად ლ. ს-იანის ჩაბმის მოთხოვნით, რაც შემდეგ დააზუსტეს და მოითხოვეს ლ. ს-იანის მოპასუხედ ჩაბმა.

2007 წლის 6 მარტს მოსარჩელებმა წარადგინეს დაზუსტებული სასარჩელო განცხადება, მოპასუხეების – მ., შ., ლ. ს-იანებისა და დ. უ-შვილის მიმართ, რომლითაც მოითხოვეს:

1. 2006 წლის 23 დეკემბერს ლ. და ლ. ს-იანებსა და დ. უ-შვილს შორის ქ. თბილისში, ორხევი, ...ის ქ. კორპ. 6, ბ. 16-ზე დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობა;

2. ამავე ბინაზე (ფართი – 43,57 კვ.მ) შ. და მ. ს-იანებსა და ლ. ს-იანს შორის დადებული ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობა;

3. ქ., ა., ა. და ა. ს-იანების ქ. თბილისში, ორხევი, ...ის ქ. კორპ. 6, 16 ბინის 1/7-1/7-ის თანამესაკუთრებად ცნობა;

4. ქ. თბილისში, ორხევი, ...ის ქ. კორპ. 6, ბ. 19-ზე ქ., ა., ა. და ა. ს-იანების წილზე უფლების აღიარება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ ქ., ა., ა. და ა. ს-იანების სარჩელი:

1. 2006 წლის 23 დეკემბერს ლ. და ლ. ს-იანებსა და დ. უ-შვილს შორის ქ. თბილისში, ორხევი, ...ის ქ. კორპ. 6, ბ. 16-ზე დადებული ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის;

2. ამავე ბინაზე (ფართი – 43,57 კვ.მ) შ. და მ. ს-იანებსა და ლ. ს-იანს შორის დადებული ჩუქების ხელშეკრულების ბათილად ცნობის;

3. ქ., ა., ა. და ა. ს-იანების ქ. თბილისში, ორხევი, ...ის ქ. კორპ. 6, 16 ბინის 1/7-1/7-ის თანამესაკუთრებად ცნობის ნაწილში არ დააკმაყოფილა. რაც შეეხება მოსარჩელეთა მოთხოვნას, ქ. თბილისში, ორხევი, ...ის ქ. კორპ. 6, ბ. 19-ზე წილზე უფლების აღიარების თაობაზე და საქმე ამ ნაწილში იმავე თარიღის განჩინებით განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საკასაციო სასამართლოს.

საქალაქო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის საქარხნო რაიონის მიერ 1979 წლის 8 იანვარს მ. ს-იანის სახელზე გაცემულ იქნა ორდერი '... საცხოვრებელ ბინაზე, რომლითაც მას, თავის ოჯახის წევრებთან – შ., ქ., ა. და ლ. ს-იანებთან ერთად სარგებლობაში გადაეცათ ქ. თბილისში, ორხევი, ...ის ქ. 16, მე-3 სართული, ბ. 19 ერთობლივად 16 კვ.მ ბინა.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ არაპრივატიზებული საცხოვრებელი ბინის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის ურთიერთობებს არეგულირებს «კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ» საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის 173 ბრძანებულება, რაც განეკუთვნება ადმინისტრაციულ კანონმდებლობას და შესაბამისად, მოსარჩელეთა მოთხოვნა ქ. თბილისში, ორხევი, ...ის ქ. 16, მე-3 სართული, ბ. 19-ზე საკუთრების (წილის) უფლების აღიარების თაობაზე განხილულ უნდა ყოფილიყო არა სამოქალაქო, არამედ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით. სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მოსაზრებით მიუხედავად იმისა, რომ მოდავე მხარეები ფიზიკური პირები არიან, მოცემულ შემთხვევაში განსჯადობის საკითხის გასარკვევად უმთავრესია კანონმდებლობა (ადმინისტრაციული), რომლის საფუძველზეც უნდა გადაწყდეს დავა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია.

საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით დადგენილია ადმინისტრაციული წესით განსახილველ დავათა სახეები, კერძოდ, ადმინისტრაციული დავის საგანი შეიძლება იყოს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან, ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა, ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე, აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. მოცემულ შემთხვევაში განსჯადობის საკითხი აღიძრა იმ საფუძველით, რომ მოსარჩელეთა მოთხოვნა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით უნდა განხილულიყო, ვინაიდან არაპრივატიზებული საცხოვრებელი ბინის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის ურთიერთობებს არეგულირებს საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის 173 ბრძანებულება, რაც განეკუთვნება ადმინისტრაციულ კანონმდებლობას.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ქ., ა., ა. და ა. ს-იანების მოთხოვნის საფუძველიანობის დადგენა წარმოადგენს სასარჩელო განცხადების არსებითად განხილვის საგანს. ამ ეტაპზე საჭიროა დადგინდეს დავის განხილვაზე უფ-

ლებამოსილი, განსჯადი სასამართლო, რაც უშუალოდ არის დამოკიდებული იმაზე, თუ დავის რა ფორმა იქნა არჩეული მოსარჩელეთა მიერ მიზნის (საკუთრების უფლების მოსაპოვებლად) მისაღწევად.

საკასაციო პალატა თვლის, რომ მართალია, სამოქალაქო საქმეთა კოლეგია თავისი მოსაზრების დასასაბუთებლად მიუთითებს ნორმატიულ აქტზე, რომელიც თავისი ბუნებით წარმოადგენს ადმინისტრაციული კანონმდებლობის შემადგენელ ნაწილს და აწესრიგებს კანონიერი მოსარგებლეებისათვის გადასაცემი არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოების მიერ კანონიერი მოსარგებლეებისათვის უსასყიდლოდ საკუთრებაში გადაცემის წესს, მაგრამ განსახილველ შემთხვევაში განსჯადობის საკითხი დამოკიდებულია სასარჩელო მოთხოვნაზე, კერძოდ, თუ რა არის დავის არსი და საგანი.

საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 29 იანვრის 173 ბრძანებულებით დამტკიცებული წესის მე-3 მუხლის თანახმად, არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის კანონიერი მოსარგებლისათვის საკუთრებაში გადაცემის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს შესაბამისი ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოს უფლებამოსილი თანამდებობის პირი (თვითმმართველი ქალაქის მერი, მუნიციპალიტეტის გამგებელი, ქალაქ თბილისში – შესაბამისი რაიონის გამგებელი) «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის, ამ წესისა და კანონმდებლობის შესაბამისად. ამდენად, აღნიშნული ბრძანებულებით, დადგენილი წესით კანონიერი მოსარგებლეების მიერ არაპრივატიზებულ ფართზე საკუთრების უფლების მოპოვება ან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა ხდება ადმინისტრაციული ორგანოსადმი მიმართვითა და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში კონკრეტული გადაწყვეტილების მიღებით. ამ სახის გადაწყვეტილება წარმოადგენს ინდივიდუალურ აქტს და მის კანონიერებაზე დავა დაინტერესებულ მხარეს შეუძლია გასაჩივრების გზით, სათანადო წესით.

ამდენად, ადმინისტრაციულ სასამართლოში დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს მხოლოდ იმ აქტის კანონიერება, რომელსაც უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანო მიიღებს დაინტერესებული პირის მოთხოვნით არაპრივატიზებული საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი (იზოლირებული და არაიზოლირებული) ფართობის საკუთრებაში გადაცემის თაობაზე. აღსანიშნავია, რომ მოსარჩელების საბოლოო ინტერესია არაპრივატიზებულ საცხოვრებელ ბინაზე საკუთრების უფლება მოიპოვონ მისი პრივატიზებით, მაგრამ ამ ეტაპზე მათ არ მიუძღრთავთ ადმინისტრაციული ორგანოსათვის შესაბამისი ნორმატიული აქტით მინიჭებული უფლების რეალიზებისათვის. ასევე ამ სამართალწარმოების ფარგლებში მოსარჩელეთა მოთხოვნას არ წარმოადგენს ბინის პრივატიზება, არამედ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელებს სურთ ქ. თბილისში, ორხევი, ...ის ქ. '6, მე-3 სართული, ბ. 19-ის იდეალურ 1/6-1/6-ზე მხოლოდ უფლების აღიარება, რათა შემდგომში მათ დამოუკიდებლად მოახდინონ თავიანთი წილის პრივატიზება. ამგვარად, დღეისათვის წარმოდგენილი სარჩელის მოთხოვნა – ქონებიდან იდეალური წილის განსაზღვრა წარმოადგენს სამოქალაქო კოდექსით მოწესრიგებულ სამოქალაქოსამართლებრივ ურთიერთობას, რომელიც გამომდინარეობს არა ადმინისტრაციული სამართლის, არამედ სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობიდან, რადგან სამოქალაქო კოდექსით რეგულირდება ფლობის, სარგებლობისა და საკუთრების უფლების საკითხები.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მხარეები იწყებენ საქმის წარმოებას სასამართლოში, ამ კოდექსში ჩამოყალიბებული წესების შესაბამისად, სარჩელის ან განცხადების შეტანის გზით. ისინი განსაზღვრავენ დავის საგანს და თვითონვე იღებენ გადაწყვეტილებას სარჩელის (განცხადების) შეტანის შესახებ.

ამდენად, რაკი წარმოდგენილი სარჩელით მოსარჩელები ითხოვენ სასამართლოს გზით არაპრივატიზებული საცხოვრებელი ბინის იდეალურ წილზე მხოლოდ მათი უფლების აღიარებას, რათა შემდგომში ამ უფლების საფუძველზე დამოუკიდებლად მოახდინონ ბინის პრივატიზება, ამ სახის დავის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ქ., ა., ა. და ა. ს-იანების სარჩელი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით და 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ქ., ა., ა. და ა. ს-იანების სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხეების – მ., შ. და ლ. ს-იანების მიმართ, უფლების აღიარების თაობაზე, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო განსჯადობა

განჩინება

18ს-103-102(გ-10)

24 თებერვალი, 2010 წ. ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 20 ოქტომბერს შპს «...» დირექტორმა დ. ს-ძემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ.

მოსარჩელო სასარჩელო განცხადებაში მიუთითებდა, რომ 2006 წლის 15-16 მაისს შპს «...» და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის გაფორმებულ იქნა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებები. ხელშეკრულებების გაფორმებას წინ უძღოდა შპს «...» გამარჯვება პრეზიდენტის ნაციონალური პროგრამის ტენდერში. აღნიშნული ხელშეკრულებებით შპს «...» დაევალია რვა სკოლის სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარება გარკვეულ ვადებში და გარკვეული პირობების შესრულებით.

მოსარჩელის მითითებით, შემსყიდველი ორგანიზაციის მხრიდან მოხდა ხელშეკრულების პირობების დარღვევა, კერძოდ, 2006 წლის 9 ოქტომბერს მოპასუხემ ცალმხრივად შეწყვიტა ხელშეკრულება.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებაში აღნიშნავდა, რომ ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში საჯარო სკოლების შენობების რეაბილიტაციის განუხორციელებლობა გამოწვეული იყო შემსყიდველის ბრალით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელე მოითხოვდა, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაეკისრებოდა თავი შეეკავებინა ისეთი ქმედების განხორციელებისაგან, რაც ზიანს მიაყენებს შპს «...» კანონიერ უფლებას და ინტერესს.

2006 წლის 24 ნოემბერს მოპასუხე – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრომ შეგებებული სარჩელით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას და მოითხოვა შპს «...» დაეკისროს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არასრულად და არაჯეროვნად შესრულებისათვის ჯარიმის სახით 488 879,56 ლარის გადახდა; ასევე მოითხოვა, შპს «...» დაკისრებოდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსათვის შეუსრულებელი სამუშაოს თანხის 518 843,9 ლარის დაბრუნება.

მოპასუხე შეგებებულ სარჩელში მიუთითებდა, რომ შპს «...» და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შორის დადებული ხელშეკრულების შესრულების ვადად განისაზღვრა 2006 წლის 2 ოქტომბერი.

ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მე-2 მუხლის თანახმად, ხელშეკრულების პირობების ჯეროვნად შესრულებაზე კონტროლი ევალებოდათ სამინისტროს მიერ განსაზღვრულ ინსპექტორებს და კოორდინატორებს. მათ მიერ წარმოდგენილ იქნა მოხსენებითი ბარათი, რომლის მიხედვითაც, სამუშაო ვერ შესრულდა ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში და არც ნაწილობრივ შესრულებული სამუშაოს ხარისხი შეესაბამებოდა იმ სტანდარტებს, რაც მოპასუხეს მოეთხოვებოდა.

2009 წლის 8 დეკემბერს სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოპასუხე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წარმომადგენელმა ეკატერინე მაჩიტაძემ იშუამდგომლა საქმის განსჯად საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში გადაგზავნის თაობაზე. შუამდგომლობას დაეთანხმა მოსარჩელე შპს «...» წარმომადგენელი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 8 დეკემბრის განჩინებით შპს «...» სასარჩელო განცხადება მოპასუხე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ, ქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნისა და მოპასუხე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შეგებებული სარჩელი შპს «...» მიმართ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების თაობაზე განსჯადობის წესის დაცვით გადაეგზავნა უფლებამოსილ სასამართლოს – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველი საქმეები განსაზღვრული იყო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით. აღნიშნული მუხლის ნორმიდან გამომდინარე, დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის საჭიროა შემდეგი პირობების არსებობა: 1. სადავო სამართლებრივი ურთიერთობა უნდა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან და ადმინისტრაციული დავის საგანს უნდა წარმოადგენდეს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული რომელიმე შემთხვევა; 2. სადავო სამართალურთიერთობაში მონაწილე ერთ-ერთი მხარე უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანო (ე.წ. სამართალსუბიექტობის პრინციპი), თუმცა ადმინისტრაციული ორგანოს დავაში მხოლოდ მონაწილეობა არ წარმოადგენს დავის ადმინისტრაციული წესით განსახილველად მიჩნევისათვის აბსოლუტურ საფუძველს, არამედ ამისათვის უმთავრესია გაირკვეს, თავად სადავო სამართალურთიერთობის არსი – დავის საგანი და თუ რა სახის სარჩელია სასამართლოში წარდგენილი. სადავო ხელშეკრულების ადმინისტრაციულ ხელშეკ-

რულებად მიჩნევისათვის საკმარისი არ არის ხელშეკრულებაში ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა, აუცილებელია ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების განსაზღვრა, რადგან ხელშეკრულების მიზანი საჯარო უფლებამოსილებაში უნდა ვლინდებოდეს. კონკრეტულ შემთხვევაში მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება გამომდინარეობს სამოქალაქო ურთიერთობიდან, რაც არ შეიძლება განხილულ იქნეს ადმინისტრაციული წესით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 25 დეკემბრის განჩინებით შპს «...» სასარჩელო განცხადება მოპასუხე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ ქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნისა და მოპასუხე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შეგებებული სარჩელი შპს «...» მიმართ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების თაობაზე განსჯადობასთან დაკავშირებული დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის 2006 წლის 15-16 მაისს დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებები წარმოადგენს არა კერძოსამართლებრივ, არამედ ადმინისტრაციულ ხელშეკრულებებს, რის გამოც საქმე განხილულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგია აღნიშნავდა, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ელი ნაწილის «ზ» ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციულ ხელშეკრულებად განიშარტება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქოსამართლებრივი ხელშეკრულება. აღნიშნული ნორმის ანალიზიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, ადმინისტრაციულ ხელშეკრულებად უნდა ჩაითვალოს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ხელშეკრულება, რომელიც მიზნად ისახავს და ემსახურება ადმინისტრაციულ ორგანოს მიერ, ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე დაკისრებული საჯარო უფლებამოსილების განხორციელებას.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებების მიზანს წარმოადგენდა საჯარო სკოლების ნორმალური ფუნქციონირება, რაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს საჯარო უფლებამოსილებას განეკუთვნება. აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო კოლეგიამ ჩათვალა, რომ მოდავე მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას, ხოლო ადმინისტრაციული ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავა განხილულ უნდა იქნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, თანახმად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25¹ მუხლისა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებისა და განსჯადობის თაობაზე სასამართლოთა მოსაზრებების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ შპს «...» სარჩელი მოპასუხის – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ ქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნის შესახებ და მოპასუხე – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შეგებებული სარჩელი შპს «...» მიმართ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების თაობაზე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯად დავას წარმოადგენს და განსახილველად მას უნდა დაექვემდებაროს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ დაქვემდებარებას. აღნიშნული მუხლის 1-ელ ნაწილში ჩამოთვლილია ის სამოქალაქო საქმეები, რომლებსაც სასამართლო განიხილავს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. თავის მხრივ, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით რეგლამენტირებულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები. აღნიშნული მუხლის 1-ელი ნაწილი განსაზღვრავს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეთა კატეგორიებს და ადგენს, თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს, ანუ, რომელი საქმეები შეიძლება იქნეს განხილული ადმინისტრაციული იურისდიქციის სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფარგლებში. ამავე კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

ამდენად, კანონმდებელმა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით საქმის განხილვის ძირითად ელემენტად განსაზღვრა დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართალურთიერთობიდან, რომელიც საჯარო, კონკრეტულად, ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობით არის მოწესრიგებული.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, იმისათვის, რომ დავა მიჩნეულ იქნას ადმინისტრაციულ-სამართლებრივად, უმთავრესი და აუცილებელი პირობაა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა იურიდიულად ეფუძნებოდეს საჯარო-ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს (მოსარჩელის მოსაზრებით) მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

საკასაციო სასამართლო სარჩელისა და შეგებებული სარჩელის შინაარსის გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში აღძრულია სარჩელი კერძო სამართლის იურიდიულ პირსა და ადმინისტრაციულ ორგანოს შორის სახელშეკრულებო ვალდებულების არაჯეროვნად შესრულებისათვის, რომლის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენს მათ შორის დადებული კერძოსამართლებრივი ხელშეკრულება. ამასთან, საკასაციო სასა-

მართლო ხაზგასმას აკეთებს იმ მოსაზრებებზე, რომ მხარეთა შორის დავის საგანს არ წარმოადგენს ტენდერის პირობების შეუსრულებლობა, მისი ჩატარების პროცედურებისა თუ წესების დარღვევა.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის «ზ» პუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირებთან, აგრეთვე, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებულ სამოქალაქო-სამართლებრივ ხელშეკრულებას. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, დადოს როგორც ადმინისტრაციული, ისე კერძოსამართლებრივი ხასიათის ხელშეკრულება და ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ხელშეკრულების სამართლებრივი ხასიათის განმსაზღვრელ ძირითად ელემენტს წარმოადგენს როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზანი, ისე სამართლებრივ ურთიერთობაში მისი, როგორც სუბიექტის, სამართლებრივი სტატუსი, კერძოდ, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65¹.1 მუხლის შესაბამისად, ცალსახად განისაზღვრა, რომ კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს, როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტი და ამ პირობებში მასზე არ ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს: ადმინისტრაციულ ხელშეკრულებასთან საქმე გვაქვს მაშინ, როდესაც ის ადმინისტრაციული სამართლის ნორმების შესრულებას ემსახურება; ადმინისტრაციული ხელშეკრულება ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა მმართველობითი ღონისძიების განხორციელების ვალდებულებას შეიცავს და ის ადგენს პირის საჯაროსამართლებრივ უფლებამოსილებებს ან ვალდებულებებს. მოცემულ კონკრეტულ შემთხვევაში მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების მიზანი არ არის ადმინისტრაციული სამართლის ნორმების შესრულება ან სხვა მმართველობითი ღონისძიების განხორციელება. წინამდებარე შემთხვევაში მხარეთა შორის კერძოსამართლებრივი ურთიერთობა დაფუძნებულია არა ადმინისტრირების პრინციპზე, არამედ მხარეთა თანასწორუფლებიან პარტნიორობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქმე, შპს «...» სარჩელისა გამო მოპასუხე – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ ქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნისა და მოპასუხე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შეგებებული სარჩელი შპს «...» მიმართ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების თაობაზე, განხილულ უნდა იყოს სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპების დაცვით და განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქმე შპს «...» სარჩელისა გამო მოპასუხე – საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიმართ ქმედებისაგან თავის შეკავების მოთხოვნისა და მოპასუხე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს შეგებებული სარჩელი შპს «...» მიმართ სახელშეკრულებო ვალდებულებების შესრულების თაობაზე, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ზიანის ანაზღაურებისა და ნივთის უკანონო მფლობელობიდან გამოთხოვის თაობაზე დავის განსჯადობა

განჩინება

18ს-1414-1350(კ-09)

25 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. ქადაგიძე,

პ. სილაგაძე

სარჩელის საგანი: ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2006 წლის 7 აპრილს მ. დ-ქემ სარჩელით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს, მოპასუხის – აჭარის ა/რ შინაგან საქმეთა სამმართველოს განსაკუთრებულ დავალებათა სამსახურის მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, **2005 წლის 6 იანვარს** ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე შეიძინა ბინა, მდებარე ქ. ბათუმში, ... ქუჩის **14-ში**, ხოლო **2005 წლის 14 იანვარს** საჯარო რეესტრში ბინა აღირიცხა მის საკუთრებად. აღნიშნული დროისათვის ბინის ერთი ოთახი დაკავებული ჰქონდა აჭარის ა/რ შინაგან საქმეთა სამმართველოს განსაკუთრებულ დავალებათა სამსახურის სპეციალური რაზმის უფროსს, რომელსაც ოთახში მოწყობილი ჰქონდა სამსახურის ოფისი. მოსარჩელის მოთხოვნის მიუხედავად იგი არ იხდიდა ქირას და არც ბინას ათავისუფლებდა.

მოსარჩელემ ასევე აღნიშნა, რომ **2006 წლის 18 იანვარს** განცხადებით მიმართა აჭარის ა/რ მთავარ სამმართველოს ბინის ქირის გადახდისა და დაკავებული ფართის გათავისუფლების მოთხოვნით. **2006 წლის 23 იანვრის** აჭარის ა/რ შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს კრიმინალური პოლიციის სამმართველოს უფროსის მოადგილის წერილით, მ. დ-მეს განემარტა, რომ მასა და რ. ქ-მეს შორის ბინის დაკავებისა და ქირის დაწესების შესახებ საკითხი მიეკუთვნებოდა ქონებრივ დავას, რის გამოც შესაბამისი განცხადებით უნდა მიემართა სასამართლოსთვის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მ. დ-მემ სარჩელით მიმართა საქალაქო სასამართლოს უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვისა და ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს **2006 წლის 23 ივნისის** საოქმო განჩინებით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **85-ე** მუხლის შესაბამისად, საქმეში თანამოპასუხედ ჩაბმულ იქნა რ. ქ-მე.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს **2006 წლის 26 სექტემბრის** საოქმო განჩინებით საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **85-ე** მუხლის საფუძველზე არასათანადო მოპასუხე – აჭარის ა/რ შინაგან საქმეთა სამმართველოსთან არსებული განსაკუთრებულ დავალებათა სამსახურის სპეციალური რაზმი, შეიცვალა სათანადო მოპასუხით – აჭარის ა/რ შინაგან საქმეთა სამმართველოთი.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს **2007 წლის 29 მაისის** განჩინებით არასათანადო მოპასუხე – აჭარის ა/რ შინაგან საქმეთა სამმართველო შეიცვალა სათანადო მოპასუხით; საქმეში სათანადო მოპასუხედ ჩაბმულ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა მთავარი სამმართველო და რ. ქ-მე.

საქალაქო სასამართლოში საქმის განხილვისას მოსარჩელემ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და მხოლოდ ზიანის ანაზღაურება მოითხოვა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს **2008 წლის 26 დეკემბრის** გადაწყვეტილებით მ. დ-მის სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა მთავარ სამმართველოს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა **2100 აშშ დოლარის** გადახდა **2006-2007 წლების** შესაბამისი კურსის ეროვნული ვალუტით.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს **2008 წლის 26 დეკემბრის** გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა მთავარმა სამმართველომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმის ხელახლა განსახილველად იმავე სასამართლოსთვის დაბრუნება მოითხოვა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის **2009 წლის 27 მაისის** გადაწყვეტილებით საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა მთავარი სამმართველოს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა: გაუქმდა ბათუმის საქალაქო სასამართლოს **2008 წლის 26 დეკემბრის** გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; მ. დ-მის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ **2005 წლის 6 იანვარს** მ. დ-მემ გ. გ-შვილისგან ნასყიდობის ხელშეკრულებით შეიძინა ოროთახიანი საცხოვრებელი ბინა, მდებარე ქ. ბათუმში, ... ქ. **14-ში** და **2005 წლის 14 იანვარს** საჯარო რეესტრში ბინა აღირიცხა მის საკუთრებად. სააპელაციო სასამართლომ ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ ქ. ბათუმში, ... ქ. **14-ში** **115,29 კვ.მ** ირიცხებოდა ქ. ბათუმის მერიის ბალანსზე.

სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილად მიჩნეული ის გარემოება, რომ ... ქ. **14-ში** მდებარე ბინის ყოფილ მესაკუთრეს, მოპასუხისათვის დათმობილი ჰქონდა ერთი ოთახი, რომელიც მის მფლობელობას მესაკუთრის შეცვლის შემდეგაც აგრძელებდა. სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ მოსარჩელის განმარტების გარდა, აღნიშნული გარემოების დამადასტურებელი სხვა რაიმე მტკიცებულება მხარის მიერ არ არის წარმოდგენილი.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას მოპასუხემ წარადგინა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის ტექნიკურიზაციის არქივის ამონაწერი, რომლის საფუძველზეც ირკვევა, რომ მითითებულ მისამართზე, ქ. ბათუმის მერიის ბალანსზე ირიცხებოდა სახლის პირველი სართულის **115,29 კვ.მ** ფართი. აპელანტმა განმარტა, რომ სწორედ აღნიშნული ფართი იყო დაკავებული შინაგან საქმეთა სამინისტროს ერთ-ერთი დანაყოფის მიერ **2006 წლამდე** და მათ არავითარი შეხება არ ჰქონდათ მოსარჩელის საკუთრებაში არსებულ ფართთან.

სააპელაციო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **102-ე** მუხლზე, რომლის თანახმად, თითოეულ მხარეს უნდა დაემტკიცებინა გარემოებები, რომლებზეც იგი ამყარებდა მოთხოვნებს და წარედგინა შესაბამისი მტკიცებულებები. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ გარემოებებს, რომელზეც მოსარჩელე ამყარებდა მოთხოვნას, ვერ ადასტურებდნენ მის მიერ საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები.

ამდენად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ საქალაქო სასამართლომ არასწორი შეფასება მისცა საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებსა და არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოებები, არ გამოიყენა კანონი რომელიც უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა კანონი, რაც საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **393-ე** და **394-ე** მუხლის თანახმად, მიღებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველს წარმოადგენდა.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. დ-მემ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკამოფილება მოითხოვა.

კასატორმა აღნიშნა, რომ 2005 წლის 6 იანვარს ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე შეიძინა ბინა, მდებარე ქ. ბათუმში, ... ქ. 14-ში და 2005 წლის 14 იანვარს საჯარო რეესტრში ბინა აღირიცხა მის საკუთრებად. აღნიშნული დროისათვის ბინის ერთი ოთახი დაკავებული ჰქონდა აჭარის ა/რ შინაგან საქმეთა სამმართველოს განსაკუთრებულ დავალებათა სამსახურის სპეციალური რაზმის უფროსს, რომელსაც ოთახში მოწყობილი ჰქონდა სამსახურის ოფისი. კასატორის მოთხოვნის მიუხედავად, იგი არ იხდოდა ქირას და 2007 წლის ოქტომბრამდე არც ბინას ათავისუფლებდა. კასატორის განმარტებით, მას, როგორც საკუთრების მეპატრონეს, უფლება ჰქონდა, სურვილისამებრ გამოეყენებინა ან გაექირავებინა აღნიშნული ფართი. კასატორის განმარტებით, ზიანსა და დამდგარ შედეგს შორის იყო მიზეზობრივი კავშირი, რადგან ზიანი განსაკუთრებულ დავალებათა მთავარი სამმართველოს ქმედებით იყო გამოწვეული. კასატორის მოსაზრებით, აღნიშნულ საკითხზე სააპელაციო სასამართლოს საერთოდ არ უმსჯელია.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 11 იანვრის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული მ. დ-მის საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 18 თებერვლის განჩინებით მ. დ-მის საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის შესაბამისად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობა, წარმოდგენილი საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიაჩნია, რომ საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებზე: 2005 წლის 6 იანვარს მ. დ-მემ ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე შეიძინა ბინა, მდებარე ქ. ბათუმში, ... ქუჩის 14-ში. 2005 წლის 14 იანვარს საჯარო რეესტრში ბინა აღირიცხა მის საკუთრებად. 2006 წლის 18 იანვარს მ. დ-მემ განცხადებით მიმართა აჭარის ა/რ შინაგან საქმეთა მთავარ სამმართველოს ბინის ქირის გადახდის და დაკავებული ფართის გათავისუფლების მოთხოვნით. 2006 წლის 23 იანვრის აჭარის ა/რ შინაგან საქმეთა მთავარი სამმართველოს კრიმინალური პოლიციის სამმართველოს უფროსის მოადგილის წერილით, მ. დ-მეს განემარტა, რომ მასა და რ. ქ-მეს შორის ბინის დაკავებისა და ქირის დაწესების შესახებ საკითხი მიეკუთვნებოდა ქონებრივ დავას, რის გამოც შესაბამისი განცხადებით უნდა მიემართა სასამართლოსთვის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმის მასალებში ასახულ იმ გარემოებაზეც, რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ბათუმის სარეგისტრაციო სამსახურის ტექნიკური ინვენტარიზაციის არქივის ამონაწერის თანახმად, ქ. ბათუმში, ... ქ. 14-ში, ქ. ბათუმის მერიის ბალანსზე ირიცხებოდა სახლის 115,29 კვ.მ.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა მთავარი სამმართველოს სააპელაციო საჩივრის განხილვისას საერთოდ არ იმსჯელა იმაზე, თუ რამდენად წარმოადგენდა მოცემული საქმე ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეს და ხომ არ უნდა განეხილა იგი სასამართლოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, ანუ სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა განსჯად სასამართლოზე, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, გააჩნდა ამ საქმის განხილვის საპროცესო უფლებამოსილება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 და 26-ე მუხლები, ასევე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით დადგენილი განსჯადობის წესები, ვინაიდან მ. დ-მის სასარჩელო განცხადებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული საქმე ექვემდებარებოდა განხილვას სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით რეგლამენტირებულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები. აღნიშნული მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. იმავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი კი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ დაქვემდებარებას სასამართლოებისადმი, რომლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქვე-

ული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის უპირველესი, უმთავრესი და აუცილებელი პირობაა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა იურიდიულად ეფუძნებოდეს საჯარო-ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს (მოსარჩელის მოსაზრებით) მოპასუხის მიერ საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლობიდან. სასარჩელო მოთხოვნები მთლიანად დაფუძნებულია საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მატერიალურ ნორმებზე და დავის საგანს წარმოადგენს საკუთრების უკანონო მფლობელობით მიყენებული ზიანის ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელე სარჩელის დაკმაყოფილებას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 170-ე, 172-ე და 992-ე მუხლების საფუძველზე ითხოვს. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო სამართალურთიერთობა განეკუთვნება სამოქალაქო სამართლის შემადგენელ, საკუთრების ინსტიტუტს (საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, წიგნი მე-2, კარი მე-3, თავი 1-ელი, მუხ. 170-ე-172-ე). ამასთან, იგი არ ატარებს საჯაროსამართლებრივ შინაარსს და არ ესადაგება ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით რეგლამენტირებულ, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეთა ჩამონათვალს. სადავო სამართალურთიერთობა რეგულირების საგნის, საფუძვლის, შინაარსის გათვალისწინებით კერძოსამართლებრივ (ჰორიზონტალურ) ურთიერთობას განეკუთვნება. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთრების უფლების დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებულია მოპასუხის მხრიდან არა საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით, არამედ – კერძო სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

საკასაციო სასამართლო დამატებით განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კანონიერი ინტერესების დასაკმაყოფილებლად ისარგებლოს კერძო სამართლის საშუალებით, თუ აღნიშნული უფრო მისაღებია მისთვის. ამდენად, ის გარემოება, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განსაკუთრებულ დავალებათა მთავარი სამმართველო, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს, თავისთავად არ ქმნის განსახილველი დავის ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიისადმი მიკუთვნების საფუძველს.

საკასაციო სასამართლო ასევე ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ აღნიშნული საქმე ბათუმის საქალაქო სასამართლოს მიერ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით იქნა განხილული.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმე წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის 1-ელი ნაწილის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავას, რის გამოც მ. დ-მის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება და მოცემული საქმე განსახილველად გადაეცეს განსჯად სასამართლოს – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ელი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-2 და 26-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მ. დ-მის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 27 მაისის გადაწყვეტილება და მოცემული საქმე განსახილველად გადაეცეს განსჯად სასამართლოს – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო განსჯადობა

განჩინება

18ს-181-174(გ-10)

8 აპრილი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. ქადაგიძე,

პ. სილაგაძე

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 24 სექტემბერს ზ. ჯ-მემ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის), საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისა და მესამე პირის – ზ. თ-შვილის მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) 2008 წლის 18 თებერვლის '305 ბრძანების მე-3 პუნქტის საფუძველზე, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) მიერ მიღებულ იქნა 2008 წლის 29 სექტემბრის '113640/006-204959633 ბრძანება, რომლითაც ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა «...» თავმჯდომარედ დაფიქსირდა ზ. თ-შვილი. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) 2008 წლის 26 სექტემბრის '17318/006-204959633 ბრძანებით კი ბათილად იქნა ცნობილი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2007 წლის 29 ნოემბრის '11364/006-204959633 ბრძანება და აღდგენილ იქნა აღნიშნული ბრძანების გამოცემაზე არსებული მდგომარეობა.

მოსარჩელემ განმარტა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) 2008 წლის 26 სექტემბრის '17318/006-204959633 ბრძანების საფუძველი, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2008 წლის 18 თებერვლის '305 ბრძანება სასამართლოში იყო სადავო, რის გამოც საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის), საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 182-ე მუხლის 1-ელი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის, ამავე კოდექსის 53-ე მუხლის მე-5 ნაწილის, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 29-ე მუხლის 1-ელი ნაწილის, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 184-ე მუხლის მე-2 ნაწილისა და 183-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, უფლება არ ჰქონდა განეხილა აღნიშნული საკითხი, იგი ვალდებული იყო, საკითხის განხილვა სასამართლოს მიერ გადაწყვეტილების მიღებამდე შეეჩერებინა.

მოსარჩელემ დამატებით აღნიშნა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) 2008 წლის 26 სექტემბრის '17318/006-204959633 ბრძანება მის მიერ ადმინისტრაციული საჩივრით იქნა გასაჩივრებული, თუმცა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2009 წლის 24 აგვისტოს '12602 ბრძანებით მას უარი ეთქვა საჩივრის დაკმაყოფილებაზე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) 2008 წლის 26 სექტემბრის '17318/006-204959633 ბრძანებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2009 წლის 24 აგვისტოს '12602 ბრძანების ბათილად ცნობა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 29 სექტემბრის განჩინებით ზ. ჯ-მის სარჩელი, მოპასუხეების – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრისა (საგადასახადო ინსპექციის) და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის, მესამე პირის – ზ. თ-შვილის მიმართ განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლზე და განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში სასარჩელო მოთხოვნა არ გამომდინარეობდა ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ვინაიდან კერძო სამართლის იურიდიული პირების რეგისტრაციის მონაცემებში ცვლილებების შეტანა რეგულირდებოდა «მეწარმეთა შესახებ» საქართველოს კანონის შესაბამისი ნორმებით. საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ფინანსთა მინისტრის '419 ბრძანებით დამტკიცებული «გადასახადის გადამხდელთა სახელმწიფო ან/და საგადასახადო რეგისტრაციის/აღრიცხვის, იურიდიულ პირთა ფილიალების სახელმწიფო ან/და საგადასახადო რეგისტრაციის აღრიცხვის წესის შესახებ» ინსტრუქციის საფუძველზე, მეწარმე სუბიექტის რეგისტრაციას საგადასახადო ორგანო ახორციელებდა, რა დროსაც დასტურდებოდა საწარმოს სადამფუძნებლო დოკუმენტაციის შესაბამისობა «მეწარმეთა შესახებ» კანონის მოთხოვნებთან. ამდენად, საგადასახადო ორგანოს გადაწყვეტილება კერძო სამართლებრივ ნორმებთან შესაბამისობის კუთხით ექვემდებარებოდა შემოწმებას.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ ასევე მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ელი ნაწილის «დ» ქვეპუნქტზე და მიიჩნია, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) 2008 წლის 26 სექტემბრის 17318/006-204959633 ბრძანება და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2009 წლის 24 აგვისტოს 12602 ბრძანება არ წარმოადგენდნენ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, ვინაიდან აღნიშნული ბრძანებები ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული იყო არა ადმინისტრაციული, არამედ კერძო სამართლის კანონმდებლობის საფუძველზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 8 იანვრის განჩინებით ზ. ჯ-ძის სარჩელი, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) მიმართ, სარჩელის განხილველი უფლებამოსილი სასამართლოს განსაზღვრისა და განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადაეზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგია არ დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოტივაციას და აღნიშნა, რომ ინდივიდუალურ ბინათმენაშენეთა ამხანაგობა «მეწარმეთა შესახებ» საქართველოს კანონის ნორმების შესაბამისად დაფუძნებულ იურიდიულ პირს არ წარმოადგენდა. ინდივიდუალურ ბინათმენაშენეთა ამხანაგობის შექმნისა და საქმიანობის მარეგულირებელი სამართლებრივი ნორმები ასახული იყო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 930-ე და 940-ე მუხლებში. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლის თანახმად, ამხანაგობა იურიდიულ პირს არ წარმოადგენდა.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ განმარტა, რომ მოსარჩელე სადავოდ ხდიდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) 2008 წლის 26 სექტემბრის 17318/006-204959633 ბრძანებას, რომლის მიხედვით, ინდივიდუალური ბინათმენაშენეთა ამხანაგობის «...» თავმჯდომარედ საგადასახადო სამსახურში დაფიქსირდა ზ. თ-შვილი. ასევე სადავო იყო ის ფაქტი, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2009 წლის 24 აგვისტოს 12602 ბრძანებით მოსარჩელის ადმინისტრაციული საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ მოსარჩელე სადავო ბრძანებების ბათილად ცნობას ითხოვდა არა კერძოსამართლებრივი ნორმების დარღვევის საფუძველზე, არამედ – ფორმალური თვალსაზრისით – ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 53-ე და 182-ე მუხლებით დადგენილი წესის დარღვევის გამო.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ დავის განხილველ სასამართლოს ზ. ჯ-ძის სარჩელის განხილვისას კერძოსამართლებრივი კანონმდებლობით არ უნდა ეხელმძღვანელა, რადგან განსახილველ შემთხვევაში დავის არსი არ მდგომარეობდა ამხანაგობა «...» წევრთა საერთო კრების ან ამხანაგობის თავმჯდომარის არჩევის კანონიერების შემოწმებაში.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ განსახილველი დავა გამომდინარეობდა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან და ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვას ექვემდებარებოდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ხსენებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განხილვება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. იმავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი კი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ დაქვემდებარებას სასამართლოებისადმი, რომლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქვეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა იურიდიულად ეფუძნებოდეს საჯარო-ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მიერ საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული ბრძანებები არ წარმოადგენენ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, ვინაიდან არ შეიცავენ აღნიშნული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით რეგლამენტირებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ლეგალური დეფინიციის ყველა ელემენტს, კერძოდ, ისინი გამოცემულია არა ადმინისტრაციული კანონმდებლობის, არამედ კერძო სამართლის კანონმდებლობის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) 2008 წლის 26 სექტემბრის 117318/006-204959633 ბრძანების საფუძველი, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) 2008 წლის 18 თებერვლის 1305 ბრძანება, საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატის 2009 წლის 24 ივნისის განჩინებით განსჯადობით განსახილველად დაექვემდებარა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას. საკასაციო სასამართლო მიიჩნია, რომ მართალია, ფორმალური თვალსაზრისით გასაჩივრებული აქტი გამოცემული იყო ადმინისტრაციული აქტის (ბრძანების) ფორმით, მაგრამ შინაარსობრივად დავის მთელი არსი მდგომარეობდა იმაში, რამდენად კანონიერად ჩატარდა ამხანაგობა «...» წევრთა საერთო კრება, რამდენად კანონიერად მოხდა ამხანაგობის ახალი თავმჯდომარის არჩევა და რამდენად კანონიერად შევიდა ცვლილება ამხანაგობის სარეგისტრაციო მონაცემებში; აღნიშნული საკითხების შესწავლა კი არა ადმინისტრაციული კანონმდებლობის, არამედ მატერიალური სამოქალაქო კანონმდებლობის – «ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ» საქართველოს კანონისა და ამხანაგობის დებულების საფუძველზე უნდა მომხდარიყო. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2008 წლის 18 თებერვლის 1305 ბრძანებას საფუძველად დაედო არა ადმინისტრაციული, არამედ კერძო სამართლებრივი «ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ» საქართველოს კანონისა და ამხანაგობის დებულების საფუძველად დაედო არა ადმინისტრაციული, არამედ კერძო სამართლებრივი «ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შესახებ» საქართველოს კანონისა და ამხანაგობის დებულების დარღვევა. ასევე, ამხანაგობის საერთო კრების გადაწყვეტილება უნარიანობის შეწყვეტის აუცილებლობა, ამიტომ ზ. ჯ-ძის სასარჩელო მოთხოვნა სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა განხილულიყო.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ სადავო ბრძანებებს არ გააჩნია დავის ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის განმსაზღვრელი მეორე ელემენტი: სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს არა საჯარო, არამედ – კერძო სამართლის კანონმდებლობიდან.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ, მართალია, სარჩელი აღძრულია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრისა (საგადასახადო ინსპექცია) და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიმართ, რომლებიც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტის დეფინიციიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ ორგანოებს წარმოადგენენ, მაგრამ მათი დავაში მხოლოდ მონაწილეობა საკმარისი არ არის დავის ადმინისტრაციული წესით განსახილველად მიჩნევისათვის, ამისათვის ძირითადი, არსებითი და გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს სადავო სამართალურთიერთობის არსს, შინაარსსა და დავის საგანს, ანუ იმ გარემოებას, თუ სამართლის რომელი დარგის ნორმებზე დაფუძნებული მხარეთა შორის წარმოშობილი დავა.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მოთხოვნის სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე განმარტავს, რომ წინამდებარე სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან, რის გამოც მოცემული საქმე არ განეკუთვნება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრულ სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ საქმეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული სადავო სამართალურთიერთობა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის 1-ელი ნაწილის «ა» ქვეპუნქტის საფუძველზე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველი და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადია, რის გამოც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო იხელმძღვანელებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-2 მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ზ. ჯ-ძის სარჩელი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის),

მესამე პირის – ზ. თ-შვილის მიმართ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის თბილისის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) 2008 წლის 26 სექტემბრის 17318/006-204959633 ბრძანებისა და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2009 წლის 24 აგვისტოს 12602 ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო განსჯადობა

განჩინება

18ს-249-239(გ-10)

8 აპრილი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 25 მაისს სს «...» სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – სს «...» მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, სსიპ «საწარმოთა მართვის» სააგენტოს 2007 წლის 10 ოქტომბრის 11-3/736 ბრძანების საფუძველზე განხორციელდა: სს «...», სს «...», სს «...», სს «...», სს «...», შპს «...», სს «...» (შემდგომში სგსე) და შპს «...» ერთმანეთთან შერწყმა და შეიქმნა სააქციო საზოგადოება «...», რომელიც ყველა ზემოაღნიშნული საწარმოს სამართალმემკვიდრესა და უფლებამონაცვლეს წარმოადგენდა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2007 წლის 5 თებერვალს, ერთის მხრივ, საქართველოს მთავრობას, სს «...», შპს «...» და მეორეს მხრივ «...» და სს «...» შორის გაფორმდა ელექტროსადგურებისა და ელექტროენერჯის გამანაწილებელი კომპანიების აქტივების ნასყიდობის ხელშეკრულება (შემდგომში «აქტივების ნასყიდობის ხელშეკრულება»), რომლის საფუძველზეც, ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული დასრულების თარიღის შემდეგ სს «...» და შპს «...» უფლებამოსილი აღარ იყვნენ, ამოეღოთ მიწოდებული ელექტროენერჯის საფასური; თავის მხრივ სს «...» და შპს «...» ყველა აბონენტი «...» აბონენტი გახდა, ხოლო აქტივების ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული დასრულების ფაქტობრივ თარიღად განისაზღვრა 2007 წლის 29 ივნისი.

მოსარჩელის განმარტებით, 2007 წლის 18 ოქტომბერს, ერთი მხრივ, სს «...» და მეორე მხრივ, სს «...» შორის ელექტროენერჯის საფასურის ამოღების თაობაზე დაიდო შეთანხმება, რომლის საფუძველზეც სს «...» აიღო ვალდებულება აქტივების ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული დასრულების თარიღამდე განეხორციელებინა სს «...» და შპს «...» მიერ მათ აბონენტ(ებ)ზე დარიცხული და მათთვის მიწოდებული ელექტროენერჯის საფასურის ამოღება და ამოღებული თანხების სს «...» გადაცემა. თავის მხრივ, აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე სს «...» აიღო ვალდებულება, ზემოაღნიშნული მომსახურების სანაცვლოდ შპს «...» გადაეხადა მომსახურების საფასური 1 350 000 ლარის ოდენობით.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ შპს «...» მიერ სს «...» მიმართ მომსახურება გაწეულ იქნა 2007 წლის 25 ოქტომბერს. შპს «...» როგორც დამატებითი ღირებულების გადასახადის გადამხდელი პირი, საქართველოს საგადასახადო კოდექსის 248-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, ვალდებული იყო, საგადასახადო ანგარიშფაქტურა გამოეწერა არა უგვიანეს 2007 წლის 26 ოქტომბრისა, რათა ამავე კოდექსის 247-ე მუხლის საფუძველზე, დღგ-ს ჩათვლა განხორციელებულიყო.

მოსარჩელის განმარტებით, 2008 წლის 31 იანვრის საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა სერია ... გამოიწერა საგადასახადო კოდექსის მოთხოვნათა უხეში დარღვევით, რადგან დღგ-ით დასაბეგრი ოპერაცია განხორციელდა 2007 წლის 25 ოქტომბერს, ხოლო საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა მომსახურების გამწევის მიერ გამოიწერა არა 2007 წლის 26 ოქტომბერს, არამედ 2008 წლის 31 იანვარს, რის გამოც სს «...» იზარალა გადახდილი დღგ-ს თანხა – 205 932 ლარი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ თავის სასარგებლოდ სს «...გან» ზიანის – 205 932 ლარის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 2 ნოემბრის განჩინებით სს «...» სარჩელი, მოპასუხე – სს «...» მიმართ, ზიანის ანაზღაურების თაობაზე განსახილველად გადაეგზავნა განსჯად სასამართლოს – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის 1-ელ ნაწილზე და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ელ, მე-2 და მე-3 ნაწილებზე და განმარტა: მიუხედავად იმისა, რომ დავის მხარეებს კერძო სამართლის იურიდიული პირები წარმოად-

გენდენ, მათ შორის დავა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან გამომდინარეობდა, კერძოდ, საქართველოს საგადასახადო კოდექსიდან, რადგან მოსარჩელისათვის მიყენებული ზიანი გამოწვეული იყო მოპასუხის მიერ საგადასახადო კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 5 თებერვლის განჩინებით, სს «...» სარჩელი მოპასუხის – სს «...» მიმართ ზიანის ანაზღაურების შესახებ განსჯადობის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ელ და მე-3 ნაწილებზე და განმარტა, რომ ადმინისტრაციული სამართალი აწესრიგებდა სახელმწიფო მმართველობის სფეროში წარმოქმნილ საზოგადოებრივ ურთიერთობებს და მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება განხილულიყო, თუ სადავო ურთიერთობის ერთ-ერთ მხარეს ადმინისტრაციული ორგანო წარმოადგენდა, რომლის მიერ მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს დაეკისრებოდა.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში მხარეებს კერძო სამართლის იურიდიული პირები წარმოადგენდნენ, რაც თავისთავად დავის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვის შესაძლებლობას გამოიწვევდა.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ განმარტა, რომ სს «...» და სს «...» შორის წარმოშობილი დავა სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარეობდა, რადგან მათ შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა სამოქალაქო, ანუ კერძოსამართლებრივ ურთიერთობას წარმოადგენდა. ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განმარტებით, კერძო სამართლის იურიდიული პირის მიერ მომხმარებლისათვის ელექტროენერჯის მიწოდება, ანუ აბონენტათვის მომსახურების გაწევა, თავისთავად, კერძო სახელშეკრულებო ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობას წარმოადგენდა. ამდენად, ის გარემოება, რომ კერძო სამართლებრივი ხელშეკრულების კონტრაქტის მიერ საჯარო ვალდებულება არ შესრულდა, ანუ ანგარიშ-ფაქტურა საგადასახადო ორგანოში საჯარო კანონმდებლობით დადგენილი წესის დარღვევით იქნა წარდგენილი, მოცემული საქმის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვის საფუძველს არ წარმოადგენდა.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ დავა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნებოდა განსახილველი, თუ დავის სამართლებრივ საფუძველად მითითებული იქნებოდა მოპასუხის – კერძო სამართლის იურიდიული პირის მიერ დელეგირებული საჯარო უფლებამოსილების კანონსაწინააღმდეგოდ განხორციელება.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე და 208-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ იმისათვის, რომ ზიანის ანაზღაურება ადმინისტრაციული დავის საგანს წარმოადგენდეს, უნდა არსებობდეს ორი ძირითადი პირობა: მოპასუხე უნდა იყოს ადმინისტრაციული ორგანო და პირს ზიანი ადმინისტრაციული ორგანოს ან სახელმწიფო მოსამსახურის მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების შედეგად უნდა ადგებოდეს, რასაც მოცემულ შემთხვევაში არ მომხდარა.

ამასთან, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ განმარტა, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 248-ე მუხლის შესაბამისად, საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში გამოწერის ვალდებულების არსებობის თუ არარსებობის ფაქტი და მისთვის სამართლებრივი შეფასების მიცემა დავის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვის საფუძველად არ შეიძლება მიჩნეულიყო, ვინაიდან აღნიშნული მხოლოდ საქმის ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ხსენებული მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურითობის არსებობა-არარსებობის დადგენა. იმავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც, აგრეთვე გამომდინარეობენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი კი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ დაქვემდებარებას სასამართლოებისადმი, რომლის 1-ელი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქვეუ-

ლი უფლებების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე, იურიდიულ პირებს შორის.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა იურიდიულად ეფუძნებოდეს საჯარო-ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის «ზ» ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირებთან, აგრეთვე, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებულ სამოქალაქო-სამართლებრივ ხელშეკრულებას. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულების, ადმინისტრაციულ ხელშეკრულებად მიჩნევის განსაზღვრულ ძირითად ელემენტს წარმოადგენს, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზანი, ისე სამართლებრივ ურთიერთობაში მისი როგორც სუბიექტის მონაწილეობა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოცემულ შემთხვევაში ხელშეკრულების მხარეებს მხოლოდ იურიდიული პირები წარმოადგენენ, ხოლო ხელშეკრულების მიზანი არის არა საჯარო უფლებამოსილების განხორციელება, არამედ მომხმარებლისათვის ელექტროენერჯის მიწოდება ანუ აბონენტათვის მომსახურების გაწევა, რაც თავისთავად კერძო სახელშეკრულებო-სამართლებრივ ურთიერთობას წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 207-ე და 208-ე მუხლებზე და განმარტავს, რომ მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს განხილული, თუ სადავო ურთიერთობის ერთ-ერთ მხარეს ადმინისტრაციული ორგანო წარმოადგენს, რომლის მიერ მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობა სახელმწიფოს ან ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს ეკისრება, რასაც მოცემულ შემთხვევაში არ მოხდარა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, მხოლოდ ის ფაქტი, რომ სს «...» სარჩელის დაკმაყოფილებას საქართველოს საგადასახადო კოდექსის 247-ე და 248-ე მუხლების საფუძველზე ითხოვს, არ არის საკმარისი და გადაწყვეტი წინა პირობა კონკრეტული დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის, ვინაიდან საამისოდ არსებითი მნიშვნელობა აქვს დავის საგნის არსა და ფაქტობრივ შინაარსს, ანუ იმ გარემოებას, თუ მოქმედი კანონმდებლობის რომელი დარგიდან გამომდინარეობს სასარჩელო მოთხოვნა და შესაბამისად, სამართალურთიერთობა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის კანონმდებლობით დადგენილ ვადაში გამოწერის ვალდებულების არსებობის თუ არარსებობის ფაქტი, მხოლოდ საქმის ფაქტობრივ გარემოებას წარმოადგენს და მისთვის სამართლებრივი შეფასების მიცემა დავის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვის საფუძველად არ შეიძლება იქნეს მიჩნეული.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სს «...» და სს «...» შორის წარმოშობილი დავა სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარეობს, რადგან მათ შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობა, ანუ შეთანხმება ელექტროენერჯის საფასურის ამოღების თაობაზე სამოქალაქო, ანუ კერძოსამართლებრივ ურთიერთობას წარმოადგენს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მოთხოვნის სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე განმარტავს, რომ წინამდებარე სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან, რის გამოც მოცემული საქმე არ განეკუთვნება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრულ სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ საქმეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული სადავო სამართალურთიერთობა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის 1-ელი ნაწილის «ა» ქვეპუნქტის საფუძველზე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველი და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადია, რის გამოც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-2 მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სს «...» სარჩელი, მოპასუხის – სს «...» მიმართ ზიანის ანაზღაურების თაობაზე, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო განსჯადობა

განჩინება

18ს-21-20(გ-10)

26 აპრილი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო კოლეგიებს შორის დავა დ. კ-ავას სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 30 ივლისს დ. კ-ავამ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხის – ქ. თბილისის მთავრობის მიმართ, რომლითაც ქ. თბილისის მთავრობის 17.27.606 დადგენილების ბათილად ცნობა, არასამეწარმეო იურიდიული პირის – საბავშვო ბაგა-ბაღის «...» დირექტორის თანამდებობაზე აღდგენა და მოპასუხესათვის იძულებითი განაცდურის ანაზღაურების დავალბა მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 25 აგვისტოს განჩინებით, დ. კ-ავას სარჩელი მოპასუხე ქ. თბილისის მთავრობის მიმართ განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის პირველ პუნქტზე და აღნიშნა, რომ საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართალურიერთობასთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივ კატეგორიად მიჩნევისათვის და მისი ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვისათვის განმსაზღვრელია დავის საგანი და ურთიერთობის შინაარსი, რომელიც წარმოშობილია საჯარო, ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან. საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით გარდა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეებისა, განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც, აგრეთვე, გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, სადავო ურთიერთობა გამომდინარეობს არა საჯარო არამედ კერძო სამართლის კანონმდებლობიდან, ვინაიდან, სწორედ კერძო სამართლის კანონმდებლობის, კერძოდ, შრომის კოდექსის საფუძველზე ლებულობს ადმინისტრაციული ორგანო გადაწყვეტილებას არასამეწარმეო იურიდიული პირის დირექტორის დანიშვნის შესახებ. ამასთანავე, თბილისის მთავრობის 2009 წლის 30 ივნისის 17.27.606 დადგენილება არ შეიცავს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მეორე მუხლის 1-ელი ნაწილის «დ» პუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული აქტის დეფინიციის განმსაზღვრელ აუცილებელ ელემენტს, კერძოდ, სადავო ურთიერთობა გამომდინარეობს არა საჯარო არამედ კერძო სამართლის კანონმდებლობიდან, რომლის საფუძველზეც ადმინისტრაციული ორგანო ლებულობდა გადაწყვეტილებებს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის დაფუძნებისა და არასამეწარმეო იურიდიული პირის დირექტორის დანიშვნის შესახებ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულმა კოლეგიამ მიიჩნია, რომ განსახილველი დავა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადი იყო, ვინაიდან წარმოადგენდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველ სამოქალაქო დავას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 17 ნოემბრის საოქმო განჩინებით დ. კ-ავას სარჩელი, ქ. თბილისის მთავრობის მიმართ, მთავრობის დადგენილების ბათილად ცნობის, სამსახურში აღდგენისა და განაცდურის ანაზღაურების თაობაზე, სარჩელის განხილველი უფლებამოსილი სასამართლოს განსაზღვრისა და განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ გადმოაგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციული და სხვა კატეგორიის საქმეთა პალატაში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკვსაციო სასამართლო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და იმავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებებისა და საქმის მასალების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ დ. კ-ავს სარჩელი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული და განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე.

საკასაციო სასამართლო არსებითად მიიჩნევს კანონის ზემოაღნიშნული მოთხოვნის დაცვას, რათა გამოირიგებოს საქმის განსხვავებულ პრინციპებზე აგებული სამართალწარმოების წესით განხილვა. სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე წარმოშობილი დავის სწორად გადაწყვეტისათვის საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს თავად სადავო სამართალურთიერთობის ხასიათის განსაზღვრას.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილავენ საქმეებს იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

განსახილველ შემთხვევაში საქალაქო სასამართლოში დავის საგანს წარმოადგენს ქ. თბილისის მთავრობის 2009 წლის 30 ივნისის **117.27.606** დადგენილება, რომლითაც დ. კ-ავა გათავისუფლებულ იქნა არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – საბავშვო ბაგა-ბაღ «...» დირექტორის თანამდებობიდან.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული დადგენილება არ წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს და შესაბამისად, დავა თავისი შინაარსით არ ატარებს ადმინისტრაციულ სამართლებრივ ხასიათს.

განსახილველი სადავო სამართალურთიერთობის ერთ-ერთი მხარე, მოპასუხე – ქ. თბილისის მთავრობა უდავოდ წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, მაგრამ, როგორც არაერთხელ აღინიშნა ადმინისტრაციული პალატის მიერ, დავაში ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა დავას თავისთავად ვერ აქცევს ადმინისტრაციული სასამართლოს ქვემდებარედ. სამართალსუბიექტურობასთან ერთად სავალდებულოა, რომ დავა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული აქტი ემყარებოდეს სწორედ ამ უკანასკნელს და თავისი შინაარსით პასუხობდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისათვის დადგენილ მოთხოვნებს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის «დ» ქვეპუნქტის შესაბამისად, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მხოლოდ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალური ადმინისტრაციული – სამართლებრივი აქტი. ამდენად, განსჯადობის თაობაზე დავის მართებულად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია, დადგინდეს, ქ. თბილისის მთავრობის მიერ გამოცემული აქტი ემყარება და გამომდინარეობს თუ არა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან. საქმეში არსებული მასალებით ირკვევა, რომ ქ. თბილისის მთავრობის 2009 წლის 30 ივნისის **117.27.606** დადგენილებით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირ – საბავშვო ბაგა-ბაღ «...» და ამავე ბაგა-ბაღის დირექტორ – დ. კ-ავას შორის შეწყდა შრომითი ურთიერთობა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის მე-5 ნაწილის შესაბამისად, იურიდიული პირი, რომლის მიზანია სამეწარმეო (კომერციული) საქმიანობა, აგრეთვე, მისი ფილიალი უნდა შეიქმნას «მეწარმეთა შესახებ» საქართველის კანონის შესაბამისად, ხოლო ამავე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, იურიდიული პირი, რომლის მიზანია არასამეწარმეო საქმიანობა, უნდა დარეგისტრირდეს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ, ბაგა-ბაღი «...» ჩამოყალიბდა არასამეწარმეო იურიდიულ პირად, რომლის დამფუძნებელსაც წარმოადგენს ქ. თბილისის მთავრობა. ამდენად, არსებულ პირობებში ქ. თბილისის მთავრობა საკუთარ უფლებამოსილებას ახორციელებს როგორც დამფუძნებელი, რომელსაც წესდების საფუძველზე მინიჭებული აქვს არასამეწარმეო იურიდიული პირის დირექტორის დანიშვნის უფლება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მითითება იმის თაობაზე, რომ ქ. თბილისის მთავრობა გასაჩივრებული დადგენილებების მიღებისას მოქმედებდა «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» საქართველოს ორგანული კანონით, «საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ» საქართველოს კანონით, თბილისის მერიის დებულებითა და საქართველოს მთავრობის **1126** დადგენილებით, ვერ იმოქმედებს განსახილველი დავის საგნობრივ განსჯადობაზე, ვინაიდან ყველა ზემოაღნიშნულ ნორმაში საუბარია თვითმმართველი ერთეულისათვის მინიჭებულ უფლებაზე შექმნას სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმწარღველო დაწესებულებები არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფორმით და დაამტკიცოს მათი წესდებები. აღნიშნული ნორმები განსაზღვრავენ თვითმმართველი ერთეულის შესაძლებლობას, შექმნას სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირები, მიიღონ არსებული სკოლამდელი დაწესებულებების ქონება, მოახდინონ მათი ლიკვიდაცია თუ რეორგანიზაცია.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული თავისთავად არ ნიშნავს იმას, რომ ყველა ის აქტი, რომელიც მიღებული იქნება თვითმმართველი ორგანოს, როგორც დამფუძნებლის და მის მიერ დამფუძნებულ იურიდიულ პირს შორის წესდებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად ან მათ შორის ურთიერთობის დასარეგულირებლად, წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონზე და განმარტავს, რომ აღნიშნული კანონი აწესრიგებს საჯარო სამსახურის ორგანიზების სამართლებრივ საფუძველებს, საჯარო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს და საჯარო მოსამსახურის სამართლებრივ მდგომარეობას. ამავე კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს იმ სახელმწიფო დაწესებულებათა ჩამონათვალს, რომელში სამსახურიც ითვლება საჯარო სამსახურად. ამ ჩამონათვალში არაკომერციული იურიდიული პირები გათვალისწინებული არ არის. ამასთან, მოსარჩელის თანამდებობა მითითებული არ არის საქართველოს პრეზი-

დენტის 2001 წლის 21 ივლისის 1286 ბრძანებულებით დამტკიცებულ საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრში. მოსარჩელის სამსახურებრივი უფლებამოსილება არ უტოლდება საჯარო მოსამსახურის უფლებამოსილებას და არ წესრიგდება «ზოგადი განათლების შესახებ» საქართველოს კანონით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დავა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია, რის გამოც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, დ. კ-ავას სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. დ. კ-ავას სარჩელი ქ. თბილისის მერიის მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო განსჯადობა კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე

განჩინება

ბს-1467-1401 (კ-09)

26 აპრილი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

პ. სილაგაძე

დავის საგანი: ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 3 მაისს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხის – ი/მ დ. ა-ძის მიმართ, რომლითაც ზიანის ანაზღაურება მოითხოვა.

მოსარჩელემ განმარტა, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის სასურსათო უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტსა და ი/მ დ. ა-ძეს შორის 2005 წლის 6 იანვარს დაიდო 113 ხელშეკრულება, რომლითაც ი/მ დ. ა-ძე ვალდებული გახდა – 171 600 ლარის ღირებულების 41 000 კგ საქონლის ხორცი და 10 000 კგ. ხახვი მიეწოდებინა თავდაცვის სამინისტროსათვის. აღნიშნული ხელშეკრულებით მიწოდება 2005 წლის 1-ელ თებერვლამდე უნდა განხორციელებულიყო. 2005 წლის 1 თებერვალს მხარეთა შორის გაფორმდა შეთანხმების ოქმი და ხელშეკრულებით მისაწოდებელი 41 000 კგ პროდუქტიდან 10 000 კგ საქონლის ხორცის სანაცვლოდ მოპასუხე ვალდებული გახდა, მიეწოდებინა 8723,4 კგ ხორცის კონსერვი. ამასთან, ხელშეკრულების 8.1 პუნქტი ითვალისწინებდა ხელშეკრულების ვადის მოქმედებას მხარეთა მიერ ვალდებულების სრულად შესრულებამდეც. ი/მ დ. ა-ძე პროდუქციის მიწოდებას ახორციელებდა კონტრაქტის 5.1.1. პუნქტის შესაბამისად, რაც მოპასუხეს ავალდებულებდა, ყოველი პარტიის მიწოდებამდე 2 დღით ადრე ეცნობებინა შემსყიდველისათვის მისაწოდებელი პარტიის რაოდენობა, ხოლო თავდაცვის სამინისტროს 2 დღის ვადაში უნდა უზრუნველყო შეტყობინებაში მითითებული საქონლის რაოდენობის მიღება თავის საწყობში. აღნიშნული წესის დაცვით განხორციელდა და სრულად შესრულდა ხახვის მიწოდება. რაც შეეხება საქონლის ხორცს, ი/მ დ. ა-ძის მიერ საქონლის ხორცის ბოლო მიწოდება განხორციელდა 2005 წლის 23 თებერვალს, ხოლო ხორცის კონსერვისა – 2005 წლის 1 მარტს. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ მოპასუხემ შეწყვიტა მიწოდება. ი/მ დ. ა-ძეს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის მიწოდებული აქვს 65731.2 ლარის ღირებულების 16032 კგ საქონლის ხორცი და 35512.97 ლარის ღირებულების 8661.7 კგ ხორცის კონსერვი და მისაწოდებელი დარჩა ხელშეკრულებით გათვალისწინებული 14968 კგ საქონლის ხორცი (6138.8 ლარის ღირებულების) და 61.7 კგ ხორცის კონსერვი (252.97 ლარის ღირებულების).

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ ი/მ დ. ა-ძის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის გამო საქართველოს თავდაცვის სამინისტრო იძულებული გახდა მოეძებნა სხვა მიმწოდებელი შეიარაღებული ძალების პირადი შემადგენლობის სასურსათო უზრუნველყოფის მიზნით. იმ შემთხვევაში, თუ ი/მ დ. ა-ძე უსა-

ფუძვლად არ შეწყვეტდა პროდუქტის მიწოდებას, საქართველოს თავდაცვის სამინისტრო ბიუჯეტიდან დაზოგავდა საქონლის ხორცის შესყიდვაზე **32557,5** ლარს, ხოლო ხორცის კონსერვის შესყიდვაზე – **51040** ლარს.

საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სახელმწიფო შესყიდვების დეპარტამენტმა **2007** წლის **28** თებერვალს **110/466** წერილით მიმართა მოპასუხეს და აცნობა ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამო გათვალისწინებული პასუხისმგებლობის შესახებ. მოპასუხემ **2007** წლის **12** მარტის წერილში მიწოდების შეწყვეტის მიზეზად დაასახელა კვების პროდუქტების მენეჯერთან სიტყვიერი შეთანხმება. წერილობითი ფორმით დადებული ხელშეკრულების ზეპირი ფორმით მოშლას ან შეწყვეტას არც კანონმდებლობა იცნობს და არც მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულება არ ითვალისწინებდა. მოპასუხეს აღნიშნული წერილით ეცნობა ხელშეკრულების შეუსრულებლობით გამოწვეული ზიანის ოდენობა, რაც გამოიხატა იმასში, რომ თავდაცვის სამინისტრო იძულებული გახდა, მისთვის არასასურველი ტარიფით შეემინა სამხედრო მოსამსახურის კვების რაციონის აუციელებელი კომპონენტი – ხორცის პროდუქტები და გასწია დაგეგმილზე ზედმეტი ხარჯი. საერთო ჯამში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მიადგა **83597,5** ლარის ზიანი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის **2009** წლის **10** თებერვლის საოქმო განჩინებით საქმე განსახილველად გადაეცა უფლებამოსილ სასამართლოს – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის **2009** წლის **25** მარტის გადაწყვეტილებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ სახეზე იყო ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის **65**-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ადმინისტრაციული ხელშეკრულება, რომლის დადებისას გამოიყენება ამ კოდექსის და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული დამატებითი მოთხოვნები, კერძოდ, მიუთითა სამოქალაქო კოდექსის **316**-ე მუხლის პირველ ნაწილზე, **317**-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე, **361**-ე მუხლსა და **394**-ე მუხლზე.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ სამოქალაქო კოდექსის **394**-ე მუხლის მე-2 ნაწილზე დაყრდნობით მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს შეემლო მიმწოდებლისათვის – ი/მ დ. ა-ძისათვის დამატებით მიეცა დრო ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულების სრულად შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, მით უფრო იმ პირობებში, როდესაც, ხელშეკრულებით განსაზღვრული ვადის გასვლის მიუხედავად, **2005** წლის **1** მარტს თავდაცვის სამინისტრომ მიიღო ი/მ დ. ა-ძისაგან მიწოდებული **8902,51** ლარის ღირებულების **2273** ხორცის კონსერვი.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოსარჩელემ ვერ უზრუნველყო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-17 მუხლით განსაზღვრული ვალდებულება, კერძოდ, მოსარჩელემ ვერ დაადასტურა სამოქალაქო კოდექსის **395**-ე მუხლის 1-ელი ნაწილისა და **412**-ე მუხლით განსაზღვრული მოვალის პასუხისმგებლობის წარმოშობისათვის სავალდებულო გარემოებების არსებობა. საქმის მასალებით ასევე არ დასტურდებოდა **2005** წლის **1** მარტს ი/მ მ. ი/მ თ. ბ-ნთან და შპს «...» გაფორმებულ ხელშეკრულებებში მითითებული ხარჯების რეალურად გაწევის ფაქტი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის **2009** წლის **25** მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და სასარჩელო მოთხოვნის სრულად დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის **2009** წლის **16** ივლისის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა. უცვლელად დარჩა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის **2009** წლის **25** მარტის გადაწყვეტილება.

სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სააპელაციო საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილებულიყო, ვინაიდან მასში მითითებული გარემოებები არ ქმნიდნენ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **393**-ე, **394**-ე მუხლებით გათვალისწინებულ შემადგენლობას და შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების პროცესუალურ სამართლებრივ საფუძვლებს.

სააპელაციო პალატა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის **390.3** მუხლის «გ» პუნქტის შესაბამისად, დაეთანხმა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და სამართლებრივ შეფასებებს, მაგრამ იმავდროულად დამატებით მიუთითა სამოქალაქო კოდექსის **405**-ე მუხლის 1-ელ ნაწილზე. სააპელაციო პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ ი/მ დ. ა-ძეს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება უნდა შეესრულებინა **2005** წლის **25** თებერვალს, რომელიც არ შესრულდა. აღნიშნული ვადის გასვლის შემდეგ კრედიტორს – საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოვალისათვის არ განუსაზღვრია დამატებითი ვადა ხელშეკრულების შესასრულებლად. საქმეში ასევე წარმოდგენილი არ იყო რაიმე მტკიცებულება მოსარჩელის მიერ მოვალის გაფრთხილების შესახებ. აღნიშნულის საწინააღმდეგოდ ი/მ დ. ა-ძისაგან საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ მიიღო **8 902,51** ლარის ღირებულების **22 273** ცალი ხორცის კონსერვი.

სააპელაციო პალატამ საქმის მასალებზე დაყრდნობით ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ **2005** წლის **1** მარტს, იმავე დღეს, როდესაც საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ი/მ დ. ა-ძისაგან მიიღო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პროდუქცია, ახალი ხელშეკრულებები გააფორმა სხვა მიმწოდებლებთან იგივე პროდუქციის გაზრდილი ფასებით მიწოდების თაობაზე მამინ, როდესაც ძველ მიმწოდებელს – ი/მ დ. ა-ძეს უარი არ უთქვამს პროდუქციის ძველი ფასების შესაბამისად მიწოდების გაგრძელებაზე. აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ ი/მ დ. ა-ძის მიერ საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის ზიანის მიყენების ფაქტი არ იყო დადასტურებული.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 16 ივლისის განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ, რომელმაც გასაჩივრებული განჩინების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 6 ნოემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 25 იანვრის განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად და საქმის განხილვა დადგენილ იქნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, საკასაციო საჩივრის მოტივების შემოწმების შედეგად თვლის, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, კერძოდ, უნდა გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 16 ივლისის განჩინება და საქმე ხელახალი განხილვისათვის გადაეცეს ამავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი განეკუთვნება სამოქალაქო და არა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით განსახილველ საქმეს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კანონიერი ინტერესების დასაკმაყოფილებლად ისარგებლოს კერძო სამართლის საშუალებით, თუ აღნიშნული უფრო მისაღებია მისთვის. სასკ-ის 25¹ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასა და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განხილვება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ 2005 წლის 6 იანვარს ი/მ დ. ა-ძესთან გააფორმა სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 113 ხელშეკრულება, რომლის საგანს წარმოადგენდა საქართველოს თავდაცვის სამინისტროსათვის კვების პროდუქტების მიწოდება. მართალია, «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტით (2005 წელს მოქმედი რედაქციით) გათვალისწინებულია სამხედრო მოსამსახურეთა კვებით უზრუნველყოფა, კერძოდ, სამხედრო მოსამსახურეს (სავალდებულო სამხედრო მოსამსახურის გარდა) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმით, სახელმწიფოს ხარჯზე ეძლევა სასურსათო უზრუნველყოფა და ფორმის ტანსაცმელი ან შესაბამისი ფულადი კომპენსაცია, აღნიშნული გარემოება ასევე არ ქმნის დავის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვის საფუძველს. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების შედეგად შესაბამისი პირი აღიჭურვება საჯარო-სამართლებრივი უფლებამოვალეობებით მაშინ, როდესაც სამოქალაქო ხელშეკრულების დადებისას მხარეები გვევლინებიან სამოქალაქო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობების მატარებლებად. განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებითი ურთიერთობა. ხელშეკრულების საფუძველზე მეწარმე სუბიექტმა იკისრა ვალდებულება, შესაბამისი საფასურის სანაცვლოდ განეხორციელებინა მომსახურება, კერძოდ, შემსყიდველისათვის მიეწოდებინა ხელშეკრულებით გათვალისწინებული კვების პროდუქტები. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო, ხოლო თვით ხელშეკრულება დადებულია სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების მიზნით, იგი არ აღჭურავს ი/მ დ. ა-ძეს საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება არ შეიცავს ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ან სხვა მმართველობითი ღონისძიების განხორციელების ვალდებულებას, ხელშეკრულების დადება სახელმწიფო შესყიდვის შედეგად თავისთავად არ წარმოადგენს სადავო სამართალურთიერთობის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი მიკუთვნების საფუძველს. ამასთან, დავის საგანს წარმოადგენს არა სახელმწიფო შესყიდვის პროცედურა, ან «სამხედრო მოსამსახურის სტატუსის შესახებ» საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული მოვალეობის შესრულება თავად სამინისტროს მხრიდან, არამედ მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხისათვის ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო ზიანის ანაზღაურება.

ამდენად, სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან (სასკ-ის 2.3 მუხლი). მხარეთა შორის არსებული სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს ხელშეკრულებიდან, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ სამოქალაქო ხელშეკრულებას მიეკუთვნება, შესაბამისად, მის შესრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა, სასკ-ის მე-11 მუხლის, აგრეთვე, სზაკ-ის 25¹ მუხლის, სზაკ-ის 65.2, 65¹ მუხლების საფუძველზე სამოქალაქო საქმეთა პალატის განსჯადია და სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საქმე განხილულია საგნობრივი განსჯადობის წესების დარღვევით და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, არსებობს გადაწყვეტილების გაუქმების საპროცესო საფუძველი.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლით და

დაადგინა:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს საკვასციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 16 ივლისის განჩინება;
3. საქმე განსახილველად გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;
4. საკვასციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო განსჯადობა

განჩინება

ბს-1593-1522 (გ-09)

27 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
ნ. ქადაგიძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად განიხილა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა პალატებს შორის დავა საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასარჩელო განცხადების და ი/მ «...» შეგებებული სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ 19.09.08წ. სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში მოპასუხე ინდ. მეწარმე «...» მიმართ და მოითხოვა: 26.07.06 წ. ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების არაჯეროვნად შესრულებისათვის საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასარჩელოდ ინდ. მეწარმე «...-თვის» 2008 წლის 29 აპრილის მდგომარეობით პირგასამტეხლოს გადახდის დაკისრება ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, რაც შეადგენს 42 299, 74 ლარს. 17.10.08წ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში წარდგენილ იქნა მოპასუხე ინდ. მეწარმე «...-ს» შეგებებული სარჩელი მოსარჩელე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართ შემდეგი მოთხოვნებით: 1) ბათილად იქნეს ცნობილი საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ინდ. მეწარმე «...» 26.07.06 წ. დადებული განვადებით ნასყიდობის 11 ხელშეკრულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტი; 2) საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ინდ. მეწარმე «...» შორის 26.07.06 წ. დადებული განვადებით ნასყიდობის 11 ხელშეკრულების პირგასამტეხლოდ განისაზღვროს ვალდებულების შესრულების მომენტისათვის გადაუხდელი თანხის 0,07%.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 07.04.09წ. განჩინებით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სარჩელი მოპასუხე ინდ. მეწარმე «...-ის» მიმართ პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე და ინდ. მეწარმე «...-ის» შეგებებული სარჩელი მოპასუხე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართ განვადებით ნასყიდობის 11 ხელშეკრულების მე-4 მუხლის პირველი პუნქტის ბათილად ცნობისა და პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირების თაობაზე განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 14.05.09 წ. გადაწყვეტილებით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასარჩელო განცხადება ინდ. მეწარმე «...-ის» მიმართ და ინდ. მეწარმე «...-ის» შეგებებული სარჩელი საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიმართ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ, ინდ. მეწარმე «...-ს» დაეკისრა 14 804,93 ლარის გადახდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის აღნიშნული გადაწყვეტილება გასაჩივრდა სააპელაციო წესით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ინდ. მეწარმე «...-ის» მიერ თბილისის სააპელაციო სასამართლოში.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 17.11.09წ. გადაწყვეტილებით აპელანტ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და აპელანტ ინდ. მეწარმე «...-ის» სააპელაციო საჩივრები თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 14.05.09წ. გადაწყვეტილებაზე განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას. ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ აღნიშნა, რომ განსახილველ დავაში მოსარჩელე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო მოითხოვს მის მიერ ფიზიკურ პირთან (ინდ. მეწარმე «...») დადებული კერძოსამართლებრივი (განვადებით ნასყიდობის) ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული (ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლო) დავის განხილვას და გადაწყვეტას, ხოლო მოპასუხე ფიზიკური პირი ინდ. მეწარმე «...» შეგებებული სარჩელით ასევე მოითხოვს, მასა და საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს შორის დადე-

ბული კერძოსამართლებრივ (განვადებით ნასყიდობის) ხელშეკრულების შესრულებასთან (ხელშეკრულების ნაწილის ბათილად ცნობას და პირგასამტეხლოს ოდენობის განსაზღვრას) დაკავშირებული დავის განხილვას და გადაწყვეტას. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, ვინაიდან განსახილველი დავის შემთხვევაში სარჩელის მოთხოვნის დაკმაყოფილების სამართლებრივი საფუძველია სამოქალაქო კანონმდებლობით მოწესრიგებული ურთიერთობები, წინამდებარე დავა სამართლებრივად არ წარმოადგენს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავას და იგი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 11.1.«ა» მუხლის თანახმად, განხილული უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. ამასთანავე, სააპელაციო სასამართლო მიუთითა, რომ დავის იურიდიულ ბუნებას არ ცვლის ის გარემოება, რომ მოსარჩელე მხარეს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, რადგან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25^{1.2}. მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერძოსამართლებრივი ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასა და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 04.12.09წ. განჩინებით თბილისის სააპელაციო სასამართლოში განსახილველი საქმე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ინდ. მეწარმე გ. გ-შვილს შორის განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს. სამოქალაქო საქმეთა პალატამ აღნიშნა, რომ ზაკ-ის მე-2 მუხლის «ზ» ქვეპუნქტის საფუძველზე სამოქალაქო სამართლებრივი გარიგების ადმინისტრაციულ ხელშეკრულებად მიჩნევისათვის ადმინისტრაციული ორგანო უნდა მოქმედებდეს საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით. სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსაზრებით, სოფლის მეურნეობის სამინისტრო თავისი ინიციატივით კი არ შევიდა სახელშეკრულებო ურთიერთობებში კონტრაქტთან, არამედ მას «იაპონიის მთავრობის მიერ საქართველოს მთავრობისათვის სასურსათო წარმოების გაზრდის მიზნით გამოყოფილი გრანტის მიმღები ორგანოს განსაზღვრის შესახებ» საქართველოს მთავრობის 28.12.05წ. 1587 განკარგულებით დაევალა სამთავრობათშორისო გრანტის ასათვისებლად მექანიზმის შემუშავება. მთავრობის განკარგულების შესრულება კი ადმინისტრაციული ორგანოს-სამინისტროს პირდაპირ მოვალეობას წარმოადგენს «საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ» საქართველოს კანონის მე-4 მუხლის 1-ელი პუნქტის საფუძველზე, რომლითაც მთავრობა აღმასრულებელი ხელისუფლების განხორციელებას უზრუნველყოფს სამინისტროებისა და მათი მმართველობის სფეროში შემავალი სახელმწიფო საქვეყნო დაწესებულებების მეშვეობით. სამოქალაქო საქმეთა პალატამ ჩათვალა, რომ ზემოხსენებული გარემოებების გათვალისწინებით სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ 26.06.06წ. დადებული ხელშეკრულება ადმინისტრაციული ხელშეკრულებაა, ვინაიდან სოფლის მეურნეობის სამინისტრომ ეს ხელშეკრულება საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით დადო. საჯარო უფლებამოსილება კი გამოიხატა მთავრობის 28.12.05წ. 1587 განკარგულების, «საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ» საქართველოს კანონის მე-4 მუხლის პირველი პუნქტისა და საქართველოს მთავრობის 18.02.09წ. 126 დადგენილებით დამტკიცებული სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის «ს» ქვეპუნქტის შესრულებაში. ზემოხსენებული ადმინისტრაციული აქტების არარსებობის პირობებში კი სოფლის მეურნეობის სამინისტრო სახელშეკრულებო ურთიერთობებში არ შევიდოდა და ამდენად, სადავო ხელშეკრულების დადებისას გადაწყვეტი სწორედ ზემოხსენებული აქტები-როგორც სამინისტროს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების საფუძველი აღმოჩნდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, დავის საგნობრივი განსჯადობის შესახებ სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის და იმავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებების გაცნობის შედეგად თვლის, რომ საქმე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული და შესაბამისად განსჯადობით განსახილველად სამოქალაქო საქმეთა პალატას უნდა დაექვემდებაროს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საპროცესო და მატერიალურ ადმინისტრაციულ კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილებების შედეგად ადმინისტრაციული ხელშეკრულების დეფინიციის შემოღებით, საჯარო-სამართლებრივი და კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯვნისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არა ხელშეკრულების მონაწილეთა სტატუსს, კერძოდ, იმას, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეზე ადმინისტრაციული ორგანო გამოდის, არამედ ხელშეკრულების იმანენტურ ბუნებას, ხელშეკრულების დადების შედეგად წარმოშობილი უფლება-მოვალეობების შინაარსს. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კანონიერი ინტერესების დასაკმაყოფილებლად ისარგებლოს კერძო სამართლის საშუალებით, უკეთუ აღნიშნული უფრო მისაღებია მისთვის. სასკ-ის 25¹ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადგენილი კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება. ის გარემოება, რომ საქართველოს მთავრობის 18.02.09წ. 126 დადგენილებით დამტკიცებული სოფლის მეურნეობის სამინისტროს დებულებით სამინისტროს ერთ-ერთ ამოცანას შეადგენს დარგების მიხედვით პროგრამების შემუშავება და მათი განხორციელების ხელშეწყობა, აგრეთვე საქართველოს მთავრობის 28.12.05წ. 1587 განკარგულებით იაპონიის მთავრობის მიერ საქართველოს მთავრობისათვის გამოყოფილი გრანტის ასათვისებლად, «გრანტების შესახებ» კანონის შესაბამისად, გრანტის მიმღებ ორგანოდ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო განისაზღვრა, არ ცვლის სამინისტროსა და ი/მ «...» შორის 30.06.06წ. დადებული ხელშეკრულების კერძო-სამართლებრივ ბუნებას, შესაბამისად, არ იცვლება ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებული სადავო სამართალურთიერთობების ხასიათი. საქმის მასალებით დასტურდება, რომ

მხარეთა შორის 26.07.06წ. დადებული განვადებით ნასყიდობის ხელშეკრულებით გადაცემული ტექნიკის საერთო ღირებულება შეადგენს 224975 ლარს, ნაღდი გადახდის ოდენობა შეადგენდა გადაცემული ტექნიკის საერთო ღირებულების 21% – 47244, 75 ლარს, ხელშეკრულებით გადაცემული ტექნიკის ნარჩენი ღირებულება 177 730,25 ლარს. სოფლის მეურნეობის სამინისტრო სასარჩელო განცხადებით მოპასუხის მიერ ტექნიკის ღირებულების ნაწილის (44 432,56 ლარის) ხელშეკრულებით დადგენილი გრაფიკით გათვალისწინებული ვადის გადაცილებისათვის, თანხის დაგვიანებით დაფარვისათვის, ხელშეკრულების 4.1 მუხლის და სამოქალაქო კოდექსის ნორმების საფუძველზე, ითხოვს მოპასუხისათვის პირგასამტეხლოს თანხის – 42 299,74 ლარის დაკისრებას სამინისტროს სასარგებლოდ. მოპასუხე – გ. გ-შვილი შეგებებულ სარჩელით მოითხოვს ხელშეკრულების 4.1 მუხლის ბათილად ცნობას იმ მოტივით, რომ იგი ეწინააღმდეგება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ვალდებულებითი და სახელშეკრულებო სამართლის ნორმებს, შეგებებული სარჩელის ავტორის მეორე მოთხოვნა ეხება პირგასამტეხლოს ოდენობის შემცირებას, მისი 0,07% ოდენობით განსაზღვრას. ხელშეკრულების დადების მოტივების, აგრეთვე, იმის მიუხედავად, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს ადმინისტრაციული ორგანო – სოფლის მეურნეობის სამინისტრო წარმოადგენს, ხელშეკრულება არ აღჭურავს მხარეს საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილებებით, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება არ შეიცავს ადმინისტრაციული ორგანოსათვის ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ან სხვა მმართველობითი ღონისძიების განხორციელების ვალდებულებას. დავის საგანს სამინისტროს სარჩელზე შეადგენს მოპასუხისათვის გადახდის ვადის გადაცილებისათვის პირგასამტეხლოს დაკისრება, ხოლო მოპასუხე შეგებებული სარჩელით ითხოვს პირგასამტეხლოს თანხის შემცირებას, ხელშეკრულების მე-4 პუნქტის ბათილად ცნობას, ხსენებული ურთიერთობების მოწესრიგება შეუძლებელია ადმინისტრაციულ-სამართლებრივი საშუალებებით, კერძოდ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემით ან რეალაქტის განხორციელებით, სამინისტროს არ გააჩნია სახელისუფლო უფლებამოსილება მეორე მხარის მიმართ, ხელშეკრულების მხარეთა შორის არ არსებობს საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც მოწესრიგდებოდა ადმინისტრაციული ხელშეკრულებით, ხელშეკრულების დადებით კონტრაქტის არ აღჭურვილა საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილებით, ამდენად სააკვეციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის მოსაზრება იმის შესახებ, რომ სამინისტრომ ხელშეკრულება საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით დადო არ არის დასაბუთებული. მოსარჩელის და შეგებებული სარჩელის ავტორების მოთხოვნებს საფუძვლად უდევს სამოქალაქო კოდექსის მუხლები, სადავო სამართალურთიერთობების ხასიათიდან გამომდინარე სავსებით ცხადია, რომ სადავო სამართალურთიერთობები კერძო-სამართლებრივი კანონმდებლობის საფუძველზე უნდა გადაწყდეს. ამდენად, სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, რაც, სასკ-ის 2.3 მუხლის თანახმად, საქმის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი მიკუთვნების სავალდებულო პირობას წარმოადგენს. სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს ხელშეკრულებიდან, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ კერძო-სამართლებრივ ხელშეკრულებათა რიცხვს განეკუთვნება, შესაბამისად მის შესრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა, სასკ-ის მე-11 მუხლის საფუძველზე სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადია და სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ელი, მე-2, მე-5, 25'-ე, 26-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11, 284-ე, 285-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სარჩელისა გამო მოპასუხე ი/მ «...» წინააღმდეგ პირგასამტეხლოს დაკისრების თაობაზე და ი/მ «...» შეგებებული სასარჩელო განცხადების მოპასუხე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს წინააღმდეგ საქმე განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის სააკვეციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;

2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო განსჯადობა

განჩინება

18ს-726-702(გ-10)

23 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო კოლეგიებს შორის დავა ნ. ჯ-ძის, მ. ო-შვილის, ნ. გ-ძის, ც. ჩ-ულისა და რ. ა-შვილის სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 21 დეკემბერს ნ. ჯ-ძემ, მ. ო-შვილმა, ნ. გ-ძემ, ც. ჩ-ულმა და რ. ა-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე ქ. თბილისის მერიის მიმართ სამუშაოზე აღდგენის თაობაზე.

მოსარჩელები სასარჩელო განცხადებით ითხოვდნენ ქ. თბილისის 2007 წლის 14 აგვისტოს 117.13.598 დადგენილების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ქ. თბილისის 1143-ე, 59-ე 62-ე, 90-ე და 145-ე საბავშვო ბაგა-ბაღის დირექტორების კონკურსის გამოცხადების ნაწილში, ქ. თბილისის 2007 წლის 24 სექტემბრის 120.01.1654 დადგენილების არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების: ქ. თბილისის 1143-ე, 59-ე, 62-ე, 90-ე და 145-ე საბავშვო ბაგა-ბაღების შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის ნაწილში ბათილად ცნობას, სამუშაოზე აღდგენასა და იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 8 მაისის განჩინებით ნ. ჯ-ძის, მ. ო-შვილის, ნ. გ-ძის, ც. ჩ-ულისა და რ. ა-შვილის სარჩელი მოპასუხე ქ. თბილისის მერიის მიმართ განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია განჩინებაში მიუთითებდა, რომ ასკის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, სასამართლოში დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა.

ამავე მუხლის მე-3 პუნქტის შესაბამისად, ამ მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც, აგრეთვე, გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

სასამართლოს მოსაზრებით, ადმინისტრაციული ორგანოს – თბილისის მერიის 2007 წლის 24 სექტემბრის 120.01.654 დადგენილება, რომლითაც ცვლილება შევიდა თბილისის არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირების საბავშვო ბაგა-ბაღის დაფუძნების შესახებ თბილისის მთავრობის 2007 წლის 4 აგვისტოს 116.15.449 დადგენილებაში არ წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს, რადგან იგი არ შეიცავს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის «დ» პუნქტით გათვალისწინებული ადმინისტრაციული აქტის დეფინიციის განმსაზღვრელ აუცილებელ ელემენტს, კერძოდ, სადავო ურთიერთობა გამომდინარეობს არა საჯარო არამედ კერძო სამართლის კანონმდებლობიდან და სწორედ კერძო სამართლის კანონმდებლობის საფუძველზე ღებულობს ადმინისტრაციული ორგანო გადაწყვეტილებას არასამეწარმეო პირის დირექტორის დანიშვნის შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია არ დაეთანხმა ამავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას საქმის სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვის თაობაზე და საქმე განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად გადმოაგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიასა და იმავე სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შორის განსჯადობის თაობაზე წარმოშობილი დავის გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ ნ. ქ-ძის, მ. შ-შვილის, ნ. გ-ძის, ც. ჩ-ულისა და რ. ა-შვილის სარჩელი ქ. თბილისის მერიის მიმართ განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე.

საკასაციო სასამართლო არსებითად მიიჩნევს კანონის ზემოაღნიშნული მოთხოვნის დაცვას, რათა გამოირიგონოს საქმის განსხვავებულ პრინციპებზე აგებული სამართალწარმოების წესით განხილვა. სასამართლოთა შორის

განსჯადობის თაობაზე წარმოშობილი დავის სწორად გადაწყვეტისათვის საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს თავად სადავო სამართალურთიერთობის ხასიათის განსაზღვრას.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილავენ საქმეებს იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

განსახილველ შემთხვევაში საქალაქო სასამართლოში დავის საგანს წარმოადგენს ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 14 აგვისტოს 117.13.59 დადგენილება, რომლითაც არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირებში, კერძოდ, 59-ე, 62-ე, 90-ე, 143-ე და 145-ე ბაგა-ბაღებში დირექტორის თანამდებობაზე გამოცხადდა კონკურსი და იმავე ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 24 სექტემბრის 120.01.654 დადგენილება, რომლითაც მოსარჩევეებს შეუწყდათ შრომითი ხელშეკრულება და მათ ადგილზე დაინიშნენ სხვა პირები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული დადგენილებები არ წარმოადგენენ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს და შესაბამისად, დავა თავისი შინაარსით არ ატარებს ადმინისტრაციულ სამართლებრივ ხასიათს.

განსახილველი სადავო სამართალურთიერთობის ერთ-ერთი მხარე, მოპასუხე – ქ. თბილისის მთავრობა უდავოდ წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, მაგრამ, როგორც არაერთხელ აღინიშნა ადმინისტრაციული პალატის მიერ, დავაში ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა დავას თავისთავად ვერ აქცევს ადმინისტრაციული სასამართლოს ქვემდებარედ. სამართალსუბიექტურობასთან ერთად სავალდებულოა, რომ დავა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული აქტი ემყარებოდეს სწორედ ამ უკანასკნელს და თავისი შინაარსით პასუხობდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისათვის დადგენილ მოთხოვნებს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის «დ» ქვეპუნქტის შესაბამისად, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩათვლება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მხოლოდ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტი. ამდენად, განსჯადობის თაობაზე დავის მართებულად გადაწყვეტისათვის მნიშვნელოვანია, დადგინდეს, ქ. თბილისის მთავრობის მიერ გამოცემული აქტები ემყარება და გამომდინარეობს თუ არა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან. ერთ შემთხვევაში ქ. თბილისის მთავრობის დადგენილებით გამოცხადდა კონკურსი კერძო სამართლის იურიდიული პირის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად, ხოლო მეორე შემთხვევაში მოხდა მითითებული იურიდიული პირების არსებულ დირექტორებთან შრომითი ურთიერთობის შეწყვეტა და ახალი დირექტორების დანიშვნა.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24.5 მუხლის შესაბამისად, იურიდიული პირი, რომლის მიზანია სამეწარმეო (კომერციული) საქმიანობა, აგრეთვე, მისი ფილიალი უნდა შეიქმნას «მეწარმეთა შესახებ» საქართველოს კანონის შესაბამისად, ხოლო ამავე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, იურიდიული პირი რომლის მიზანია არასამეწარმეო საქმიანობა, უნდა დარეგისტრირდეს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით.

უდავოა, რომ ბაგა-ბაღები ჩამოყალიბდა არასამეწარმეო იურიდიულ პირებად, რომლის დამფუძნებელსაც წინამდებარე შემთხვევაში წარმოადგენს ქ. თბილისის მთავრობა. ამდენად არსებულ პირობებში ქ. თბილისის მთავრობა საკუთარ უფლებამოსილებას ახორციელებს როგორც დამფუძნებელი, რომელსაც წესდების საფუძველზე მინიჭებული აქვს არასამეწარმეო იურიდიული პირის დირექტორის დანიშვნის უფლება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, მითითება იმის თაობაზე, რომ ქ. თბილისის მთავრობა გასაჩივრებული დადგენილებების მიღებისას მოქმედებდა «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის «პ» ქვეპუნქტით, «საქართველოს ედექალაქის – თბილისის შესახებ» საქართველოს კანონის 23¹ მუხლის «ზ» და «ვ» ქვეპუნქტებით, თბილისის მერიის დებულებით, «ზოგადი განათლების შესახებ» საქართველოს კანონის 30-ე მუხლის «კ¹» ქვეპუნქტით და საქართველოს მთავრობის 1126 დადგენილებით, ვერ იმოქმედებს განსახილველი დავის საგნობრივ განსჯადობაზე, ვინაიდან ყველა ზემოაღნიშნულ ნორმში საუბარია თვითმმართველი ერთეულისათვის მინიჭებულ უფლებაზე შექმნას სკოლამდელი და სკოლისგარეშე სააღმზრდელო დაწესებულებები არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფორმით და დამტკიცოს მათი წესდებები.

ამდენად, ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავს თვითმმართველი ერთეულის შესაძლებლობას შექმნას სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირები, მიიღონ არსებული სკოლამდელი დაწესებულებების ქონება, მოახდინონ მათი ლიკვიდაცია თუ რეორგანიზაცია. აღნიშნული, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, თავისთავად არ ნიშნავს იმას, რომ ყველა ის აქტი, რომელიც მიღებული იქნება თვითმმართველი ორგანოს, როგორც დამფუძნებლის და მის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირს შორის წესდებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად ან მათ შორის ურთიერთობის დასარეგულირებლად, წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს.

საქართველოში საჯარო სამსახურის ორგანიზების სამართლებრივ საფუძველს, საჯარო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს და საჯარო მოსამსახურის სამართლებრივ მდგომარეობას აწესრიგებს «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონი. მითითებული კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს იმ სახელმწიფო დაწესებულებათა ჩამონათვალს, რომელში სამსახურიც ითვლება საჯარო სამსახურად. ამ ჩამონათვალში არაკომერციული იურიდიული პირები გათვალისწინებული არ არის. ამასთან მოსარჩელეთა თანამდებობა მითითებული არ არის საქართველოს პრეზიდენტის 21.07.01 წლის 1286 ბრძანებულებით დამტკიცებულ საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრში. მოსარჩელეთა სამსახურებრივი უფლებამოსილება არ უტოლდება საჯარო მოსამსახურის უფლებამოსილებას და არ წესრიგდება «ზოგადი განათლების შესახებ» საქართველოს კანონით. ამდენად, კონკურსი, რომელიც გამოცხადდა ბაგა-ბაღის დირექტორთა თანამდებობის დასაკა-

ვებლად, ვერ დაეყრდნობა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 29-ე – 36-ე მუხლებს და არ შეიძლება მოექცეს მითითებული ნორმების რეგულაციებში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ დავა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, არ შეეხება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერებას, რის გამოც წინამდებარე სარჩელი ვერ დაექვემდებარება ადმინისტრაციულ სამართალწარმოებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. ჯ-ძის, მ. ო-შვილის, ნ. გ-ძის, ც. ჩ-ულის და რ. ა-შვილის სარჩელი ქ. თბილისის მერიის მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.
2. განჩინება გადაეგზავნოს მხარეებს.
3. განჩინება განსჯადობის თაობაზე საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო განსჯადობა

განჩინება

18ს-656-634(გ-10)

24 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 3 დეკემბერს საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ – სატყეო დეპარტამენტმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – ზ. ა-ძის მიმართ და მოპასუხისათვის საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სატყეო დეპარტამენტის სასარგებლოდ 504 000 ლარის გადახდის დაკისრება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 23 მარტის გადაწყვეტილებით საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სატყეო დეპარტამენტის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 23 მარტის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ – სატყეო დეპარტამენტმა, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2010 წლის 14 იანვრის საოქმო განჩინებით აღნიშნული საქმე განსახილველად, განსჯადობით გადაეცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განმარტებით, მოცემული დავა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის მიხედვით, ამ კანონმდებლობით დადგენილი წესით განსახილველ საქმეთა რიგს არ მიეკუთვნებოდა და იგი განხილული უნდა ყოფილიყო ადმინისტრაციული საქმეების განხილვისა და გადაწყვეტის წესებით. სასამართლოს განმარტებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით რეგლამენტირებულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები. აღნიშნული მუხლის 1-ელი ნაწილით კი განისაზღვრება ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეთა კატეგორიები და დგინდება, თუ რა შეიძლება წარმოადგენდეს სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს, ანუ რომელი საქმეები შეიძლება იქნეს განხილული ადმინისტრაციული იურისდიქციის სასამართლოს მიერ ადმინისტრაციული სამართალწარმოების ფარგლებში. ამავე მუხლის მე-3 ნაწილით, მე-2 მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილებით გათვალისწინებული საქმეების გარდა სასამართლოში ადმინისტრაციული წესით განხილვება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან. ვინაიდან საქმეში მხარედ წარმოდგენილი იყო საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სატყეო დეპარტამენტი, რომელიც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტის მი-

ხედვით ადმინისტრაციული ორგანოა, განსახილველი დავა წარმოადგენდა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ დავას.

ამასთანავე, თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ მიუთითა, რომ საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულებამ - სატყეო დეპარტამენტმა ზიანის ანაზღაურების საფუძვლად მიუთითა «გარემოსათვის მიყენებული ზიანის გაანგარიშების მეთოდის დამტკიცების შესახებ» საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების მინისტრის 2006 წლის 5 ივლისის 1538 ბრძანებაზე, რომელიც უდავოდ ადმინისტრაციული კანონმდებლობის ნაწილს წარმოადგენდა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 29 იანვრის განჩინებით საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულების – სატყეო დეპარტამენტის სააპელაციო საჩივარი თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 23 მარტის გადაწყვეტილებაზე განსჯადობის საკითხის გადასაწყვეტად საქმის მასალებთან ერთად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მიუთითა, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 30-ე მუხლის თანახმად, პირს რომელსაც უშუალოდ დანაშაულის შედეგად მიადგებოდა ქონებრივი, ფიზიკური ან მორალური ზიანი, უფლება ჰქონდა, სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას მოეთხოვა ზიანის ანაზღაურება და ამ მიზნით წარედგინა სამოქალაქო სარჩელი. აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, იურიდიულ პირს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში უფლება ჰქონდა, მოეთხოვა ქონებრივი ზიანი. ამასთანავე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის თანახმად, პირს, რომელსაც არ ჰქონდა წარმდგენილი სამოქალაქო სარჩელი სისხლის სამართლის საქმეზე, უფლება ჰქონდა წარმოედგინა სარჩელი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის განმარტებით, განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენდა დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, რაც გამომდინარეობდა დელიქტური ვალდებულებითი ურთიერთობიდან და აღნიშნული დავა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის პირველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, განხილული უნდა ყოფილიყო სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით. ამდენად, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად საქმე გადმოაგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატისა და თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატა.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ხსენებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. იმავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც, აგრეთვე, გამომდინარეობენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი კი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ დაქვემდებარებას სასამართლოებისადმი, რომლის 1-ელი ნაწილის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქვეუღი უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისას ადმინისტრაციული საქმეების განსჯადობის მთავარ ფაქტორს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს ქმედების საჯარო-სამართლებრივი მიზანი და არა – სამართალურთიერთობაში ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა. ამდენად, განსჯადობის საკითხის გადაწყვეტისას უპირატესობა ენიჭება სადავო სამართალურთიერთობების ბუნებას და არა – სუბიექტურ შემადგენლობას. დავის საჯარო-სამართლებრივი ხასიათის დასადგენად საკმარისი არ არის ის, რომ დავის ერთ-ერთი მხარე საჯარო სამართლის სუბიექტია, ვინაიდან შესაძლებელია, საჯარო სამართლის სუბიექტი მხარედ გამოვიდეს კერძო-სამართლებრივ ურთიერთობებშიც.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ დავაში მოპასუხე მხარეს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო – საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სატყეო დეპარტამენტი, ხოლო დავის საგანი არის ზიანის ანაზღაურება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის სამოქალაქო-სამართლებრივად მიჩნევისათვის უპირველესი, უმთავრესი და აუცილებელი პირობაა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა იურიდიულად ეფუძნებოდეს კერძო სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან კერძო სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

საკასაციო სასამართლო იზიარებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსაზრებას იმის თობაზე, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის 1-ელი ნაწილის «ა» ქვეპუნქტის მიხედვით, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული უფლების, ასევე კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე, იურიდიულ პირებს შორის. როგორც სააპელაციო სასამართლომ განმარტა, განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს დანაშაულით მიყენებული ზიანის ანაზღაურება, რაც გამომდინარეობს დელიქტური ვალდებულებითი ურთიერთობიდან. ამდენად, აღნიშნული დავა განხილული უნდა ყოფილიყო სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.

საკასაციო სასამართლო ასევე იზიარებს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსაზრებას იმის თობაზე, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 30-ე მუხლის თანახმად, პირს, რომელსაც უშუალოდ დანაშაულის შედეგად მიაღდა ქონებრივი, ფიზიკური ან მორალური ზიანი, უფლება აქვს სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება და ამ მიზნით წარადგინოს სამოქალაქო სარჩელი. აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, იურიდიულ პირს კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში უფლება ჰქონდა, მოეთხოვა ქონებრივი ზიანი. ამასთან, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 33-ე მუხლის თანახმად, პირს, რომელსაც არ წარმოუდგენია სამოქალაქო სარჩელი სისხლის სამართლის საქმეზე, უფლება აქვს, წარმოადგინოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მოთხოვნის სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე განმარტავს, რომ წინამდებარე სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, რის გამოც მოცემული საქმე არ განეკუთვნება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრულ სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ საქმეს, მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელე მხარეს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო – საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სატყეო დეპარტამენტი.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული სადავო სამართალურთიერთობა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის 1-ელი ნაწილის «ა» ქვეპუნქტის საფუძველზე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველი და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადია, რის გამოც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – სატყეო დეპარტამენტი სარჩელის გამო, მოპასუხე ზ. ა-ძის მიმართ, ზიანის ანაზღაურების თაობაზე, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო განსჯადობა (ნარდობის ხელშეკრულება)

განჩინება

18ს-206-198(კ-10)

27 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წიკვაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

პ. სილაგაძე

დავის საგანი: შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

შპს «...» დირექტორმა – ნ. ჯ-უამ სარჩელი აღძრა აბაშის რაიონულ სასამართლოში სოციალური მომსახურების სააგენტოს მიმართ, რომლითაც მოპასუხისგან მოითხოვა შესრულებულ სამუშაოებზე მიღება-ჩაბარების დოკუმენტაციის გაფორმების უზრუნველყოფა და შესრულებული სამუშაოსათვის 3491 ლარის ანაზღაურება.

საქმის გარემოებები:

2008 წლის 8 დეკემბერს სოციალური სუბსიდიების სააგენტოს დირექტორმა – ა. უ-მემ, როგორც შემსყიდველმა, გააფორმა 1262 ხელშეკრულება მიმწოდებელთან, ტენდერში გამარჯვებულ შპს «...» დირექტორ ნ. ჯ-უასთან, სააგენტოს აბაშის განყოფილების ოფისში 3491 ლარის სამუშაოების შესრულებაზე, რომელიც შპს «...» ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში შეასრულა საკუთარი ხარჯებით. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრა 2008 წლის 8 დეკემბრიდან 2009 წლის 8 თებერვლამდე. სააგენტომ შესრულებულ სამუშაოებზე მიღება-ჩაბარების დოკუმენტაციის გაფორმებასა და ღირებულების გადახდაზე სათანადო დოკუმენტაციის წარდგენის დაგვიანების მოტივით უარი განაცხადა. 2008 წლის 15 დეკემბერს, ავადმყოფობის გამო, მოსარჩელე მოთავსდა ზუგდიდის კლინიკა «...» რეანიმაციულ განყოფილებაში (ცნობა სარჩელს ერთვის), რის გამოც შეფერხდა პირველი ეტაპის შესრულებულ სამუშაოებზე ფორმა 12-ის წარდგენა, ხოლო 2008 წლის 24 დეკემბერს, როცა კლინიკიდან ტელეფონით დაუკავშირდა სააგენტოს საფინანსო განყოფილების წარმომადგენელს, შეიტყო, რომ დოკუმენტების წარდგენა უკვე დაგვიანებული იყო.

სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:

სააგენტომ მხარეთა შორის დადებული 1262 ხელშეკრულება (რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის შესაბამისად, არსებით პირობებს ითვალისწინებდა, ხოლო 317-ე მუხლის თანახმად, გარკვეულ ვალდებულებებს წარმოშობდა) უსაფუძვლოდ, ცალმხრივად გააუქმა სამოქალაქო კოდექსის 355-ე მუხლის მოთხოვნათა იგნორირებით, ანუ მხარე გავიდა ხელშეკრულებიდან ისე, რომ მოსარჩელისათვის არ უცნობებია. 2009 წლის 4 იანვარს სააგენტოს საფინანსო განყოფილებაში მოსარჩელემ სრულად შესრულებულ სამუშაოებზე წარდგინა ფორმა 12 და ამ სამუშაოებზე იანვარში გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, რომლებიც სააგენტოს აღნიშნულმა განყოფილებამ არ მიიღო. სააგენტოს მიერ კანონიერი მოთხოვნის (შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარება, ამ სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება) უგულებელყოფამ ფინანსური პრობლემები შეუქმნა შპს «...», მოსარჩელემ შესრულებული სამუშაოებისათვის მუშებსა და ადმინისტრაციულ პერსონალზე ვერ გასცა ხელფასი, რამაც გამოიწვია გაუთვალისწინებელი ხარჯები. მხარეთა შორის დადებული 1262 ხელშეკრულების 14.4 პუნქტით, შემსყიდველი (სოციალური მომსახურების სააგენტო) ვალდებული იყო, მიმწოდებლისათვის ყველა შემთხვევაში აენაზღაურებინა ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულება, რასაც დღემდე თავს არიდებს მოპასუხე მხარე, თუმცა შესრულებული სამუშაოთი სარგებლობს 2009 წლის დეკემბრიდან.

სარჩელის სამართლებრივი საფუძვლები:

მოსარჩელემ სამოქალაქო კოდექსის 317.1, 327.1, 355-ე და 361-ე მუხლების საფუძველზე მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილება.

აბაშის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შპს «...» სარჩელი დაკმაყოფილდა – მოპასუხე სოციალური მომსახურების სააგენტოს დაევალა ხელშეკრულების შესაბამისად შპს «...» შესრულებულ სამუშაოზე მიღება-ჩაბარების დოკუმენტაციის გაფორმება, აგრეთვე, შესრულებული სამუშაოს ღირებულების – 3491 ლარის ანაზღაურება, რაც რაიონულმა სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

შპს «...» «სახელმწიფო შესყიდვის შესახებ» ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს აბაშის რაიონის განყოფილების ოფისში სარემონტო სამუშაო, შეასრულა დათქმულ დროს, ჯეროვნად და კეთილსინდისიერად. შპს «...» მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულება შეადგენს 3491 ლარს. შპს «...» მიერ დამონტაჟებული გისოსებითა და შესასვლელი რკინის კარით სააგენტოს აბაშის რაიონის განყოფილება სარგებლობს დღემდე. შპს «...» დაარღვია ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 4.3 პუნქტის მოთხოვნები, სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის, სამუშაოს დამთავრებიდან 5 დღის ვადაში, შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტისა /ფორმა 2/ და სპეციალური ანგარიშ-ფაქტურის წარდგენის შესახებ. მხარეთა განმარტებითა და წარმოდგენილი წერილობითი მასალების საფუძველზე სასამართლომ მიიჩნია, რომ შპს «...» დოკუმენტაცია შესრულებული სამუშაოს შესახებ ვადის დარღვევით არაერთხელ წარუდგინა შემსყიდველს და მოითხოვა შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება. შემსყიდველმა ვადის დარღვევით მიწოდებული დოკუმენტაცია არ მიიღო და მიმწოდებელს შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებაზე უარი განუცხადა.

რაიონულმა სასამართლომ განმარტა, რომ ხელშეკრულების საერთო პირობების 11.1 პუნქტის შესაბამისად, თუ ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეები წააწყდებიან რაიმე ხელშეშლელ გარემოებებს, რომელთა გამო ფერხდება ხელშეკრულების პირობების შესრულება, ამ მხარემ დაუყოვნებლივ უნდა გაუზღავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის გამოწვევი მიზეზების შესახებ. მოსარჩელეს, დოკუმენტაციის წარდგენის ხელისშეშლელი გარემოებების თაობაზე, ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში წერილობით არ უცნობებია მოპასუხისათვის.

რაიონულმა სასამართლომ არ გაიზიარა მოსარჩელის განმარტება იმის შესახებ, რომ ის 2008 წლის 24 დეკემბერს ტელეფონით დაუკავშირდა სააგენტოს და აცნობა ავადმყოფობის გამო დოკუმენტაციის წარდგენის შეფერხების თაობაზე, რადგან აღნიშნული გარემოება მისი სიტყვიერი განმარტების გარდა, სხვა მტკიცებულებით არ დასტურდებოდა. ამასთან, სასამართლომ განმარტა, რომ შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების შესახებ დოკუმენტაციის ვადაში წარუდგენლობა არ შეიძლება გახდეს შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველი, კერძოდ, სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების საერთო პირობები და ხელშეკრულების სპეციფიკური პირობები ადგენს რა მხარეთა უფლება-მოვალეობებს, იმპერატიულად განსაზღვრავს ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის თანმიმდევრულ შედეგებს.

რაიონულმა სასამართლომ გამოიყენა «სახელმწიფო შესყიდვების შესახებ» საქართველოს კანონის მე-5 მუხლის მე-2 პუნქტის «ე» ქვეპუნქტი და განმარტა, რომ შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია, საქონლის მიწოდების, სამუშაოს შესრულებისა და მომსახურების გაწევისთანავე, აუნაზღაუროს მიმწოდებელს საქონლის, სამუშაოს ან/და მომსახურების ღირებულება, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. მხარეთა შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების საერთო პირობებისა და ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 13.1 და 13.2 პუნქტების შესაბამისად, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის, ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში, გამოიყენება საჯარიმო სანქციები პირგასამტეხლოს სახით. საჯარიმო სანქციების გადახდა არ ათავისუფლებს მხარეებს ძირითადი ვალდებულების შესრულებისაგან, ე.ი. ვალდებულების შესრულების ვადაგადაცილების გამო, მოპასუხე მხარე უფლებამოსილი იყო, მოსარჩელის მიმართ გამოეყენებინა მხოლოდ ხელშეკრულებით განსაზღვრული საჯარიმო სანქციები. დოკუმენტაციის ვადაში წარუდგენლობის მიზეზით, ფაქტობრივად, შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებაზე უარის თქმის შესაძლებლობა კი ხელშეკრულებით გათვალისწინებული არ იყო.

სასამართლომ განმარტა, რომ საერთო პირობების 14.4 პუნქტის შესაბამისად, ვალდებულების შეუსრულებლობის გამო ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაშიც, შემსყიდველი ვალდებულია, მიმწოდებელს აუნაზღაუროს მის მიერ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ღირებულება. მიმწოდებლის მიმართ ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველი დადგენილია ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 8.2.2 პუნქტით, რომელიც განსაზღვრავს რა ხელშეკრულებაში მონაწილე მხარეთა უფლებებს, ადგენს შემსყიდველის უფლებას, არ აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მასალებისაგან განსხვავებული მასალებით შესრულებული ან შეუსრულებელი სამუშაო. დადგენილია, რომ მოპასუხეს რაიმე პრეტენზია მოსარჩელის მიერ შესრულებული სამუშაოს ხარისხის მიმართ არ გააჩნდა, რის გამოც არ არსებობდა ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 8.2.2 პუნქტით გათვალისწინებული წინაპირობა შპს «...» მიერ შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებაზე უარის თქმის თაობაზე.

რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სოციალური მომსახურების სააგენტომ, რომელმაც მოითხოვა რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა შემდეგი მოტივით:

2008 წლის 8 დეკემბერს სოციალური მომსახურების სააგენტოსა და შპს «...» შორის გაფორმდა ხელშეკრულება, რომლის თანახმად, შპს «...» სოციალური მომსახურების სააგენტოს აბაშის რაიონული განყოფილების ოფისში სარემონტო სამუშაოები უნდა შესრულებინა. ხელშეკრულებით ასანაზღაურებელი თანხა შეადგენდა 3491 ლარს, რომლის დაფინანსებაც ასევე უნდა მომხდარიყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად. აღნიშნული ხელშეკრულების მე-4 თავის თანახმად, შემსყიდველი ვალდებულია, აუნაზღაუროს მიმწოდებელს ხელშეკრულების ფასი ხელშეკრულების პირობებით გათვალისწინებულ ვადებში. ხელშეკრულების მე-5 მუხლის 5.1. პუნქტის თანახმად, შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შედეგად, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული. ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მე-4 მუხლის 4.3 პუნქტის შესაბამისად, სამუშაოს შესრულების ყოველი ეტაპის დამთავრებიდან,

არა უგვიანეს 5 სამუშაო დღეში მიმწოდებელი წარუდგენს შემსყიდველს სპეციალურ საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურასა და მიღება-ჩაბარების აქტს.

აპელანტის მითითებით, თუ ხელშეკრულების შესრულება ფერხდება, მხარემ წინასწარ წერილობითი ფორმით უნდა აცნობოს ხელშეკრულების მონაწილე მხარეებს აღნიშნულის შესახებ. მოსარჩელის მიერ დაირღვა ხელშეკრულება, არ იქნა იგი ჯეროვნად შესრულებული და აღნიშნულზე შპს «...» მიერ არ მომხდარა ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულება. მოსარჩელე ხელშეკრულების შეუსრულებლობის გამაბათილებელ გარემოებად მის მიერ სააგენტოს დირექტორის სახელზე გაგზავნილ 2009 წლის 27 მარტის წერილში მიუთითებს, რომ იგი 15 დეკემბერს გახდა ცუდად და მოათავსეს ზუგდიდის კლინიკა «...» რეანიმაციულ განყოფილებაში, რის გამოც შეფერხდა პირველი ეტაპის შესრულებული სამუშაოების წარდგენა, ხოლო 24 დეკემბერს იგი კლინიკიდან, როგორც თავად განმარტა, ესაუბრა სააგენტოს საფინანსო განყოფილების წარმომადგენელს. შპს კარდიოლოგიური კლინიკა «...» მიერ 2009 წლის 18 დეკემბრით დათარიღებული ამონაწერიდან (ავადმყოფის სტაციონარის ბარათიდან) ირკვევა, რომ მოსარჩელე ნ. ჯ-უა, 50 წლის, მცხოვრები ზუგდიდში, ... ქ. '182-ში, სტაციონარში

მოთავსებულ იქნა 2008 წლის 17 დეკემბერს, დიაგნოზით – მოციმციმე არითმიის პაროქსიზმი, ქრ. ბრონქიტი-გამ-
წვაება. სტაციონარიდან გაეწერა 2008 წლის 18 დეკემბერს, ანუ სტაციონარში მოთავსებიდან მეორე დღეს. ამდენ-
ად, მოსარჩელის მიერ იმის მტკიცება, რომ გადიოდა სტაციონარულ მკურნალობას, ასევე ზემოთ აღნიშნულ საა-
გენტოს დირექტორის სახელზე გაგზავნილ წერილში მითითებული გარემოება, რომ 24 დეკემბერს კლინიკიდან
ესაუბრა სააგენტოს საფინანსო განყოფილების თანამშრომელს, აშკარად უსაფუძვლოა.

აპელანტის მითითებით, აღნიშნული თანხის ორ ეტაპად ანაზღაურება გათვალისწინებული იყო იმ გარემოებე-
ბითაც, რომ პირველი ეტაპი უნდა დაფინანსებულიყო 2008 წლის ბიუჯეტის შესაბამისად და ვინაიდან მხარემ და-
არღვია ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნები, სააგენტო მოკლებული იყო შესაძლებლობას, 2008
წლის ბიუჯეტით დასაფინანსებელი თანხები დაეფინანსებინა 2009 წლის ბიუჯეტით, რაც გამოიწვევდა სახელმწი-
ფო ბიუჯეტის არამიზნობრივ ხარჯვას და სწორედ აღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე, ხელშეკრულებით
გათვალისწინებული თანხის ანაზღაურებასთან დაკავშირებით, აუცილებელ პირობად დადგინდა მიღება-ჩაბარე-
ბის აქტის სააგენტოში წარდგენა თითოეული ეტაპის შესრულებიდან არა უგვიანეს 5 დღეში. შესაბამისად, 2008
წლის თანხები სააგენტოს არა აქვს ასახული 2009 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულ თანხებში. ამდენად, საა-
გენტოს არ გააჩნია აღნიშნული თანხის ანაზღაურების კანონით გათვალისწინებული საფუძვლები.

რაიონულმა სასამართლომ არ გაითვალისწინა ის გარემოება, რომ შპს «...» ვალდებული იყო, შემსყიდველი-
სათვის წარედგინა სპეციალური ანგარიშ-ფაქტურა და შესრულებულ სამუშაოზე მიღება-ჩაბარების აქტი (ფორმა
2), მოსარჩელემ აღნიშნული დოკუმენტაციის წარმოდგენა უზრალო ფორმალურად მიიჩნია და არ მიაქცია ყურად-
ღება, რომ სპეციალური ანგარიშ-ფაქტურა და მიღება-ჩაბარების აქტის 5 დღის ვადაში წარმოდგენა არის ხელშეკ-
რულებით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურების ერთადერთი პირობა. ამასთან, რაიონულმა სასამართლომ
არასწორად იმსჯელა ბაჟის დაკისრების ნაწილშიც სარჩელის საფუძვლიანობაზე.

სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილებით სოციალური მომსახურების სააგენ-
ტოს სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, გაუქმდა რაიონული სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება
და სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც შპს «...» სარჩელი არ დაკ-
მაყოფილდა, რაც სააპელაციო სასამართლომ დაასაბუთა შემდეგნაირად:

სსიპ სოციალური სუბსიდიების სააგენტოს მიერ გამოცხადებული ტენდერის შედეგად, 2008 წლის 8 დეკემ-
ბერს სსიპ სოციალური სუბსიდიების სააგენტოსა და შპს «...» შორის დაიდო ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდ-
ვების შესახებ '262. 2008 წლის 8 დეკემბრის ხელშეკრულებით ირკვევა, რომ მიმწოდებელმა, შპს «...», მიიღო შეს-
ყიდვებისაგან, სსიპ სოციალური სუბსიდიების სააგენტოსაგან, სატენდერო წინადადება სამუშაოს შესრულებაზე –
თანხით 3491 ლარი. მიმწოდებელმა აიღო ვალდებულება შემსყიდველისათვის სამუშაოების შესრულების შესახებ,
ხოლო შემსყიდველმა აიღო ვალდებულება – მიმწოდებლისათვის შესრულებული სამუშაო აენაზღაურებინა ხელ-
შეკრულებით გათვალისწინებულ ვადებში. ხელშეკრულების საერთო პირობების შესაბამისად, შპს «...» სამუშაო –
ფანჯრების გისოსებისა და შესასვლელი რკინის კარის დამზადება-დამონტაჟება უნდა ეწარმოებინა სატენდერო
წინადადებაში ასახული გრაფიკის შესაბამისად, ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან, 2008 წლის 8 დეკემბრიდან
25 დღეში ორ ეტაპად. ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების 4.3 პუნქტით, სამუშაოს შესრულების ყოველი
ეტაპის დამთავრებიდან არა უგვიანეს ხუთი სამუშაო დღისა, შპს «...» ვალდებული იყო, შემსყიდველისათვის წა-
რედგინა სპეციალური ანგარიშ-ფაქტურა და შესრულებულ სამუშაოზე მიღება-ჩაბარების აქტი (ფორმა 2) ხელშეკ-
რულების საერთო პირობების 5.1. პუნქტით, შესყიდვის ობიექტი ან მისი ნაწილი (ეტაპი) ჩაითვლება მიღებულად
მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ, თუ ხელშეკრულების სპეციფიკური პირობებით სხვა რამ
არ არის გათვალისწინებული. 5.2 პუნქტით, შესყიდვის ობიექტის მიღებისა და საბოლოო შემოწმების ადგილი, პი-
რობები, ეტაპები და წესი ასახული იყო ხელშეკრულების სპეციფიკურ პირობებში. ხელშეკრულების თანახმად,
შემსყიდველი ვალდებულია, ოპერატიულად, წერილობითი სახით აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების
შედეგები დაწუნებული სამუშაოს მოცულობისა და წუნდების მიზეზების შესახებ. ხელშეკრულების 6.2 პუნქტით,
მიმწოდებლის წერილობით მოთხოვნას ანგარიშსწორების თაობაზე უნდა დაერთოს ხელშეკრულების სპეციფი-
კურ პირობებში მითითებული დოკუმენტაცია. 14.3 პუნქტით, შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება
ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ, თუ შემსყიდველისათვის ცნობილი გახდა, რომ, მისგან დამოუკიდებელი მი-
ზეზების გამო, იგი ვერ უზრუნველყოფს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას. 14.4 პუნქტით,
ამ მუხლის მე-3 პუნქტში მითითებულ შემთხვევაში შემსყიდველი ვალდებულია, აუნაზღაუროს მიმწოდებელს
ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ღირებულება. 2009 წლის 8 იანვარს სსიპ სოციალური სუბსიდიების საა-
გენტოს სახელწოდების შეცვლასთან დაკავშირებით მხარეთა შორის გაფორმდა შეთანხმება '262/1 2008 წლის 8
დეკემბრის ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ. ხელშეკრულების მხარედ მიეთითა სსიპ სოციალუ-
რი მომსახურების სააგენტო. შპს «...» მიერ შესრულებული სამუშაოს ღირებულება შეადგენს 3491 ლარს. აბაშის
რაიონული ოფისის შენობაში რკინის გისოსებისა და კარის დამზადება-მონტაჟი შესრულდა 2008 წლის დეკემ-
ბრის ბოლოსათვის, თუმცა ანგარიშ-ფაქტურა და შესრულებული სამსახურის მიღება-ჩაბარების აქტი (ფორმა 2)
მიმწოდებელს შემსყიდველისათვის ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში არ წარუდგენია. შპს «...» დირექტორმა
განმარტა, რომ საჭირო დოკუმენტაცია წარადგინა სააგენტოში 2009 წლის 4 იანვარს, ხელშეკრულებით დადგენილ
ვადაში, თუმცა აღნიშნულის დამადასტურებელი რაიმე სახის მტკიცებულება მას არ გააჩნია. შპს «...» შესრულებუ-
ლი სამუშაოს ღირებულება სრულად ან ნაწილობრივ ანაზღაურებული არა აქვს. სააპელაციო სასამართლოს სხდო-
მაზე სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენელმა განმარტა, რომ შესრულებული სამუშაოს ხა-
რისხის მიმართ სააგენტოს აქვს პრეტენზიები, რის გამოც მან არ მიიღო (არ ჩაიბარა) შესრულებული სამუშაო.

სააპელაციო სასამართლომ დადგინდა ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე დაასკვნა, რომ შესრულებუ-
ლი სამუშაოს მიღება-ჩაბარების შესახებ დოკუმენტაციის ვადაში წარუდგენლობა არ შეიძლება გახდეს შესრულე-

ბული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველი, კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ გა-
მოიყენა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის მე-2 ნაწილი, 65¹ მუხლის მე-2 ნაწილი და განმარტა,
რომ დავის საგანს წარმოადგენდა სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების – ადმინისტრაციული ხელ-
შეკრულების შესრულება. ხელშეკრულების ერთი მხარე (მიმწოდებელი), რომელიც მიიჩნევს, რომ მან შეასრულა
ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, მეორე მხარისაგან (შემსყიდველისაგან) ითხოვს იმავე ხელშეკრულე-
ბით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას. მხარეთა უფლება-მოვალეობები გამომდინარეობდა ნასყიდობასთან
დაკავშირებული სამართლებრივი ურთიერთობიდან. ნასყიდობის საგანს, ხელშეკრულებიდან გამომდინარე, წარ-
მოადგენდა კონკრეტული სახის, 3491 ლარად ღირებული სამუშაო.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის მე-2 ნაწილით
გათვალისწინებული, მყიდველის მოვალეობა, მყიდველისათვის შეთანხმებული ფასის გადახდის თაობაზე, წარ-
მოიშობა გამყიდველის მიერ თავისი ვალდებულების შესრულების შემდგომ. იგივე დანაწესს შეიცავს მხარეთა შო-
რის დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების 4.3. და 6.2 პუნქტები. სააპელაციო სასამარ-
თლომ განმარტა, რომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 369-ე მუხლით, იმ პირს, რომელსაც ვალდებულება
აკისრია, ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შეუძლია, უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე სა-
პასუხო მოქმედების განხორციელებამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა იგი ვალდებული იყო, თავისი ვალდე-
ბულება წინასწარ შეესრულებინა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის 1-ელი ნაწილით, ნასყიდო-
ბის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა, გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, ამასთან დაკავ-
შირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი. შესაბამისად, გამყიდველის მოვალეობა არ შემოიფარგლება მხო-
ლოდ მყიდველისათვის საქონლის (ამ შემთხვევაში ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულე-
ბის) გადაცემით, კანონმდებელი სავალდებულოდ მიიჩნევს მყიდველისათვის გაყიდულ ქონებასთან (შესრულე-
ბულ სამუშაოსთან) დაკავშირებით ყველა საჭირო დოკუმენტის წარდგენას. აღნიშნულის თაობაზე მითითებულია
სახელმწიფო შესყიდვის შესახებ 2008 წლის 8 დეკემბრის 1262 ხელშეკრულებაშიც.

«სახელმწიფო შესყიდვების შესახებ» 2005 წლის 20 აპრილის საქართველოს კანონის 7.2 მუხლის «დ» ქვეპუნ-
ქტით, შემსყიდველი ვალდებულია, საქონლის მიწოდების, სამუშაო შესრულებისა და მომსახურების გაწევისთა-
ნავე აუნაზღაუროს მიმწოდებლებს საქონლის, სამუშაოსა და მომსახურების ღირებულება. ღირებულების ანაზღა-
ურების სავალდებულო პირობად მითითებულია მიღება-ჩაბარების აქტისა და ანგარიშ-ფაქტურის წარდგენა გან-
საზღვრულ ვადაში. საქმის მასალებით არ დასტურდება მიმწოდებლის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულე-
ბა, რაც გამორიცხავს შემსყიდველის ვალდებულებას საპასუხო შესრულებაზე.

სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ ხელშეკრულების 14.4 პუნქტით შემსყიდველი მხოლოდ მაშინ არის
ვალდებული, აანაზღაუროს ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოს ღირებულება, თუ თვით შემსყიდველმა მიი-
ღო გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის თაობაზე, იმის გამო, რომ მისგან დამოუკიდებელი მიზეზით
ვერ უზრუნველყოფდა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას, რის გამოც სარჩელი არ ექვემდე-
ბარებოდა დაკმაყოფილებას.

სააპელაციო სასამართლომ გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა შპს «...», რომელმაც მოითხოვა სააპე-
ლაციო სასამართლოს გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფი-
ლება.

კასაციის მოტივი:

სააგენტომ მხარეთა შორის დადებული 1262 ხელშეკრულება (რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის
327-ე მუხლის შესაბამისად, არსებით პირობებს ითვალისწინებდა, ხოლო 317-ე მუხლის თანახმად, გარკვეულ
ვალდებულებებს წარმოშობდა) უსაფუძვლოდ, ცალმხრივად გააუქმა სამოქალაქო კოდექსის 355-ე მუხლის მოთ-
ხოვნათა იგნორირებით, ანუ მხარე გავიდა ხელშეკრულებიდან ისე, რომ მოსარჩელისათვის არ შეუტყობინებია.
2009 წლის 4 იანვარს სააგენტოს საფინანსო განყოფილებაში მოსარჩელემ სრულად შესრულებულ სამუშაოებზე წა-
რადგინა ფორმა #12 და ამ სამუშაოებზე იანვარში გამოწერილი საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა, რომელიც სააგენ-
ტოს აღნიშნულმა განყოფილებამ არ მიიღო. სააგენტოს მხრიდან კანონიერი მოთხოვნის (შესრულებული სამუშაო-
ების მიღება-ჩაბარება, ამ სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება) უგულებელყოფამ ფინანსური პრობლემები
შექმნა შპს «...», მოსარჩელემ მუშებსა და ადმინისტრაციულ პერსონალზე ვერ გასცა შესრულებული სამუშაოები-
სათვის ხელფასი, რამაც გამოიწვია გაუთვალისწინებელი ხარჯები. მხარეთა შორის დადებული 1262 ხელშეკრუ-
ლების 14,4 პუნქტით შემსყიდველი (სოციალური მომსახურების სააგენტო) ვალდებული იყო, ყველა შემთხვევაში
მიმწოდებლისათვის (შპს «...») აენაზღაურებინა ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულება, რასაც
დღემდე თავს არიდებს მოპასუხე მხარე, თუმცა შესრულებული სამუშაოთი სარგებლობს 2009 წლის დეკემბრი-
დან.

აღსანიშნავია, რომ შესრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების აქტების გაფორმებისა და ღირებულების
ანაზღაურების უარის მოტივად არ დასახელებულა შესრულებული სამუშაოების უხარისხობა, სააპელაციო სასა-
მართლომ არ მიიღო მხედველობაში ის გარემოება, რომ მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში შესრუ-
ლებული სამუშაოების ცალკეული ეტაპები კონკრეტულად დადგენილი თარიღებით არ იყო განსაზღვრული და
მთლიანი სამუშაოები კასატორის მიერ შესრულებული იყო ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ ვადაზე ადრე.

კასატორის მითითებით, სააპელაციო სასამართლომ ასევე არასწორი შეფასება მისცა ხელშეკრულების 14.3 და
14.4 პუნქტებს, შემსყიდველის მიერ ხელშეკრულებიდან მისი გასვლის შემთხვევაში მიმწოდებლისათვის ფაქტობ-
რივად შესრულებული სამუშაოების ღირებულების ანაზღაურებაზე. არ გაითვალისწინა ის ფაქტი, რომ სააგენტო
ისე გავიდა ხელშეკრულებიდან, რომ შპს «...» ამის შესახებ არ უცნობებია, რაც სავალდებულო იყო საქართველოს
სამოქალაქო კოდექსის 355-ე მუხლით.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 25 მაისის განჩინებით შპს «...» საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის «გ» ქვეპუნქტის საფუძველზე /პროცესუალური კასაცია.

მოწინააღმდეგე მხარეს წერილობითი შესაგებელი არ წარმოუდგენია.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების შესწავლის, გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერება-დასაბუთებულობისა და საკასაციო საჩივრის მოტივების საფუძვლიანობის შემოწმების შედეგად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ შპს «...» დირექტორის – ნ. ჯ-უას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმე განსახილველად გადაეგზავნოს უფლებამოსილ – ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ გასაჩივრებული გადაწყვეტილების გამოტანისას დაარღვია მატერიალური და საპროცესო სამართლის ნორმები, კერძოდ, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, არასწორად განმარტა იგი, არ გამოიკვლია საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და სათანადო სამართლებრივი შეფასება არ მისცა მათ, დაუსაბუთებელია სააპელაციო სასამართლოს დასკვნები, რაც სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე-394-ე მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

საქმის მასალების მიხედვით, მხარეთა შორის 2008 წლის 8 დეკემბრის '262 ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება – სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს აბაშის რაიონული განყოფილების ოფისში სარემონტო სამუშაოების განხორციელება, მოსარჩელე შპს «...» მიერ შესრულდა 2008 წლის დეკემბრის ბოლოსათვის, მაგრამ მიმწოდებელმა დროულად ვერ უზრუნველყო ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურისა და მიღება-ჩაბარების აქტის წარდგენა. მითითებულ გარემოებას ადასტურებენ მხარეები და აღნიშნულის შესახებ საკასაციო პრეტენზია წარმოდგენილი არ ყოფილა.

ხელშეკრულებით გათვალისწინებული დოკუმენტების ვადაში წარუდგენლობა გახდა შესრულებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველი, რაც დასტურდება საქმეში წარმოდგენილი სოციალური მომსახურების უფროსის ა. უ-მის 2009 წლის 15 ივნისის '01/05-13003 მიმართვით. აღნიშნულთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს სააპელაციო სასამართლოს დასკვნას, რომ შემსყიდველს აქვს პრეტენზიები შესრულებული სამუშაოს ხარისხის მიმართ, რის გამოც ამ უკანასკნელმა არ მიიღო შესრულებული სამუშაო. სააპელაციო სასამართლოს დასკვნა ემყარება მხოლოდ სააპელაციო სასამართლოს სხდომაზე სოციალური მომსახურების სააგენტოს წარმომადგენლის მიერ მიცემულ ახსნა-განმარტებას. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო ზეპირი ხასიათის მტკიცებულებას, რაც არ ემყარება საქმეში არსებული მასალების სრულყოფილ გამოკვლევას და ეწინააღმდეგება მათ, კერძოდ, საქმეში წარმოდგენილ მიმართვებში სოციალური მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელის მიერ დაფიქსირებულია, რომ ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველს წარმოადგენდა შესაბამისი დოკუმენტების ვადაში წარუდგენლობა. სოციალური მომსახურების სააგენტოს იმავე წარმომადგენელი, რომელიც წარმოადგენდა სააგენტოს სააპელაციო სასამართლოში, აბაშის რაიონული სასამართლოს სხდომაზე გაკეთებულ ახსნა-განმარტებაში უთითებს, რომ შესრულებული სამუშაოს ხარისხზე სააგენტოს პრეტენზია არა აქვს, სამუშაო მიმწოდებლის მიერ შესრულდა ვადაში და იმ ღირებულებით, რაც ხელშეკრულებით იყო გათვალისწინებული. სადავო იყო მხოლოდ ის გარემოება, რომ სათანადო დოკუმენტაცია მიმწოდებელს არ წარუდგენია ვადაში, რის გამოც სააგენტო ვერ აანაზღაურებდა თანხას.

საკასაციო სასამართლომ სასარჩელო მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის სამართლებრივ საფუძველად მიუთითა სამოქალაქო კოდექსის 744.1 მუხლი, რომელიც განსაზღვრავს ნასყიდობის ხელშეკრულების არსს და ამ ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა უფლება-მოვალეობებს, კერძოდ, მითითებული ნორმის თანახმად, გამყიდველი მოვალეა, გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი. მყიდველი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება.

საკასაციო სასამართლომ მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ აღნიშნულთან დაკავშირებით გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, რადგან კონკრეტულ შემთხვევაში მხარეთა შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება სამართლებრივი ბუნებით არა ნასყიდობის, არამედ – ნარდობის ხელშეკრულებაა, რომელიც წარმოადგენს განსაზღვრული საზღაურის გადახდის პირობით გარკვეული სამუშაოს შესრულების შესახებ გარიგებას. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის გამოყენების საფუძველს არც სამოქალაქო კოდექსის 629.2 მუხლის დანაწესი იძლევა, რომელიც ნასყიდობის წესების გამოყენებას ითვალისწინებს მხოლოდ გვაროვნული ნივთის დამზადების პირობებში, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 477.1 მუხლი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა. გარდა აღნიშნულისა, მითითებული ნორმა მისი გამოყენების პირობებშიც ვერ გახდება შესრულებული სამუშაოს ანაზღაურებაზე უარის თქმის საფუძველი მხოლოდ საბუთების წარუდგენლობის მოტივით, რადგან სამოქალაქო კოდექსის 477.1 მუხლი ადგენს გამყიდველის მოვალეობას ქონებასთან დაკავშირებული საბუთების გადაცემაზე, რასაც კანონმდებლობა უკავშირებს საპასუხო შესრულებას, მაგრამ ქონებასთან დაკავშირებულ საბუთებზე მოიაზრება ის დოკუმენტები, რომლებიც უშუალოდაა დაკავშირებული ქონებასთან იმგვარად, რომ მათ გარეშე შეუძლებელი ხდება ქონების გამოყენება ან განკარგვა. საკასაციო სასა-

მართლოს მიაჩნია, რომ ამ სახის დოკუმენტებად ვერ იქნება განხილული მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა და მიღება-ჩაბარების აქტი.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, კონკრეტულ შემთხვევაში სახეზე არ იყო სამოქალაქო კოდექსის 477.1 მუხლის გამოყენების წინაპირობა, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა და არასწორად განმარტა იგი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 629-ე მუხლის შესაბამისად, ნარდობის ხელშეკრულებით, მენარდე კისრულობს ვალდებულებას, შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია, გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური. ამდენად, მოქმედი კანონმდებლობა ნარდობის ხელშეკრულების შესრულებას უკავშირებს მენარდის მიერ შემკვეთისათვის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოს შესრულებას, მენარდის შრომის შედეგს, რასაც უნდა მოჰყვეს შემკვეთის მხრიდან საპასუხო შესრულება – შესრულებული სამუშაოს ანაზღაურება.

მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, დოკუმენტების წარდგენა შესრულებული სამუშაოს მიღების და არა მისი ღირებულების ანაზღაურების პირობად განიხილება. მით უფრო, რომ მოცემულ შემთხვევაში, საქმის მასალების თანახმად, სოციალური მომსახურების სააგენტოს ფაქტობრივად მიღებული აქვს შესრულებული სამუშაო, მეტიც, სარგებლობს მიწოდებული პროდუქციით.

გარდა აღნიშნულისა, სააპელაციო სასამართლომ არ უმსჯელია იმ გარემოებაზე, რომ ხელშეკრულების მე-13 პუნქტი განსაზღვრავს ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შედეგებს, კერძოდ, მითითებული პუნქტის თანახმად, ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისა ან/და დაგვიანებით შესრულების შემთხვევაში გამოიყენება საჯარიმო სანქციები, რაც განსახილველ შემთხვევაში სადავო არ არის, ხოლო შესრულებული სამუშაოს საფასურის, ანუ პირველადი მოთხოვნის დაუკმაყოფილებლობის სამართლებრივი წინაპირობა ვერ გახდება ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტაციის წარუდგენლობა, როგორც სრულიად შეუსაბამო ვალდებულების ჯეროვანი შესრულების არსთან.

საკასაციო სასამართლომ მიაჩნია, რომ კონკრეტულ შემთხვევაში საქმე განხილულია განსჯადობის წესების დარღვევით ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით, რამდენადაც შპს «...» დირექტორის – ნ. ჯ-უას სარჩელი – სსიპ სოციალური სუბსიდიების სააგენტოსთან დადებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ, ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ვალდებულების შესრულების შესახებ წარმოადგენს სამოქალაქო და არა ადმინისტრაციულ სარჩელს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 2.1 მუხლის მიხედვით, საერთო სასამართლო ადმინისტრაციული სამართალწარმოებით განიხილავს მხოლოდ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან გამომდინარე სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავებს, ხოლო მოცემულ საქმეში სასარჩელო მოთხოვნა გამომდინარეობს სამოქალაქო კანონმდებლობიდან, რის გამოც იგი განიხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

კონკრეტულ შემთხვევაში მხარეთა შორის გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის ხელშეკრულება სამართლებრივი ბუნებით წარმოადგენს ნარდობის ხელშეკრულებას, ანუ განსაზღვრული საზღაურის გადახდის პირობით გარკვეული სამუშაოს შესრულების შესახებ ორმხრივ გარიგებას, რამდენადაც მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით მიმწოდებელმა – შპს «...» იკისრა ვალდებულება სააგენტოს აბაშის რაიონული განყოფილების ოფისში სარემონტო სამუშაოების შესრულებაზე, ხოლო თავის მხრივ შემსყიდველს – სოციალური სუბსიდიების სააგენტოს უნდა აენაზღაურებინა მიმწოდებლისათვის ხელშეკრულების ფასი. მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება განხილულ უნდა იქნეს არა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 მუხლის «ზ» ქვეპუნქტით განსაზღვრულ ადმინისტრაციულ, არამედ სამოქალაქო ხელშეკრულებად, შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სააპელაციო სასამართლომ არასწორი სამართლებრივი კვალიფიკაცია მისცა დავის საგნის საფუძველს – სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას, რამდენადაც სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება იმგვარი ხელშეკრულებაა, როცა არსებობს სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობებისთვის დამახასიათებელი ორი აუცილებელი ელემენტი – მხარეთა თანასწორობა და ნების ავტონომია. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობები ზემოაღნიშნულისაგან განსხვავებით ხასიათდება მხარეთა უთანასწორობით, ვინაიდან ისინი ერთმანეთთან ურთიერთდაქვემდებარებულ ურთიერთობაში არიან. მხარეთა უთანასწორობა აუცილებელი წინაპირობაა, რომ სამართალურთიერთობა ადმინისტრაციულ-სამართლებრივ ხასიათს ატარებდეს, ვინაიდან ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა ვერ იარსებებს სუბორდინაციულობის გარეშე.

2005 წლის 24 ივნისის საკანონმდებლო ცვლილებების საფუძველზე საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განისაზღვრა ტერმინის – ადმინისტრაციული ხელშეკრულების დეფინიცია, რითაც გაიმიჯნა ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ხელშეკრულებები ადმინისტრაციულ და კერძოსამართლებრივ ხელშეკრულებებად. აღნიშნულის გამო, ადმინისტრაციული კანონმდებლობა ჰარმონიზირებული გახდა სამოქალაქო კანონმდებლობასთან, კერძოდ, სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის მე-4 ნაწილით იმპერატიულად განსაზღვრულ დანაწესთან, რომ, «სახელმწიფო სამოქალაქო სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობს, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირი», რაც იმას ნიშნავს, რომ კერძო სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე ნებისმიერი სუბიექტი, თვით სახელმწიფოც, ექვევა სამოქალაქო კანონმდებლობით განსაზღვრული პრინციპებისა და წესების ფარგლებში. წინააღმდეგ შემთხვევაში, უგულებელყოფილ იქნება სამოქალაქო სამართლის ფუნდამენტური პრინციპი, როგორც პირთა თანასწორობაზე დამყარებული კერძო ხასიათის ქონებრივი, საოჯახო და პირადი ურთიერთობების მომწესრიგებელი სამართლისა.

კონკრეტულ შემთხვევაში, სსიპ სოციალური სუბსიდიების სააგენტო შპს «...» ხელშეკრულების დადებისას მოქმედებს როგორც კერძო და არა როგორც საჯარო სამართლის სუბიექტი, ვინაიდან იგი არ ახორციელებს სახელ-

მწიფო შესყიდვას მისი ორგანული ფუნქციის სფეროში. მოცემული შესყიდვა განეკუთვნება ე.წ. დამხმარე ფუნქცი-ათა ჯგუფს – ოფისის რემონტი, რაც სამოქალაქო ხელშეკრულებათა ჯგუფს განეკუთვნება, ვინაიდან ამ შესყიდვას კონკრეტული საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზანი, როგორც აუცილებელი ელემენტი, არ გააჩნია.

ამდენად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში მხარეთა შორის გაფორმებულია სამოქალაქო სამართლებრივი ხელშეკრულება, რომლის შესრულების შედეგად საპასუხო ვალდებულების – მიღებული სამუშაოს ღირებულების ანაზღაურებაზე უარის კანონიერება უნდა შემოწმდეს სამოქალაქო და არა ადმინისტრაციული სამართალწარმოების გზით.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის 1-ელი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. ამასთან, ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეს.

მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსი, განსხვავებით სამოქალაქო სამართალწარმოებისაგან ამკვიდრებს არა მხოლოდ განსჯადი სასამართლოს პრინციპს, არამედ ადმინისტრაციული კანონმდებლობის მნიშვნელოვან პრინციპს – უფლებამოსილი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გადაწყვეტილების მიღების თაობაზე, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს ადმინისტრაციული ორგანოსათვის კანონმდებლობით მინიჭებულ უფლებამოსილებას. ადმინისტრაციული კანონმდებლობის აღნიშნული პრინციპი კი ასახავს პოულობს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში /26-ე მუხლი/, კერძოდ, დავის განხილვისა და გადაწყვეტის აუცილებლობაში უფლებამოსილი სასამართლოს მიერ.

ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.1 მუხლი, რომელიც განსაზღვრავს სარჩელის განსჯად სასამართლოში წარდგენის ვალდებულებას იმპერატიული შინაარსის ნორმაა, ხოლო ადმინისტრაციული საპროცესო სასამართლოს პრინციპები მკვეთრად განსხვავდება სამოქალაქო სამართალწარმოების პრინციპებისაგან და მათი გამოყენება მხოლოდ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით გათვალისწინებულ და მკაფიოდ განსაზღვრულ საქმეებზეა დასაშვები.

საკასაციო სასამართლო ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე განმარტავს, რომ იმ მომენტიდან, როცა სასამართლო არაგანსჯადი ხდება, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.2 მუხლი სასამართლოს ავალდებულებს საქმე გადაუგზავნოს განსჯად სასამართლოს, წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდება არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ საქმის განხილვა, რაც გამოიწვევს საპროცესო ნორმების იმგვარ დარღვევას, რომელიც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური პროცესუალური საფუძველი გახდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394 «ა» მუხლის თანახმად. ადმინისტრაციული სასამართლო, განსხვავებით სამოქალაქო სასამართლოსაგან, საქმის განსჯადობას ამოწმებს მოპასუხის მოთხოვნის გარეშეც, თავისი ინიციატივით, რამდენადაც, როგორც აღინიშნა, სასამართლო ნებისმიერ შემთხვევაში ვალდებულია, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის თანახმად, შეამოწმოს, განიხილა თუ არა საქმე უფლებამოსილმა სასამართლომ.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემული საქმე ექვემდებარება ხელახლა განხილვას სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, რის გამოც ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.1 მუხლის მიხედვით საქმე განსახილველად უნდა გადაეგზავნოს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2, 26.2 მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 372-ე, 390-ე 399-ე, 408.3, 412-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს «...» დირექტორის – ნ. ჯ-უას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 29 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმე განსახილველად გადაეგზავნოს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;
3. სასამართლო ხარჯები გადანაწილდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო განსჯადობა

განჩინება

18ს-466-447(კ-10)

6 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისათვის მიყენებული ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 18 თებერვალს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სარჩელით მიმართა ბათუმის საქალაქო სასამართლოს მოპასუხე სპს «...» მიმართ და მოითხოვა მოპასუხისაგან 2005 წლის 23 ივნისის სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობით მიყენებული ზიანის – 52057.20 ლარის ანაზღაურება.

მოსარჩელემ განმარტა, რომ 2005 წელს გამოცხადებული იყო ტენდერი სამინისტროს მიზნობრივი პროგრამის «ჩაის» სახელმწიფო შესყიდვაზე, რომელშიც გამარჯვებულად გამოვლინდა სპს «...», რომელთანაც 2005 წლის 23 ივნისს გაფორმდა 161 ხელშეკრულება, მითითებული ხელშეკრულების თანახმად, მოპასუხემ აიღო ვალდებულება, პერსპექტიული ჩაის პლანტაცია მძიმედ გაესხლა. შპს «...» გადაეცა შესასრულებელი სამუშაოს ღირებულება 28 000 ლარი. მოსარჩელის მოსაზრებით, სპს «...» მიერ არ იქნა შესრულებული ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება და მოითხოვა სარჩელის დაკმაყოფილება.

მოპასუხის-სპს «...» წარმომადგენელი არ დაეთანხმა სასარჩელო მოთხოვნას და განმარტა, რომ ხელშეკრულების შესაბამისად 13 840 ლარის შესრულებული სამუშაოს მიღება-ჩაბარების აქტი შედგენილი და ხელმოწერილია მხარეების მიერ 2005 წლის 1 დეკემბერს. დარჩენილი სამუშაოები სპს «...» მიერ შესრულებული იყო ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ, მაგრამ ხელშეკრულების ვადის გადაცილება შეთანხმებული ჰქონდა მოსარჩელესთან. ის ფაქტი, რომ მიღება-ჩაბარების აქტი არ იყო შედგენილი დარჩენილ შესასრულებელ სამუშაოებზე, არ გულისხმობს, რომ ორგანიზაციის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება არ შესრულებულა.

ბათუმის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 22 თებერვლის განჩინებით ადმინისტრაციული საქმე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სარჩელისა გამო მოპასუხე - სპს «...» მიმართ განსჯადობით განსახილველად გადაეგზავნა ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოს.

ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილებით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: სპს «...» დაეკისრა სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასარგებლოდ 14 500 ლარისა და ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე (2006 წლის 01 იანვრიდან 2008 წლის 30 დეკემბრამდე) 14560 ლარის 0.1%-ის 15943.20 ლარის გადახდა.

სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე, 317-ე, 327-ე და 361-ე მუხლებზე და 2005 წლის 1 დეკემბრის მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად, დადგინდად მიიჩნია, რომ სპს «...» მიერ შესრულებული იყო მხოლოდ 13 840 ლარის სამუშაო, ხოლო დარჩენილ 14560 ლარზე მხარეებს შორის მიღება-ჩაბარების აქტი არ შემდგარა, შესაბამისად, სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის პოზიცია მის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების სრულად შესრულების შესახებ.

მითითებული გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა სპს «...».

აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 1 ოქტომბრის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 16 თებერვლის განჩინებით სპს «...» სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2008 წლის 30 დეკემბრის გადაწყვეტილება.

სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქმეზე დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და დამატებით განმარტა, რომ საქმეში არსებული ხელშეკრულების მე-12 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო, ხელშეკრულების შეცვლისას, ცვლილებების ინიციატორი ვალდებული იყო, წერილობით ეცნობებინა მეორე მხარისათვის, რაც უნდა გაფორმებულიყო ხელშეკრულების სახით, როგორც ხელშეკრულების შემადგენელი ნაწილი. სააპელაციო პალატამ ჩათვალა, რომ სპს «...» მიერ არ იქნა დაცული ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნები, რის გამოც სააპელაციო პალატის მოსაზრებით, მოცემულ შემთხვევაში ვალდებულება სპს «...» მიერ შესრულებულია მხოლოდ 13 840 ლარის ღირებულების მომსახურების ნაწილში.

მითითებული განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა სპს «...».

კასატორი საკასაციო საჩივრით ითხოვდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 16 თებერვლის განჩინების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

კასატორი მიუთითებდა, რომ ხელშეკრულებით დადგენილი ვალდებულება სპს «...» მიერ შესრულებულია ჯეროვნად და კეთილსინდისიერად, მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარი მიღება-ჩაბარების აქტის შედგენა, საქმეში წარმოდგენილი 2005 წლის 23 ივნისის '61 ხელშეკრულების მეხუთე პუნქტისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2005 წლის 11 ივლისის '167 ბრძანების თანახმად, ევალეზოდა ინსპექტირების ჯგუფს, რომელთა მიერ ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულება არ შეიძლებოდა გამხდარიყო სპს «...» ვალდებულებების შეუსრულებლობის მიზეზი. კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ არ გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის მე-2 პუნქტი, რომლის თანახმადაც, თავისი შინაარსითა და ხასიათის გათვალისწინებით ვალდებულება შეიძლება ყოველ მხარეს აკისრებდეს მეორე მხარეს უფლებებისა და ქონებისადმი განსაკუთრებულ გულისხმიერებას. კასატორი მიუთითებდა სამოქალაქო კოდექსის 400-ე და 401-ე მუხლებზე და თვლიდა, რომ მოცემულ შემთხვევაში სპს «...» მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულება შესრულდა სრულად კრედიტორის მიერ მისი გაფრთხილებისა და დამატებით ვადის დანიშვნის გარეშე, რაც დადასტურებულია საქმეში წარმოდგენილი ინსპექტირების ჯგუფის ხელმძღვანელის 2007 წლის 16 აპრილის წერილით. ამასთან, კასატორი სადავოდ ხდიდა სარჩელის განსჯადობას და თვლიდა, რომ საქმე განხილული იყო არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული განჩინების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ სპს «...» საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 16 თებერვლის განჩინება და საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების გაცნობისა და გასაჩივრებული განჩინების შემოწმების შედეგად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გასაჩივრებული განჩინება მიღებულია განსჯადობის წესების დარღვევით, კერძოდ, ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას არ გამოუკვლევიდა და არ შეუმოწმებია, განსახილველი დავა მიეკუთვნება თუ არა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით განსახილველ საქმეს, რის შედეგადაც სააპელაციო სასამართლოს მხრიდან დარღვეულია დავის გადაწყვეტის საპროცესო წესი, რაც წარმოადგენს გასაჩივრებული განჩინების გაუქმების საკმარის საფუძველს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე.

საკასაციო სასამართლო არსებითად მიიჩნევს კანონის ზემოაღნიშნული მოთხოვნის დაცვას, რათა გამოირიცხოს საქმის განსხვავებულ პრინციპებზე აგებული სამართალწარმოების წესით განხილვა. განსჯადობის წესის დაცვით დავის სწორად გადაწყვეტისათვის საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს თავად სადავო სამართალური თეორიის ხასიათის განსაზღვრას. ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ ნორმათა ანალიზს, რომელიც იძლევა ადმინისტრაციული ხელშეკრულების სამოქალაქო ხელშეკრულებისაგან გამიჯვნის შესაძლებლობას.

კანონმდებლობაში შეტანილი ცვლილება-დამატებების შედეგად, შემოღებულ იქნა ადმინისტრაციული ხელშეკრულების ცნება განსხვავებით მანამდე არსებული ადმინისტრაციული გარიგებისაგან. კერძოდ, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65-ე მუხლის საფუძველზე განისაზღვრა, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, კონკრეტული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობა, რომლის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის გზით მოწესრიგების უფლებამოსილება მას კანონით აქვს მინიჭებული, მოაწესრიგოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების გზით. ამასთან, ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას გამოიყენებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ დამატებით მოთხოვნებს.

როგორც ზემოაღნიშნული ნორმის შინაარსი ცხადყოფს, ადმინისტრაციული ორგანო ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებისას არ სარგებლობს კერძო პირებისათვის დამახასიათებელი ნების ავტონომიის უფლებებით, ვინაიდან ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადებას განაპირობებს მის მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელება.

ადმინისტრაციული ხელშეკრულების ერთ-ერთი მახასიათებელი არის ის, რომ ხელშეკრულების დადების შედეგად შესაბამისი პირი აღიჭურვება საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით, მაშინ, როდესაც სამოქალაქო ხელშეკრულების დადებისას მხარეები გვევლინებიან წმინდა სამოქალაქო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობის მატარებლებად.

წინამდებარე შემთხვევაში, როგორც საქმის მასალებიდან იკვეთება, დავის საგანს წარმოადგენს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და სპს «...» შორის დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებითი ურთიერთობა. ხელშეკრულების საფუძველზე კერძო სამართლის იურიდიულმა პირმა –სპს «...» იკისრა ვალდებულება, შესაბამისი საფასურის სანაცვლოდ განეხორციელებინა მომსახურება, კერძოდ, სპს «...» სოფლის მეურნეობის სამინისტროსათვის ხელვაჩაურის რაიონში უნდა გაეწია პერპექტიული ჩაის პლანტაციის მიმედ გასხვლის მომსახურება. სოფლის მეურნეობის სამინისტრო სასარჩელო განცხადებით მოპასუხის მიერ ხელშეკრულებით დადგენილი გრაფიკით გათვალისწინებული ვადის გადაცილებისთვის, მომსახურების დაგვიანებით შესრულებისათვის, 2005 წლის 23 ივნისის '61 ხელშეკრულების სპეციფიკური პირობების მე-3 პუნქტისა და სამოქალაქო კოდექსის ნორმების საფუძველზე, ითხოვს მოპასუხისათვის ზიანისა და ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე, შეუსრულებელი მომსახურების ღირებულების 0.1%-ის ოდენობით პირგასამტეხლოს თანხის დაკისრებას.

მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო, ამ შემთხვევაში ხელშეკრულების მონაწილე მხარეები არ არიან აღჭურვილი საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით და სარგებლობენ სამოქალაქო ხელშეკრულებისათვის მახასიათებელი ნების ავტონომიურობის პრინციპით, სასარჩელო მოთხოვნას საფუძველად უდევს სამოქალაქო კოდექსის მუხლები, სადავო სამართალურთიერთობების ხასიათიდან გამომდინარე სავსებით ცხადია, რომ სადავო სამართალურთიერთობები კერძო-სამართლებრივი კანონმდებლობის საფუძველზე უნდა გადაწყდეს. ამდენად, სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, რაც სასკ-ის 2.3 მუხლის თანახმად საქმის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი მიკუთვნების სავალდებულო პირობას წარმოადგენს. სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს ხელშეკრულებიდან, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ კერძო-სამართლებრივ ხელშეკრულებათა რიცხვს განეკუთვნება, შესაბამისად მის შესრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა, სსკ-ის მე-11 მუხლის საფუძველზე, განსახილველად ექვემდებარება სამოქალაქო საქმეთა პალატას.

საკასაციო სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს ზემოაღნიშნული პრინციპის დაცვას და თვლის, რომ განსჯადობის აღრევა იწვევს საქმის განხილვას განსხვავებულ პრინციპებზე აგებული სამართალწარმოების წესით, რაც, თავის მხრივ, ასახვას ჰპოვებს მხარეთა უფლებებზე.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არაგანსჯადი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად და ექვემდებარება გაუქმებას, რის გამოც საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს გასაჩივრებელი განჩინების გაუქმებას და საქმის, შემდგომი განხილვის მიზნით, განსჯადი სასამართლოსათვის დაექვემდებარებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სპს «...» საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 16 თებერვლის განჩინება და საქმე განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;
3. სახელმწიფო ბაჟის გადანაწილების საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო განსჯადობა

განჩინება

18ს-959-932(გ-10)

6 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
ნ. ქადაგიძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, ზეპირი განხილვის გარეშე, განიხილა შპს «...» სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შორის წარმოშობილი დავა.

აღწერილობითი ნაწილი:

შპს «...» 06.07.09წ. გადახდის ბრძანების მიღების შესახებ განცხადებით მიმართა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას მოპასუხე საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მიმართ. შპს «...» მოითხოვდა მის სასარგებლოდ მოპასუხისათვის 117862.25 ლარის დაკისრებას. მოსარჩელის მოთხოვნა გამომდინარეობდა შპს «...» და საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს (ყოფილი საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტი) შორის 02.08.04წ. 109/267, 17.03.06წ. 109/173, 16.03.07წ. 1243, 26.02.07წ. 1206, 17.02.07წ. 1178, 13.02.07წ. 1164, 15.01.07წ. 167 და 09.01.07წ. 150 ხელშეკრულებიდან. მოსარჩელემ აღნიშნა, რომ სამინისტრომ, რომელსაც ევალებოდა ხელშეკრულებებით გათვალისწინებული მედიკამენტების ღირებულების გადახდა ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადებში, არ შეასრულა ვალდებულება, კერძოდ, სრულად არ გადაიხდა მიწოდებული მედიკამენტების ღირებულება, რის შედეგადაც მოპასუხეს შპს «...» მიმართ დაუგროვდა დავალიანება, ჯამში – 117862,25 ლარი. აღნიშნული დავალიანება დასტურდება მხარეთა შორის 03.01.06წ. გაფორმებული 11 შედარების აქტითა და სასაქონლო ზედნადებებით. შპს «...» განცხადებით ასევე მოით-

ხოვა სახელმწიფო ბაჟის – **3535.87** ლარისა და საქმის მასალების მომზადების ხარჯების – **500** ლარის სამინისტრო-სათვის დაკისრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ **28.07.09წ.** გასცა გადახდის ბრძანება, რომ-ლითაც საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს შპს «...» სასარგებლოდ დაეკისრა **117862.25** ლარისა და სახელმწიფო ბაჟის – **3535.87** ლარის ანაზღაურება; შპს «...» უარი ეთქვა საქმის მასალების მომზადების ხარჯების – **500** ლარის სამინისტროსათვის დაკისრებაზე.

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრომ არ ცნო თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ **28.07.09წ.** შპს «...» სახელზე გაცემუ-ლი გადახდის ბრძანება და აღნიშნულთან დაკავშირებით წარადგინა შესაგებელი, რომლითაც მოითხოვა გადახ-დის ბრძანების გაუქმება და დავალიანების გადახდევინების შესახებ აღძრული მოთხოვნის სასარჩელო წარმოების საერთო წესით განხილვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის **31.08.09წ.** განჩინებით გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის **28.07.09წ.** გადახდის ბრძანება; მოპასუხის მიერ შესაგებ-ლის წარმოდგენის გამო, შპს «...» მიერ დავალიანების გადახდევინების შესახებ აღძრული მოთხოვნა განხილული და გადაწყვეტილი უნდა ყოფილიყო სასარჩელო წარმოების საერთო წესით.

შპს «...» **15.09.09წ.** თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში წარადგინა განცხადე-ბა, რომლითაც მოპასუხეებად განსაზღვრა საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტრო, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარე-ბის საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტი, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ეკო-ნომიკური დეპარტამენტი და საქართველოს იუსტიციის სამინისტრო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის **23.10.09წ.** საოქმო განჩინებით მოსარჩელე შპს «...» შუამდგომლობა სარჩელის გამოხმობის შესახებ დაკმაყოფილდა: შპს «...» სარჩელი მოპასუხე საქართვე-ლოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს მიმართ დავალია-ნების გადახდევინების თაობაზე დარჩა განუხილველი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის **14.06.2010წ.** საოქმო განჩინებით საქმეში მესამე პირად ჩაება საქართველოს ფინანსთა სამინისტრო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის **19.11.09წ.** განჩინებით შპს «...» სარჩელი მოპასუხეების საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიმართ დავა-ლიანების დაკისრების თაობაზე განსახილველად განსჯადობით გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას. განჩინებაში სასამართლომ მიუთითა, რომ ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული სამოქალაქო-სამართლებრივი გარიგების ადმინისტრაციულ ხელშეკრულებად მიჩნევისათვის განსაზღვრულია მისი მიზანი. შპს «...» შეძენილი მედიკამენტები განკუთვნილი იყო სასჯელაღსრულების დაწე-სებულებებისათვის. საქართველოს იუსტიციის მინისტრის **06.12.06წ.** **1464** ბრძანებით დამტკიცებული საქართვე-ლოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დებულების მე-3 მუხლის პირველი პუნ-ქტის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, დეპარტამენტის ძირითად ამოცანებს განეკუთვნება მსჯავრდებულთათვის დადგენილი საყოფაცხოვრებო, კომუნალური, სანიტარულ-ჰიგიენური, სამედიცინო და სხვა პირობების უზრუნ-ველყოფა. სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღ-სრულების დეპარტამენტის დებულების მე-3 მუხლის 1-ელი ნაწილის «ე» ქვეპუნქტით, მსჯავრდებულთათვის დადგენილი სამედიცინო უზრუნველყოფა კვლავაც დეპარტამენტის ძირითად ამოცანებს განეკუთვნება. აღნიშნუ-ლიდან გამომდინარე, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მითითებით, აშკარად იკვეთება აღნიშნული ხელშეკრულებების საჯარო სამართლებრივი მიზანი, რის გამოც დავა განხილულ უნდა იქ-ნეს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის **29.06.2010წ.** საოქმო განჩინებით შპს «...» სარჩელი მოპასუხეების საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიმართ, მესამე პირი საქართველოს ფინანსთა სამინისტრო, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრუ-ლებლობისათვის თანხის დაკისრების თაობაზე განსჯადობის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენა-ეს სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას. ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მითითებით, მართა-ლია, საქართველოს იუსტიციის სამინისტრო და სასჯელაღსრულების დეპარტამენტი სზაკ-ის მე-2 მუხლის პირ-ველი ნაწილის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოებია, თუმცა მხოლოდ აღნიშნული გარემო-ება არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს დავის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვის საფუძველად. სასამართლომ მიუთითა, რომ სასკ-ის მე-2 მუხლის 1-ელი ნაწილის მიხედვით, ადმინისტრაციული სამართალ-წარმოებით საქმის განხილვის ძირითადი კრიტერიუმია დავის საგანი, რომელიც წარმოშობილია იმ სამართა-ლურთიერთობებიდან, რომელიც გამომდინარეობს საჯარო, კერძოდ, ადმინისტრაციული სამართლის კანონ-მდებლობიდან. მოცემულ შემთხვევაში, დავის საგანს წარმოადგენს, ერთი მხრივ «...» და მეორე მხრივ, საქართვე-ლოს იუსტიციის სამინისტროსა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტს შორის დადებული ხელშეკრულებები-დან გამომდინარე ვალდებულებითი ურთიერთობა. ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, დადოს რო-გორც ადმინისტრაციული, ისე კერძო-სამართლებრივი ხასიათის ხელშეკრულება და ყოველ კონკრეტულ შემ-თხვევაში ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული ხელშეკრულების სამართლებრივი ხასიათის განმსაზ-ღვრელ ძირითად ელემენტს წარმოადგენს როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილე-ბის განხორციელების მიზანი, ისე სამართლებრივ ურთიერთობაში მისი, როგორც სუბიექტის, სამართლებრივი სტატუსი. სზაკ-ის **65¹.1** მუხლი განსაზღვრავს, რომ კერძო სამართლებრივ ურთიერთობებში ადმინისტრაციული

ორგანო მოქმედებს როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტი და ამ პირობებში მასზე არ ვრცელდება სზაკ-ით გათვალისწინებული მოთხოვნები. მოცემულ შემთხვევაში, მიუხედავად იმისა, რომ ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანო, ხელშეკრულების მხარეები არ არიან აღჭურვილი საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით. შესაბამისად, აღნიშნული ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ სამოქალაქო ხელშეკრულებას, რომლის შესრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა სსკ-ის მე-11 მუხლის საფუძველზე განსახილველად ექვემდებარება სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ სარჩელი საგნობრივი განსჯადობის გათვალისწინებით არ წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განსჯადს და შპს «...» სარჩელი მოპასუხეების – საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიმართ, საქმის მასალებთან ერთად განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, დავის საგნობრივი განსჯადობის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და იმავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებების გაცნობის, საქმის მასალების შესწავლის შედეგად თვლის, რომ საქმე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული და შესაბამისად განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საკანონმდებლო ნოვაციის შედეგად, ადმინისტრაციული ხელშეკრულების დეფინიციის შემოღებით, ერთმანეთისგან გაიმიჯნა საჯარო-სამართლებრივი და კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულება, რომლის პრაქტიკული მნიშვნელობა ვლინდება ამ ხელშეკრულებებიდან წარმოშობილი დავების სამართალწარმოების წესის დადგენაში. კერძო-სამართლებრივი დავები განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, ხოლო საჯარო-სამართლებრივი დავების განხილვა ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით მიმდინარეობს. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში, განსჯადობის დავის გადაწყვეტისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება შპს «...» და ადმინისტრაციულ ორგანოსთან გაფორმებული ხელშეკრულებების სამართლებრივ ბუნებას.

სახელმწიფოს, ადმინისტრაციული ორგანოების მეშვეობით, აქვს შესაძლებლობა, გამოიყენოს საქმიანობის კერძო-სამართლებრივი ფორმები და შესაბამისად დადოს კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულებები. სსკ-ის 25¹ მუხლის მე-2 ნაწილის, სზაკ-ის 65¹ მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებული კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასა და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება. ის გარემოება, რომ საქართველოს იუსტიციის მინისტრის 06.12.2001წ. 1464 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დებულების მე-3 მუხლის 1-ელი ნაწილის «დ» ქვეპუნქტის თანახმად, დეპარტამენტის ძირითად ამოცანებს განეკუთვნება მსჯავრდებულთათვის დადგენილი საყოფაცხოვრებო, კომუნალური, სანიტარულ-ჰიგიენური, სამედიცინო და სხვა პირობების უზრუნველყოფა, აგრეთვე, საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიულ საკითხთა დახმარების სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დებულების მე-3 მუხლის 1-ელი ნაწილის «ე» ქვეპუნქტით, მსჯავრდებულთათვის დადგენილი სამედიცინო უზრუნველყოფა კვლავაც დეპარტამენტის ძირითად ამოცანებს განეკუთვნება, საკასაციო პალატის აზრით, არ ცვლის მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებების კერძო-სამართლებრივ ბუნებას, ვინაიდან სადავო ურთიერთობის მონაწილეები არიან არა ადმინისტრაცია და მსჯავრდებული, არამედ – ფარმაცევტული ფირმა და ადმინისტრაციული ორგანო. უკანასკნელის მონაწილეობა სამართალურთიერთობაში არ ცვლის მის ბუნებას; ხელშეკრულება არ აღჭურავს მის მონაწილე მხარეებს საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით; ადმინისტრაციულ ორგანოს არ გააჩნია სახელისუფლებო უფლებამოსილება ხელშეკრულების მეორე მხარის მიმართ; ხელშეკრულების მხარეთა შორის არ არსებობს ვერტიკალური, საჯაროსამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც ადმინისტრაციული ხელშეკრულებით მოწესრიგდებოდა; ხელშეკრულების დადებით კონტრაპენტი არ აღჭურვილა საჯაროსამართლებრივი უფლებამოსილებით.

საქმის მასალებით დასტურდება, რომ შპს «...» მოპასუხეებთან გააფორმა ნასყიდობის ხელშეკრულებები, რომელთა საფუძველზეც შპს «...» იკისრა ვალდებულება, შესაბამისი საფასურის სანაცვლოდ, მიეწოდებინა მედიკამენტები მოპასუხეთათვის. შპს «...» ითხოვს მოპასუხეების მიერ, აღნიშნული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე, ნაკისრი ვალდებულების შესრულებას, კერძოდ, მედიკამენტების დარჩენილი საფასურის – 117862,25 ლარის ანაზღაურებას. ამდენად, განსახილველ შემთხვევაში, დავის საგანს წარმოადგენს მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებებიდან გამომდინარე ვალდებულებითი ურთიერთობა. სზაკ-ის მე-2 მუხლის «ზ» ქვეპუნქტი შეიცავს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დეფინიციას, რომლის მიხედვითაც ადმინისტრაციული ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებულ სამოქალაქო-სამართლებრივ ხელშეკრულებას. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების გარკვევის შესაძლებლობას იძლევა ხელშეკრულების საგნის და მიზნის ანალიზი. საგნობრივი განსჯადობის დადგენისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების ან განსაზღვრული მოთხოვნების სამართლებრივი ბუნების დადგენას. ხელშეკრულების ადმინისტრაციულად მიჩნევისათვის უპირველეს, თუმცა არასაკმარის, პირობას წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ხელშეკრულების მხარედ გამოსვლა. საჯარო-სამართლებრივი და კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯვნისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არა ხელშეკრულების მონაწილეთა სტატუსს, არამედ ხელშეკრულების დადების შედეგად წარმოშობილი უფლება-მოვალეობების შინაარსს და ხელშეკრულების მიზანს, რომელიც მისი შინაარსიდან დგინ-

დება. მხარეთა შორის ხელშეკრულებები დაიდო მედიკამენტების შესყიდვის მიზნით, ადმინისტრაციული ორგანოს მოტივი – ხელშეკრულების დადება მსჯავრდებულთა მედიკამენტებით უზრუნველყოფა და შესაბამისად ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულების შესრულება, არ განაპირობებს ხელშეკრულების ადმინისტრაციულად მიჩნევას. ადმინისტრაციულია ხელშეკრულება მაშინ, როდესაც ის ადმინისტრაციული სამართლის ნორმების შესრულებას ემსახურება და ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემას ან სხვა მმართველობით ღონისძიების განხორციელებას ითვალისწინებს. ამგვარად, ხელშეკრულების საგნის სპეციფიურობის გათვალისწინებით, ადმინისტრაციულია ხელშეკრულება, თუ იგი დადებულია ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე, შეიცავს ვალდებულებას ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ან სხვა საჯარო მოქმედების შესრულების შესახებ, კანონმდებლობის საფუძველზე აწესრიგებს კერძო პირთა საჯარო-სამართლებრივ უფლებებსა და ვალდებულებებს.

მოცემულ შემთხვევაში, იმის მიუხედავად რომ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე ადმინისტრაციული ორგანოა, ხელშეკრულება არ აღჭურავს მხარეს საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით. მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება არ შეიცავს ადმინისტრაციული ორგანოსათვის ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ან სხვა მმართველობითი ღონისძიების განხორციელების ვალდებულებას. ხელშეკრულების მხარეთა შორის არ არსებობს საჯარო-სამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც მოწესრიგებოდა ადმინისტრაციული ხელშეკრულებით. შპს «...» მოთხოვნას საფუძველად უდევს სამოქალაქო კანონმდებლობა, განსახილველი დავის საგანი დაკავშირებულია იმ სამართალურთიერთობასთან, რომელიც სამოქალაქო სამართლის ნორმებიდან გამომდინარეობს. ამასთან, სამოქალაქო კოდექსის 24.4 მუხლის თანახმად, სახელმწიფო უფლებამოსილებების განხორციელებელი ორგანოები სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობებში მონაწილეობენ ისევე, როგორც კერძო სამართლის იურიდიული პირები. ამდენად, სადავო სამართალურთიერთობის ხასიათიდან გამომდინარე, ცხადია, რომ დავა კერძო-სამართლებრივი კანონმდებლობის საფუძველზე უნდა გადაწყდეს. სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, რაც სასკ-ის 2.3 მუხლის თანახმად, საქმის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი მიკუთვნების სავალდებულო პირობას წარმოადგენს. სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს ხელშეკრულებიდან, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ კერძო-სამართლებრივ ხელშეკრულებათა რიცხვს განეკუთვნება, სასკ-ის 25' მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასა და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განიხილება. შესაბამისად, მის შესრულებასთან დაკავშირებული დავა, სასკ-ის მე-11 მუხლის საფუძველზე სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადია და სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული.

საქართველოს კონსტიტუციის 42.2 მუხლის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლოში, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე. სასკ-ის 26-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. შესაბამისად, შპს «...» სასარჩელო მოთხოვნა, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულებების სამართლებრივი ბუნებიდან გამომდინარე, ზემოაღნიშნულის თანახმად, უნდა განიხილოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11, 390-ე, 399-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს «...» სარჩელი მოპასუხე საქართველოს იუსტიციის სამინისტროსა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის მიმართ განსჯადობით დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო განსჯადობა

განჩინება

18ს-859-833 (კ-10)

27 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. სხირტლაძე,

ლ. მურუსიძე

დავის საგანი: ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 14 აგვისტოს 117.13.598 და 2007 წლის 24 სექტემბრის 130.01.654 დადგენილებების ნაწილობრივ ბათილად ცნობა

აღწერილობითი ნაწილი:

2007 წლის 14 ნოემბერს მ. კ-მემ, მ. მ-მემ და ე. ჩ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე ქ. თბილისის მთავრობის მიმართ სამუშაოზე აღდგენის თაობაზე.

მოსარჩელები სასარჩელო განცხადებით ითხოვდნენ ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 14 აგვისტოს 117.13.598 დადგენილების ნაწილობრივ, კერძოდ, ... დაწესებულებების დირექტორთა შესარჩევი კონკურსის გამოცხადების ნაწილში, ბათილად ცნობას მისი სამართლებრივი შედეგებით, ძალაში შესვლის დღიდან.

2007 წლის 28 დეკემბერს მ. კ-მემ, მ. მ-მემ, ე. ჩ-შვილმა კვლავ სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხე ქ. თბილისის მთავრობის მიმართ, რომლითაც მოითხოვეს ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 24 სექტემბრის 120.01.654 დადგენილების 1...-ე, 1...-ე და 1...-ე ბაგა-ბაღების დირექტორების გათავისუფლების ნაწილში ბათილად ცნობა, მისგან გამომდინარე სამართლებრივი შედეგებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 17 იანვრის განჩინებით ზემოაღნიშნული სასარჩელო განცხადებები გაერთიანდა ერთ წარმოებად, ხოლო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 31 იანვრის განჩინებით ზემოაღნიშნული სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაეცა უფლებამოსილ – თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 24 ივლისის სასამართლო სხდომაზე მოსარჩელებმა გაზარდეს სასარჩელო მოთხოვნა და დამატებით მოითხოვეს იძულებითი განაცდურის ანაზღაურება 2008 წლის 31 ივლისიდან მთელი პერიოდის განმავლობაში. 2008 წლის 31 ივლისის გამართულ სასამართლოს სხდომაზე კი მოსარჩელებმა მოითხოვეს სარჩელის თავდაპირველი მოთხოვნის ფარგლებში დაკმაყოფილება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილებით მ. კ-მის, მ. მ-მისა და ე. ჩ-შვილის სასარჩელო განცხადება დაკმაყოფილდა: ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 14 აგვისტოს 117.13.598 დადგენილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ქ. თბილისის 1..., 1... და 1... ბაგა-ბაღების დირექტორების კონკურსის გამოცხადების ნაწილში; ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 24 სექტემბრის 120.01.654 დადგენილება არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ქ. თბილისის 1..., 1... და 1... ბაგა-ბაღების დირექტორებთან – მ. კ-მესთან, მ. მ-მესთან და ე. ჩ-შვილთან შრომითი ხელშეკრულების შეწყვეტის ნაწილში; აღდგენილ იქნა პირვანდელი მდგომარეობა და მ. კ-მეს, მ. მ-მეს, ე. ჩ-შვილს გაუგრძელდა შრომითი ურთიერთობა არასამეწარმეო იურიდიული პირების ქ. თბილისის 1..., 1... და 1... ბაგა-ბაღებში, ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 4 აგვისტოს 116.139.572, 116.134.568 და 116.148.581 დადგენილებების საფუძველზე.

ზემოაღნიშნული გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გაასაჩივრა ქ. თბილისის მერიამ.

აპელანტი სააპელაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მოსარჩელებისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილებით ქ. თბილისის მერიის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მ. კ-მის, მ. მ-მისა და ე. ჩ-შვილის სასარჩელო განცხადება არ დაკმაყოფილდა.

მითითებული გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრა მ. კ-მემ.

კასატორი საკასაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილების მ. კ-მის სარჩელის არ დაკმაყოფილების ნაწილში გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო განცხადების დაკმაყოფილებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2009 წლის 16 ოქტომბრის განჩინებით მ. კ-მის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: გაუქმდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2008 წლის 18 დეკემბრის გადაწყვეტილება მ. კ-მის სარჩელის არ დაკმაყოფილების ნაწილში და საქმე განსახილველად დაუბრუნდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ მ. კ-მის სარჩელი განეკუთვნება ადმინისტრაციულ და არა სამოქალაქო სამართალწარმოებით განსახილველ საქმეს და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლზე მითითებით, განმარტა, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, ქალაქ თბილისის მთავრობა გასაჩივრებული დადგენილებების მიღებისას მოქმედებდა «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის, «საქართველოს დედაქალაქის-თბილისის შესახებ» საქართველოს კანონის 231 მუხლის «ე» და «ვ» ქვეპუნქტებით, თბილისის მერიის დებულების მე-14 მუხლის «ე» და «ვ» ქვეპუნქტებით, «ზოგადი განათლების შესახებ» საქართველოს კანონის 30-ე მუხლის «კ» ქვეპუნქტით და საქართველოს მთავრობის 1126 დადგენილებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში. აღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ გასაჩივრებული დადგენილებების – სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში დირექტორთა შესარჩევი კონკურსის დანიშვნისა და მათი განთავისუფლების თაობაზე კანონიერების შემოწმებისას სასამართლომ უნდა დაადგინოს მათი ადმინისტრაციული კანონმდებლობასთან შესაბამისობა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილებით თბილისის მერიის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ: გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 31 ივლისის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც მ. კ-ძის სარჩელი დაკმაყოფილდა და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება, რომლითაც მ. კ-ძის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები წარმოადგენენ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 2.1 «დ» მუხლით რეგლამენტირებულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს და მათზე ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით განსაზღვრული მოთხოვნები. ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსაზრებით, განსახილველ შემთხვევაში ქ. თბილისის მთავრობის მიერ 2007 წლის 14 აგვისტოს 117.13.598 დადგენილება ... დაწესებულებებში დირექტორების თანამდებობებზე კონკურსის გამოცხადების თაობაზე, მათ შორის, მოსარჩელის მიერ უკვე დაკავებულ თანამდებობებზე და ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 24 სექტემბრის 120.01.654 დადგენილება კონკურსის შედეგად თბილისის მთავრობის 2007 წლის 4 აგვისტოს 116.148.581 დადგენილებაში შეტანილი ცვლილებით არასამეწარმეო იურიდიული პირების ქ. თბილისის 1... .. დირექტორების თანამდებობაზე მოსარჩელის თანამდებობიდან გათავისუფლებისა და მის ნაცვლად გამარჯვებული პირის დანიშვნის შესახებ გადაწყვეტილებები იმ ფორმით, რაც წარმოდგენილია საქმის მასალებში, მიღებულ იქნა ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში, სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას არ მომხდარა კანონის ისეთი დარღვევა, რომლის არსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე მიღებული იქნებოდა სხვაგვარი გადაწყვეტილება, შესაბამისად, ადმინისტრაციულ საქმეთა პალატამ მიიჩნია, რომ არ არსებობს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-60¹ მუხლით განსაზღვრული გასაჩივრებელი ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები.

მითითებული განჩინება საკასაციო წესით გასაჩივრა მ. კ-ძემ.

საკასაციო საჩივარში აღნიშნულია, რომ სასამართლომ არ გამოიყენა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-6, მე-7 და 53-ე მუხლები და საქართველოს შრომის კოდექსის 36-ე მუხლი. კასატორი მიუთითებს, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას დაირღვა ზემოაღნიშნული ნორმები, ვინაიდან მ. კ-ძესთან შრომითი ხელშეკრულების მოშლა განხორციელდა მისი შევებულებაში ყოფნის პერიოდში, რაც პირდაპირ ეწინააღმდეგება კანონს და წარმოადგენს მისი ბათილად ცნობის საფუძველს. კასატორი მიუთითებს, რომ თბილისის მერიამ ყოველგვარი არგუმენტის, დასაბუთების გარეშე და კანონის გვერდის ავლით განახორციელა დისკრეციული უფლებამოსილება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კასატორი საკასაციო საჩივრით ითხოვდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილების გაუქმებასა და ახალი გადაწყვეტილებით მისი სასარჩელო განცხადების დაკმაყოფილებას.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 1 ივლისის განჩინებით ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული მ. კ-ძის საკასაციო საჩივარი.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. კ-ძის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საქმის მასალების გაცნობისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების შემოწმების შედეგად, საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება მიღებულია განსჯადობის წესების დარღვევით, კერძოდ, თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას არ გამოუკვლევიდა და არ შეუმოწმებია, განსახილველი დავა მიეკუთვნება თუ არა ადმინისტრაციული სამართალწარმოებით განსახილველ საქმეს, რის შედეგადაც სააპელაციო სასამართლოს მხრიდან დარღვეულია დავის გადაწყვეტის საპროცესო წესი, რაც წარმოადგენს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საკმარის საფუძველს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე.

საკასაციო სასამართლო არსებითად მიიჩნევს კანონის ზემოაღნიშნული მოთხოვნის დაცვას, რათა გამოირიგებოს საქმის განსხვავებულ პრინციპებზე აგებული სამართალწარმოების წესით განხილვა.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საერთო სასამართლოები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილავენ საქმეებს იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 14 აგვისტოს 117.13.59 დადგენილება, რომლითაც არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის, კერძოდ, 1... .. ბაგა-ბაღების დირექტორის თანამდებობაზე გამოცხადდა კონკურსი და იმავე ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 24 სექტემბრის 120.01.654 დადგენილება, რომლითაც მოსარჩელეს შეუწყდა შრომითი ხელშეკრულება და მის ადგილზე დაინიშნა სხვა პირი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ზემოაღნიშნული დადგენილებები არ წარმოადგენენ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს და შესაბამისად, დავა თავისი შინაარსით არ ატარებს ადმინისტრაციულ სამართლებრივ ხასიათს.

განსახილველი სადავო სამართალურთიერთობის ერთ-ერთი მხარე, მოპასუხე – ქ. თბილისის მთავრობა უდავოდ წარმოადგენს ადმინისტრაციულ ორგანოს, მაგრამ, როგორც არაერთხელ აღინიშნა ადმინისტრაციული პალატის მიერ, დავაში ადმინისტრაციული ორგანოს მონაწილეობა დავას თავისთავად ვერ აქცევს ადმინისტრაციული სასამართლოს ქვემდებარედ. სამართალსუბიექტურობასთან ერთად სავალდებულოა, რომ დავა გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მიღებული აქტი ემყარებოდეს ამ უკანასკნელს და თავისი შინაარსით პასუხობდეს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტისათვის დადგენილ მოთხოვნებს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის «დ» ქვეპუნქტის შესაბამისად, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მხოლოდ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალურ სამართლებრივი აქტი. ამდენად, წინამდებარე შემთხვევაში მნიშვნელოვანია განისაზღვროს, ქ. თბილისის მთავრობის მიერ გამოცემული აქტები ემყარება და გამომდინარეობს თუ არა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან. ერთ შემთხვევაში ქ. თბილისის მთავრობის დადგენილებით გამოცხადდა კონკურსი კერძო სამართლის იურიდიული პირის დირექტორის თანამდებობის დასაკავებლად, ხოლო მეორე შემთხვევაში მითითებულმა იურიდიულმა პირებმა არსებულ დირექტორებთან შრომითი ურთიერთობა შეწყვიტეს და ახალი დირექტორები დანიშნეს.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24.5 მუხლის შესაბამისად, იურიდიული პირი, რომლის მიზანია სამეწარმეო (კომერციული) საქმიანობა, აგრეთვე მისი ფილიალი უნდა შეიქმნას «მეწარმეთა შესახებ» საქართველოს კანონის შესაბამისად, ხოლო ამავე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, იურიდიული პირი, რომლის მიზანია არასამეწარმეო საქმიანობა, უნდა დარეგისტრირდეს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით.

უდავოა, რომ ბაგა-ბაღები ჩამოყალიბდა არასამეწარმეო იურიდიულ პირებად, რომლის დამფუძნებელსაც წინამდებარე შემთხვევაში წარმოადგენს ქ. თბილისის მთავრობა. ამდენად არსებულ პირობებში ქ. თბილისის მთავრობა საკუთარ უფლებამოსილებას ახორციელებს როგორც დამფუძნებელი, რომელსაც წესდებით მინიჭებული აქვს უფლება, დანიშნოს არასამეწარმეო იურიდიული პირის დირექტორი.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, სადავო აქტებში მითითება იმის თაობაზე, რომ ქ. თბილისის მთავრობა გასაჩივრებული დადგენილებების მიღებისას მოქმედებდა «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტით, «საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ» საქართველოს კანონის 23¹ მუხლის «ზ» და «ვ» ქვეპუნქტებით, თბილისის მერიის დებულებით, «ზოგადი განათლების შესახებ» საქართველოს კანონის 30-ე მუხლის «კ¹» ქვეპუნქტით და საქართველოს მთავრობის 1126 დადგენილებით, ვერ იმოქმედებს განსახილველი დავის საგნობრივ განსჯადობაზე, ვინაიდან ყველა ზემოაღნიშნულ ნორმაში საუბარია თვითმმართველი ერთეულისათვის მინიჭებულ უფლებაზე შექმნას ... და ... სააღმზრდელო დაწესებულებები არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფორმით და დამატკიცოს მათი წესდებები.

ამდენად, ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავს თვითმმართველი ერთეულის შესაძლებლობას, შექმნას სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირები, მიიღოს არსებული ... დაწესებულებების ქონება, მოახდინოს მათი ლიკვიდაცია თუ რეორგანიზაცია. აღნიშნული, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, თავისთავად არ ნიშნავს იმას, რომ ყველა ის აქტი, რომელიც მიღებული იქნება თვითმმართველი ორგანოს, როგორც დამფუძნებლის და მის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირს შორის წესდებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად ან მათ შორის ურთიერთობის დასარეგულირებლად, წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს.

საქართველოში საჯარო სამსახურის ორგანიზების სამართლებრივ საფუძვლებს, საჯარო სამსახურის განხორციელებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს და საჯარო მოსამსახურის სამართლებრივ მდგომარეობას აწესრიგებს «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონი. მითითებული კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი განსაზღვრავს იმ სახელმწიფო დაწესებულებათა ჩამონათვალს, რომელში სამსახურიც ითვლება საჯარო სამსახურად. ამ ჩამონათვალში არაკომერციული იურიდიული პირები გათვალისწინებული არ არის. ამასთან, მოსარჩელეთა თანამდებობა მითითებული არ არის საქართველოს პრეზიდენტის 21.07.01 წლის 1286 ბრძანებულებით დამტკიცებულ საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრში. მოსარჩელეთა სამსახურებრივი უფლებამოსილება არ უტოლდება საჯარო მოსამსახურის უფლებამოსილებას და არ წესრიგდება «ზოგადი განათლების შესახებ» საქართველოს კანონით. ამდენად, კონკურსი, რომელიც გამოცხადდა ... დირექტორთა თანამდებობის დასაკავებლად, ვერ დაეყრდნობა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 29-ე – 36-ე მუხლებს და არ შეიძლება მოექცეს მითითებული ნორმების რეგულაციებში.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე დავა არ შეეხება ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის კანონიერებას, რის გამოც საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად მოახდინა სადავო დადგენილებების ადმინისტრაციულ კანონმდებლობასთან შესაბამისობის კუთხით განხილვა.

საკასაციო სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს ზემოაღნიშნული განსჯადობის დაცვას და თვლის, რომ განსჯადობის აღრევა იწვევს საქმის განხილვას განსხვავებულ პრინციპებზე აგებული სამართალწარმოების წესით, რაც, თავის მხრივ, ასახვას ჰპოვებს მხარეთა უფლებებზე.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ არაგანსჯადი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება ყოველთვის ჩაითვლება კანონის დარღვევით მიღებულად და ექვემდებარება გაუქმებას, რის გამოც საკასაციო სასამართლო საჭიროდ მიიჩნევს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებას და შემდგომი განხილვის მიზნით, საქმის განსჯადი სასამართლოსათვის დაქვემდებარებას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მ. კ-ძის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2009 წლის 24 დეკემბრის გადაწყვეტილება და საქმე განსახილველად გადაეცეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო განსჯადობა

განჩინება

18ს-946-920(კ-10) 28 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი
საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
პ. სილაგაძე

სარჩელის საგანი: ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 25 იანვარს ნ. ხ-შვილმა, ქ. ჯ-შვილმა, ლ. ღ-ურმა, დ. ვ-ძემ, ლ. კ-ძემ, მ. ჭ-შვილმა, თ. ა-ძე-გ-ძემ, მ. ა-შვილმა, ნ. რ-შვილი-მ-ურმა, ა. ბ-შვილმა, პ. ო-შვილმა, მ. ლ-ძემ, რ. ე-ძე-ჭ-აიამ, თ. ნ-ძემ, მ. ვა-შვილმა, თ. გ-ძემ, ნ. ნ-შვილმა, თ. ა-შვილმა, ქ. კ-აიამ, ა. კ-შვილმა, ლ. ს-ძემ, გ. ქ-შვილმა, ნ. კ-ძემ, ლ. ჟ-ძემ, ხ. მ-ძემ, ტ. კ-შვილმა, ი. ჩ-ავამ, ნ. გ-შვილმა, ნ. ს-ავამ, მ. მ-ძემ, მ. მ-ძემ, დ. თ-ძემ, ნ. თ-ძემ, ლ. რ-ურმა, მ. ღ-ძემ, მ. ფ-იამ, ლ. მ-ძემ და ი. გ-ძემ სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხის – ქ. თბილისის მთავრობის მიმართ.

მოსარჩელეთა განმარტებით, ისინი წლების განმავლობაში მუშაობდნენ ... გამგეობად. ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 4 აგვისტოს დადგენილებით ... დაწესებულებები დაფუძნდა არასამეწარმეო იურიდიული პირის სახით და მოსარჩელები დაინიშნენ ... დაწესებულებათა დირექტორებად. თითოეული მათგანის დანიშვნის შესახებ არსებობდა ქ. თბილისის მთავრობის დადგენილებები, სადაც მითითებული იყო, რომ მოსარჩელებთან უნდა გაფორმებულიყო შრომითი ხელშეკრულებები განსაზღვრული ვადით.

მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ 2007 წლის ზაფხულში, როდესაც იმყოფებოდნენ კუთვნილ შვებულებაში, მათთვის ცნობილი გახდა, რომ გამოცხადდა ... დაწესებულებების დირექტორთა შესარჩევი კონკურსი. მოსარჩელეთა განმარტებით, იმ პერიოდისათვის მათთვის უცნობი იყო, რომელი სამართლებრივი აქტითა და საკონკურსო პირობებით გამოცხადდა აღნიშნული კონკურსი. მათთვის მსგავსი დადგენილება არავის ჩაუბარებია და არც გამოქვეყნებულა.

მოსარჩელეთა მითითებით, საჯაროდ გამოცხადებული ინფორმაცია იყო ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 14 აგვისტოს 117.13.598 დადგენილება. აღნიშნული დადგენილების დანართში კი მითითებული იყო, რომ კონკურსი გამოცხადდა ... დაწესებულებების ვაკანტურ თანამდებობებზე. მოსარჩელეთა განმარტებით, კონკურსის გამოცხადების მომენტისათვის თბილისის ... დაწესებულებათა დირექტორის თანამდებობები ვაკანტური არ ყოფილა. შესაბამისად, აღნიშნული კონკურსის შედეგად, მოხდა მათი სამსახურიდან განთავისუფლება.

მოსარჩელეთა განმარტებით, ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 24 სექტემბრის 120.01.654 დადგენილებით ისინი განთავისუფლდნენ დაკავებული თანამდებობიდან. 2007 წლის დეკემბრამდე კი მათ განთავისუფლების შესახებ დადგენილება არ ჩაბარებიათ.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელებმა ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 14 აგვისტოს 117.13.598 დადგენილებისა და 2007 წლის 24 სექტემბრის 120.01.654 დადგენილების ნაწილობრივ, კერძოდ, მათი სამსახურიდან განთავისუფლების ნაწილში ბათილად ცნობა, სამსახურში აღდგენა და იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურება მოითხოვეს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 31 იანვრის განჩინებით საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 26 იანვრის განჩინებით მ. ვ-შვილს, თ. გ-ძეს, ნ. ნ-შვილს, თ. ა-შვილს, ა. კ-შვილს, ლ. ს-ძეს, გ. ქ-შვილს, ნ. კ-ძეს, ნ. თ-ძეს, მ. ფ-იას, ლ. მ-ძესა და ლ. კ-ძეს უარი ეთქვათ სარჩელის წამოებაში მიღებაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილებით ნ. ხ-შვილის, ლ. ღ-ურის, მ. ჭ-შვილის, თ. ა-ძე-გ-ძის, მ. ა-შვილის, ნ. ჩ-შვილ-მ-ურს, პ. ო-შვილის, მ. ლ-ძის, რ. ე-ძე-ჭ-აიას, თ. ნ-ძის, ლ. ჭ-ძის(ქ-ძის), ხ. მ-ძის, ტ. კ-შვილის, ნ. გ-შვილის, ნ. ს-ავას, მ. მ-ძის, დ. თ-ძის, მ. ღ-ძის, ი. გ-ძის, მ. მ-ძის, ლ. ჩ-ურის, ქ. ჯ-შვილის, ა. ბ-შვილის, ქ. კ-აიას, ი. ჩ-ავასა და დ. ვ-ძის სარჩელი ქ. თბილისის მერიის მიმართ დაკმაყოფილდა ნაწილობრივ; ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 14 აგვისტოს 117.13.598 დადგენილების ის ნაწილი, რომლითაც კონკურსი გამოცხადდა თბილისის ... შემდეგ დაწესებულებებში: 1. 1...; 2. 1...; 3. 1...; 4. 1...; 5. 1...; 6. 1...; 7. 1...; 8. 1...; 9. 1...; 10. 1...; 11. 1...; 12. 1...; 13. 1...; 14. 1...; 15. 1...; 16. 1...; 17. 1...; 18. 1...; 19. 1...; 20. 1...; 21. 1...; 22. 1...; ბათილად იქნა ცნობილი ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 24 სექტემბრის 120.01.654 დადგენილების ის ნაწილები, რომლითაც შრომის ხელშეკრულებები შეუწყდათ შემდეგ პირებს ლ. ღ-ურს, მ. ჭ-შვილს, თ. ა-ძე-გ-ძეს, მ. ა-შვილს, ნ. ჩ-შვილი-მ-ურს, პ. ო-შვილს, მ. ლ-ძეს, რ. ე-ძე-ჭ-აიას, თ. ნ-ძეს, ხ. მ-ძეს, ტ. კ-შვილს, ნ. გ-შვილს, ნ. ს-ავას, მ. მ-ძეს, დ. თ-ძეს, მ. ღ-ძეს, ი. გ-ძეს, მ. მ-ძეს, ლ. ჩ-ურს, ქ. ჯ-შვილს, ქ. კ-აიასა და დ. ვ-ძეს; აღდგენილ იქნა პირვანდელი მდგომარეობა და შრომითი ურთიერთობები გაუგრძელდათ ... დირექტორების თანამდებობებზე შემდეგ პირებს შემდეგ საბავშვო ბაგა-ბაღებში: 1. ლ. ღ-ურს 1...; 2. მ. ჭ-შვილს 1...; 3. თ. ა-ძე-გ-ძეს 1...; 4. მ. ა-შვილს 1...; 5. ნ. ჩ-შვილი-მ-ურს 1...; 6. პ. ო-შვილს 1...; 7. მ. ლ-ძეს 1...; 8. რ. ე-ძე-ჭ-აიას 1...; 9. თ. ნ-ძეს 1...; 10. ხ. მ-ძეს 1...; 11. ტ. კ-შვილს 1...; 12. ნ. გ-შვილს 1...; 13. ნ. ს-ავას 1...; 14. მ. მ-ძეს 1...; 15. დ. თ-ძეს 1...; 16. მ. ღ-ძეს 1...; 17. ი. გ-ძეს 1...; 18. მ. მ-ძეს 1...; 19. ლ. ჩ-ურს 1...; 20. ქ. ჯ-შვილს 1...; 21. ქ. კ-აიას 1...; 22. დ. ვ-ძეს 1...; ზიანის (მოსარჩელეთა განმარტებით «განაცდურის») ანაზღაურების ნაწილში მიღებულ იქნა წინასწარი (შუალედური) გადაწყვეტილება. დადგენილ იქნა ასეთი ზიანის ანაზღაურებისათვის ფაქტობრივი საფუძვლების არსებობა იმ მოსარჩელებისათვის, რომელთა სასარჩელო მოთხოვნები დაკმაყოფილდა; ნ. ხ-შვილს, ლ. ჭ-ძეს (ქ-ძე), ა. ბ-შვილსა და ი. ჩ-ავას უარი ეთქვათ სასარჩელო მოთხოვნათა დაკმაყოფილებაზე, ვინაიდან, მათთან შრომითი ხელშეკრულებები გასაჩივრებული დადგენილების საფუძველზე არ შეწყვეტილა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილებასააპელაციო წესით გაასაჩივრა ქ. თბილისის მერიამ, რომელმაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2009 წლის 2 დეკემბრის განჩინებით საქმე განსჯადობით განსახილველად გადაეცა თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილებით ქ. თბილისის მერიის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა: გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილება მოსარჩელების – ლ. ღ-ურის, მ. ჭ-შვილის, თ. ა-ძე-გ-ძის, მ. ა-შვილის, ნ. ჩ-შვილ-მ-ურს, პ. ო-შვილის, მ. ლ-ძის, რ. ე-ძე-ჭ-აიას, თ. ნ-ძის, ხ. მ-ძის, ტ. კ-შვილის, ნ. გ-შვილის, ნ. ს-ავას, მ. მ-ძის, დ. თ-ძის, მ. ღ-ძის, ი. გ-ძის, მ. მ-ძის, ლ. ჩ-ურის, ქ. ჯ-შვილის, ქ. კ-აიასა და დ. ვ-ძის სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში და ამ ნაწილში მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; მოსარჩელების – ლ. ღ-ურის, მ. ჭ-შვილის, თ. ა-ძე-გ-ძის, მ. ა-შვილის, ნ. ჩ-შვილ-მ-ურს, პ. ო-შვილის, მ. ლ-ძის, რ. ე-ძე-ჭ-აიას, თ. ნ-ძის, ხ. მ-ძის, ტ. კ-შვილის, ნ. გ-შვილის, ნ. ს-ავას, მ. მ-ძის, დ. თ-ძის, მ. ღ-ძის, ი. გ-ძის, მ. მ-ძის, ლ. ჩ-ურის, ქ. ჯ-შვილის, ქ. კ-აიასა და დ. ვ-ძის სარჩელი, მოპასუხის – ქ. თბილისის მერიის მიმართ, არ დაკმაყოფილდა; თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 1 აპრილის გადაწყვეტილება დანარჩენ ნაწილში დარჩა უცვლელი.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 14 აგვისტოს 117.13.598 და ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 24 სექტემბრის 120.01.654 დადგენილებები საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ელი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით განსაზღვრულ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს წარმოადგენს და მათზე ვრცელდებოდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მოთხოვნები.

სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნია, რომ «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტით, «საქართველოს დედაქალაქის თბილისის შესახებ» საქართველოს კანონის 231 მუხლის «ე» და «ვ» ქვეპუნქტებით, თბილისის მერიის დებულების მე-14 მუხლის «ე» და «ვ» ქვეპუნქტებით, «ზოგადი განათლების შესახებ» საქართველოს კანონის 30-ე მუხლის «კ» ქვეპუნქტით და საქართველოს მთავრობის 1126 დადგენილებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 4 აგვისტოს 116.148.581 დადგენილებით დაფუძნდა არასამეწარმეო ..., რომლის დირექტორებად განსაზღვრული ვადით დაინიშნენ მოსარჩელები, თუმცა მათთან შრომითი ხელშეკრულება არ გაფორმებულა. ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 14 აგვისტოს 117.13.598 დადგენილებით ქ. თბილისში, ... დაწესებულებებში დირექტორების კანდიდატების შერჩევის მიზნით, საქართველოს «შრომის კოდექსის» მე-5 მუხლის საფუძველზე, გამოცხადდა კონკურსი ... დაწესებულებებში დირექტორების ვაკანტურ თანამდებობებზე. ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 14 აგვისტოს 117.13.598 დადგენილება გამოქვეყნდა 2007 წლის 14 აგვისტოს გა-

ზეთ «24 საათში» და დამატებითი ინფორმაცია კონკურსის თაობაზე განთავსდა ქ. თბილისის მერიის ვებ-გვერდზე.

სააპელაციო სასამართლომ საქმის მასალებით ასევე დადგენილად მიიჩნია, რომ კონკურსის გამოცხადების დროსათვის მოსარჩელებს ... დაწესებულებებში კვლავ ეკავათ დირექტორების თანამდებობა. ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 24 სექტემბრის 120.01.654 დადგენილების საფუძველზე თბილისის მთავრობის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების – ... დირექტორების თანამდებობებზე, კონკურსის შედეგების შესაბამისად, შერჩეულ პირთა დანიშვნების განხორციელების მიზნით, საქართველოს შრომის კოდექსისა და სამოქალაქო კოდექსის 31-ე მუხლის შესაბამისად, ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 4 აგვისტოს 116.148.581 დადგენილებაში შევიდა ცვლილება, რომლითაც არასამეწარმეო იურიდიული პირების ... დირექტორების თანამდებობაზე მოსარჩელების ნაცვლად დაინიშნენ სხვა პირები, ხოლო მოსარჩელებთან შეწყდა შრომითი ურთიერთობა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტით, «საქართველოს დედაქალაქის თბილისის შესახებ» საქართველოს კანონის 231 მუხლის «ე» და «ვ» ქვეპუნქტებისა და თბილისის მერიის დებულების მე-14 მუხლის «ე» და «ვ» ქვეპუნქტების თანახმად, ქ. თბილისის მთავრობის უფლებამოსილებას მიეკუთვნებოდა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად მთავრობის მონაწილეობით შექმნილი სამეწარმეო, არასამეწარმეო და საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელთა დანიშვნა-განთავისუფლება და მათი საქმიანობის კონტროლი.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის, «საქართველოს დედაქალაქის თბილისის შესახებ» საქართველოს კანონის 231 მუხლის «ე» და «ვ» ქვეპუნქტებისა და თბილისის მერიის დებულების მე-14 მუხლის «ე» და «ვ» ქვეპუნქტების თანახმად, ქ. თბილისის მთავრობას მინიჭებული ჰქონდა ფართო დისკრეციული უფლებამოსილება.

სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 14 აგვისტოს 117.13.598 და 2007 წლის 24 სექტემბრის 120.01.654 დადგენილებები ადმინისტრაციული ორგანოს დისკრეციული უფლებამოსილების ფარგლებში გამოიყენა.

სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების გამოცემისას ადგილი არ ჰქონია კანონის მოთხოვნის ისეთი სახის დარღვევას, რომლის არარსებობის შემთხვევაში მოცემულ საკითხზე სხვაგვარი გადაწყვეტილება იქნებოდა მიღებული, შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ არ არსებობდა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-601 მუხლით განსაზღვრული გასაჩივრებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის, სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების სამართლებრივი საფუძველები.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილება საკასაციო წესით გასაჩივრეს მ. ლ-მემ, დ. ვ-მემ, მ. ლ-მემ, ნ. გ-შვილმა, ნ. ჩ-შვილი-მ-ურმა, თ. ნ-მემ, მ. ჭ-შვილმა, პ. ო-შვილმა, ტ. კ-შვილმა, ნ. ს-ავამ და ქ. კ-აიამ. კასატორებმა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება მოითხოვეს.

კასატორებმა აღნიშნეს, რომ ქ. თბილისის მთავრობამ კანონით მინიჭებული დისკრეციული უფლებამოსილება განახორციელა მთელი რიგი ნორმების დარღვევით, რადგან როგორც ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 14 აგვისტოს 117.13.598 დადგენილებიდან ჩანს, კონკურსი გამოცხადდა იმ ვაკანსიებზე, რომელიც გამოცხადების მომენტში შევსებული იყო და შესაბამისად, ვაკანსია აღნიშნულ თანამდებობებზე რეალურად არ არსებობდა. ამასთან, კასატორები უკვე იმყოფებოდნენ შრომით ურთიერთობაში მოწინააღმდეგე მხარესთან და ისინი კანონიერად ახორციელებდნენ ... დირექტორის ფუნქციებს და არც ერთი ნორმის საფუძველზე არ ითვლებოდნენ სამსახურის მაძიებელ კანდიდატებად.

კასატორთა განმარტებით, გასაჩივრებული დადგენილებების გამოცემისას დაირღვა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-13, 52-ე, 53-ე, 55-ე, 95-ე და 96-ე მუხლის მოთხოვნები, რაც აღნიშნული დადგენილებების ბათილად ცნობის, მათი სამსახურში აღდგენისა და იძულებითი განაცდური ხელფასის ანაზღაურების სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენდა.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 19 ივლისის განჩინებით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად წარმოებაში იქნა მიღებული მ. ლ-მის, დ. ვ-მის, მ. ლ-მის, ნ. გ-შვილის, ნ. ჩ-შვილი-მ-ურს, თ. ნ-მის, მ. ჭ-შვილის, პ. ო-შვილის, ტ. კ-შვილის, ქ. კ-აიასა და ნ. ს-ავას საკასაციო საჩივარი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 24 სექტემბრის განჩინებით, მ. ლ-მის, დ. ვ-მის, მ. ლ-მის, ნ. გ-შვილის, ნ. ჩ-შვილი-მ-ურს, თ. ნ-მის, მ. ჭ-შვილის, პ. ო-შვილის, ტ. კ-შვილის, ქ. კ-აიასა და ნ. ს-ავას საკასაციო საჩივარი დ. თ-მის ნაწილში დარჩა განუხილველი.

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 30 სექტემბრის განჩინებით მ. ლ-მის, დ. ვ-მის, მ. ლ-მის, ნ. გ-შვილის, ნ. ჩ-შვილი-მ-ურს, თ. ნ-მის, მ. ჭ-შვილის, პ. ო-შვილის, ტ. კ-შვილის, ქ. კ-აიასა და ნ. ს-ავას საკასაციო საჩივარი მიჩნეულ იქნა დასაშვებად საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 34-ე მუხლის მე-3 ნაწილის «ა» ქვეპუნქტის შესაბამისად და მისი განხილვა დაინიშნა მხარეთა დასწრების გარეშე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, საკასაციო საჩივრის საფუძველების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების კანონიერების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მ. ლ-მის, დ. ვ-მის, მ. ლ-მის, ნ.

გ-შვილის, ნ. ჩ-შვილ-მ-ურს, თ. ნ-მის, მ. ჭ-შვილის, პ. ო-შვილის, ტ. კ-შვილის, ქ. კ-აიასა და ნ. ს-ავას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ; გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილება და საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას, შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებით დადგენილად მიიჩნევს, რომ «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტით, «საქართველოს დედაქალაქის თბილისის შესახებ» საქართველოს კანონის 23¹ მუხლის «ე» და «ვ» ქვეპუნქტებით, თბილისის მერიის დებულების მე-14 მუხლის «ე» და «ვ» ქვეპუნქტებით, «ზოგადი განათლების შესახებ» საქართველოს კანონის 30-ე მუხლის «კ¹» ქვეპუნქტით და საქართველოს მთავრობის 1126 დადგენილებით მინიჭებული უფლებამოსილების ფარგლებში ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 4 აგვისტოს 116.148.581 დადგენილებით დაფუძნდა არასამეწარმეო ..., რომლის დირექტორებად განსაზღვრული ვადით დაინიშნენ კასატორები, თუმცა მათთან შრომითი ხელშეკრულება არ გაფორმებულა. ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 14 აგვისტოს 117.13.598 დადგენილებით ქ. თბილისში, ... დაწესებულებებში დირექტორების კანდიდატების შერჩევის მიზნით, საქართველოს «შრომის კოდექსის» მე-5 მუხლის საფუძველზე, გამოცხადდა კონკურსი ... დაწესებულებებში დირექტორების ვაკანტურ თანამდებობებზე. ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 24 სექტემბრის 120.01.654 დადგენილების საფუძველზე, ქ. თბილისის მთავრობის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების – ... დირექტორების თანამდებობებზე, კონკურსის შედეგების შესაბამისად, შერჩეულ პირთა დანიშვნის განხორციელების მიზნით, საქართველოს შრომის კოდექსისა და სამოქალაქო კოდექსის 31-ე მუხლის შესაბამისად, ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 4 აგვისტოს 116.148.581 დადგენილებაში შევიდა ცვლილება, რომლითაც არასამეწარმეო იურიდიული პირების ... დირექტორების თანამდებობაზე კასატორების ნაცვლად დაინიშნენ სხვა პირები, ხოლო კასატორებთან შეწყდა შრომითი ურთიერთობა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო სასამართლომ ქ. თბილისის მერიის სააპელაციო საჩივრის განხილვისას არ იმსჯელა იმაზე, თუ რამდენად წარმოადგენდა მოცემული საქმე ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ საქმეს და ხომ არ უნდა განეხილა იგი სასამართლოს სამოქალაქო სამართალწარმოების წესით, ანუ სააპელაციო სასამართლომ არ იმსჯელა განსჯად სასამართლოზე, რომელსაც საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, გააჩნდა ამ საქმის განხილვის საპროცესო უფლებამოსილება.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 და 26-ე მუხლები, ასევე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით დადგენილი განსჯადობის წესები, ვინაიდან, მ. ლ-მის, დ. ვ-მის, მ. ლ-მის, ნ. გ-შვილის, ნ. ჩ-შვილ-მ-ურს, თ. ნ-მის, მ. ჭ-შვილის, პ. ო-შვილის, ტ. კ-შვილის, ქ. კ-აიასა და ნ. ს-ავას სასარჩელო განცხადებასთან დაკავშირებული ადმინისტრაციული საქმე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვას ექვემდებარებოდა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით რეგლამენტირებულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები. აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განხილვა დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. იმავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვა სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი კი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ დაქვემდებარებას სასამართლოებისადმი, რომლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის უპირველესი, უმთავრესი და აუცილებელი პირობაა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა იურიდიულად ეფუძნებოდეს საჯარო-ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს (მოსარჩელის მოსაზრებით) მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) სამართლის კანონმდებლობიდან. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 14 აგვისტოს 117.13.598 დადგენილება, რომლის საფუძველზეც ... დაწესებულებებში დირექტორების კანდიდატების შერჩევის მიზნით, საქართველოს «შრომის

კოდექსის» მე-5 მუხლის საფუძველზე, გამოცხადდა კონკურსი ... დაწესებულებებში დირექტორების ვაკანტურ თანამდებობებზე და ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 24 სექტემბრის '20.01.654 დადგენილება, რომლის საფუძველზეც ქ. თბილისის მთავრობის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების-საზავშვი ... დირექტორების თანამდებობებზე, კონკურსის შედეგების შესაბამისად, შერჩეულ პირთა დანიშვნების განხორციელების მიზნით, საქართველოს შრომის კოდექსისა და სამოქალაქო კოდექსის 31-ე მუხლის შესაბამისად, ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 4 აგვისტოს '16.148.581 დადგენილებაში შევიდა ცვლილება, რომლითაც არასამეწარმეო იურიდიული პირების ... დირექტორების თანამდებობაზე კასატორების ნაცვლად დანიშნენ სხვა პირები, ხოლო კასატორებთან შეწყდა შრომითი ურთიერთობა.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მართალია, ზემოაღნიშნული დადგენილებები გამოცემულია ქ. თბილისის მთავრობის (ადმინისტრაციული ორგანოს) მიერ, მაგრამ ისინი არ წარმოადგენს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს და შესაბამისად, თავისი შინაარსით არ ატარებს ადმინისტრაციულ სამართლებრივ ხასიათს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კანონიერი ინტერესების დასაკმაყოფილებლად ისარგებლოს კერძო სამართლის საშუალებით, თუ აღნიშნული უფრო მისაღებია მისთვის. ამდენად, ის გარემოება, რომ ქ. თბილისის მთავრობა ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრულ ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს, თავისთავად არ ქმნის განსახილველი დავის ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიისადმი მიკუთვნების საფუძველს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის «დ» ქვეპუნქტის შესაბამისად, ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად ჩაითვლება ადმინისტრაციული ორგანოს მიერ მხოლოდ ადმინისტრაციული კანონმდებლობის საფუძველზე გამოცემული ინდივიდუალურ-სამართლებრივი აქტი. ამდენად, მოცემულ შემთხვევაში მნიშვნელოვანია განისაზღვროს, ქ. თბილისის მთავრობის მიერ გამოცემული აქტები გამომდინარეობს თუ არა ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ გასაჩივრებული დადგენილებები გამოცემულია საქართველოს შრომის კოდექსისა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსის საფუძველზე.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 24-ე მუხლის მე-5 ნაწილზე რომლის თანახმად, იურიდიული პირი, რომლის მიზანია სამეწარმეო (კომერციული) საქმიანობა, აგრეთვე, მისი ფილიალი უნდა შეიქმნას «მეწარმეთა შესახებ» საქართველოს კანონის შესაბამისად, ხოლო ამავე მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, იურიდიული პირი, რომლის მიზანია არასამეწარმეო საქმიანობა, უნდა დარეგისტრირდეს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ ქ. თბილისის მთავრობის 2007 წლის 4 აგვისტოს '16.148.581 დადგენილების საფუძველზე, ... ჩამოყალიბდნენ არასამეწარმეო იურიდიული პირების სახით, რომლის დამფუძნებელსაც აღნიშნულ შემთხვევაში ქ. თბილისის მთავრობა წარმოადგენდა. ამდენად, არსებულ პირობებში ქ. თბილისის მთავრობა საკუთარ უფლებამოსილებას ახორციელებდა როგორც დამფუძნებელი, რომელსაც წესდებით არასამეწარმეო იურიდიული პირის დირექტორის დანიშვნის უფლება ჰქონდა მინიჭებული.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, სადავო აქტებში მითითება იმის თაობაზე, რომ ქ. თბილისის მთავრობა გასაჩივრებული დადგენილებების მიღებისას მოქმედებდა «ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ» საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის «პ» ქვეპუნქტის, «საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ» საქართველოს კანონის 23'-ე მუხლის «ზ» და «ვ» ქვეპუნქტების, თბილისის მერიის დებულებით, «ზოგადი განათლების შესახებ» საქართველოს კანონის 30-ე მუხლის «კ» ქვეპუნქტის და საქართველოს მთავრობის '126 დადგენილების საფუძველზე, ვერ იმოქმედებს განსახილველი დავის ნივთობრივ განსჯადობაზე, ვინაიდან, ყველა ზემოაღნიშნულ ნორმაში საუბარია თვითმმართველი ერთეულისათვის მინიჭებულ უფლებაზე, შექმნას სკოლამდელი და ... დაწესებულებები არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების ფორმით და დაამტკიცოს მათი წესდებები.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ზემოაღნიშნული ნორმები განსაზღვრავენ თვითმმართველი ერთეულის შესაძლებლობას შექმნას სამეწარმეო და არასამეწარმეო იურიდიული პირები, მიიღოს არსებული ... დაწესებულებების ქონება, მოახდინოს მათი ლიკვიდაცია თუ რეორგანიზაცია. აღნიშნული კი თავისთავად არ გულისხმობს იმას, რომ ყველა ის აქტი, რომელიც მიღებული იქნება თვითმმართველი ორგანოს როგორც დამფუძნებლის და მის მიერ დაფუძნებულ იურიდიულ პირს შორის წესდებით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად ან მათ შორის ურთიერთობის დასარეგულირებლად, წარმოადგენს ადმინისტრაციულ აქტს.

საკასაციო სასამართლო ასევე მიუთითებს «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტზე, რომელიც განსაზღვრავს იმ სახელმწიფო დაწესებულებათა ჩამონათვალს, რომელში სამსახურიც ითვლება საჯარო სამსახურად. აღნიშნულ ჩამონათვალში არაკომერციული იურიდიული პირები გათვალისწინებული არ არის. ამასთან, კასატორთა თანამდებობა მითითებული არ არის საქართველოს პრეზიდენტის 2001 წლის 21 ივლისის წლის '286 ბრძანებულებით დამტკიცებულ საჯარო სამსახურის თანამდებობათა რეესტრში და მოსარჩელეთა სამსახურებრივი უფლებამოსილება არ უტოლდება საჯარო მოსამსახურის უფლებამოსილებას და არ წესრიგდება «ზოგადი განათლების შესახებ» საქართველოს კანონით. ამდენად, კონკურსი, რომელიც გამოცხადდა ... დირექტორთა თანამდებობის დასაკავებლად, ვერ დაეყრდნობა «საჯარო სამსახურის შესახებ» საქართველოს კანონის 29-ე-36-ე მუხლებს და ვერ მოექცევა მითითებული სამართლებრივი ნორმების რეგულირების სფეროში.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ აღნიშნული საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ სამოქალაქო სამართალწარმოების წესით იქნა განხილული.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმე წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის 1-ელი ნაწილის «ა» ქვეპუნქტით გათვალისწინებულ სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობიდან წარმოშობილ დავას, რის გამოც მ. ლ-მის, დ. ვ-მის, მ. ლ-მის, ნ. გ-შვილის, ნ. ჩ-შვილ-მ-ურს, თ. ნ-მის, მ. ჭ-შვილის, პ. ო-შვილის, ტ. კ-შვილის, ქ. კ-აიასა და ნ. ს-ავას საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილება და მოცემული საქმე განსახილველად გადაეცეს განსჯად სასამართლოს – თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-2 და 26-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მ. ლ-მის, დ. ვ-მის, მ. ლ-მის, ნ. გ-შვილის, ნ. ჩ-შვილ-მ-ურს, თ. ნ-მის, მ. ჭ-შვილის, პ. ო-შვილის, ტ. კ-შვილის, ქ. კ-აიასა და ნ. ს-ავას საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2010 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილება და მოცემული საქმე განსახილველად გადაეცეს განსჯად სასამართლოს – თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატას;
3. სახელმწიფო ბაჟის საკითხი გადაწყდეს საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებისას;
4. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო განსჯადობა

განჩინება

18ს-1219-1186 (გ-10)

1 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

პ. სილაგაძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ და სამოქალაქო საქმეთა კოლეგიებს შორის დავა სსიპ – «საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს» სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 3 სექტემბერს სსიპ «საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო» სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების – შპს «...» და შპს სადაზღვევო კომპანია «...» მიმართ და მოითხოვა: 1) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არასრულად და არაჯეროვნად შესრულებისათვის, შპს «...» სსიპ «საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს» სასარგებლოდ ჯარიმის სახით 46 513,51 ლარის გადახდის დაკისრება; 2) შპს სადაზღვევო კომპანია «...» სსიპ «საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს» სასარგებლოდ, შპს «...» მიერ მიღებულ ავანსსა და შესრულებული სამუშაოთა შორის არსებული სხვაობის – 156 050,06 ლარის და ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის საჯარიმო თანხის (ხელშეკრულების საერთო ღირებულების 930270,21 ლარი) 10%-დან 5%-ის – 46 513,51 ლარის, სულ – 202 563,57 ლარის დაკისრება;

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 7 სექტემბრის განჩინებით, მოსარჩელე სსიპ «საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს» სასარჩელო განცხადება, მოპასუხე შპს «...» და შპს სადაზღვევო კომპანია «...» მიმართ, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არასრულად და არაჯეროვნად შესრულებისათვის შპს «...» ჯარიმის – 46 513,51 ლარის დაკისრების, შპს სადაზღვევო კომპანია «...» მოსარჩელის სასარგებლოდ შპს «...» მიერ მიღებულ ავანსსა და შესრულებულ სამუშაოთა შორის არსებული სხვაობის – 156 050,06 ლარის და ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის საჯარიმო თანხის 10%-დან 5%-ის – 46 5413,51 ლარის დაკისრების თაობაზე, განსჯადობით განსახილველად გადაეზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ელი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის შესაბამისად, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანი შე-

იმღება იყოს ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის «ზ» ქვეპუნქტის შესაბამისად, ადმინისტრაციული ხელშეკრულებას წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირთან, აგრეთვე სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებული სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულება. ადმინისტრაციულმა კოლეგიამ მიუთითა, რომ ამ თვალსაზრისით განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება იმ ნორმათა ანალიზს, რომელიც იძლევა ადმინისტრაციული ხელშეკრულების სამოქალაქო ხელშეკრულებისაგან გამოჯვნის შესაძლებლობას. ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ადმინისტრაციული და სამოქალაქო ხელშეკრულების გამოჯვნა უნდა განხორციელდეს ამ ხელშეკრულებათა მიზნის დადგენის გზით. ადმინისტრაციული ხელშეკრულების ერთ-ერთი დამახასიათებელი ნიშანი არის ის, რომ ხელშეკრულების დადების შედეგად შესაბამისი პირი აღიჭურვება საჯარო-სამართლებრივი უფლებამოსილებებით, მაშინ, როდესაც სამოქალაქო ხელშეკრულების დადებისას მხარეები გვევლინება წმინდა სამოქალაქო სამართლებრივი უფლება-მოვალეობების მატარებლად. სასამართლომ მიიჩნია, რომ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით დადებულ ხელშეკრულებებიდან არ გამომდინარეობს დავის საგანი, ვინაიდან საჯარო სკოლის სამშენებლო სამუშაოების შესრულება შესაძლებელია მხოლოდ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების დამხმარე მიზანს, მის ხელშეწყობას ემსახურებოდეს. ამდენად, სასამართლომ მიიჩნია, რომ აღნიშნული დავა განხილულ უნდა ყოფილიყო სამოქალაქო სამართალწარმოების წესით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 10 სექტემბრის განჩინებით სსიპ «საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოს» სარჩელი (სარჩელის უზრუნველყოფის მასალებთან ერთად) შპს «...» და შპს სადაზღვევო კომპანია «...» წინააღმდეგ თანდართული მასალებით გადაეგზავნა საკასაციო სასამართლოს განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად, შემდეგ გარემოებათა გამო:

სამოქალაქო კოლეგიამ საქმის მასალებზე დაყრდნობით დადგენილად მიიჩნია, რომ სსიპ «საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოს» და შპს «...» შორის 2009 წლის 17 აგვისტოს დაიდო სახელმწიფო შესყიდვების შესახებ 13214010304/03/76 ხელშეკრულება, რომლის თანახმად, შპს «...» 360 დღის ვადაში – 2010 წლის 1 ნოემბრამდე, უნდა განეხორციელებინა ჩხორიწყის მუნიციპალიტეტის სოფ. ... საჯარო სკოლის სამშენებლო სამუშაოები. ხელშეკრულების თანახმად, ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის მიზნით შპს «...» ვალდებული იყო, სსიპ «საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოსთვის» წარედგინა ბანკის, სადაზღვევო კომპანიის ან სხვა საკრედიტო დაწესებულების მიერ გაცემული უპირობო საბანკო გარანტია. გარანტიის ჯამური ოდენობა განისაზღვრა ხელშეკრულების ჯამური ღირებულების 5%-ით. 2010 წლის 16 ივლისს შპს «...» წერილით მიმართა სსიპ «საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოს» და ორგანიზაციის მიმე უწინასწარი მდგომარეობის გამო მოითხოვა ხელშეკრულების შეწყვეტა და ობიექტის მშენებლობის უფლების ფინანსურად სტაბილური სამშენებლო ორგანიზაციისათვის გადაცემა. 2010 წლის 19 ივლისს მოსარჩელემ შეწყვიტა «...» დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება, რის შესახებაც აცნობა წერილობით მოპასუხეს.

სამოქალაქო კოლეგიამ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის «ზ» ქვეპუნქტზე მითითებით აღნიშნა, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, გამოიყენოს საქმიანობის როგორც საჯარო-სამართლებრივი, ასევე კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულება, ხოლო ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში ასეთი კატეგორიის ხელშეკრულებების გამოჯვნა შესაძლებელია ამ ხელშეკრულებათა დადების მიზნით დადგენის გზით. ხელშეკრულების მხარეების სამართლებრივ სტატუსს არსებითი მნიშვნელობა არ აქვს.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 30 იანვრის 1344 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ «საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოს» დებულების 1-ელი მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, სსიპ «საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტო» იქმნება საქართველოს განათლების სისტემაში საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით. ამავე ბრძანების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, სააგენტო საქართველოს განათლების სისტემაში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განათლების ხარისხის უზრუნველსაყოფად, ხელს უწყობს სამინისტროს სისტემაში შემაჯავლი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულების რეაბილიტაციას, მშენებლობას, ინვენტარითა და ტექნიკით მომარაგებას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ ნებისმიერი საქმიანობა, რომელსაც სსიპ «საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტო» ახორციელებს მისი საქმიანობის ძირითადი საგნის ფარგლებში, ერთნაირად წარმოადგენს მოსარჩელის საჯარო უფლებამოსილებას და მის უშუალო, პირდაპირ ფუნქციას ანუ ამ შემთხვევაში შპს «...» დადებული ხელშეკრულების საფუძველზე მომსახურების შესყიდვისას სსიპ «საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტო» ახორციელებდა საჯარო-სამართლებრივ უფლებამოსილებას. ვინაიდან მოსარჩელე სადავო თანხების ანაზღაურებას ითხოვს სწორედ ასეთი ხელშეკრულების საფუძველზე, 2009 წლის 17 აგვისტოს მხარეთა შორის დადებული სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულება ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას განეკუთვნება, ხოლო საბანკო გარანტია სარჩელში მითითებული მეორე მოპასუხე შპს სადაზღვევო კომპანია «...» მიერ სსიპ «საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოს» მიერ გაცემულია ასევე შპს «...» დადებული ხელშეკრულების შესასრულებლად.

სამოქალაქო კოლეგიამ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 25¹ მუხლის პირველი ნაწილსა და მე-2 ნაწილზე მითითებით, მიიჩნია, რომ ვინაიდან მოცემული დავა თავისი არსით წარმოადგენდა ადმინისტრაციული ხელშეკრულების შესრულებასთან დაკავშირებულ სახელშეკრულებო დავას, იგი მიეკუთვნებოდა ად-

მინისტრაციულ დავათა კატეგორიას და საქმე უნდა გადაგზავნოდა საკასაციო სასამართლოს სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და იმავე სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებებისა და საქმის მასალების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ სსიპ «საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოს» სარჩელი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული და განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია კანონიერი ინტერესების დასაკმაყოფილებლად ისარგებლოს კერძო სამართლის საშუალებით, თუ აღნიშნული უფრო მისაღებია მისთვის. სასკ-ის 25¹ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ კერძოსამართლებრივი ხელშეკრულების დადებასთან, შესრულებასთან და შეწყვეტასთან დაკავშირებული დავები განიხილება სამოქალაქო სამართალწარმოების წესით. ამდენად, ის გარემოება, რომ სსიპ «საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტო» სზაკ-ის მე-2 მუხლის თანახმად, ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს, თავისთავად არ ქმნის განსახილველი დავის ადმინისტრაციულ საქმეთა კატეგორიისადმი მიკუთვნების საფუძველს. საჯარო-სამართლებრივი და კერძო-სამართლებრივი ხელშეკრულების გამიჯვნისათვის არსებითი მნიშვნელობა ენიჭება არა ხელშეკრულების მონაწილეთა სტატუსს, არამედ ხელშეკრულების მიზანს. ადმინისტრაციული ხელშეკრულების დეფინიციის (სზაკ-ის 2.1 მუხლის «ზ» ქვეპუნქტი) ძირითად ელემენტს შეადგენს ხელშეკრულების დადება საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით. ამდენად, ხელშეკრულების სამართლებრივ ბუნებას განსაზღვრავს ხელშეკრულების მიზანი. ხელშეკრულების მიზანი განისაზღვრება მისი შინაარსიდან გამომდინარე. გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს ხელშეკრულების მხარეების მიერ ნაკისრი ვალდებულებების, ხელშეკრულების დადება შედეგად წარმოშობილი უფლება-მოვალეობების შინაარსს. ის გარემოება, რომ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2009 წლის 30 იანვრის 1344 ბრძანებით დამტკიცებული სსიპ «საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტოს» დებულების 1-ელი მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად, სსიპ «საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის სააგენტო» იქმნება საქართველოს განათლების სისტემაში საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით და ამავე ბრძანების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, სააგენტო საქართველოს განათლების სისტემაში საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი განათლების ხარისხის უზრუნველსაყოფად, ხელს უწყობს სამინისტროს სისტემაში შემავალი საგანმანათლებლო და სამეცნიერო დაწესებულებების რეაბილიტაციას, მშენებლობას, ინვენტარიტა და ტექნიკით მომარაგებას, ასევე არ წარმოადგენს დავის ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვის საფუძველს.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადების შედეგად შესაბამისი პირი აღიჭურვება საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით, მაშინ, როდესაც საქალაქო ხელშეკრულების დადებისას მხარეები გვევლინებიან სამოქალაქო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობების მატარებლებად. განსახილველ შემთხვევაში დავის საგანს წარმოადგენს სსიპ «საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსა» და შპს «...» შორის დადებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულებითი ურთიერთობა. ხელშეკრულების საფუძველზე მეწარმე სუბიექტმა იკისრა ვალდებულება, შესაბამისი საფასურის სანაცვლოდ განხორციელებინა მომსახურება, კერძოდ, შესრულებინა ჩხოროწყეს მუნიციპალიტეტის სოფ. ... საჯარო სკოლის სამშენებლო სამუშაოები. მიუხედავად იმისა, რომ ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს წარმოადგენს საჯარო სამართლის იურიდიული პირი, ხოლო თვით ხელშეკრულება «სახელმწიფო შესყიდვების შესახებ» კანონის საფუძველზე დაიდო, ხელშეკრულება არ აღჭურავს პირს საჯარო-სამართლებრივი უფლება-მოვალეობებით, მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულება არ შეიცავს ადმინისტრაციული აქტის გამოცემის ან სხვა მმართველობითი ღონისძიების განხორციელების ვალდებულებას, ხელშეკრულების დადება სახელმწიფო შესყიდვის შედეგად, თავისთავად არ წარმოადგენს სადავო სამართალურთიერთობის ადმინისტრაციული კატეგორიისადმი მიკუთვნების საფუძველს, ამასთანავე დავის საგანს წარმოადგენს არა სახელმწიფო შესყიდვის პროცედურა, არამედ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის გამო მოსარჩელის სასარგებლოდ მოპასუხისათვის თანხის დაკისრება, კერძოდ: 1) ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების არასრულად და არაჯეროვნად შესრულებისათვის, შპს «...» სსიპ «საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს» სასარგებლოდ ჯარიმის – 46 513,51 ლარის გადახდის დაკისრება; 2) შპს სადაზღვევო კომპანია «...» სსიპ «საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს» სასარგებლოდ, შპს «...» მიერ მიღებულ ავანსსა და შესრულებული სამუშაოთა შორის არსებული სხვაობის – 156 050,06 ლარის და ხელშეკრულების არაჯეროვანი შესრულებისათვის საჯარიმო თანხის (ხელშეკრულების საერთო ღირებულების 930270,21 ლარი) 10%-დან 5%-ის – 46 513,51 ლარის, სულ 202 563,57 ლარის დაკისრება.

ამდენად, სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული კანონმდებლობიდან (სასკ-ის 2.3 მუხლი). მხარეთა შორის არსებული სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს ხელშეკრულებიდან, რომელიც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ დადებულ სამოქალაქო ხელშეკრულებას მიეკუთვნება, შესაბამისად, მის შესრულებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა, სსკ-ის მე-11 მუხლის, აგრეთვე სზაკ-ის 25¹ მუხლის, სზაკ-ის 65.2, 65¹ მუხლების საფუძველზე სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადია და სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა იქნეს განხილული.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ელი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-2, მე-5, 25¹, 26-ე მუხლებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11, 284-ე, 285-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სსიპ «საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს» სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

სამოქალაქო განსჯადობა

განჩინება

18ს-1218-1185 (გ-10)

11 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 23 დეკემბერს თ. ბ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, მოპასუხეების – ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა «...» და ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, 1988 წლის 8 სექტემბრის თბილისის სახალხო დეპუტატთა საბჭოს აღმასკომის 118.50.584 გადაწყვეტილებით შეიქმნა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა «...» და ... ქ. 17, 19, 111, 111ა, 116, 118, 119-ში მცხოვრებ მოქალაქეებს პირადი საკუთრების ტერიტორიაზე სახლების აღებისა და საკუთარი სახსრებით მრავალსართულიანი სახლის აშენების უფლება მიეცათ. აღნიშნული გადაწყვეტილებით ქ. თბილისში, ... ქუჩა 17, 19, 111, 111ა, 116, 118, 119-ზე მრავალბინიანი სახლის ასაშენებლად ამხანაგობას გამოეყო 10 535 კვ.მ მიწის ნაკვეთი. ქონება წარმოდგენდა ამხანაგობის წევრთა საერთო საკუთრებას, რომელიც უსასყიდლოდ გადაეცა მათ საკუთარი ინტერესების დასაკმაყოფილებლად.

მოსარჩელის მითითებით, თბილისის საბურთალოს სახალხო დეპუტატების რაიონული საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის 1989 წლის 19 ივლისის 117.27.534 გადაწყვეტილებით მოსარჩელე თ. ბ-შვილის მეუღლე – გ. ბ-შვილი, თ. ბ-შვილი და მათი შვილი (თ. ბ-შვილის 8 კვირის ფეხმძიმობის გათვალისწინებით) ამხანაგობა «...-ში» 4-ოთახიანი ბინის მიღების უფლებით გაწევრიანდნენ. ქ. თბილისის საბურთალოს აღმასკომის 1988 წლის 8 სექტემბრის 118.50.582 გადაწყვეტილებით განისაზღვრა, რომ თ. ბ-შვილის, როგორც ამხანაგობის წევრის, ოთხოთახიანი ბინის ფართობი, საზაფხულო სათავსოების გარეშე, დამხმარე ფართით 160 კვ.მ-ს შეადგენდა.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 1990 წელს ამხანაგობის სიტყვიერი მოთხოვნის შესაბამისად, მათ ამხანაგობა «...» შეიტანეს საპაიო შენატანი – 25 000 მანეთი, მისაღები ბინის ღირებულების პროპორციულად.

მოსარჩელემ ასევე აღნიშნა, რომ იგი 2000 წლის 8 დეკემბერს მონაწილეობდა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა «...» კრებაზე, სადაც განიხილებოდა ამხანაგობის ახალი თავმჯდომარის არჩევასა და ახალი დებულების დამტკიცებასთან დაკავშირებული საკითხები.

მოსარჩელის განმარტებით, 2002 წლის 8 თებერვალს, ... ქ. 17, 19, 111, 111ა, 116, 118, 119-ში მდებარე მიწის ნაკვეთი საჯარო რეესტრში აღირიცხა როგორც ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა «...» საკუთრება. საჯარო რეესტრში უძრავი ქონების რეგისტრაციის საფუძველად, სხვა საფუძველთან ერთად, მიეთითა 2000 წლის 8 დეკემბრის კრების ოქმზე, რომელსაც ამხანაგობის 110 წევრიდან 74 წევრი ესწრებოდა, მათ შორის, თავად მოსარჩელეც. «...» სიაში წარმოდგენილი პირები (მათ შორის თ. ბ-შვილიც), საჯარო რეესტრის ჩანაწერებიდან გამომდინარე, ცნობილ იქნენ ამხანაგობა «...» სახელზე რიცხული მიწის ნაკვეთისა და მასზე განთავსებული მშენებარე შენობა-ნაგებობების მესაკუთრეებად.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2003 წლის 8 სექტემბერს 2006 წლის 31 დეკემბრამდე ვადით, ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა «...» თავმჯდომარესა და თ. ბ-შვილს შორის გაფორმდა ხელშეკრულება 16, რომელიც ამხანაგობის წევრი მეპაიესათვის 17 კვ.მ-ის გადაცემას ითვალისწინებდა.

მოსარჩელის განმარტებით, 2009 წელს, მას შემდეგ, რაც კიდევ ერთხელ მიმართა ამხანაგობას კუთვნილი ფართის დაკმაყოფილების მოთხოვნით, მას სიტყვიერად აცნობეს, რომ იგი გამგეობის გადაწყვეტილებით გარიცხული იყო ამხანაგობიდან, ხოლო თბილისის ცენტრალური არქივის 2009 წლის 18 ნოემბრის საარქივო ცნობით მოსარჩელეს განემარტა, რომ თბილისის საბურთალოს რაიონის გამგეობის 1994 წლის 23 მარტის 13.20.55 გადაწყვეტილებით გ. ბ-შვილი გაირიცხა ამხანაგობა «...» წევრობიდან.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ თბილისის საბურთალოს რაიონის გამგეობის 1994 წლის 23 მარტის '3.20.55 გადაწყვეტილების, საბინაო საკითხთა კომისიის დასკვნისა და ამხანაგობა «...» 1994 წლის 22 იანვრის '25 კრების ოქმის ბათილად ცნობა, მისი როგორც გ. ბ-შვილის უფლებამონაცვლის ამხანაგობის წევრად აღდგენა, ამხანაგობისათვის მის სასარგებლოდ ფართის გამოყოფის დავალდებულება და საჯარო რეესტრის მონაცემებში შესაბამისი ცვლილების განხორციელება მოითხოვა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 28 დეკემბრის განჩინებით თ. ბ-შვილის სარჩელი განსჯადობის წესის დაცვით გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ განმარტა, რომ მოსარჩელის მიერ სადავოდ გამხდარი საბურთალოს რაიონის გამგეობის 1994 წლის 23 მარტის გადაწყვეტილება შეეხებოდა ამხანაგობა «...» 1994 წლის 22 იანვრის '25 საერთო კრების დადგენილებას, რომლის საფუძველზეც გამგეობის გადაწყვეტილებით ამხანაგობიდან წევრთა გაყვანა განხორციელდა.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილზე და განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში არ არსებობდა დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობები, ვინაიდან კონკრეტულ შემთხვევაში მოსარჩელე სადავოდ ხდიდა ამხანაგობა «...» 1994 წლის 22 იანვრის '25 კრების ოქმს, რომლისგანაც გამომდინარეობდა და რომლის თანმდევ შედეგსაც მოსარჩელის დანარჩენი მოთხოვნები წარმოადგენდა. აღნიშნულიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ მოსარჩელე თ. ბ-შვილის სარჩელი დავის სწრაფი და ეფექტური მართლმსაჯულების განხორციელების მიზნით, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას უნდა დაქვემდებარებოდა.

2010 წლის 22 მარტს თ. ბ-შვილსა და ტ. დ-შვილს შორის გაფორმდა მოთხოვნის უფლების დათმობის შესახებ ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც მოსარჩელე – თ. ბ-შვილი შეიცვალა სათანადო მოსარჩელით – ტ. დ-შვილით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 9 აგვისტოს განჩინებით ტ. დ-შვილის სარჩელიდან ცალკე წარმოებად გამოიყო სასარჩელო მოთხოვნები, მოპასუხეების – ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობისა და ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა «...» მიმართ, ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის გამგეობის 1994 წლის 23 მარტის '3.20.55 გადაწყვეტილების ნაწილობრივ ბათილად ცნობისა და საბინაო საკითხთა კომისიის დასკვნის ბათილად ცნობის ნაწილში და საქმე ამ ნაწილში განსჯადობასთან დაკავშირებული დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ელი ნაწილის «გ» ქვეპუნქტზე და მიიჩნია, რომ ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის გამგეობის 1994 წლის 23 მარტის '3.20.55 გადაწყვეტილება ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტს წარმოადგენდა.

სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ განმარტა, რომ გასაჩივრებული გადაწყვეტილება მიღებული იყო ადმინისტრაციული ორგანოს მიერ ადმინისტრაციული კანონმდებლობის, კერძოდ, ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის 1993 წლის 9 ივლისის '14.03.93 დადგენილებით დამტკიცებული დებულებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის მარეგლამენტირებელი ნორმატიული აქტით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, სამოქალაქო საქმეთა კოლეგიამ მიიჩნია, რომ სასარჩელო მოთხოვნები ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილვას ექვემდებარებოდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგია.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ხსენებული მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. იმავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც, აგრეთვე გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი კი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ დაქვემდებარებას სასამართლოებისადმი, რომლის 1-ელი ნაწილის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქვეუ-

ლი უფლებების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე, იურიდიულ პირებს შორის.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა იურიდიულად ეფუძნებოდეს საჯარო-ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ გასაჩივრებული აქტები არ წარმოადგენენ საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, ვინაიდან არ შეიცავს აღნიშნული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ელი ნაწილის «დ» ქვეპუნქტით რეგლამენტირებული ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ლეგალური დეფინიციის ყველა ელემენტს, კერძოდ, ისინი გამოცემულია არა ადმინისტრაციული კანონმდებლობის, არამედ – კერძო სამართლის კანონმდებლობის საფუძველზე.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ გასაჩივრებულ ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის გამგეობის 1994 წლის 23 მარტის '3.20.55 გადაწყვეტილებას და საბინაო საკითხთა კომისიის დასკვნას საფუძველად დაედო ამხანაგობა «...» წევრთა საერთო კრების 1994 წლის 22 იანვრის '25 ოქმი, შესაბამისად, შინაარსობრივად დავის მთელი არსი მდგომარეობს იმაში, რამდენად კანონიერად ჩატარდა ამხანაგობა «...» წევრთა საერთო კრება და რამდენად კანონიერად მოხდა გ. ბ-შვილის ამხანაგობის წევრობიდან გაყვანა. აღნიშნული საკითხების შესწავლა კი არა ადმინისტრაციული კანონმდებლობის, არამედ მატერიალური სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძველზე უნდა განხორციელდეს.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ განსახილველ სადავო აქტებს არ გააჩნია დავის ადმინისტრაციულ სამართლებრივად მიჩნევისათვის განმსაზღვრელი მეორე ელემენტი: სადავო სამართალურთიერთობა გამომდინარეობს არა საჯარო, არამედ კერძო სამართლის კანონმდებლობიდან.

ამასთან, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ, მართალია, სარჩელი აღძრულია ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის მიმართ, რომელიც ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტის დეფინიციიდან გამომდინარე, ადმინისტრაციულ ორგანოს წარმოადგენს, მაგრამ მისი დავაში მხოლოდ მონაწილეობა საკმარისი არ არის დავის ადმინისტრაციული წესით განსახილველად მიჩნევისათვის, ამისათვის არსებითი და გადაწყვეტი მნიშვნელობა აქვს სადავო სამართალურთიერთობის არსს, შინაარსსა და დავის საგანს, ანუ იმ გარემოებას, თუ სამართლის რომელი დარგის ნორმებზეა დაფუძნებული მხარეთა შორის წარმოშობილი დავა.

ამდენად, საკასაციო სასამართლო მოთხოვნის სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე განმარტავს, რომ წინამდებარე სადავო სამართალურთიერთობა არ გამომდინარეობს ადმინისტრაციული (საჯარო) კანონმდებლობიდან, რის გამოც მოცემული საქმე არ განეკუთვნება საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლით განსაზღვრულ სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ საქმეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული სადავო სამართალურთიერთობა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლის 1-ელი ნაწილის «ა» ქვეპუნქტის საფუძველზე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განსახილველი და თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის განსჯადია, რის გამოც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ელი მუხლის მე-2 ნაწილით, მე-2 მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლით, 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ტ. დ-შვილის სარჩელი, მოპასუხეების – ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა «...» და ქ. თბილისის ვაკე-საბურთალოს რაიონის გამგეობის მიმართ, ქ. თბილისის საბურთალოს რაიონის გამგეობის 1994 წლის 23 მარტის '3.20.55 გადაწყვეტილების ნაწილობრივ ბათილად ცნობისა და საბინაო საკითხთა კომისიის დასკვნის ბათილად ცნობის თაობაზე, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიას;

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. განსაკუთრებული განსჯადობა

განსაკუთრებული განსჯადობა ხელშეკრულების შესრულების ადგილის მიხედვით

განჩინება

ბს-417-404(გ-10)

29 აპრილი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 10 თებერვალს საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ სასარჩელო განცხადებით მიმართა თბილისის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხის – ჯ. ხ-შვილის მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და იაპონიის პროგრამა «2-კრ-ის» საპარტნიორო ფონდიდან გამოყოფილი 700 000 ლარის გაცემის მიზნით, გამოცხადებული კონკურსის შესაბამისად, საქართველოს სოფლის მეურნეობის მინისტრის 2004 წლის 1 ნოემბრის 12-216 ბრძანების საფუძველზე, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრომ, თითოეულ კონკურსანტს სესხი – 70 000 ლარი გამოუყო. მოსარჩელის განმარტებით, საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ჯ. ხ-შვილს შორის 2004 წლის 25 ნოემბერს გაფორმებული 1142 სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების შესაბამისად, ჯ. ხ-შვილს სესხი – 70 000 ლარი გადაეცა. მსესხებელს მიღებული თანხა რაიონში აგრო-საინჟინრო ცენტრის დაფუძნებისათვის, ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების, დანადგარებისა და მოწყობილობის, აგრეთვე, მათი მარაგ-ნაწილებისა და სარემონტო მასალების შესასყიდად ან სარემონტო ტექნიკის შესაკეთებლად უნდა გამოეყენებინა, ამასთან, მექანიზირებული სამუშაოებით უნდა მომსახურებოდა კერძო და იურიდიულ პირებს.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ სესხის თანხა გაიცა ხუთი წლის ვადით და სახელმწიფო ბიუჯეტში მისი მთლიანად დაბრუნება 2009 წლის 25 ნოემბრამდე უნდა განხორციელებულიყო, თუმცა ჯ. ხ-შვილმა დასაბრუნებელი სესხიდან – 70 000 ლარიდან მხოლოდ 27 000 ლარის გადახდა უზრუნველყო.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სასარგებლოდ ჯ. ხ-შვილისათვის 2004 წლის 25 ნოემბრის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სესხის – 43 000 ლარის დაკისრება მოითხოვა.

სიღნაღის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 15 თებერვლის განჩინებით საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სარჩელი, მოპასუხის – ჯ. ხ-შვილის მიმართ სესხის თანხის დაბრუნების თაობაზე გადაეგზავნა განსჯად – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ჯ. ხ-შვილს შორის 2004 წლის 25 ნოემბერს გაფორმებული 1142 სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება თავისი არსით, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის «ზ» ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ ხელშეკრულებას წარმოადგენდა.

რაიონულმა სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილზე და განმარტა, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ჯ. ხ-შვილს შორის 2004 წლის 25 ნოემბერს დადებული 1142 სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, სესხის თანხის ვადაში დაბრუნება წარმოადგენდა. ამავე ხელშეკრულების მე-2 მუხლის საფუძველზე კი ჯ. ხ-შვილს ვალდებულება ქ. თბილისში, სახელმწიფო ხაზინის იურიდიულ მისამართზე და ხაზინის კონკრეტულ ანგარიშზე სესხის თანხის ჩარიცხვით უნდა შესრულებინა.

ამდენად, რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, ვინაიდან, ხელშეკრულების შესრულების ადგილი იყო ქ. თბილისი, საქმის განხილვა განსჯად – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას უნდა დაექვემდებარებოდა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 23 თებერვლის განჩინებით საქმე საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სარჩელისა გამო, მოპასუხის – ჯ. ხ-შვილის მიმართ სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების თაობაზე, სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 და მე-18 მუხლებზე, აგრეთვე ამავე კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილზე და განმარტა, რომ ხელშეკრულებიდან გამომდინარე სარჩელი სასამართლოს ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით წარედგინებოდა, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო.

საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ მხარეთა შორის დადებული ხელშეკრულების მე-2 მუხლის თანახმად, მსესხებელს მიღებული თანხა რაიონში აგრო-საინჟინრო ცენტრის დაფუძნებისათვის, ტრაქტორებისა და სასოფ-

ლო-სამეურნეო მანქანების, დანადგარებისა და მოწყობილობის, აგრეთვე მათი მარაგ-ნაწილებისა და სარემონტო მასალების შესასყიდად ან სარემონტო ტექნიკის შესაკეთებლად უნდა გამოეყენებინა. ამასთან, მექანიზირებული სამუშაოებით უნდა მომსახურებოდა კერძო და იურიდიულ პირებს.

საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ ხელშეკრულების მე-2 მუხლი ერთმნიშვნელოვნად განსაზღვრავდა ხელშეკრულების შესრულების ადგილს, ვინაიდან მსესხებელს მიღებული თანხა რაიონში აგრო-საინჟინრო ცენტრის დაფუძნებისა და მისი ფუნქციონირებისათვის უნდა გამოეყენებინა.

საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, ვინაიდან, ჯ. ხ-შვილის იურიდიულ მისამართს სიღნაღის რაიონის სოფელი ტიბაანი წარმოადგენდა, ხელშეკრულების შესრულების ადგილად აღნიშნული რაიონის სასამართლოს დაქვემდებარებაში მყოფი ტერიტორია უნდა ჩათვლილიყო.

საქალაქო სასამართლომ ასევე მიიჩნია, რომ საქმე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვას ექვემდებარებოდა. საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის 1-ელი ნაწილის «ზ» ქვეპუნქტზე და განმარტა, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ჯ. ხ-შვილს შორის დადებული ხელშეკრულება სამოქალაქო კანონმდებლობიდან გამომდინარეობდა, ვინაიდან, ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის დაუბრუნებლობის მიზნით, საგარანტიო ნივთის – იპოთეკით დატვირთული ქონების რეალიზაციის ვალდებულება, ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსახილველ დავის საგანს არ წარმოადგენდა და სადავო სახელშეკრულებო ურთიერთობიდან კონტრაპტებს შორის წარმოშობილი ვალდებულების შესრულების საკითხი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა განხილულიყო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა სიღნაღის რაიონული სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს სიღნაღის რაიონული სასამართლო წარმოადგენს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ელი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ დავაში მოსარჩელეს – საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტრო, მოპასუხეს – ჯ. ხ-შვილი, ხოლო დავის საგანს – სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულება წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის 1-ელი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. წინააღმდეგ შემთხვევაში მოხდებოდა არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ საქმის განხილვა, რაც იწვევს საპროცესო ნორმების იმგვარ დარღვევას, რომელიც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური პროცესუალური საფუძველი ხდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ა» პუნქტის თანახმად.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ხსენებული მუხლი შეიცავს ტერიტორიული განსჯადობის განსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფელის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის 1-ელ ნაწილზე და აღნიშნავს, რომ აღნიშნული ნორმა ადგენს განსაკუთრებულ განსჯადობას, რომლის საფუძველზეც ქონების უფლებრივი დატვირთვის, ან ასეთი დატვირთვისაგან გათავისუფლების შესახებ, აგრეთვე, ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთის ადგილსამყოფელის მიხედვით, ხოლო ამავე კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი, ხელშეკრულებიდან გამომდინარე, სარჩელი სასამართლოს წარედგინება ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც ხელშეკრულება უნდა შესრულებულიყო.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის ანალიზი ნათლად გვიჩვენებს, რომ დასახელებული საპროცესო ნორმა ადგენს სპეციალურ განსჯადობას და იძლევა შესაძლებლობას, შესაბამისი სუბიექტური და ობიექტური გარემოებების არსებობისას, განსჯადი სასამართლო განისაზღვროს ხელშეკრულების შესრულების ადგილის მიხედვით.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, რომ საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროსა და ჯ. ხ-შვილს შორის 2004 წლის 25 ნოემბერს დაიდო 1142 სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზე მსესხებელს იპოთეკარისაგან სესხის სახით გადაეცა 70 000 ლარი. საკასაციო სასამართლო მიუთითებს ხელშეკ-

რულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტზე, რომლის თანახმად, მსესხებელს მიღებული თანხა რაიონში აგრო-საინჟინრო ცენტრის დაფუნდებისათვის, ტრაქტორებისა და სასოფლო-სამეურნეო მანქანების, დანადგარებისა და მოწყობილობის, აგრეთვე, მათი მარაგ-ნაწილებისა და სარემონტო მასალების შესასყიდად ან სარემონტო ტექნიკის შესაკეთებლად უნდა გამოეყენებინა. ამასთან, მექანიზირებული სამუშაოებით უნდა მომსახურებოდა კერძო და იურიდიულ პირებს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ხელშეკრულების მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ცალსახად განსაზღვრავს ხელშეკრულების შესრულების ადგილს, ვინაიდან, მსესხებლის ვალდებულებას სწორედ მიღებული თანხის სილნალის რაიონში აგრო-საინჟინრო ცენტრის დაფუნდებისა და ფუნქციონირებისათვის გამოეყენება წარმოადგენდა. ამდენად, ხელშეკრულების მიხედვით, მისი შესრულების ადგილად აღნიშნული რაიონის ტერიტორია უნდა ჩათვალოს.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ვინაიდან ხელშეკრულების შესრულების ადგილს სილნალის რაიონის სასამართლოს დაქვემდებარებაში მყოფი ტერიტორია წარმოადგენს, აღნიშნული სასარჩელო განცხადება ხელშეკრულების შესრულების ადგილის მიხედვით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს სილნალის რაიონულ სასამართლოს, რომელმაც საქმე სამოქალაქო სამართალწარმოების წესით უნდა განიხილოს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ხსენებული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რაიმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა. იმავე მუხლის მე-3 ნაწილი მიუთითებს, რომ ამ მუხლით გათვალისწინებული საქმეების გარდა, სასამართლოში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განიხილება სხვა საქმეებიც იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც აგრეთვე გამომდინარეობენ ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-11 მუხლი კი შეეხება სამოქალაქო საქმეების უწყებრივ დაქვემდებარებას სასამართლოებისადმი, რომლის პირველი ნაწილის «ბ» ქვეპუნქტის თანახმად, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით სასამართლო განიხილავს საქმეებს დარღვეული თუ სადავოდ ქცეული უფლების, აგრეთვე, კანონით გათვალისწინებული ინტერესების დაცვის შესახებ, კერძოდ, სამოქალაქო, საოჯახო, შრომის, საადგილმამულო, ბუნებრივი რესურსების გამოყენებისა და გარემოს დაცვის ურთიერთობებიდან წარმოშობილ დავებს მოქალაქეებს, მოქალაქეებსა და იურიდიულ პირებს, აგრეთვე იურიდიულ პირებს შორის.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ამა თუ იმ დავის ადმინისტრაციულ-სამართლებრივად მიჩნევისათვის აუცილებელი პირობაა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა იურიდიულად ეფუძნებოდეს საჯარო-ადმინისტრაციული სამართლის შესაბამის ნორმებს, კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობები გამომდინარეობდეს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ანუ მოსარჩელის მიერ მითითებული საკუთარი უფლების (უფლებების) დარღვევა თავისი არსითა და შინაარსით განპირობებული უნდა იყოს მოპასუხის მხრიდან საჯარო, მატერიალური სამართლის შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების დარღვევით.

საკასაციო სასამართლო სარჩელის შინაარსის გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში სარჩელი აღძრულია ადმინისტრაციულ ორგანოსა და ფიზიკურ პირს შორის სახელშეკრულებო ვალდებულების არაჯეროვნად შესრულებისათვის, რომლის სამართლებრივ საფუძველს მათ შორის დადებული კერძოსამართლებრივი ხელშეკრულება წარმოადგენს.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-2 მუხლის «ზ» ქვეპუნქტზე, რომლის თანახმად, ადმინისტრაციული ხელშეკრულება წარმოადგენს ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზნით ფიზიკურ ან იურიდიულ პირებთან, აგრეთვე, სხვა ადმინისტრაციულ ორგანოსთან დადებულ სამოქალაქო-სამართლებრივ ხელშეკრულებას.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულების, ადმინისტრაციული ხელშეკრულებად მიჩნევის განმსაზღვრელ ძირითად ელემენტს წარმოადგენს, როგორც ადმინისტრაციული ორგანოს მიერ საჯარო უფლებამოსილების განხორციელების მიზანი, ისე სამართლებრივ ურთიერთობაში მისი როგორც სუბიექტის მონაწილეობა.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია, დადოს როგორც ადმინისტრაციული, ისე კერძოსამართლებრივი ხასიათის ხელშეკრულება. საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 65¹ მუხლზე და განმარტავს, რომ კერძოსამართლებრივ ურთიერთობებში ადმინისტრაციული ორგანო მოქმედებს, როგორც სამოქალაქო სამართლის სუბიექტი და ამ პირობებში მასზე არ ვრცელდება ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნები.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემულ შემთხვევაში ხელშეკრულება არ ატარებს საჯაროსამართლებრივ შინაარსს და სადავო სამართალურთიერთობა რეგულირების საგნის, საფუძვლის, შინაარსის გათვალისწინებით კერძოსამართლებრივ (პორიზონტალურ) ურთიერთობას განეკუთვნება.

ამდენად, საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სადავო სახელმწიფოებო ურთიერთობიდან კონტრაქტების შორის წარმოშობილი ვალდებულების შესრულების საკითხი სამოქალაქო სამართალწარმოების წესით განხილვას ექვემდებარება. ამასთან, აღნიშნული სასარჩელო განცხადება ხელშეკრულების შესრულების ადგილის მიხედვით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განსჯადობით განსახილველად სიღნაღის რაიონულ სასამართლოს უნდა დაექვემდებაროს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ელი მუხლით და 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს სარჩელი, მოპასუხის – ჯ. ხ-შვილის მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს სიღნაღის რაიონულ სასამართლოს;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. განსჯადობა მოსარჩელის არჩევით

განჩინება

18ს-102-101 (გ-10)

2 მარტი 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ლ. მურუსიძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და ახალქალაქის რაიონულ სასამართლოს შორის დავა ა. ვ-ძის, ო. ვ-ძის, ნ. მ-ძის, ნ. მ-ძისა და მ. პ-ძის სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ა. ვ-ძემ, ო. ვ-ძემ, ნ. მ-ძემ, ნ. მ-ძემ და მ. პ-ძემ სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, რომლითაც მოითხოვეს ნინოწმინდის რაიონის გამგეობის მიერ მიღებული იმ დადგენილებისა და ოქმების ბათილად ცნობა, რომლის საფუძველზეც დაკმაყოფილდა ა. ა-იანის განცხადება საიჯარო ხელშეკრულების დადების თაობაზე, ნინოწმინდის რაიონის გამგეობასა და ა. ა-იანს შორის 26.12.03წ. გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულებისა და საჯარო რეესტრის მონაცემების (ნინოწმინდის რაიონის გამგეობასა და ა. ა-იანს შორის გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულებასთან დაკავშირებით) ბათილად ცნობა, მოსარჩელებმა მოითხოვეს, აგრეთვე, სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამცხე-ჯავახეთის სამხარეო სამმართველოს მიერ 12.01.09წ. მიღებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, რომლითაც მოსარჩელე ო. ვ-ძეს საიჯარო ხელშეკრულების ბათილად ცნობაზე ეთქვა უარი, ასევე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 09.06.09წ. 11-1/1319 ბრძანების ბათილად ცნობა, რომლითაც ო. ვ-ძეს უარი ეთქვა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამხარეო სამმართველოს 12.01.09წ. 114 წერილის ბათილად ცნობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 27.07.09 წ. განჩინებით ა. ვ-ძის, ო. ვ-ძის, ნ. მ-ძის, ნ. მ-ძისა და მ. პ-ძის სარჩელი განსახილველად გადაეგზავნა განსჯად – ახალციხის რაიონულ სასამართლოს. ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა, რომ უძრავი ნივთი მდებარეობს სამცხე-ჯავახეთში. ამასთან, მოსარჩელეთა ერთ-ერთ ძირითად მოთხოვნას წარმოადგენს საიჯარო ხელშეკრულების ბათილად ცნობა, რომლის თაობაზე სარჩელი სამოქალაქო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, წარდგენილ უნდა იქნეს ხელშეკრულების შესრულების ადგილის ან იმ ადგილის მიხედვით, სადაც იგი უნდა შესრულებულიყო, რის გამოც მიიჩნია, რომ მოცემული სარჩელი აღძრულია არაგანსჯად სასამართლოში და შესაბამისად იგი განსჯადობის წესების დაცვით გადაგზავნილი უნდა იქნეს განსჯად სასამართლოში – ახალციხის რაიონულ სასამართლოში. სასამართლომ ასევე გამოიყენა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15, მე-18, მე-16-24-ე მუხლები და მიუთითა, რომ მოცემულ საქმეზე დავის საგანს წარმოადგენს ნინოწმინდის რაიონის გამგეობასა და ა. ა-იანს შორის 26.12.03წ. გაფორმებული საიჯარო ხელშეკრულების ბათილად ცნობა, ხოლო მოსარჩელის ყველა სხვა მოთხოვნა გამომდინარეობს აღნიშნული მოთხოვნიდან, შესაბამისად სასამართლომ მიიჩნია, რომ სათანადო მოპასუხეებს ეს სუბიექტები წარმოადგენენ და არა ეკონომიკური განვითარების სამინისტრო.

ახალციხის რაიონული სასამართლოს 14.08.09წ. განჩინებით ა. ვ-ძის, ო. ვ-ძის, ნ. მ-ძის, ნ. მ-ძისა და მ. პ-ძის სარჩელი განსახილველად გადაეგზავნა განსჯად – ახალქალაქის რაიონულ სასამართლოს.

ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 19.11.09წ. განჩინებით 13/14 -09 საქმეს ცალკე წარმოებად გამოეყო მოსარჩელების მოთხოვნა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ, მის მიერ მიღებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის შესახებ, გამოყოფილ საქმეს მიენიჭა ახალი სარეგისტრაციო ნომერი 3/24-09. ახალქალაქის რაიონულმა სასამართლომ 19.11.09წ. სასამართლო სხდომაზე იმის გამო, რომ სხვა სასამართლოში, კერძოდ ახალციხის რაიონულ სასამართლოში არსებობს დავა იგივე მხარეებს შორის იგივე საგანზე იგივე საფუძვლით, მოსარჩელების სასარჩელო მოთხოვნები ნინოწმინდის რაიონის გამგეობის, სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამცხე-ჯავახეთის სამხარეო სამმართველოს მიერ მიღებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების, საიჯარო ხელშეკრულების და საჯარო რეესტრის ეროვნული მონაცემების ბათილად ცნობის შესახებ დარჩა განუხილველი. სასამართლომ აღნიშნა, რომ ფაქტობრივად სარჩელში ახალი მოთხოვნა საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ მიღებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ – სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობა, რომელიც ცალკე დავის საგანს წარმოადგენს, აღნიშნული მოთხოვნის განცალკევებული განხილვა მიზანშეწონილია სწრაფი და ეფექტური სამართალწარმოების თვალსაზრისით. ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 19.11.09წ. განჩინებით ადმინისტრაციული საქმე სსკ მე-15 მუხლის 1-ელი ნაწილის საფუძველზე განსახილველად თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაეგზავნა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 25.12.09წ. განჩინებით თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა და ახალქალაქის რაიონულ სასამართლოს შორის განსჯადობის თაობაზე დავის გადასაწყვეტად საქმე ა. ვ-ძის, ო. ვ-ძის, ნ. მ-ძის, ნ. მ-ძისა და მ. პ-ძის სარჩელისა გამო მოპასუხე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე სასამართლოებს შორის განსჯადობის შესახებ წარმოშობილი დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საკასაციო სასამართლოს.

საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ ერთიდაიგივე ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამცხე-ჯავახეთის სამხარეო სამმართველოს 12.01.09წ. 114 წერილი გასაჩივრდა სასამართლოშიც და ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოშიც. ახალციხის რაიონულმა სასამართლომ წარმოებაში მიიღო სარჩელი, მაგრამ შეაჩერა საქმის განხილვა ადმინისტრაციული საჩივრის გადაწყვეტამდე. თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ზემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს – საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 09.06.09 წ.11-1/1319 ბრძანება ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის თაობაზე უნდა გასაჩივრებულიყო იმავე სასამართლოში, რომლის წარმოებაშიც განსჯადობის წესების დაცვით იყო შეტანილი სარჩელი სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამცხე-ჯავახეთის სამხარეო სამმართველოს 12.01.09წ. 114 წერილის ბათილად ცნობის მოთხოვნით. ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებით, საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს აღნიშნულ სამართალურთიერთობაში რაიმე ახალი სამართლებრივი რეჟიმი არ დაუდგენია. მან ძალაში დატოვა თავის დაქვემდებარებაში მყოფი სამსახურის წერილი, რის გამოც კოლეგიამ მიიჩნია, რომ მინისტრის ბრძანების კანონიერება უნდა შეფასდეს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამცხე-ჯავახეთის სამხარეო სამმართველოს 12.01.09წ. 114 წერილის კანონიერებასთან ერთად. სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამცხე-ჯავახეთის სამხარეო სამმართველოს მისამართია ქ. ახალციხე, კ... 16. აღნიშნული ორგანოს საქმიანობიდან გამომდინარე განსახილველი სარჩელი სსკ მე-15 მუხლის 1-ელი ნაწილის და მე-16 მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად უნდა წარედგინოს ახალციხის რაიონულ სასამართლოს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის და ახალქალაქის რაიონული სასამართლოს განჩინებების გაცნობის შედეგად თვლის, რომ ა. ვ-ძის, ო. ვ-ძის, ნ. მ-ძის, ნ. მ-ძისა და მ. პ-ძის სარჩელი ახალციხის რაიონული სასამართლოს განსჯადია შემდეგ გარემოებათა გამო:

სასკ-ის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია გადაწყვიტოს სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავა. განსახილველ შემთხვევაში საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა სასკ-ის 26.3 მუხლის საფუძველზე იხილავს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და ახალქალაქის რაიონულ სასამართლოს შორის განსჯადობის შესახებ დავას ა. ვ-ძის, ო. ვ-ძის, ნ. მ-ძის, ნ. მ-ძის და მ. პ-ძის სარჩელის მხოლოდ იმ ნაწილთან დაკავშირებით, რომელიც მოპასუხე-საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობას ეხება. დანარჩენი სასარჩელო მოთხოვნების განსჯადობას სასამართლოებს შორის დავა არ გამოუწვევია. იმის გათვალისწინებით, რომ სასკ-ის 26.3 ითვალისწინებს საკასაციო სასამართლოს მიერ განსჯადობის საკითხის გადაწყვეტას მხოლოდ სასამართლოებს შორის განსჯადობის შესახებ დავის არსებობის შემთხვევაში, საკასაციო პალატა ვერ იქონიებს მსჯელობას ა. ვ-ძის, ო. ვ-ძის, ნ. მ-ძის, ნ. მ-ძისა და მ. პ-ძის დანარჩენი სასარჩელო მოთხოვნის განსჯადობის საკითხზე. განსახილველ შემთხვევაში სასამართლოებს შორის განსჯადობასთან დაკავშირებით დავა ეხება არა საგნობრივ, არამედ – ტერიტორიული განსაჯობის საკითხს. უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე სასამართლოების ტერიტორიული განსჯადობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადმინისტრაციული ორგანოების ტერიტორიული განსჯადობაზე. საერთო წესის თანახმად, სარჩელი წარდგენილი უნდა იქნეს მოპასუხის – ადმინისტრაციული ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით (სსკ-ის მე-15 მუხ.). საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სასკ-ის 26.3 მუხლით გათვალისწინე-

ბული სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის დაშვება ითვალისწინებს სასამართლოებს შორის დავას არა მხოლოდ საგნობრივ, არამედ ტერიტორიული განსჯადობის საკითხზე. იმის გათვალისწინებით, რომ ორივე სადავო აქტი, კერძოდ, სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამცხე-ჯავახეთის სამხარეთველოს 12.01.09წ. პასუხი და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 09.06.09წ. 11-1/1319 წერილი ერთი და იგივე სამართალურთიერთობას ეხება, მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოები – სამხარეთველო და სამინისტრო არიან ერთიანი სისტემის ქვედა და ზედა ორგანოები, დუბლირების და პარალელიზმის, სასამართლო გადაწყვეტილებებს შორის კოლიზიის თავიდან აცილების, ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა დედაქალაქის სასამართლოში თავმოყრის ტენდენციის შესუსტების მიზნით, სასამართლო პროცესის ეკონომიურობის, მართმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით არ დაიშვება მათი ცალკე-ცალკე, სხვადასხვა სასამართლოებში განხილვა. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამინისტროს სადავო აქტი გამოცემულია ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის შედეგად, ადმინისტრაციული საჩივარი ადმინისტრაციული ორგანოსათვის არის საქმიანობის თვითკონტროლის საშუალება, ადმინისტრაციული წარმოების მომწესრიგებელი კანონმდებლობა ადგენს არა მხოლოდ პოზიტიურ, უდავო, არამედ ნეგატიურ, სადავო ურთიერთობების გადამჭერელ პროცედურებს მოქალაქესა და ადმინისტრაციას შორის, საჩივარი არის პირის უფლების დაცვის საშუალება, ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის პროცესში ადმინისტრაციული ორგანო ამოწმებს სადავო აქტის გამოცემის სამართლებრივ და ფაქტობრივ გარემოებებს, მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციულმა ორგანომ დაადასტურა ქვემდგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მართებულობა, შესაბამისად, დაუშვებელია ამ ორი აქტის ცალ-ცალკე განხილვა. სახელმწიფო ქონების აღრიცხვის და პრივატიზების სამცხე-ჯავახეთის სამხარეთველოს სადავო აქტის ბათილად ცნობის მოთხოვნებით სარჩელი წარმოებაშია მიღებული ახალციხის რაიონული სასამართლოს მიერ ეკონომიკური განვითარების მინისტრის 09.06.09წ. 11-1/1319 სადავო აქტის გამოცემამდე ახალციხის რაიონული სასამართლოს წარმოებაში მყოფი სარჩელთან დაკავშირებით სასამართლოებს შორის განსჯადობაზე დავა არ წარმოშობილა, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ თავდაპირველი სარჩელი წარდგენილია სწორედ ახალციხის რაიონულ სასამართლოში, რომელიც სარჩელი წარმოებაში მიიღო მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს ადგილსამყოფელის მიხედვით. ამასთანავე, საქმის მასალებით დასტურდება, რომ ახალციხის რაიონული სასამართლოს 31.03.09წ. საოქმო განჩინებით არ დაკმაყოფილდა შუამდგომლობა სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამცხე-ჯავახეთის სამხარეთველოს სამხარეთველოს არასათანადო მოპასუხედ ცნობისა და საქმის ახალქალაქის რაიონულ სასამართლოში განსჯადობით გადაგზავნის თაობაზე. არ გასაჩივრებულა, აგრეთვე, კერძო საჩივრით მოპასუხე ა. ა-იანის წარმომადგენლის შუამდგომლობის საფუძველზე მიღებული ახალქალაქის რაიონული სასამართლოს 19.11.09წ. განჩინება, რომლითაც განუზიარებლად იქნა დატოვებული მოსარჩელეთა სასარჩელო განცხადება იმის გამო, რომ ახალციხის რაიონულ სასამართლოში მიმდინარეობს დავა იმავე საგანზე და იმავე საფუძველით. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე იმ სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება, რომლის მოქმედების სფეროშიც აქვს ადგილსამყოფელი მითითებულ ორგანოს. სარჩელის სათანადო კავშირი ტერიტორიასთან სარჩელის წარდგენის მომენტისათვის უნდა დადგინდეს. გარემოებების შემდგომი შეცვლა, განსჯადობის შეუცვლელი პრინციპის თანახმად, არ იწვევს განსჯადობის შეცვლას. საქმის სასამართლოს წარმოებაში მიღების შემდგომ მოპასუხე – ადმინისტრაციული ორგანოს ზემდგომი სტრუქტურის (სამინისტროს) მიერ იმავე საკითხზე აქტის მიღება არ ცვლის სასამართლოს განსჯადობას, ვინაიდან სსკ-ის 22-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლომ განსჯადობის წესების დაცვით თავის წარმოებაში მიღებული საქმე უნდა განიხილოს და არსებითად გადაწყვიტოს, თუნდაც ეს საქმე შემდგომში სხვა სასამართლოს განსჯადი გახდეს, თავის მხრივ, სსკ-ის 26-ე მუხლი ითვალისწინებს სარჩელის განსჯად სასამართლოში გადაგზავნას მხოლოდ არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ საკითხი სადავო აქტების კანონიერების, აგრეთვე იმის შესახებ, თუ რამდენადაა დასაშვები ადმინისტრაციული ხელშეკრულების ბათილობის მოთხოვნით ადმინისტრაციული საჩივრის შეტანა, სადავო სამართალურთიერთობების მიმართ «სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პრივატიზების შესახებ» კანონის მე-9 მუხლის გამოყენება საქმის არსებითი განხილვის შედეგად უნდა დადგინდეს და ვერ იქნება გადაწყვეტილი განსჯადობის შესახებ დავის განხილვისას.

სარჩელის წარდგენა რამდენიმე მოთხოვნით, რამდენიმე მოპასუხის მიმართ, რომლებსაც სხვადასხვა ტერიტორიული ადგილმდებარეობა აქვთ, განაპირობებს რამდენიმე სასამართლოში სარჩელის აღძვრის შესაძლებლობას. მოსარჩელეთა სასარჩელო მოთხოვნების შესწავლა ადასტურებს მოსარჩელეთა შესაძლებლობას აღეძრათ სარჩელი მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოს ადგილმდებარეობის, მოპასუხე-ფიზიკური პირის საცხოვრებელი ადგილის, უძრავი ქონების მდებარეობის მიხედვით ერთ-ერთ განსჯად სასამართლოში. სსკ-ის მე-20 მუხლის თანახმად, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, მოსარჩელეს აქვს სასამართლოს არჩევის უფლება. ასეთ შემთხვევაში არ დაიშვება მოპასუხის მოთხოვნით ან სასამართლოს ინიციატივით მოსარჩელის მიერ არჩეული სასამართლოს შეცვლა სხვა სასამართლოთი, სასამართლოს არ გააჩნია უფლებამოსილება ჩაერიოს მოსარჩელის მიერ აღნიშნული უფლების რეალიზაციაში. ამდენად, მოსარჩელის არჩევით განსჯადობის დამდგენი ნორმა (სსკ-ის მე-20 მუხ.), განსაკუთრებული განსჯადობის წესთან ერთად (სსკ-ის მე-16 მუხ.), რომლის თანახმად სარჩელი რამდენიმე მოპასუხის მიმართ სასამართლოს წარედგინება ერთ-ერთი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, უზრუნველყოფს მოსარჩელის ინტერესების დაცვას. ამდენად, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 09.06.09წ. 11-1/1319 ბრძანების თაობაზე საქმის ტერიტორიული განსჯადობის დადგენისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი – სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამცხე-ჯავახეთის სამხარეთველოს

თველოს 12.01.09წ. 114 წერილი გამოცემულია სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამცხე-ჯავახეთის სამხარეო სამმართველოს მიერ, რომლის მისამართია ქ. ახალციხე, ... ქ.16. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 09.06.09წ. 11-1/1319 ბრძანების კანონიერების საკითხი განხილული უნდა იქნეს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზების სამცხე-ჯავახეთის სამხარეო სამმართველოს 12.01.09წ. 114 წერილის კანონიერების საკითხის განხილვასთან ერთად, ვინაიდან ორივე აქტი ერთი და იგივე სამართალურთიერთობას ეხება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ ა. ვ-ძის, ო. ვ-ძის, ნ. მ-ძის, ნ. მ-ძისა და მ. პ-ძის სარჩელი განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ახალციხის რაიონულ სასამართლოს ტერიტორიული განსჯადობის შესაბამისად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქმე ა. ვ-ძის, ო. ვ-ძის, ნ. მ-ძის, ნ. მ-ძისა და მ. პ-ძის სარჩელის გამო მოპასუხე ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს ახალციხის რაიონულ სასამართლოს;
2. საქმე განსახილველად გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განსჯადობა მოსარჩელის არჩევით

განჩინება

1ბს-182-175 (გ-10)

17 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

პ. სილაგაძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, განიხილა თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შორის დავა შპს «...» სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის პირველ დეკემბერს შპს «...» წარმომადგენელმა – ნ. ა-მემ აღიარებითი სარჩელით მიმართა თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოს, მოპასუხის – საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თეთრიწყაროს სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ, რომლითაც მოითხოვა დოკუმენტების – დროებითი მოწმობისა და გამოსყიდვის აქტის ნამდვილად აღიარება, სამართლებრივი დამოკიდებულების დადგენა შპს «...» უშუალოდ საწარმო «...» მიერ გამოსყიდულ ქონებაზე და ამავე ქონებაზე გაცემული დროებითი მოწმობის შემდგომში შპს «...» ქონების ნამდვილად აღიარება, რომელი შპს-ც შეიქმნა «...» ბაზაზე.

მოსარჩელე განმარტავს, რომ 1990 წლის 25 ივნისს გაფორმდა ხელშეკრულება თეთრიწყაროს რაიონის სამეურნეობათაშორისო სამრეწველო აგროფირმა «...» და ამავე აგროფირმას ქვის დამამუშავებელი საამქროების ბაზაზე შექმნილი საიჯარო საწარმო «...» შორის მასზე იჯარით გადაცემული ქონების გამოსყიდვის შესახებ. აღნიშნული ხელშეკრულების საფუძველზე 1994 წლის ივნისის თვეში მოხდა ქონების გამოსყიდვა და ქონების მართვის სამინისტროს მიერ 1996 წლის 1 აპრილს გაიცა საკუთრების დამადასტურებელი 1... დროებითი მოწმობა. საკუთრების მოწმობის ძალით საწარმოს საკუთრებაში გადაეცა გამოსყიდული ქონება, მდებარე თეთრიწყაროს რაიონში, ..., მე-13 კილომეტრზე და ... გზის მე-2 კმ-ზე მდებარე ქვის დამამუშავებელი საამქროები. დროებითი მოწმობა ძალაში იყო 1990 წლის 25 ივნისის ხელშეკრულებასა და გამოსყიდვის აქტთან ერთად. საკუთრების მოწმობის გაცემის მიზნით, საიჯარო საწარმო «...» ბაზაზე შეიქმნა ორი შპს, კერძოდ, ... გზის მე-13 კილომეტრზე შეიქმნა შპს «...», რაც დამტკიცდა 1996 წლის 10 აპრილის სხდომის ოქმით, ხოლო ... გზის მე-2 კილომეტრზე – შპს «...». 1996 წლის 26 ივნისს მოხდა ... გზის მე-13 კილომეტრზე მდებარე ქონების ტექნიკური პასპორტიზაცია, ხოლო 1997 წლის 23 მაისს საქართველოს ქონების მართვის სამინისტრომ შპს «...» გადასცა საკუთრების მოწმობა 1..., რისი საფუძველიც გახდა თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს კომისიის დასკვნა და 1990 წლის 25 ივნისის მიღება-ჩაბარების აქტი.

მოსარჩელის განმარტებით, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თეთრიწყაროს სარეგისტრაციო სამსახურის 2009 წლის 11 სექტემბრის გადაწყვეტილებით შპს «...» განცხადების თაობაზე დაწყებული სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდა იმ მოტივით, რომ ქონების გამოსყიდვის აქტი მითითებული იყო საწარმო «...», ხოლო საკუთრების მოწმობაში შპს «...». ამდენად, რეგისტრაციის განხორციელებისათვის

საჭირო იყო სათანადო დოკუმენტაციის წარდგენა, რაც დაადასტურებდა იურიდიული პირის სახელწოდების შეცვლას.

თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2009 წლის 4 დეკემბრის ხარვეზის დადგენის შესახებ განჩინებით, მოსარჩელეს, საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში თეთრიწყაროს სარეგისტრაციო სამსახურის 1882009264273-03 გადაწყვეტილების გასაჩივრებისათვის განესაზღვრა 10-დღიანი ვადა.

მოსარჩელემ ხარვეზის შევსების მიზნით წარადგინა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2009 წლის 8 ოქტომბრის გადაწყვეტილება, რომლითაც არ დაკმაყოფილდა და 2009 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტილება, რომლითაც უარი ეთქვა შპს «...» დირექტორს – ვ. ს-შვილს ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე და განმარტა, რომ წარმოდგენილ აღიარებით სარჩელზე მიღებული სასამართლო გადაწყვეტილება უნდა დაედოს საფუძვლად შემდგომში სარეგისტრაციო წარმოებას, ვინაიდან შეუძლებელი იყო სხვაგვარად შპს «...» საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის სრულყოფილი სახით სხვა ადმინისტრაციული ორგანოებიდან მოპოვება.

თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2009 წლის 23 დეკემბრის განჩინებით მოსარჩელე შპს «...» წარმომადგენლის – ნ. ა-ძის სარჩელი განსჯადობის წესის დაცვით გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

თეთრიწყაროს რაიონულმა სასამართლომ მიუთითა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლზე, რომლის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და განმარტა, რომ მოცემული საქმე განსჯადობის წესის დაცვით უნდა გადაგზავნილიყო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, ვინაიდან მოპასუხე მხარეს აღნიშნულ საქმეზე წარმოადგენდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, მდებარე ქ. თბილისში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციული საქმეთა პალატის 2010 წლის 12 იანვრის განჩინებით შპს «...» დირექტორის – ვ. ს-შვილის სარჩელი მოპასუხე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თეთრიწყაროს სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

საქალაქო სასამართლომ არ გაიზიარა თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს მოსაზრება, რომ საქმეზე განსჯად სასამართლოს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია წარმოადგენდა, ვინაიდან მოპასუხე მხარეს აღნიშნულ საქმეზე წარმოადგენდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო და აღნიშნულთან დაკავშირებით განმარტა, რომ მოსარჩელემ გარკვევით მიუთითა მოწინააღმდეგე მხარე – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თეთრიწყაროს სარეგისტრაციო სამსახური და დავის საგანი – სასამართლოს მიერ დროებითი მოწმობისა და გამოსყიდვის აქტის ნამდვილად აღიარება, სამართლებრივი დამოკიდებულების დადგენა შპს «...» უშუალოდ საწარმო «...» მიერ გამოსყიდულ ქონებაზე და ამავე ქონებაზე გაცემული დროებითი მოწმობის შემდგომში შპს «...» ქონების ნამდვილად აღიარება, რომელი შპს-ც შეიქმნა «...» ბაზაზე და რომ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილება მას კანონშესაბამისად მიაჩნია და არ სურს მისი გასაჩივრება.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის 1-ელი ნაწილისა და ამავე კოდექსის 26-ე მუხლზე მითითებით, მიიჩნია, რომ საქმეზე უნდა აღძრულიყო დავა განსჯადობის თაობაზე.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს თეთრიწყაროს რაიონული სასამართლო.

საკასაციო სასამართლო, პირველ ყოვლისა, აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ესაა სასამართლოთა შორის დავა ტერიტორიული განსჯადობის თაობაზე, კერძოდ, განსჯადობა მოპასუხის ადგილსამყოფლის მიხედვით.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელის მიერ მოპასუხედ მითითებულ იქნა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თეთრიწყაროს სარეგისტრაციო სამსახური და განმარტავს, რომ ვინაიდან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) 1-ელი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, ხსენებული ნაწილი შეიცავს სარჩელის ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, ორგანოს მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფლის მიხედვით და შესაბამისად, სარჩელის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს სწორედ ის სასამართლო, რომლის იურისდიქციაც ვრცელდება შესაბამისი მოპასუხის ადგილსამყოფელზე.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს მოსაზრებას, რომ მოპასუხე მხარეს აღნიშნულ დავაზე წარმოადგენს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო, ვინაიდან მოსარჩელემ ხარვეზის შევსების მიზნით წარმოადგინა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2009 წლის 30 ოქტომბრის გადაწყვეტი-

ლება ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე უარის თქმის შესახებ. აღნიშნულთან დაკავშირებით საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ მოსარჩელის მიერ არაერთხელ იქნა მითითებული რომ მას კანონიერად მიაჩნია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილება, რომლითაც უარი ეთქვა ადმინისტრაციული საჩივრის განხილვაზე და არ სურს მისი გასაჩივრება, ვინაიდან საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში მის მიერ წარდგენილ განცხადებაზე თანდართული დოკუმენტაციით შეუძლებელი იყო უძრავ ნივთზე უფლების სუბიექტის იდენტიფიკაცია. საკასაციო სასამართლო ასევე ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელემ თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოს მიმართა მოთხოვნით – ნამდვილად ელიარებინათ დროებითი მოწმობა და გამოსყიდვის აქტი, მოეხდინათ სამართლებრივი დამოკიდებულების დადგენა შპს «...» უშუალოდ საწარმო «...» მიერ გამოსყიდულ ქონებაზე და ამავე ქონებაზე გაცემული დროებითი მოწმობის შემდგომში შპს «...» ქონების ნამდვილად აღიარება, რომელი შპს-ც შეიქმნა «...» ბაზაზე, რათა შემდგომში შესაძლებელი გამხდარიყო საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში ადმინისტრაციული წარმოების განახლება. ამდენად, წარმოდგენილი სასარჩელო მოთხოვნის ფარგლებში მოსარჩელეს რაიმე მოთხოვნა ეროვნული სააგენტოს მიმართ არ გააჩნია და, შესაბამისად, არც მოპასუხედ არ ჰყავს მითითებული. ამასთან, თუ თეთრიწყაროს რაიონული სასამართლო საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს თეთრიწყაროს სარეგისტრაციო სამსახურს მიიჩნევდა არასათანადო მოპასუხედ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის საფუძველზე სასამართლოს მოსარჩელის თანხმობით უნდა შეეცვალა თავდაპირველი მოპასუხე სათანადო მოპასუხით, წინააღმდეგ შემთხვევაში თავისი გადაწყვეტილებით უარი უნდა ეთქვა მოსარჩელისათვის სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის (ნივთობრივი განსჯადობა) 1-ელ ნაწილზე, რომლის თანახმად, სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან გათავისუფლების შესახებ, აგრეთვე, ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფელის მიხედვით და განმარტავს, რომ კონკრეტულ შემთხვევაში, ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა ტერიტორიული განსჯადობის ზოგადი პრინციპის თანახმად, იმ ადმინისტრაციული კატეგორიის დავების განხილვა, რომელიც უძრავ ქონებას ან ადგილთან მიმხმულ უფლებას ან სასამართლო ურთიერთობას ეხება, მიეკუთვნება იმ სასამართლოს კომპეტენციას, რომლის მოქმედების სფეროშიც იმყოფება მოცემული ქონება ან მოცემული ადგილი. აღნიშნულიდან გამომდინარე, სარჩელი აღმრული რომ ყოფილიყო, საქართველოს ეროვნული სააგენტოსა და თეთრიწყაროს სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ, მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილი სასამართლო ამ შემთხვევაშიც იქნებოდა თეთრიწყაროს რაიონული სასამართლო, საქმის ნივთობრივი განსჯადობის პრინციპიდან გამომდინარე.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლზე (განსჯადობა მოსარჩელის არჩევით), რომლის თანახმად, სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, ეკუთვნის მოსარჩელეს და განმარტავს, რომ თუ საქმეზე მოსარჩელის მიერ დასახელებული იქნებოდა სხვადასხვა სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული რამდენიმე, ამ შემთხვევაში ორი მოპასუხე, განსჯადი სასამართლოს არჩევის უფლება გააჩნდა მოსარჩელეს, რაც მისი ერთპიროვნული საპროცესო უფლებაა. ასევე განხილვის ამა თუ იმ სტადიაზე საქმეში სხვა სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე არსებული მოპასუხის ჩაბმა არ ქმნის საქმის განსჯადი სასამართლოს შეცვლის საფუძველს დავის ნივთობრივი განსჯადობის კუთვნილებიდან გამომდინარე.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს თეთრიწყაროს რაიონული სასამართლო, რის გამოც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, შპს «...» სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. შპს «...» სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოს;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განსჯადობა მოსარჩელის არჩევით

განჩინება

18ს-860-834(გ-10)

27 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. წკეპლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
მ. ვაჩაძე,
პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოსა და მცხეთის რაიონულ სასამართლოს შორის დავა განსჯადობის თაობაზე.

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად გამოარკვია:

2010 წლის 12 აპრილს ნ. ყ-ელმა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხეების – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და ამავე სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ, რომლითაც მოითხოვა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების:

1. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის 06.01.2010წ. 1882009422425-03 გადაწყვეტილება სარეგისტრაციო წარმოების შესახებ;

2. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2010წ. 01.08 15307 გადაწყვეტილება ადმინისტრაციული საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ;

3. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მცხეთის სარეგისტრაციო სამსახურის 2010წ. 10.02 1882009422425-05 გადაწყვეტილება, სარეგისტრაციო წარმოების შეწყვეტის შესახებ – ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ 2010წ. 18 მაისის განჩინებით ნ. ყ-ელის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაუგზავნა მცხეთის რაიონულ სასამართლოს შემდეგი მოტივაციით:

მოცემულ საქმეში ადგილი აქვს სსსკ-ის მე-18 მუხლით გათვალისწინებულ განსაკუთრებულ განსჯადობას, რის გამოც ნ. ყ-ელის სარჩელის განხილვა უნდა მოხდეს იმ სასამართლოს მიერ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს სადავო უძრავი ქონება, ხოლო, განსახილველ შემთხვევაში სადავო უძრავი ქონება მდებარეობს მცხეთის რაიონის სოფელ ...

მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია არ დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.2 მუხლის საფუძველზე წამოიწყო დავა განსჯადობის თაობაზე და საქმე განსჯადობის გადასაწყვეტად გადმოუგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, შემდეგი მოტივით:

«ქ. თბილისის გარდაბნის მუნიციპალიტეტის და მცხეთის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული საზღვრების შეცვლის შესახებ» 2005 წლის 27 დეკემბრის 124173-რს დადგენილების თანახმად, ქ. თბილისის ადმინისტრაციული საზღვრები შეიცვალა «ქ. თბილისის ადმინისტრაციული საზღვრების პროექტის განხილვის შესახებ» საქართველოს მთავრობის 2006 წლის 20 დეკემბრის 1574 განკარგულებით მოწონებული ქ. თბილისის ადმინისტრაციული საზღვრების პროექტის მიხედვით.

«მცხეთის მუნიციპალიტეტში ახალი ტერიტორიული ორგანოების შექმნის შესახებ» მცხეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2008 წლის 18 თებერვლის 19 დადგენილების შესაბამისად ჩამოყალიბდა მცხეთის მუნიციპალიტეტში შემავალი ტერიტორიული ორგანოები. სასამართლოს დასკვნით ზემოთ მითითებულ ნორმატიული აქტებით დასტურდება, რომ სოფელი ... არ შედის მცხეთის მუნიციპალიტეტში, არამედ მოქცეულია ქ. თბილისის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში. ამდენად, რაკი სადავო უძრავი ნივთის ადგილსამყოფელი არის თბილისში, საქმე განსახილველად ექვემდებარება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს და მცხეთის რაიონულ სასამართლოს მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3. მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიაჩნია, რომ ნ. ყ-ელის სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსაზრებას მოცემული საქმის მცხეთის რაიონულ სასამართლოს განსჯად საქმედ მიჩნევასთან დაკავშირებით, ვინაიდან სასამართლოს საერთოდ არ დაუშაბუთებია, თუ რატომ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სადავო უძრავი ქონების ადგილსამყოფელი – სოფელი ..., მცხეთის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე მდებარეობს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ საქმეში დავის საგანს წარმოადგენს არა უძრავი ქონება, არამედ ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებები ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტის შესაბამისად.

აღნიშნულის გამო, გამოყენებულ უნდა იქნეს არა განსაკუთრებული, არამედ – სსსკ-ის მე-15 მუხლის საფუძველზე დადგენილი საერთო განსჯადობის წესები. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გამოიცემა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობები კი ცხოვრების მრავალ სფეროს მოიცავს: მიწის, ბინათმშენებლობის, ეკოლოგიის, პრივატიზაციის, სოციალურ სუბსიდიების, განათლების, კულტურის, საპოლიციო, ადმინისტრაციული სამართალდარღვევების და ა.შ.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოებმა სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების სასამართლო წესით განსჯადობის განსაზღვრისას უნდა დაადგინონ არა ის ფაქტი, თუ რას ეხება მოცემული აქტები, არამედ, აქტების ავტორი ადმინისტრაციული ორგანოების ადგილსამყოფლის მიხედვით უნდა გამოარკვიონ, თუ რომელი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიას განეკუთვნება საქმე განსახილველად.

წინამდებარე საქმეში მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოებს წარმოადგენენ ზემდგომი – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო და მისი ტერიტორიული ორგანო – მცხეთის სარეგისტრაციო სამსახური.

ამდენად, სსსკ-ის მე-20 მუხლის მიხედვით, მოსარჩელე რამდენიმე მოპასუხის მიმართ აღძრული მოთხოვნების პირობებში აღჭურვილია პროცესუალური პრივილიგირებული უფლებით – აირჩიოს სასამართლო, თუკი საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადი შეიძლება იყოს.

განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელემ გამოიყენა საპროცესო კანონით მინიჭებული უფლება და სასამართლოს მიმართა ერთ-ერთი მოპასუხის – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ადგილსამყოფელის მიხედვით განსჯად – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო სასამართლო დამატებით დასძენს, რომ თვით განსაკუთრებული განსჯადობის (რომლის გამოყენება მოცემულ შემთხვევაში არასწორია) პირობებშიც კი თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმის განსჯადობის თაობაზე დასკვნა არასწორია, რაც დასაბუთებულად არის გადმოცემული მცხეთის რაიონული სასამართლოს მიერ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქმე განსახილველად გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; 2.1; 26.3, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ნ. ყ-ელის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეცეს განსჯად სასამართლოს;
3. წინამდებარე განჩინება გაეგზავნოს მხარეებს;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განსჯადობა მოსარჩელის არჩევით

განჩინება

18ს-1179-1146 (გ-10)

1 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

პ. სილაგაძე

ზეპირი მოსმენის გარეშე განიხილა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, თბილისის საქალაქო სასამართლოსა და გარდაბნის რაიონულ სასამართლოს შორის დავა განსჯადობის თაობაზე.

საკასაციო სასამართლომ საქმის მასალების გაცნობის შედეგად გამოარკვია:

ვ. ი-შვილმა სარჩელი აღძრა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში მოპასუხეების – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსა და ამავე სააგენტოს გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ, რომლითაც მოითხოვა მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანოების ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ 2010 წლის 14 სექტემბრის განჩინებით ვ. ი-შვილის სარჩელი განსჯადობით განსახილველად გადაუგზავნა გარდაბნის რაიონულ სასამართლოს შემდეგი მოტივებით:

მოცემულ საქმეში ადგილი აქვს სსსკ-ის მე-18 მუხლით გათვალისწინებულ განსაკუთრებულ განსჯადობას, რის გამოც ვ. ი-შვილის სარჩელის განხილვა უნდა მოხდეს იმ სასამართლოს მიერ, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობს სადავო უძრავი ქონება, ხოლო, განსახილველ შემთხვევაში სადავო უძრავი ქონება მდებარეობს გარდაბნის რაიონში, სოფ.

გარდაბნის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია არ დაეთანხმა თბილისის საქალაქო სასამართლოს, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.2 მუხლის საფუძველზე წამოიწყო დავა განსჯადობის თაობაზე და საქმე განსჯადობის გადასაწყვეტად გადმოუგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, შემდეგი მოტივით:

«ქ. თბილისის გარდაბნის მუნიციპალიტეტისა და მცხეთის მუნიციპალიტეტის საზღვრების შეცვლის შესახებ» 2006 წლის 27 დეკემბრის საქართველოს პარლამენტის დადგენილებით, გარდაბნის რაიონის სოფ. ... მოქცეულია ქ. თბილისის ადმინისტრაციულ საზღვრებში (ისანი-სამგორის რაიონი). ამდენად, ვინაიდან სადავო უძრავი ნივთის ადგილსამყოფელი არის თბილისში, საქმე განსახილველად ექვემდებარება თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების განსჯადობის თაობაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს და გარდაბნის რაიონულ სასამართლოს მოსაზრებების გაცნობის შედეგად, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26.3. მუხლით მინიჭებული უფლებამოსილების საფუძველზე, წყვეტს რა დავას სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე, მიაჩნია, რომ ვ. ი-შვილის სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსაზრებას მოცემული საქმის გარდაბნის რაიონულ სასამართლოს განსჯად საქმედ მიჩნევასთან დაკავშირებით, ვინაიდან სასამართლოს საერთოდ არ დაუსაბუთებია, თუ რატომ მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სადავო უძრავი ქონების ადგილსამყოფელი – სოფ. ... გარდაბნის რაიონული სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიაზე მდებარეობს.

საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ მოცემულ საქმეში დავის საგანს წარმოადგენს არა უძრავი ქონება, არამედ ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილებები ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლის მე-2 ნაწილის «ა» ქვეპუნქტის შესაბამისად.

აღნიშნულის გამო, გამოყენებულ უნდა იქნეს არა განსაკუთრებული, არამედ სსსკ-ის მე-15 მუხლის საფუძველზე დადგენილი საერთო განსჯადობის წესები. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები გამოიცემა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობების მოსაწესრიგებლად. ადმინისტრაციულ-სამართლებრივი ურთიერთობები კი ცხოვრების მრავალ სფეროს მოიცავს.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სასამართლოებმა სადავო ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების სასამართლო წესით განსჯადობის განსაზღვრისას უნდა დაადგინონ არა ის ფაქტი, თუ რას ეხება მოცემული აქტები, არამედ – აქტების ავტორი; ადმინისტრაციული ორგანოების ადგილსამყოფლის მიხედვით უნდა გამოარკვიონ, თუ რომელი სასამართლოს სამოქმედო ტერიტორიას განეკუთვნება საქმე განსახილველად.

წინამდებარე საქმეში მოპასუხე ადმინისტრაციულ ორგანოებს წარმოადგენენ ზემდგომი – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო და მისი ტერიტორიული ორგანო – გარდაბნის სარეგისტრაციო სამსახური.

ამდენად, სსსკ-ის მე-20 მუხლის მიხედვით, მოსარჩელე რამდენიმე მოპასუხის მიმართ აღძრული მოთხოვნების პირობებში აღჭურვილია პროცესუალური პრივილეგირებული უფლებით – აირჩიოს სასამართლო, თუკი საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადი შეიძლება იყოს.

განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელემ გამოიყენა საპროცესო კანონით მინიჭებული უფლება და სასამართლოს მიმართა ერთ-ერთი მოპასუხის – სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს ადგილსამყოფელის მიხედვით განსჯად – თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

საკასაციო სასამართლო დამატებით დასძენს, რომ თვით განსაკუთრებული განსჯადობის (რომლის გამოყენება მოცემულ შემთხვევაში არასწორია) პირობებშიც კი თბილისის საქალაქო სასამართლოს საქმის განსჯადობის თაობაზე დასკვნა არასწორია, რაც დასაბუთებულად არის გადმოცემული გარდაბნის რაიონული სასამართლოს მიერ.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საქმე განსახილველად გადაეცეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1.2; 2.1; 26.3, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე, მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ვ. ი-შვილის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საქმე გადაეცეს განსჯად სასამართლოს;

3. წინამდებარე განჩინება გაეგზავნოს მხარეებს;
4. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

განსჯადობა მოსარჩელის არჩევით

განჩინება

18ს-1216-1183(გ-10)

3 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს შორის დავა მ. მ-ძის სარჩელის განსჯადობის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 19 ივლისს ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა მ. მ-მემ, მოპასუხის - საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ.

მოსარჩელე სარჩელით ითხოვდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2010 წლის 29 მარტის 1131002610215, 2010 წლის 3 მაისის 1131004437114, 2010 წლის 7 ივნისის 1146242 და 2010 წლის 14 ივნისის 1154291 გადაწყვეტილებების ბათილად ცნობას. მოსარჩელე, აგრეთვე, ითხოვდა, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ზუგდიდის სამსახურს დავალეობოდა სს „...“ წესდების რეგისტრაციიდან მოხსნა და რეგისტრაციის ბათილად ცნობა.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 20 აგვისტოს განჩინებით მოსარჩელე მ. მ-ძის სარჩელი საქმის მასალებთან ერთად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

საქმის ფაქტობრივ გარემოებებზე დაყრდნობით, სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის მოთხოვნაზე სს „...“ წესდების რეგისტრაციიდან მოხსნისა და რეგისტრაციის ბათილად ცნობის თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო მის დაქვემდებარებაში მყოფი სტრუქტურული ქვედანაყოფის - მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეგისტრაციის სამსახურის მეშვეობით. შესაბამისად, მ. მ-ძის მიერ გასაჩივრებული ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტები მიღებულ იქნა ეროვნული სააგენტოს მიერ. აღნიშნულ აქტებთან დაკავშირებით მოსარჩელემ განცხადება შეიტანა ზუგდიდის რაიონულ სამსახურში, რაც გადაგზავნილ იქნა ეროვნული სააგენტოს შესაბამის სამსახურში. აქედან გამომდინარე, მოსარჩელის ყველა პრეტენზია უკავშირდება არა ზუგდიდის ტერიტორიულ სამსახურს, არამედ ეროვნულ სააგენტოს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ მოცემულ შემთხვევაში ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსახური ვერ ჩაითვლებოდა სათანადო მოპასუხედ, რადგანაც მას არანაირი კავშირი ჰქონდა არც სამეწარმეო რეესტრის წარმოებასთან და არც რეგისტრაციასთან დაკავშირებით ეროვნული სააგენტოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებასთან. შესაბამისად, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის პირველი ნაწილისა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის თანახმად, სასამართლომ მიიჩნია, რომ მ. მ-ძის სარჩელი განხილულ უნდა ყოფილიყო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 1 სექტემბერის განჩინებით მ. მ-ძის სასარჩელო განცხადების საფუძველზე წარმოებული ადმინისტრაციული საქმე განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაგზავნილ იქნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში.

თბილისის საქალაქო სასამართლომ მიუთითა, რომ ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ, მოსარჩელის წინააღმდეგობის მიუხედავად, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსახური ცნო არასათანადო მოპასუხედ და საქმე საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილმდებარეობის შესაბამისად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის თანახმად, საქმის განმხილველ სასამართლოს განსჯადობის წესის დაცვით მიღებული საქმე უნდა განეხილა და არსებითად გადაეწყვიტა, თუნდაც ეს საქმე შემდგომში სხვა სასამართლოს განსჯადი გამხდარიყო. კანონის ზემოხსენებული ნორმებიდან გამომდინარე, სასამართლო უფლებამოსილი არ იყო მ. მ-ძის სარჩელი განსჯადობით გადაეგზავნა მხოლოდ იმ მოტივით, რომ ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსახურის ქმედება მოსარჩელეს გასაჩივრებული ჰქონდა ზემდგომ ადმინისტრაციულ ორგანოში-ეროვნულ სააგენტოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზუგდიდის რაიონული სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შორის ტერიტორიული განსჯადობის თაობაზე წარმოშობილი დავის გაცნობის

შედეგად მიიჩნევს, რომ მ. მ-ძის სარჩელი განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს შემდეგ მოსაზრებათა გამო:

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის 1-ელი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ელი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

ტერიტორიული განსჯადობის პრინციპი ასახულია სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლით, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სარჩელი იურიდიული პირების მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფელის მიხედვით. განსახილველ შემთხვევაში მ. მ-ძემ, სარჩელში მოპასუხედ მიუთითა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსახური, რომლის ტერიტორიულ ადგილსამყოფელს წარმოადგენს ქ. ზუგდიდი.

აღნიშნულთან მიმართებაში საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ადმინისტრაციული სამართალწარმოების ისეთ მნიშვნელოვან პრინციპს, როგორცაა დისპოზიციურობის პრინციპი. ეს უკანასკნელი სამართალწარმოებაში წარმოადგენს საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ და მხარეთა გარანტირებულ შესაძლებლობას, თავისუფლად ისარგებლონ თავიანთი მატერიალური და საპროცესო უფლებებით ან განკარგონ ისინი. დისპოზიციურობის პრინციპის ერთ-ერთი გამოვლინებაა მხარეთა თავისუფალი ნება, დარღვეული უფლების აღდგენის მოთხოვნით სარჩელი აღძრან სასამართლოში და მიუთითონ მოპასუხეზე, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სასარჩელო მოთხოვნაზე.

ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 85-ე მუხლის თანახმად, თუ საქმის განხილვისას სასამართლო დაადგენს, რომ სარჩელი აღძრულია არა იმ პირის წინააღმდეგ, რომელმაც პასუხი უნდა აგოს სარჩელზე, მას შეუძლია, მოსარჩელის თანხმობით შეცვალოს თავდაპირველი მოპასუხე სათანადო მოპასუხით. მითითებულ მუხლში ხაზგასმითაა აღნიშნული, რომ სასამართლო მხოლოდ მოსარჩელის თანხმობითაა უფლებამოსილი, თავდაპირველი მოპასუხე შეცვალოს სათანადო მოპასუხით. მოცემული საქმის შემთხვევაში როგორც ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 20 აგვისტოს მოსამზადებელი სასამართლო სხდომის ოქმიდან ირკვევა, მოსარჩელე მ. მ-ძე არ დაეთანხმა მოპასუხის – ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსახურის საქმიდან ამორიცხვას და საქმის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ადგილსამყოფელის მიხედვით გადაგზავნას თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლომ არსებითად სწორად განსაზღვრა მოცემული დავის განსჯადობის საკითხი და მართებულად მიიჩნია საქმე ზუგდიდის რაიონული სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ დავად, ვინაიდან ზემოთხსენებული ნორმის თანახმად, ზუგდიდის რაიონული სასამართლო მ. მ-ძის თანხმობის გარეშე უფლებამოსილი არ იყო, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ზუგდიდის სამსახური შეეცვალა სათანადო მოპასუხით – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოთი და აქედან გამომდინარე, საქმე განსახილველად გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში. აღნიშნულ შემთხვევაში, მ. მ-ძის მიმართ დარღვეულ იქნა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლით გათვალისწინებული უფლება, რომლის თანახმადაც, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, სასამართლოს არჩევს უფლება ეკუთვნის მოსარჩელეს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე და იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელის მიერ ერთ-ერთ მოპასუხედ მითითებულია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ზუგდიდის სარეგისტრაციო სამსახური, რომლის ადგილსამყოფელია ქ. ზუგდიდი - საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მ. მ-ძის სარჩელი ამ უკანასკნელისავე არჩევით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ელი მუხლის მე-2 ნაწილით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მ. მ-ძის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

5. საერთო განსჯადობა

განჩინება

18ს-126-120 (გ-10)

7 აპრილი 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
ლ. მურუსიძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, განიხილა დავა გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონულ სასამართლოსა და ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს შორის მ. ზ-აიას სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

მ. ზ-აიამ სასარჩელო განცხადებით მიმართა გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე – აფხაზეთის ა/რ განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიმართ და 1982-1993 წლებში გალის რაიონის, სოფ. ... ი. გოგებაშვილის სახელობის 11 საშუალო სკოლაში სწავლების ფაქტის აღიარება და ზოგადი განათლების ატესტატის აღდგენა მოითხოვა.

გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლოს 16.12.09წ. განჩინებით მოსარჩელე მ. ზ-აიას სარჩელი განსახილველად გადაეგზავნა განსჯად – ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს. გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონულმა სასამართლომ მიუთითა, რომ, სსკ-ის 439-ე მუხლის თანახმად, აფხაზეთის ა/რ იურისდიქციის სრულად აღდგენამდე იძულებით გადაადგილებულ პირთა დარღვეული და სადავო უფლებების, აგრეთვე, კანონმდებლობით გათვალისწინებული ინტერესების დაცვას (მოსარჩელე) ახორციელებენ აფხაზეთის ა/რ სასამართლოები მათი სამოქმედო ტერიტორიების მიხედვით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მესამე თავის მოთხოვნათა დაცვით, თუ მოპასუხე იძულებით გადაადგილებული პირია, რის გამოც აღნიშნული სარჩელი სსკ მე-15 მუხლის შესაბამისად, წარდგენილი უნდა იქნეს მოპასუხე იურიდიული პირის – გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ადგილსამყოფელის მიხედვით – ზუგდიდის რაიონულ სასამართლოში, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში მოპასუხის ადგილსამყოფელია ქ. ზუგდიდი, ... ქ.11/8.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 04.01.2010 წლის განჩინებით მოსარჩელე მ. ზ-აიას სასარჩელო განცხადება გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიმართ განსჯადობის შესახებ დავის გადაწყვეტის მიზნით გადაეგზავნა საკასაციო სასამართლოს. ზუგდიდის რაიონულ სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელემ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლისა და ამავე კოდექსის მე-13-მე-18 მუხლების თანახმად სარჩელი შეიტანა გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონულ სასამართლოში, ვინაიდან სწავლობდა გალის რაიონის სოფ. ... 11 საშუალო სკოლაში, ქართულ-აფხაზური კონფლიქტის დროს მოსარჩელემ დაკარგა ატესტატი, მოსარჩელე ითხოვს ატესტატის აღდგენას, რისთვისაც სჭირდება იმის დადასტურება, რომ მან ნამდვილად დაამთავრა აღნიშნული სკოლა, რომელიც მდებარეობდა აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე, გალში და შესაბამისად მ. ზ-აიამ სწორედ მიმართა გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიმართ. ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრი, ისე, როგორც გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლო, ფაქტობრივად იძულებით გადაადგილებულია და აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში იურისდიქციის აღდგენამდე ზუგდიდი მათი დროებითი ადგილსამყოფელია და სწორედ ასეთ პირთა მიმართ კანონმდებლობით გათვალისწინებული ინტერესების დაცვას ეხება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 439-ე მუხლი. ზუგდიდის რაიონულმა სასამართლომ მიუთითა, რომ აფხაზეთის მთავრობის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი დაწესებულებების და სხვა ადმინისტრაციული ორგანოების მიმართ სარჩელები, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში იურისდიქციის აღდგენამდე, მიუხედავად მათი დროებითი ადგილსამყოფელისა, წარდგენილი უნდა იქნეს გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის, სოხუმისა და გაგრა-გულდაუთის რაიონულ სასამართლოებში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლოს და ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს განჩინებების გაცნობის შედეგად თვლის, რომ მ. ზ-აიას სარჩელი გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლოს განსჯადია შემდეგ გარემოებათა გამო:

განსახილველ შემთხვევაში სასამართლოებს შორის განსჯადობასთან დაკავშირებით დავა ეხება ტერიტორიული განსაჯობის საკითხს. სასკ-ის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო უფლებამოსილია, გადაწყვიტოს სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავა. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სასკ-ის 26.3 მუხლით გათვალისწინებული სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის დაშვება ითვალისწინებს სასამართლოებს შორის დავას არა მხოლოდ საგნობრივ, არამედ ტერიტორიული განსჯადობის საკითხზე. ადმინისტრაციული საპროცესო კანონმდებლობა არ შეიცავს ტერიტორიული განსჯადობის მომწესრიგებელ ნორმებს, შესაბამისად, ასკ-ის 1-ელი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ საქართველოს ადმინისტრაციული

საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი, სსკ-ის მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) 1-ელი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. მართალია, ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეებზე სასამართლოების ტერიტორიული განსჯადობა მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ადმინისტრაციული ორგანოების ტერიტორიულ განსჯადობაზე და საერთო წესის თანახმად, სარჩელი წარედგინა უნდა იქნეს მოპასუხის – ადმინისტრაციული ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით, მაგრამ მოქმედი კანონმდებლობა აწესებს აფხაზეთის სასამართლოებისათვის ამ წესისაგან განსხვავებულ, განსაკუთრებულ განსჯადობას, რაც განაპირობა დენილობაში მყოფი აფხაზეთის სასამართლოებისათვის შემუშავებულმა არაორდინალურმა სტატუსმა, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 439-ე მუხლის შესაბამისად, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენამდე იძულებით გადაადგილებულ პირთა დარღვეული და სადავო უფლებების, აგრეთვე, კანონმდებლობით გათვალისწინებული ინტერესების დაცვას ახორციელებენ აფხაზეთის ა/რ სასამართლოები მათი სამოქმედო ტერიტორიების მიხედვით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავის მოთხოვნათა დაცვით, თუ მოპასუხე იძულებით გადაადგილებული პირია. ამდენად, აფხაზეთის ა/რ სასამართლოების იურისდიქციის არსი მდგომარეობს იმაში, რომ აფხაზეთის სასამართლოები თავიანთ საქმიანობას ახორციელებენ არა მარტო ტერიტორიული პრინციპით, არამედ დევნილი მოსახლეობისა და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოების დროებითი, ფაქტობრივი ადგილსამყოფელის მიხედვით. განსახილველ შემთხვევაში მოსარჩელე გალის რაიონის სოფ. ... 11 საშუალო სკოლის ატესტატის აღდგენასა და იმის დადასტურებას ითხოვს, რომ მან ნამდვილად დაამთავრა აღნიშნული სკოლა. სარჩელზე მოპასუხეს წარმოადგენს გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრი, რომელიც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 17.01.06წ. 131 ბრძანებით დამტკიცებული «საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის ტიპური დებულების» 1-ელი მუხლის 1-ელი პუნქტის, აფხაზეთის მთავრობის 05.02.2010 წ. 16 დადგენილებით დამტკიცებული «აფხაზეთის განათლებისა და კულტურის სამინისტროს დებულების» მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის, აგრეთვე აფხაზეთის ა/რ განათლებისა და კულტურის მინისტრის 02. 04.07წ. 1145 /მ ბრძანებით დამტკიცებული «გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის დროებითი დებულების» 1-ელი მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად, წარმოადგენს სამინისტროს ტერიტორიულ ორგანოს. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოები აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკაში საქართველოს იურისდიქციის აღდგენამდე საქმიანობას ახორციელებენ სხვადასხვა ტერიტორიაზე, მითითებული დებულების თანახმად, თავისი ფუნქციის განხორციელებისას, სამინისტრო წარმოადგენს აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკას, რომლის მისამართია თბილისი, დ. უზნაძის 68, ხოლო მისი ტერიტორიული ორგანოს – გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის დროებითი ადგილსამყოფელია ქ. ზუგდიდში. ავტონომიური რესპუბლიკის ადმინისტრაციული ორგანოები, თავიანთ საქმიანობას განაგრძობენ საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიაზე. ქ. ზუგდიდი არის გალის რესურს-ცენტრის დროებითი ადგილსამყოფელი. დროებითი ადგილსამყოფელის მიუხედავად, სარჩელი მართებულად წარედგინა იქნა გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონულ სასამართლოში, რომლის ადგილსამყოფელად საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 09.08.07წ. 11/150-2007 გადაწყვეტილების მე-11 მუხლის თანახმად, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში საქართველოს იურისდიქციის სრულ აღდგენამდე, ქ. ზუგდიდის მუნიციპალიტეტი განისაზღვრა. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ, მიუხედავად მოპასუხის – გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ადგილსამყოფელისა, იგი წარმოადგენს აფხაზეთიდან იძულებით გადაადგილებულ ადმინისტრაციულ ორგანოს, რომლის მიმართ წარედგინა სარჩელი, სსკ-ის 439-ე მუხლის შესაბამისად, უნდა განიხილოს გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონულმა სასამართლომ.

საკასაციო სასამართლო იზიარებს ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის შესაბამისად, მხოლოდ მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით საქმეთა დაქვემდებარების შემთხვევაში, აფხაზეთის ა/რ სასამართლოებში არ იარსებებს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები, ვინაიდან ფაქტობრივად არც ერთი ადმინისტრაციული საქმე ადგილსამყოფელის პრინციპის გათვალისწინებით არ დაექვემდებარება მითითებულ სასამართლოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ დავა განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონულ სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მ. ზ-აიას სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონულ სასამართლოს;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საერთო განსჯადობა

განჩინება

18ს-203-195 (გ-10)

17 მაისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

პ. სილაგაძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, განიხილა მარნეულისა და მესტიის რაიონულ სასამართლოებს შორის დავა საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 22 ივლისს მარნეულის რაიონულ სასამართლოს სარჩელით მიმართა საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ ზ. ნ-იანის მიმართ, რომლითაც მოპასუხისათვის ჯარიმის თანხის, საჯარიმო თანხიდან გამომდინარე პირგასამტეხლოსა და ზიანის თანხის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა.

მოსარჩელემ განმარტა, რომ მოპასუხემ – ზ. ნ-იანმა 2005 წლის 5 ივლისს საქართველოს თავდაცვის სამინისტროსთან გააფორმა კონტრაქტი და დაინიშნა კონტრაქტით გათვალისწინებული პირობების თანახმად, სამხედრო საკონტრაქტო-პროფესიულ სამსახურში. საქართველოს თავდაცვის მინისტრის 2006 წლის 8 სექტემბრის 1054 ბრძანებით ზ. ნ-იანი დათხოვნილ იქნა სამხედრო სამსახურიდან 2006 წლის 14 აგვისტოდან კონტრაქტის პირობების დარღვევის გამო.

მოსარჩელე – საქართველოს თავდაცვის სამინისტრო მიიჩნევს, რომ კონტრაქტის 7.3 და 7.4 პუნქტების თანახმად, ზ. ნ-იანს უნდა დაკისრებოდა მოთხოვნილი თანხა. ამასთან, მისი შეიარაღებული ძალებიდან დათხოვნის გამო, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს მოუწია სხვა სამხედრო მოსამსახურესთან ახალი კონტრაქტის გაფორმება და მოპასუხეზე დახარჯული თანხის ხელახლა დახარჯვა. აღნიშნული გარემოება კი წარმოადგენდა მოპასუხისათვის ზიანის ანაზღაურების დაკისრების საფუძველს.

2009 წლის 4 აგვისტოს საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ დააზუსტა სასარჩელო მოთხოვნა და მოითხოვა, ზ. ნ-იანს დაკისრებოდა ჯარიმის – 19692 ლარის, პირგასამტეხლოს – ჯარიმის თანხის გადახდამდე 2006 წლის 19 სექტემბრიდან ყოველდღიურად 19692 ლარის 0.2%-ისა და ზიანის საკომპენსაციო თანხის – 4981.38 ლარის გადახდა.

მარნეულის რაიონული სასამართლომ 2009 წლის 18 ნოემბრის განჩინებით მიჩნეულ იქნა, რომ საქმე განსჯადობით უნდა გადაგზავნილიყო მესტიის რაიონულ სასამართლოს, ვინაიდან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო სამმართველოს მესტიის რაიონული სამმართველოს წერილით დგინდებოდა, რომ მოპასუხე – ზ. ნ-იანი ცხოვრობდა მესტიის რაიონის სოფ. ... და სარჩელი საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის თანახმად, უნდა წარდგენილიყო მესტიის რაიონულ სასამართლოს.

2010 წლის 10 თებერვლის განჩინებით მესტიის რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმე სასამართლოთა შორის დავის გადასაწყვეტად უნდა გადაგზავნილიყო საკასაციო სასამართლოს.

მესტიის რაიონულ სასამართლოში სასამართლო სხდომაზე გამოცხადებულმა ზ. ნ-იანმა განმარტა, რომ სოფ. ... ცხოვრობს სხვა ზ. ნ-იანი. თავად ცხოვრობს მარნეულის რაიონის სოფ. ..., ხოლო სოფ. ... – მისი ოჯახი, სადაც იგი ჩადის სტუმრად. მარნეულში ჰყავს ინტერესების დამცველი ადვოკატი და მის მესტიის რაიონში სასამართლო სხდომაზე გამოცხადებას ვერ უზრუნველყოფდა. ზ. ნ-იანმა მოითხოვა, საქმე გადაგზავნილიყო მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მარნეულის რაიონულ სასამართლოში.

მესტიის რაიონულმა სასამართლომ ზ. ნ-იანის განმარტების, მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოს ... რწმუნებულის 2010 წლის 10 თებერვლის ცნობისა და სამოქალაქო რეესტრის სააგენტოს მარნეულის სამსახურის მიერ გაცემული პირადობის მოწმობის საფუძველზე, მიიჩნია, რომ ზ. ნ-იანი 1998 წლიდან არ იყო რეგისტრირებული ... ტერიტორიულ ორგანოში. აღნიშნულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით სასამართლომ დადასტურებულად მიიჩნია, რომ მოპასუხე – ზ. ნ-იანი რეგისტრირებულია და ცხოვრობს მარნეულის რაიონის სოფ.

მესტიის რაიონულმა სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 პირველი ნაწილის საფუძველზე მიიჩნია, რომ მოცემული საქმე იყო მარნეულის რაიონული სასამართლოს განსჯადი, ხოლო მოპასუხის მოთხოვნა საფუძველიანი, რის გამოც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად მიიჩნია, რომ საქმე სასამართლოთა შორის დავის გადასაწყვეტად უნდა გადაგზავნილიყო საკასაციო სასამართლოს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა მესტიის რაიონული სასამართლოსა და მარნეულის რაიონული სასამართლოს განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს მარნეულის რაიონული სასამართლო.

საკასაციო სასამართლოს, საქმის მასალების მიხედვით, დადგენილად მიაჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

საქმეში წარმოდგენილი საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობით დადგენილია, რომ ზ. ნ-იანი, დაბადებული 1983 წლის 18 მარტს, მესტიის რეესტრირებულია მარნეულის რაიონის სოფ. მესტიის მუნიციპალიტეტის გამგეობის ტერიტორიული ორგანოს სოფ. ... რწმუნებულის 2010 წლის 10 თებერვლის ცნობით დგინდება, რომ ზ. ნ-იანი ... ტერიტორიულ ორგანოში რეესტრირებული არ არის. საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო სამმართველოს მესტიის რაიონული სამმართველოს დეტექტივ-გამომძიებლის სასამართლო სხდომაზე მიცემული განმარტებით დგინდება, რომ მან 2009 წლის 5 ნოემბრის '36/IX/7/1-1021 წერილით დაადასტურა იმჟამად მესტიის რაიონის სოფ. ... ზ. ნ-იანის ყოფნის და არა მისი ... ცხოვრების ფაქტი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ელი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ, ვინაიდან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ხსენებული მუხლი შეიცავს ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი ფიზიკური პირის მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე. აღნიშნული მუხლის მიხედვით მოპასუხის ადგილსამყოფელად ითვლება მისი რეესტრაციის ადგილი.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სარჩელზე თანდართულია სამოქალაქო რეესტრის სამსახურის ვებგვერდიდან ამონაბეჭდი, რომლის მიხედვით, ზ. ნ-იანის რეესტრაციის ადგილი არის მარნეული, სოფ. ამასთან, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის სამხარეო სამმართველოს მესტიის რაიონული სამმართველოს დეტექტივ-გამომძიებლის 2009 წლის 5 ნოემბრის '36/IX/7/1-1021 წერილი ვერ მიიჩნევა იმის მტკიცებულებად, რომ ზ. ნ-იანის საცხოვრებელი ადგილი არის მესტიის რაიონის სოფ. ვინაიდან იგი არ წარმოადგენს პირის რეესტრაციის ადგილის დამადასტურებელ სათანადო მტკიცებულებას და შეიცავს მხოლოდ ინფორმაციას იმის თაობაზე, რომ ზ. ნ-იანი იმყოფებოდა სოფ. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 102-ე მუხლის თანახმად, საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. უსაფუძვლოა მარნეულის რაიონული სასამართლოს მოსაზრება, რომ ზ. ნ-იანი ცხოვრობს მესტიის რაიონში, რის გამოც სარჩელი უნდა წარედგენოდა მესტიის რაიონულ სასამართლოს. აღნიშნული მოსაზრება არ ემყარება ამ კუთხით საქმის გარემოებათა სრულყოფის გამოკვლევას და არ უნდა იქნეს გაზიარებული.

ამდენად, საკასაციო სასამართლო საქმის მასალების საფუძველზე დადგენილად მიიჩნევს, რომ მოპასუხე ზ. ნ-იანი რეესტრირებულია მარნეულის რაიონის სოფ. სწორედ მოპასუხის რეესტრაციის ადგილი განსაზღვრავს სარჩელის განსჯად სასამართლოს და აღნიშნული წესის შეცვლა მოპასუხის დროებით სხვა საცხოვრებელ ადგილზე ცხოვრების გამო დაუშვებელია.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიაჩნია, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მარნეულის რაიონულ სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი მოპასუხე ზ. ნ-იანის მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს მარნეულის რაიონულ სასამართლოს;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საერთო განსჯადობა

განჩინება

1ბს-780-754(გ-10)

8 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. ქადაგიძე,

პ. სილაგაძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, ზეპირი განხილვის გარეშე განიხილა ოზურგეთის რაიონული სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შორის დავა გურიის პრობაციის ბიუროს უფროსის წარდგინების განსჯადობის თაობაზე კ. ჯ-ძის მიმართ.

აღწერილობითი ნაწილი:

ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს 2009 წლის 6 აგვისტოს განაჩენით კ. ჯ-ძე ცნობილ იქნა დამნაშავედ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლის 1-ელი ნაწილით და სასჯელის სახედ და ზომად დაენიშნა თავისუფლების აღკვეთა ორი წლის ვადით, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 63-ე და 64-ე მუხლის საფუძველზე ჩათვალა პირობითად, არ იქნა სისრულეში მოყვანილი და გამოსაცდელ ვადად დაუდგინდა 2 წელი.

მსჯავრდებულ კ. ჯ-ძეს «არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ» საქართველოს კანონის 45-ე მუხლის «ა» პუნქტის საფუძველზე, დაეკისრა პრობაციის ბიუროში თვეში ერთხელ – ყოველი თვის მეოთხე კვირის პარასკევს გამოცხადება. როგორც საქმის მასალებით დგინდება, კ. ჯ-ძემ დაარღვია მასზე დაკისრებული მოვალეობა და სათანადო ნებართვის გარეშე გადაკვეთა საქართველოს ტერიტორია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გურიის პრობაციის ბიუროს უფროსმა «არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ» საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-6 ნაწილის საფუძველზე მოითხოვა, მსჯავრდებულ კ. ჯ-ძეს შეფარდებოდა 30 დღემდე ადმინისტრაციული პატიმრობა.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 29 აპრილის დადგენილებით პრობაციის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული ორგანოს – გურიის პრობაციის ბიუროდან შემოსული წარდგინება და სააღსრულებო საქმე მსჯავრდებულ კ. ჯ-ძის მიმართ განსჯადობით გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს.

ოზურგეთის რაიონული სასამართლოს განმარტებით, «არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ» საქართველოს კანონის მე-15 მუხლის მე-6 ნაწილის თანახმად, მსჯავრდებულის მიერ საზღვარგარეთ გამგზავრების ნებართვის გარეშე საქართველოს საზღვრების გადაკვეთა ან გადაკვეთის მცდელობა გამოიწვევდა მსჯავრდებულის დაჯარიმებას 500-დან 1000 ლარამდე ოდენობით ან/და ადმინისტრაციულ პატიმრობას 30 დღემდე ვადით. ადმინისტრაციული პატიმრობის წესი განისაზღვრებოდა საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით.

რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილებოდა მისი ჩადენის ადგილას. ვინაიდან მსჯავრდებულმა კ. ჯ-ძემ სათანადო ნებართვის გარეშე გადაკვეთა საქართველოს საზღვარი სასაზღვრო გამტარ პუნქტში – თბილისის აეროპორტში, შესაბამისად, პრობაციის ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული ორგანოს გურიის პრობაციის ბიუროდან შემოსული წარდგინება და სააღსრულებო საქმე მსჯავრდებულ კ. ჯ-ძის მიმართ განსჯადობით გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 17 მაისის დადგენილებით გურიის პრობაციის ბიუროს უფროსის წარდგინება კ. ჯ-ძის მიმართ 30 დღემდე ვადით ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების შესახებ საქმის მასალებთან ერთად განსჯადობის შესახებ სასამართლოთა შორის დავის გადასაწყვეტად გადმოგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განმარტებით, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე უნდა განხილულიყო მისი ჩადენის ადგილას, «არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ», საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი წარდგინება შეიტანება სასამართლოში მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის (იურიდიული მისამართის) მიხედვით. როგორც სასამართლომ განმარტა, «არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ» საქართველოს კანონი სპეციალური კანონია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსთან შედარებით, შესაბამისად, თუ კოლიზიურ ნორმებს თანაბარი იურიდიული ძალა აქვთ, მაშინ სპეციალურ ნორმებს საერთო ნორმების მიმართ ენიჭება უპირატესობა. ამდენად, გურიის პრობაციის ბიუროს წარდგინება განხილული უნდა ყოფილიყო კ. ჯ-ძის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, საქმის მასალებით დადგენილი იყო, რომ კ. ჯ-ძის საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენდა ოზურგეთის რაიონი, სოფ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად საქმე გადმოგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შემოწმა ოზურგეთის რაიონული სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის დადგენილებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს ოზურგეთის რაიონული სასამართლო.

საკასაციო სასამართლო იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას, რომ საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე უნდა განხილულიყო მისი ჩადენის ადგილას. «არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ» საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი წარდგინება შეიტანება სასამართლოში მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის (იურიდიული მისამართის) მიხედვით. «არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ» საქართველოს კანონი სპეციალური კანონია ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსთან შედარებით. შესაბამისად, თუ კოლიზიურ ნორმებს თანაბარი იურიდიული ძალა აქვთ, მაშინ სპეციალურ ნორმებს საერთო ნორმების მიმართ ენიჭება უპირატესობა. ამდენად, გურიის პრობაციის ბიუროს წარდგინება განხილული უნდა ყოფილიყო კ. ჯ-ძის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

საკასაციო სასამართლო საქმის მასალებს საფუძველზე დადგენილად მიიჩნევს, რომ კ. ჯ-ძის საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენდა ოზურგეთის რაიონი, სოფ.

საკასაციო სასამართლო დადგენილად მიიჩნევს, ასევე რომ მსჯავრდებულმა კ. ჯ-ძემ სათანადო ნებართვის გარეშე გადაკვეთა საქართველოს საზღვარი სასაზღვრო პუნქტში – თბილისის აეროპორტში, შესაბამისად, საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 261-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის საქმე განიხილება მისი ჩადენის ადგილას. ასევე საქმეში წარმოდგენილი პირადობის მოწმობის ასლით დასტურდება, რომ მსჯავრდებული კ. ჯ-ძის საცხოვრებელი ადგილი, ოზურგეთის რაიონის, სოფ. «არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ» საქართველოს კანონის 21-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად კი წარდგინება შეიტანება სასამართლოში მსჯავრდებულის საცხოვრებელი ადგილის (იურიდიული მისამართის) მიხედვით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სამართლის ზოგადი პრინციპების თანახმად, ერთი და იმავე დონის სამართლის ნორმათა კოლიზიის დროს გამოიყენება სპეციალური და უფრო ახალი კანონი. ამასთან, გათვალისწინებულ ზოგად ნორმებს და სპეციალურ ნორმებს შორის კოლიზიისას გამოიყენება სპეციალური ნორმები. კონკრეტულ შემთხვევაში კოლიზია წარმოიშვა «არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ» საქართველოს კანონსა და საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსს შორის, ვინაიდან «არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების წესისა და პრობაციის შესახებ» საქართველოს კანონი წარმოადგენს სპეციალურ კანონს, შედგება სპეციალური ნორმებისგან, ამიტომ სწორედ მას ენიჭება უპირატესი მნიშვნელობა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული საქმე განეკუთვნება ოზურგეთის რაიონული სასამართლოს განსჯად საქმეს, რის გამოც საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე საქმე განსჯადობით განსახილველად უნდა გადაეცეს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. გურიის პრობაციის ბიუროს უფროსის სარჩელის გამო, მოპასუხის – კ. ჯ-ძის მიმართ, 30 დღემდე ადმინისტრაციული პატიმრობის შეფარდების თაობაზე, განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს ოზურგეთის რაიონულ სასამართლოს;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საერთო განსჯადობა

განჩინება

1ბს-823-796 (გ-10)

28 ივლისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
ნ. ქადაგიძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, განიხილა დავა ლაგოდების რაიონულ სასამართლოსა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს შორის საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

საქართველოს თავდაცვის სამინისტრომ სასარჩელო განცხადებით მიმართა ლაგოდების რაიონულ სასამართლოს, მოპასუხე – დ. ბ-შვილის მიმართ, რომლითაც მხარეებს შორის არსებული კონტრაქტის დარღვევისათვის დ. ბ-შვილისათვის ჯარიმის, პირგასამტეხლოსა და ზიანის თანხის დაკისრება მოითხოვა.

ლაგოდების რაიონული სასამართლო 19.05.2010წ. განჩინებით საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი განსახილველად გადაეგზავნა ქ. რუსთავის საქალაქო სასამართლოს. ლაგოდების რაიონულმა სასამართლომ მიუთითა სსკ-ის მე-15 და სკ-ის მე-20 მუხლებზე და აღნიშნა, რომ მოპასუხის დ. ბ-შვილის შესაგებლის თანახმად, მის საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენს ქ. რუსთავი, რის გამოც საქმე მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით უნდა დაექვემდებაროს ქ. რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

რუსთავის საქალაქო სასამართლო 01.06.2010წ. განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სარჩელი მოპასუხე დ. ბ-შვილის მიმართ თანხის დაკისრების თაობაზე განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს. რუსთავის საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საცხოვრებელი ადგილის მიხედვით რეგისტრაციის წესსა და პირობებს განსაზღვრავს «საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ» კანონი, რომლის მე-3 მუხლის 1-ელი პუნქტის თანახმად, საქართველოს მოქალაქე და საქართველოში მცხოვრები უცხოელები 14 წლის მიღწევიდან არა უგვიანეს 6 თვის ვალდებული არიან, გაიარონ რეგისტრაცია საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო, თუ მათ აქვთ რამდენიმე საცხოვრებელი ადგილი – ერთ-ერთი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით და მიიღონ პირადობის (ბინადრობის) მოწმობა. რუსთავის საქალაქო სასამართლომ მიუთითა მოცემული კანონის მე-4 მუხლის I ნაწილზე, რომლის მიხედვით, საცხოვრებელი ადგილის 6 თვეზე მეტი ვადით შეცვლისას პირი ვალდებულია, 6 თვის გასვლიდან არა უგვიანეს 10 დღისა ამ კანონის მოთხოვნათა დაცვით რეგისტრაციის გასაწვლად და პირადობის მოწმობის ასაღებად ახალი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით მიმართოს სააგენტოს ტერიტორიულ სამსახურს. აღნიშნული კანონის მე-12 მუხლის 1-ელ პუნქტზე მითითებით. სასამართლომ განმარტა, რომ საქართველოს პირადობის მოწმობა ადასტურებს პირის საქართველოს მოქალაქეობას, მის ვინაობას და საცხოვრებელ ადგილს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, რუსთავის საქალაქო სასამართლომ ჩათვალა, რომ დ. ბ-შვილი 2 წლის მანძილზე ცხოვრობს ახალ მისამართზე და მას არ შეუარსებელია კანონის ზემოაღნიშნული მოთხოვნა – გაველო ხელახალი რეგისტრაცია ახალი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ვინაიდან პირადობის მოწმობა ადასტურებს პირის საცხოვრებელ ადგილს და დ. ბ-შვილს პირადობის მოწმობა ახალი საცხოვრებელი მისამართის მიხედვით არ აქვს აღებული, რუსთავის საქალაქო სასამართლომ ჩათვალა, რომ საქართველო თავდაცვის სამინისტროს სარჩელი დ. ბ-შვილის მიმართ განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ლაგოდების რაიონული სასამართლოს დ. ბ-შვილის პირადობის მოწმობაში მითითებული საცხოვრებელი ადგილის მიხედვით (ლაგოდების რაიონი, სოფ. ...)

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე ლაგოდების რაიონული სასამართლოს და რუსთავის საქალაქო სასამართლოს განჩინებების გაცნობის შედეგად თვლის, რომ საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი ლაგოდების საქალაქო სასამართლოს განსჯადია შემდეგ გარემოებათა გამო:

სსკ-ის 26.3 მუხლით გათვალისწინებული სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავის დაშვება ითვალისწინებს სასამართლოებს შორის დავას არა მხოლოდ საგნობრივი, არამედ, ტერიტორიული განსჯადობის შესახებ. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით განსაზღვრულია მხოლოდ სარჩელის საგნობრივი განსჯადობა და შესაბამისად, საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელის ტერიტორიული განსჯადობის საკითხი განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმების საფუძველზე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით. სსკ-ის მე-15 მუხლი ადგენს ტერიტორიული განსჯადობის საერთო წესს, მის შესაბამისად ხდება საქმის მიზმა საქართველოს ტერიტორიაზე შექმნილი კონკრეტული სასამართლოსადმი. ხსენებულ ნორმას განაპირობებს ინტერესი იმისა, რომ პირი თა-

ვისი უფლების და კანონიერი ინტერესის დასაცავად მიმართავს იმ სასამართლოს, რომლის იურისდიქციის სფეროშიც იმყოფება მოპასუხე, ანუ ნორმა ითვალისწინებს პრინციპს, რომლის მიხედვით «სარჩელი მისდევს მოპასუხეს». აღნიშნულის შესაბამისად, სსკ-ის 23-ე მუხლის «ა» ქვეპუნქტის თანახმად, სასამართლო საქმეს განსახილველად სხვა სასამართლოს გადასცემს თუ მოპასუხე, რომლის საცხოვრებელი ადგილიც წინათ არ იყო ცნობილი, მოითხოვს, რომ საქმე გადაეცეს სასამართლოს თავისი საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. მოცემულ შემთხვევაში ამ ნორმის გამოყენების საფუძველი არ არსებობს, ვინაიდან პირის საცხოვრებელი ადგილი ცნობილია, მოპასუხის მიმართ სარჩელი აღიძრა მისი სარეგისტრაციო აღრიცხვის ადგილის მიხედვით, რომელიც, ხსენებული კანონის თანახმად, საცხოვრებელ ადგილს წარმოადგენს. მოპასუხის არა საცხოვრებელი ადგილის, არამედ ადგილსამყოფელის მიხედვით სარჩელის აღძვრას საპროცესო კანონმდებლობა იმ შემთხვევაში ითვალისწინებს, უკეთუ პირს არ აქვს საცხოვრებელი ადგილი (სსკ-ის 15-ე მუხლის მე-2 ნაწილი).

საცხოვრებელი ადგილის დეფინიცია და მასთან დაკავშირებული პირის უფლება-მოვალეობანი განისაზღვრება სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლით, «საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციის, პირადობის (ბინადრობის) მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის გაცემის წესის შესახებ» კანონით, სხვა ნორმატიული აქტებით. საცხოვრებელი ადგილის თავისუფალი არჩევის უფლება ძირითად, კონსტიტუციურ უფლებათა რიგს განეკუთვნება (საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლი), დაცულია პირის უფლება, სახელმწიფოს ნებართვის გარეშე დატოვოს თავისი საცხოვრებელი ადგილი და მუდმივ საცხოვრებლად სხვა ადგილი აირჩიოს. პირს შეუძლია რამოდენიმე საცხოვრებელი ადგილი ჰქონდეს. სამოქალაქო კოდექსის მე-20 მუხლის თანახმად, ფიზიკური პირის საცხოვრებელ ადგილად მიიჩნევა ადგილი, რომელსაც იგი ჩვეულებრივ საცხოვრებლად ირჩევს, საქართველოს კონსტიტუციის 22-ე მუხლის შესაბამისად, «საქართველოს მოქალაქეთა და საქართველოში მცხოვრებ უცხოელთა რეგისტრაციისა და პირადობის დადასტურების წესის შესახებ» კანონით, ჩაწერის სისტემისაგან განსხვავებით, რეგისტრაცია განიხილება არა სანებართვო სისტემად, არამედ რეჟიმით, რომლის პირობებშიც პირი დამოუკიდებლად ირჩევს საცხოვრებელს, რის შესახებაც ატყობინებს სახელმწიფოს შესაბამის ორგანოს, რომელიც ატარებს პირს რეგისტრაციაში და აძლევს რეგისტრაციის მოწმობას, ახალ ადგილას რეგისტრაციის შედეგად პირი იხსნება წინამორბედი რეგისტრაციიდან (მე-4 მუხ.). მიუხედავად იმისა, რომ საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის პრინციპი წინ უსწრებს ნებისმიერ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ მოწესრიგებას, რეგისტრაციით ეს უფლება არ იზღუდება, პირიქით, რეგისტრაციის უფლება ნაწარმოებია საცხოვრებელი ადგილის თავისუფლად არჩევის უფლებით. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ რეგისტრაცია, რომელიც საცხოვრებელი ადგილის მიხედვით წარმოებს, წარმოადგენს პირის იდენტიფიკაციის მნიშვნელოვან კრიტერიუმს, რეგისტრაციის მიზანია მოქალაქეთა უფლებების და მოვალეობების განხორციელების მიზნით პირის შესახებ მონაცემების, მათ შორის, საცხოვრებელი ადგილის დადგენის საშუალება, მისი შეცვლისას პირს ეკისრება კანონისმიერი ვალდებულების შესრულება – რეგისტრაციიდან მოხსნა და ახალ საცხოვრებელ ადგილზე რეგისტრაციაში გატარება, მოსარჩელის მხრიდან ამ ვალდებულების შეუსრულებლობა არ ადასტურებს ახალ საცხოვრებელ ადგილას მისი დაფუძნების ნებას და არ იძლევა ქ. რუსთავის მისი საცხოვრებელ ადგილად მიჩნევის საფუძველს, რადგანაც, ვიდრე ახალი საცხოვრებელი ადგილი არ დაფუძნებულა, ძალაში მყოფად მიიჩნევა ძველი საცხოვრებელი ადგილი. შესაბამისად, არ არსებობს განსახილველი დავის ქ. რუსთავის სასამართლოსათვის განსჯადობით გადაცემის საფუძველი.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსკ-ის მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) საფუძველზე საკასაციო სასამართლო თვლის, რომ დავა განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ლაგოდეხის რაიონულ სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. საქართველოს თავდაცვის სამინისტროს სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს ლაგოდეხის რაიონულ სასამართლოს;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

საერთო განსჯადობა

განჩინება

1ბს-1078-1048 (გ-10)

6 ოქტომბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, განიხილა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და გარდაბნის რაიონულ სასამართლოს შორის დავა გ. ხ-ძისა და ნ. მ-შვილის სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 12 ივლისს გ. ხ-ძემ და ნ. მ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხე – საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიმართ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობის თაობაზე.

მოსარჩელები სასარჩელო განცხადებით ითხოვდნენ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 14 აპრილის '1-1/524 ბრძანებისა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზაციის ქვემო ქართლის სამხარეო სამმართველოს '319 და '320 ბრძანებების ბათილად ცნობას.

2010 წლის 29 ივლისს მოსარჩელებმა ხარვეზის შევსების შესახებ განცხადებაში საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსთან ერთად მოპასუხედ მიუთითეს ასევე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზაციის ქვემო ქართლის სამხარეო სამმართველო.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 30 ივლისის განჩინებით გ. ხ-ძისა და ნ. მ-შვილის სარჩელი საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროსა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზაციის ქვემო ქართლის სამხარეო სამმართველოს მიმართ, განსახილველად გადაეგზავნა გარდაბნის რაიონულ სასამართლოს.

ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია განჩინებაში მიუთითებდა, რომ სსკ-ის მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის შესაბამისად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფელის მიხედვით. ამავე კოდექსის მე-18 მუხლის თანახმად, სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან განთავისუფლების შესახებ, აგრეთვე ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე, მათ შორის მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთის ადგილსამყოფელის მიხედვით. სასამართლო კოლეგიამ ასევე მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის 1-ელი ნაწილზე, რომლის თანახმად, სასამართლოში სარჩელის წარდგენისას დაცულ უნდა იქნეს როგორც საგნობრივი, ისე ტერიტორიული და დარგობრივი განსჯადობის წესები, რის შესაბამისად, ჩათვალია, რომ სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც, ზემოხსენებული საპროცესო ნორმების შესაბამისად, უფლებამოსილია, გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. თბილისის საქალაქო სასამართლოს მოსაზრებით, იმ მოტივით, რომ სადავო უძრავი ქონების ადგილსამყოფელს წარმოადგენს გარდაბანი, სოფ. ..., წინამდებარე სარჩელი განსჯადობით უნდა გადაეგზავნოს გარდაბნის რაიონულ სასამართლოს.

გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 10 აგვისტოს განჩინებით გ. ხ-ძისა და ნ. მ-შვილის სარჩელი მოპასუხეების საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზაციის ქვემო ქართლის სამხარეო სამმართველოს მიმართ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 14 აპრილის '1-1/524 ბრძანებისა და საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზაციის ქვემო ქართლის სამხარეო სამმართველოს '319 და '320 ბრძანებების ბათილად ცნობის თაობაზე განსჯადობის დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს, შემდეგ გარემოებებზე მითითებით:

საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზაციის ქვემო ქართლის სამხარეო სამმართველოს '319 და '320 ბრძანებები წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს, რომლითაც გაუქმდა ამავე ორგანოს მიერ მიღებული მიწისა და სხვა უძრავი ქონების შეძენის დამადასტურებელი ოქმები '5515 და '5514, რომლებიც ასევე წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებს. გარდაბნის რაიონული სასამართლოს მოსაზრებით, სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტებში ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმღებ ორგანოს «საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზაციის ქვემო ქართლის სამხარეო სამმართველოს» აქტების გასაჩივრების წესსა და პირობებში მითითებული აქვს, რომ ისინი შეიძლება გასაჩივრდეს ქ. რუსთავის საქალაქო სასამართლოში-ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის მიმღები ორგანოს «საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზაციის ქვემო ქართლის სამხარეო სამმართველოს» ადგილმდებარეობის მიხედვით.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის საფუძველზე, გარდაბნის რაიონულმა სასამართლომ განმარტა, რომ სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის ან ძალადაკარგულად გამოცხადების თაობაზე არის იმ ადმინისტრაციული სასამართლოს კომპეტენცია, რომლის მოქმედების სფეროშიც აქვს ადგილსამყოფელი მითითებულ ორგანოს. აღნიშნული გარემოების გათვალისწინებით კი გარდაბნის რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ წარმოდგენილი სარჩელი განსჯადობით უნდა დაექვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და გარდაბნის რაიონულ სასამართლოს შორის ტერიტორიული განსჯადობის თაობაზე წარმომოხილი დავის გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ გ. ხ-ძისა და ნ. მ-შვილის სარჩელი განსახილველად უნდა დაექვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს, შემდეგ მოსაზრებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. იმავე მუხლის მე-3 ნაწილი ზოგადად უშვებს სასამართლოებს შორის დავას, რაც ნიშნავს იმას, რომ ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში, სამოქალაქო სასამართლოებისგან განსხვავებით, დაიშვება არა მხოლოდ საგნობრივ განსჯადობასთან დაკავშირებული დავა, არამედ ტერიტორიულ განსჯადობასთან დაკავშირებული დავაც.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ, თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) 1-ელი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ხსენებული მუხლი შეიცავს ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფელის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

საკასაციო სასამართლო იზიარებს გარდაბნის რაიონულ სასამართლოს მსჯელობას და აღნიშნავს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის 1-ელი ნაწილი განსაკუთრებულ განსჯადობას ადგენს და მიუთითებს, რომ ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან გათავისუფლების შესახებ, აგრეთვე, ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფელის მიხედვით. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ხსენებულ დავაზე აღნიშნული მუხლი ვერ გავრცელდება, ვინაიდან მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელეები სადავოს ხდიან საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზაციის ქვემო ქართლის სამხარეო სამმართველოს 1319 და 1320 ბრძანებების კანონიერებისა და ასევე საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს 11-1/524 ბრძანების კანონიერების საკითხს, რომლითაც მოსარჩელეებს უარი ეთქვათ ზემოაღნიშნული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების თაობაზე შეტანილი საჩივრის დაკმაყოფილებაზე. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სარჩელი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე იმ სასამართლოს კომპეტენციას განეკუთვნება, რომლის მოქმედების სფეროშიც აქვს ადგილსამყოფელი მითითებულ ორგანოს. სარჩელის სათანადო კავშირი ტერიტორიასთან სარჩელის წარდგენის მომენტისათვის უნდა დადგინდეს. საქართველოს ეკონომიკის მინისტრის 2007 წლის 11 იანვრის 11-1/24 ბრძანებით დამტკიცებული საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზაციის ქვემო ქართლის სამხარეო სამმართველოს დებულების პირველი მუხლით სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზაციის ქვემო ქართლის სამხარეო სამმართველო, საქართველოს შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში თავისი ამოცანების განხორციელებისას წარმოადგენს სამინისტროს, რომლის იურიდიული მისამართია: რუსთავი, ... ქ 120. აღნიშნულიდან გამომდინარე, მოცემული სარჩელის შემთხვევაში საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ იგი ადმინისტრაციულ სამართალწარმოების წესით, მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განსჯადობით უნდა დაექვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს. რაც შეეხება მოსარჩელეთა მიერ მეორე მოპასუხედ ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მითითებას, საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სამინისტროს სადავო აქტი გამოცემულია ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის შედეგად, ადმინისტრაციული საჩივარი ადმინისტრაციული ორგანოსათვის არის საქმიანობის თვითკონტროლის საშუალება, ადმინისტრაციული საჩივრის განხილვის პროცესში ადმინისტრაციული ორგანო ამოწმებს სადავო აქტის გამოცემის ფაქტობრივ და სამართლებრივ გარემოებებს, მოცემულ შემთხვევაში ადმინისტრაციულმა ორგანომ დაადასტურა ქვედგომი ადმინისტრაციული ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მართლობიერება. ამდენად, ზემოაღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით და, აგრეთვე, ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა დედაქალაქის სასამართლოში თავმოყრის ტენდენციის შესუსტების მიზნით, სასამართლოში პროცესის ეკონომიურობის, მართმსაჯულების ადგილზე ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ საქართველოს ეკონომიკური განვითარების მინისტრის 2010 წლის 14 აპრილის 11-1/524 ბრძანების თაობაზე საქმის ტერიტორიული განსჯადობის დადგენისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ სადავო ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები – საქართველოს ეკონომიკური განვითარების

რების სამინისტროს სახელმწიფო ქონების აღრიცხვისა და პრივატიზაციის ქვემო ქართლის სამხარეო სამმართველო 1319 და 1320 ბრძანებები გამოცემულია ქვემო ქართლის სამხარეო სამმართველოს მიერ, რომლის მისამართია ქ. რუსთავი, ... ქ 120.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სარჩელი განსახილველად უნდა დაექვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს ტერიტორიული განსჯადობის შესაბამისად.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 390-ე, 399-ე და

და ა დ გ ი ნ ა:

1. გ. ხ-ძისა და ნ. მ-შვილის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს რუსთავის საქალაქო სასამართლოს;
2. განჩინება გადაეგზავნოს მხარეებს;
3. განჩინება განსჯადობის თაობაზე საბოლოოა და არ საჩივრდება.

6. ნიეთობრივი განსჯადობა

განჩინება

13ს-631-609(გ-10)

24 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. ქადაგიძე,
პ. სილაგაძე

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 20 იანვარს ც. ს-ძემ, ე. ს-შვილმა, ზ. ს-შვილმა და თ. ს-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართეს მცხეთის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხის – მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიუროს მიმართ.

მოსარჩელების განმარტებით, 2003 წლის 12 დეკემბერს ნ. ჩ-შვილსა და თ. ს-შვილს შორის დაიდო სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება, რომლის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა თ. ს-შვილის თანასაკუთრებაში არსებული მცხეთის რაიონში, სოფ. ... მდებარე 0.31 ჰა მიწის ნაკვეთი შენობა-ნაგებობით. აღნიშნული უძრავი ქონების თანამესაკუთრებს წარმოადგენდნენ თ. ს-შვილი, ც. ს-ძე, ე. ს-შვილი, ზ. ს-შვილი და თ. ს-შვილი, შესაბამისად, თ. ს-შვილის საკუთრების უფლება შეადგენდა 1/5-ს.

მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ თ. ს-შვილის მიერ, სესხის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, ნ. ჩ-შვილმა საარბიტრაჟო სარჩელი შეიტანა თანხის დაკისრების მოთხოვნით. საარბიტრაჟო გადაწყვეტილებით თ. ს-შვილს ნ. ჩ-შვილის სასარგებლოდ 27 803.76 ლარისა და საარბიტრაჟო მოსაკრებლის – 667.30 ლარის ანაზღაურება დაეკისრა.

მოსარჩელების განმარტებით, საარბიტრაჟო გადაწყვეტილების აღსრულების მიზნით 2009 წლის 2 ნოემბერს მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიუროს მიერ განმეორებით იძულებით საჯარო აუქციონზე გაიყიდა თ. ს-შვილის თანასაკუთრებაში არსებული, მცხეთის რაიონში, სოფ. ... მდებარე უძრავი ქონება, რომლის თანამესაკუთრებებს ასევე წარმოადგენდნენ ც. ს-ძე, ე. ს-შვილი, თ. ს-შვილი და ზ. ს-შვილი.

მოსარჩელებმა აღნიშნეს, რომ მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიუროს აღმასრულებლის 2009 წლის 2 ნოემბრის 110/10-04/9-1016 განკარგულების შესაბამისად, ნ. ჩ-შვილმა თ. ს-შვილის თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონება შეიძინა, ხოლო 110/10-04/9-1021 განკარგულების თანახმად, ნ. ჩ-შვილმა შეიძინა როგორც თ. ს-შვილის, ისე ც. ს-ძის, ე. ს-შვილის, თ. ს-შვილისა და ზ. ს-შვილის თანასაკუთრებაში არსებული უძრავი ქონება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელებმა მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიუროს 2009 წლის 2 ნოემბრის 110/10-04/09-1016 და 110/10-04/09-21 განკარგულებების ბათილად ცნობა მოითხოვეს.

მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 10 მარტის განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქმეში მესამე პირად ჩაება ნ. ჩ-შვილი.

მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 15 მარტის საოქმო განჩინებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, საქმეში მესამე პირად ჩაება თ. ს-შვილი.

მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 8 აპრილის განჩინებით საქმე ც. ს-ძის, ე. ს-შვილის, თ. ს-შვილისა და ზ. ს-შვილის სარჩელისა გამო, მოპასუხის – საქართველოს იუსტიცი-

ის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიუროს და მესამე პირების – ნ. ჩ-შვილისა და თ. ს-შვილის მიმართ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე, განსახილველად გადაეგზავნა გორის რაიონულ სასამართლოს.

მცხეთის რაიონული სასამართლოს განმარტებით საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის 2009 წლის 29 დეკემბრის 1... ბრძანების საფუძველზე განისაზღვრა სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ტერიტორიული ორგანოები, მათ შორის, შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიურო.

მცხეთის რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიუროს დებულების მე-6 მუხლის საფუძველზე განისაზღვრა აღნიშნული ბიუროს სამოქმედო ტერიტორია, რომელიც მოიცავდა მცხეთის მუნიციპალიტეტსაც, ხოლო ამავე დებულების მე-8 მუხლის თანახმად კი აღნიშნული ბიუროს მისამართად მიეთითა ქ. გორი, ... ქ. 152.

მცხეთის რაიონულმა სასამართლომ მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლზე და განმარტა, რომ, ვინაიდან სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიუროს მისამართი იყო ქ. გორი, ... ქ. 152, აღნიშნული საქმე განსჯადობით განსახილველად გორის რაიონულ სასამართლოს ექვემდებარებოდა.

გორის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 4 მაისის განჩინებით საქმე ც. ს-ძის, ე. ს-შვილის, თ. ს-შვილისა და ზ. ს-შვილის სარჩელის გამო, მოპასუხის – სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიუროს და მესამე პირების – ნ. ჩ-შვილისა და თ. ს-შვილის მიმართ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე, რაიონულ სასამართლოებს შორის ტერიტორიული განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

გორის რაიონულმა სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის 1-ელ ნაწილზე და განმარტა, რომ საქმე ეხებოდა განსაკუთრებულ განსჯადობას, ვინაიდან, მოსარჩელები სადავოდ ხდიდნენ მცხეთის რაიონის, სოფ. ... მდებარე უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების დაკარგვას, რასაც საფუძველად დაედო სააღსრულებო ბიუროს განკარგულებები.

გორის რაიონულმა სასამართლომ ასევე მიუთითა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლზე და აღნიშნა, რომ მოსარჩელებს უფლება ჰქონდათ თავად აერჩიათ ორიდან ერთ-ერთი განსჯადი სასამართლო.

გორის რაიონული სასამართლოს განმარტებით, 2010 წლის 20 იანვარს ც. ს-ძემ, ე. ს-შვილმა, თ. ს-შვილმა და ზ. ს-შვილმა სარჩელი სასამართლოს განსჯადობის წესების სრული დაცვით წარუდგინეს, ხოლო მცხეთა-მთიანეთისა და შიდა ქართლის სააღსრულებო ბიუროებს გაერთიანება 2010 წლის 29 იანვარს განხორციელდა.

გორის რაიონულმა სასამართლომ ასევე აღნიშნა, რომ იმ შემთხვევაში თუ საქმე განსჯადობით მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით უნდა განხილულიყო, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ადგილსამყოფელს არა გორი, არამედ თბილისი წარმოადგენდა და შესაბამისად, საქმე განსჯადობით თბილისის საქალაქო სასამართლოს უნდა დაქვემდებარებოდა.

ამდენად, გორის რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ უძრავი ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით განსჯად სასამართლოს მცხეთის რაიონული სასამართლო, ხოლო მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით განსჯად სასამართლოს თბილისის საქალაქო სასამართლო წარმოადგენდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და გორის რაიონული სასამართლოს განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ დავაში მოპასუხეს სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიურო წარმოადგენს, ხოლო დავის საგანს – ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის 1-ელი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. წინააღმდეგ შემთხვევაში სახეზე იქნება არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ საქმის განხილვა, რაც იწვევს საპროცესო ნორმების იმგვარ დარღვევას, რომელიც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური პროცესუალური საფუძველი ხდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ა» პუნქტის თანახმად.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ, თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) 1-ელი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. ხსენებული მუხლი შეიცავს ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის მიმართ წარედგინება სასამარ-

თლოს მისი ადგილსამყოფელის მიხედვით. ამდენად, აღნიშნული მუხლი საერთო განსჯადობას განსაზღვრავს და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლზე, რომლის თანახმად, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, სასამართლოს არჩევის უფლება ეკუთვნის მოსარჩელეს. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოსარჩელეებმა მცხეთის რაიონულ სასამართლოში სარჩელის წარდგენის გზით გამოხატეს ნება და ორი განსჯადი სასამართლოდან აირჩიეს ერთი – მცხეთის რაიონული სასამართლო. საკასაციო სასამართლო ასევე ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ 2010 წლის 8 აპრილის სასამართლო სხდომაზე მოსარჩელები არ დაეთანხმნენ მოცემული საქმის განსჯადობით განსახილველად გორის რაიონულ სასამართლოში გადაგზავნის საკითხს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის 1-ელ ნაწილზე და აღნიშნავს, რომ აღნიშნული ნორმა ადგენს განსაკუთრებულ განსჯადობას, რომლის საფუძველზეც ქონების უფლებრივი დატვირთვის, ან ასეთი დატვირთვისაგან გათავისუფლების შესახებ, აგრეთვე, ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთის ადგილსამყოფელის მიხედვით.

საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილის ანალიზი ნათლად გვიჩვენებს, რომ დასახელებული საპროცესო ნორმა ადგენს სპეციალურ განსჯადობას და იძლევა შესაძლებლობას, შესაბამისი სუბიექტური და ობიექტური გარემოებების არსებობისას განსჯადი სასამართლო განისაზღვროს უძრავი ნივთის ფაქტობრივი ადგილსამყოფელის მიხედვით.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელები სადავოდ ხდიან სოფელ ... მდებარე უძრავ ნივთზე საკუთრების უფლების დაკარგვას, რასაც საფუძველად დაედო მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიუროს 2009 წლის 2 ნოემბრის 1... და 1... განკარგულებები. ამასთან, საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქმეში წარმოდგენილ მიწის (უძრავი ქონების) შესახებ საჯარო რეესტრის ამონაწერზე, რომლის თანახმად, ზემოაღნიშნული სადავო უძრავი ქონება მცხეთის რაიონის სარეგისტრაციო ზონას მიეკუთვნება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ვინაიდან სადავო უძრავი ქონება მცხეთის რაიონში მდებარეობს, წარმოდგენილი სასარჩელო განცხადება ნივთის ადგილსამყოფელის მიხედვით, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით და 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის 1-ელი ნაწილით და 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ც. ს-მის, ე. ს-შვილის, თ. ს-შვილისა და ზ. ს-შვილის სარჩელი, მოპასუხის – სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიუროს და მესამე პირების – ნ. ჩ-შვილისა და თ. ს-შვილის მიმართ, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ბათილად ცნობის თაობაზე, განსახილველად დაექვემდებაროს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;

2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;

3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

7. ტერიტორიული განსჯადობა

ტერიტორიული განსჯადობა ნივთის ადგილსამყოფელის მიხედვით

განჩინება

18ს-1129-1077(გ-09)

8 თებერვალი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

პ. სილაგაძე

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 17 აგვისტოს საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის რუსთავის რეგიონალურმა ცენტრმა შუამდგომლობით მიმართა რუსთავის საქალაქო სასამართლოს, მოვალის – შპს «...» მიმართ და განმარტა, რომ შპს «...» რეგისტრირებულია გარდაბნის საგადასახადო ინსპექციაში, გადასახადის გადამხდელად რეგისტრირებულია რუსთავის რეგიონალურ ცენტრში, მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი ... 2009 წლის 20 თებერვლის მდგომარეობით საწარმოს ვადაგადაცილებული საგადასახადო ვალდებულება სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ შეადგენს 177 290.05 ლარს, საიდანაც გადასახადის ძირითადი თანხაა 58 517.52 ლარი, ხოლო სანქცია-საურავი – 118 772.53 ლარი. ვინაიდან გადასახადის გადამხდელი ნებაყოფლობით არ ასრულებს აღნიშნულ საგადასახადო ვალდებულებებს, შესაბამისად, რუსთავის რეგიონალური ცენტრი უფლებამოსილია მიმართოს საქართველოს საგადასახადო კოდექსის XI თავით გათვალისწინებულ საგადასახადო ვალდებულებების შესრულების უზრუნველყოფის ღონისძიებებს.

შუამდგომლობის ავტორმა საგადასახადო კოდექსის 87-ე და 88-ე მუხლებზე, საქართველოს მთავრობის 2005 წლის 25 იანვრის 110 და 114 დადგენილებებსა და საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VIII თავის საფუძველზე მოითხოვა ბრძანების გაცემა, ყადაღის აქტში ჩამოთვლილ, შპს «...» საკუთრებაში არსებული ყადაღადებული უძრავ-მოძრავი ქონების რეალიზაციის მიზნით ღია აუქციონის გამართვის თაობაზე.

რუსთავის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 18 აგვისტოს განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის რუსთავის რეგიონალური ცენტრის შუამდგომლობა მოვალის – შპს «...» მიმართ, ყადაღადებული უძრავ-მოძრავი ქონების რეალიზაციის თაობაზე განსჯადობის შესაბამისად, განსახილველად გადაეგზავნა გარდაბნის რაიონულ სასამართლოს.

რუსთავის საქალაქო სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21²¹, 26-ე მუხლებსა და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-7, 284-ე 285-ე, 414-ე მუხლებზე, მიიჩნია, რომ საქმის განმხილველ უფლებამოსილ სასამართლოს გარდაბნის რაიონული სასამართლო წარმოადგენდა, ვინაიდან, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21²¹ მუხლის თანახმად, ბრძანებას გადასახადის გადამხდელის ყადაღადებული ქონების რეალიზაციის თაობაზე, საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე გამოსცემს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე გადასახადის გადამხდელის ადგილსამყოფელის მიხედვით.

გარდაბნის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 21 აგვისტოს განჩინებით საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის რუსთავის რეგიონალური ცენტრის შუამდგომლობა შპს «...» მიმართ, ყადაღადებული უძრავ-მოძრავი ქონების რეალიზაციის თაობაზე განსჯადობის დავის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

გარდაბნის რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21²¹ მუხლის თანახმად, გადამხდელის ადგილსამყოფლად, ამ კანონის მიზნებიდან გამომდინარე, იგულისხმება გადასახადის გადამხდელის რეგისტრაციის ადგილი (მოცემულ შემთხვევაში ქ. რუსთავი) და არა ამ მეურნე-სუბიექტის იურიდიული მისამართი ან ქონების ადგილსამყოფელი. თუ კანონის მიხედვით ნაგულისხმევი იქნებოდა იურიდიული მისამართი ან ქონების ადგილსამყოფელი, აღნიშნულს მოაწესრიგებდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 და მე-18 მუხლები.

გარდაბნის რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ წარმოდგენილი შუამდგომლობა რუსთავის საქალაქო სასამართლოს განსჯადი იყო, ვინაიდან ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21²¹ მუხლი წარმოადგენს სპეციალურ ნორმას.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა გარდაბნის რაიონულ სასამართლოსა და რუსთავის საქალაქო სასამართლოს განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს გარდაბნის რაიონული სასამართლო.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ საქმეში მოწინააღმდეგე მხარეს წარმოადგენს გადასახადის გადამხდელი – შპს «...», რომლის იურიდიული მისამართია გარდაბნის რ-ნი, ...ის ქ. 12, ხოლო დავის საგანს – ყადაღადებული ქონების რეალიზაცია. რუსთავის რეგიონალური ცენტრის საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის წარმოშობის შესახებ 2009 წლის 20 თებერვლის '041-17 შეტყობინებით დგინდება, რომ შპს «...» ეცნობა საგადასახადო კოდექსის 85-ე მუხლის საფუძველზე საწარმოს მიმართ წარმოშობილი საგადასახადო გირავნობის/იპოთეკის თაობაზე. ასევე, საქმეში წარმოდგენილი, 2007 წლის 22 თებერვლის მოვალის ქონების დაყადაღების (აღწერის) აქტით დგინდება, რომ ქონების დაყადაღების მიზნით აღწერილ იქნა გარდაბანში არსებული «...» კუთვნილი ქონება.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლი ცალსახად ადგენს სარჩელის წარდგენის ვალდებულებას განსჯად სასამართლოში. მითითებული ნორმის 1-ელი ნაწილის თანახმად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. წინააღმდეგ შემთხვევაში ეს იქნება არაუფლებამოსილი სასამართლოს მიერ საქმის განხილვა, რაც იწვევს საპროცესო ნორმების იმგვარ დარღვევას, რომელიც სასამართლოს საბოლოო გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური პროცესუალური საფუძველი ხდება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 394-ე მუხლის «ა» პუნქტის თანახმად.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII⁵ თავით გათვალისწინებული ადმინისტრაციული სამართალწარმოება საგადასახადო ორგანოს მიერ გადასახადის გადამხდელის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციასთან დაკავშირებით.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21²¹ მუხლზე, რომლის თანახმად, ბრძანებას გადასახადის გადამხდელის ყადაღადადებული ქონების რეალიზაციის თაობაზე, საგადასახადო ორგანოს შუამდგომლობის საფუძველზე, გამოსცემს რაიონული (საქალაქო) სასამართლოს მოსამართლე გადასახადის გადამხდელის ადგილსამყოფელის მიხედვით. ამავე კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოყენებულ უნდა იქნეს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის III თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს გარდაბნის რაიონული სასამართლოს მოსაზრებას, იმასთან დაკავშირებით, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21²¹ მუხლი, როგორც სპეციალური ნორმა მასში მითითებულ გადასახადის გადამხდელის ადგილსამყოფელში გულისხმობს პირის გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის ადგილს. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სწორედ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21²¹ მუხლი მიიჩნევს გადასახადის გადამხდელის ადგილსამყოფელად არა მის გადამხდელად რეგისტრაციის ადგილს, არამედ, ამ შემთხვევაში – საწარმოს იურიდიულ მისამართს. ამდენად, აღნიშნული ნორმა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) 1-ელი ნაწილის შესაბამისად, ადგენს სასამართლოსათვის სარჩელის წარდგენას იურიდიული პირის ადგილსამყოფელის მიხედვით. აღნიშნული ნორმა განსაზღვრავს საერთო განსჯადობას და ერთნაირად ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც ამავე კოდექსით განსხვავებული წესია დადგენილი. რაც შეეხება ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით (ნივთობრივი განსჯადობა) სარჩელის (ამ შემთხვევაში შუამდგომლობის) განსჯადობის წესს, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21²¹ მუხლი საერთოდ არ ითვალისწინებს. ამ კუთხით განსჯადობის თაობაზე დავის წამოჭრისას ამავე საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მოქმედებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლი, რომლის 1-ელი ნაწილი ადგენს განსაკუთრებულ გასჯადობას. კერძოდ ქონების უფლებრივი დატვირთვის, ან ასეთი დატვირთვისაგან გათავისუფლების შესახებ, აგრეთვე, ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთის ადგილსამყოფელის მიხედვით. აღნიშნული საპროცესო ნორმა ადგენს სპეციალურ განსჯადობას და იძლევა შესაძლებლობას, შესაბამისი გარემოებების არსებობისას, განსჯადი სასამართლო განისაზღვროს უძრავი ნივთის ფაქტობრივი ადგილსამყოფელის მიხედვით.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ, ვინაიდან შპს «...» იურიდიული მისამართი და ყადაღადადებული ქონებაც გარდაბნის რაიონის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ საზღვრებში მდებარეობს, წარმოდგენილი შუამდგომლობა, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე, განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს გარდაბნის რაიონულ სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით და 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის პირველი ნაწილით და 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა :

1. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის რუსთავის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) სასარჩელო მოთხოვნა მოპასუხე – შპს «...» მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს გარდაბნის რაიონულ სასამართლოს;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ტერიტორიული განსჯადობა (საგადასახადო დავა)

განჩინება

1ბს-1594-1523(გ-09)

10 თებერვალი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ლ. მურუსიძე,
ნ. სხირტლაძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განიხილა მცხეთის რაიონულ სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას შორის განსჯადობის თაობაზე წარმოშობილი დავა.

აღწერილობითი ნაწილი:

2008 წლის 31 ივლისს კოოპერატივ «...» დირექტორმა სასარჩელო განცხადებით მიმართა მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას მოპასუხეების – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გორის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის), საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისა და ყაზბეგის რაიონის სიონის თემის საკრებულოს მიმართ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის თაობაზე.

მოსარჩელე სასარჩელო განცხადებით ითხოვდა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გორის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) 2008 წლის 24 აპრილის 1059-1489/415 «საგადასახადო მოთხოვნის», საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2008 წლის 11 ივლისის 116/41 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადებას; მოპასუხე ყაზბეგის რაიონის სიონის საკრებულოსათვის მიწის გადასახადთან დაკავშირებით ახალი გადაწყვეტილების მიღების დავალდებულებას.

მცხეთის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 3 დეკემბრის განჩინებით კოოპერატივ «...» სასარჩელო განცხადება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2008 წლის 11 ივლისის 116/41 ბრძანების ბათილად ცნობის ნაწილში დაუშვებლად იქნა ცნობილი.

ამავე სასამართლოს 2009 წლის 9 იანვრის განჩინებით კოოპერატივ «...» სარჩელი მოპასუხის ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმართ ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დავალდებულების თაობაზე დატოვებულ იქნა განუხილველად.

2009 წლის 9 იანვარს კოოპერატივ «...» დაზუსტებული სასარჩელო განცხადებით მიმართა მცხეთის რაიონულ სასამართლოს მოპასუხეების – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გორის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის), საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმართ, რომლითაც მოითხოვა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების ბათილად ცნობა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დავალდებულება გამოეცა ახალი ადმინისტრაციული აქტი მიწის გადასახადთან დაკავშირებით.

მცხეთის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 3 დეკემბრისა და 2008 წლის 9 იანვრის განჩინებები კერძო საჩივრით გაასაჩივრა კოოპერატივმა «...».

თბილისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2003 წლის 30 მარტის განჩინებით კოოპერატივ «...ს» კერძო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2008 წლის 3 დეკემბრის განჩინება და საქმე სარჩელის დასაშვებობის სტადიიდან ხელახლა განსახილველად დაუბრუნდა იმავე სასამართლოს.

ამავე სასამართლოს 2009 წლის 30 მარტის განჩინებით კოოპერატივ «...ს» კერძო საჩივარი არ დაკმაყოფილდა; უცვლელად დარჩა მცხეთის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 9 იანვრის განჩინება.

მცხეთის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 16 ივნისის განჩინებით კოოპერატივ «...ს» სასარჩელო განცხადება მოპასუხეების – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გორის რეგიონალური ცენტრისა (საგადასახადო ინსპექციის) და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მიმართ 2008 წლის 24 აპრილის 1059-1429/415 «საგადასახადო მოთხოვნისა» და 2008 წლის 11 ივლისის 116/41 ბრძანების ბათილად ცნობის თაობაზე განსჯადობით განსახილველად გადაეცა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

2008 წლის 19 აგვისტოს კოოპერატივ «...ს» წარმომადგენელმა განცხადებით მიმართა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, რომლითაც დაკონკრეტებულ იქნა მოპასუხეთა წრე და სარჩელის მოთხოვნები, კერძოდ, მოპასუხეებად მიუთითა: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გორის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია); საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური; ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულო და მოითხოვა საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გორის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) 2008 წლის 24 აპრილის 1058-1489/48 «საგადასახადო მოთხოვნისა» და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის

2008 წლის 1 ივლისის 116/41 ბრძანების ბათილად ცნობა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დავალებულება გამოეცა ახალი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი მიწის გადასახადის თაობაზე.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 23 ოქტომბრის განჩინებით კოოპერატივ «...» სასარჩელო განცხადება მოპასუხის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გორის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის), საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიმართ ადმინისტრაციული აქტების ბათილად ცნობისა და ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დავალებულების თაობაზე განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადმოეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

საქალაქო სასამართლო განჩინებაში აღნიშნავს, რომ მოსარჩელის – კოოპერატივ «...ის» მიმართ მიწის გადასახადში თანხის დარიცხვა განახორციელა შემოსავლების სამსახურის გორის რეგიონალურმა ცენტრმა (საგადასახადო ინსპექციამ). სწორედ ამ უკანასკნელის 2008 წლის 24 აპრილის 1059-1489 «საგადასახადო მოთხოვნა» გაასაჩივრა მოსარჩელემ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურში; საგადასახადო ორგანოთა სისტემაში დავის დასრულების შემდეგ მოსარჩელემ დავა გააგრძელა სასამართლოში, სარჩელით მიმართა მცხეთის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას სამი მოპასუხის – საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გორის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის), საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისა და ყაზბეგის რაიონის სიონის თემის საკრებულოს მიმართ ადმინისტრაციული აქტების ძალადაკარგულად გამოცხადების, ახალი ადმინისტრაციული აქტის გამოცემის დავალებულების თაობაზე.

საგადასახადო ორგანოთა სისტემაში დავის დასრულების შემდეგ იმავე დავის სასამართლოში გაგრძელების შემთხვევასთან მიმართებაში საქართველოს საგადასახადო კოდექსის 157-ე მუხლი ადგენს სასამართლოში დავის განხილვის ფორმალურ პროცედურულ წესს. კერძოდ, აღნიშნული მუხლის 1-ელი ნაწილით დადგენილია, რომ პირს უფლება აქვს, ამ კოდექსის 156-ე მუხლის მე-4 ნაწილის «ბ» და «გ» ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევებში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილება (მიღებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში) და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უარი, თუ მან ამ კოდექსის 156-ე მუხლის 1-ელი ნაწილით განსაზღვრულ ვადაში არ მიიღო ეს გადაწყვეტილება (ამ ვადის ამოწურვიდან 5 კალენდარული დღის ვადაში) გაასაჩივროს: ა) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მეშვეობით საბჭოში და ბ) სასამართლოში (ასეთ შემთხვევაში მოპასუხეა ამ კოდექსის 147-ე ან 151-ე მუხლში აღნიშნული საგადასახადო ორგანო).

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 147-ე და 151-ე მუხლებში აღნიშნულ საგადასახადო ორგანოს წარმოადგენს საგადასახადო ორგანოთა სისტემის პირველი რგოლი – საგადასახადო ინსპექცია, ანუ ამ კონკრეტულ შემთხვევაში – შემოსავლების სამსახურის გორის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია).

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, მართალია, მოსარჩელეს – კოოპერატივ «...ს» სარჩელით მითითებული ჰყავს სამი მოპასუხე, რომელთაგანაც ერთი – შემოსავლების სამსახური, მდებარეობს ქ. თბილისში, სასამართლოს მიაჩნია, რომ საქართველოს საგადასახადო კოდექსის 157-ე მუხლი ფაქტობრივად წინასწარ განსაზღვრავს ყოველ კონკრეტულ საქმეზე კონკრეტული სუბიექტის სავალდებულო მოპასუხეს და მასთან ერთად – ყოველი საქმის განსჯადობას სავალდებულო, ძირითადი მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით.

სასამართლოს განმარტებით, კოოპერატივ «...ის» დაზუსტებული სარჩელის, სარჩელში დასახელებული მესამე მოპასუხის – ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულოს გაუთვალისწინებლობის (მხედველობაში არმიღების) შემთხვევაშიც კი საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მოპასუხეობას გავლენა არ უნდა მოეხდინა განსჯადობის საკითხის იმდგვარ გადაწყვეტაზე, როგორც ეს მცხეთის საქალაქო სასამართლომ გადაწყვიტა, რადგან საქართველოს საგადასახადო კოდექსის 157-ე მუხლიდან გამომდინარე, გორის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) მოპასუხეობა პირდაპირ განსაზღვრავს საქმის განსჯადობის საკითხს ძირითადი მოპასუხის – გორის რეგიონალური ცენტრის ადგილსამყოფელის მიხედვით სასამართლოს, ამ შემთხვევაში – გორის საქალაქო სასამართლოს.

სასამართლოს მითითებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის 1-ელი ნაწილით დადგენილია, რომ სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფელის მიხედვით. ამავე კოდექსის მე-16 მუხლის 1-ელი ნაწილით დადგენილია, რომ სარჩელი რამდენიმე მოპასუხის მიმართ სასამართლოს წარედგინება ერთ-ერთი მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლით დადგენილია, რომ სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადია, ეკუთვნის მოსარჩელეს. 22-ე მუხლით კი დადგენილია, რომ სასამართლომ განსჯადობის წესების დაცვით თავის წარმოებაში მიღებული საქმე უნდა განიხილოს და არსებითად გადაწყვიტოს, თუნდაც ეს საქმე შემდგომში სხვა სასამართლოს განსჯადი გახდეს.

საქალაქო სასამართლოს განმარტებით, მცხეთის საქალაქო სასამართლოს მიერ 2009 წლის 16 ივნისის განჩინების გამოტანის დროისათვის კოოპერატივ «...ის» სარჩელს არ განუცდია ისეთი სახის ცვლილება, რაც გავლენას მოახდენდა საქმის განსჯადობაზე, ანუ წარმოშობდა სარჩელის განსჯადობის საკითხის სხვაგვარად გადაწყვეტის აუცილებლობას კერძოდ, 16.06.2009 წლის მდგომარეობით კოოპერატივ «...ის» სარჩელზე მოპასუხეებს კვლავ წარმოადგენს ის სამი სუბიექტი, რომლებიც თავიდანვე ჰყავდა მოსარჩელეს მოპასუხეებად მითითებული.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლოს საქმის მასალების გაცნობისა და განსჯადობის თაობაზე სასამართლოთა მოსაზრებების გაცნობის შედეგად მიიჩნევა, რომ კოოპერატივ «...ის» სარჩელი მოპასუხეების საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გორის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის), საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურისა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტების საკრებულოს მიმართ განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს გორის რაიონულ სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

როგორც საქმეში წარმოდგენილი დაზუსტებული სარჩელის შინაარსი ცხადყოფს, წინამდებარე საქმეზე მოპასუხე მხარეებს წარმოადგენენ: საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გორის რეგიონალური ცენტრი (საგადასახადო ინსპექცია), საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახური და ყაზბეგის მუნიციპალიტეტის საკრებულო, ხოლო დავის საგანია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გორის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) 2008 წლის 24 აპრილის '059-1489/415 «საგადასახადო მოთხოვნის» ბათილად ცნობა, საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2008 წლის 11 ივლისის 116/41 ბრძანების ბათილად ცნობა და ყაზბეგის მუნიციპალიტეტის გამგეობის დავალდებულება, გამოსცეს ახალი ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტი მიწის გადასახადთან დაკავშირებით.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს სასამართლოთა შორის განსჯადობის თაობაზე წარმოშობილი დავის შინაარს და აღნიშნავს, რომ დავა შეეხება არა საგნობრივ განსჯადობას, არამედ – ტერიტორიულ განსჯადობას, კერძოდ, იმ საკითხის განსაზღვრას, თუ რომელი სასამართლოა ტერიტორიულად უფლებამოსილი, განიხილოს კოოპერატივ «...ის» სასარჩელო განცხადება.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ელი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმებს შეიცავს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლი, რომლის შესაბამისადაც, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სარჩელი იურიდიული პირის მიმართ წარედგინება სასამართლოს იურიდიული პირის ადგილსამყოფელის მიხედვით.

ამდენად, მითითებული მუხლი განსაზღვრავს საერთო განსჯადობის პრინციპებს, რომელიც ვრცელდება ნებისმიერ დავაზე, თუ ამავე კოდექსით დადგენილი არ არის განსჯადობის განსხვავებული რეჟიმი.

გარდა ზემოაღნიშნული მუხლის მოთხოვნისა საგადასახადო დავებთან მიმართებით, საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, ასევე მნიშვნელოვანია საგადასახადო კოდექსის რიგი ნორმების შინაარსი. კერძოდ, საგადასახადო კოდექსის 157-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, პირს უფლება აქვს, ამ კოდექსის 156-ე მუხლის მე-4 ნაწილის «ბ» და «გ» ქვეპუნქტებით განსაზღვრულ შემთხვევაში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გადაწყვეტილება მიღებიდან 5 კალენდარული დღის ვადაში და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის უარი, თუ მან ამ კოდექსის 156-ე მუხლის 1-ელი ნაწილით განსაზღვრულ ვადაში არ მიიღო ეს გადაწყვეტილება, ამ ვადის ამოწურვიდან 5 კალენდარული დღის ვადაში გაასაჩივროს: ა) საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მეშვეობით საბჭოში; ბ) სასამართლოში (ასეთ შემთხვევაში მოპასუხე ამ კოდექსის 147-ე მუხლი ან 151-ე მუხლში აღნიშნული საგადასახადო ორგანო).

საქართველოს საგადასახადო კოდექსის 147-ე და 151-ე მუხლებში აღნიშნულ საგადასახადო ორგანოს წარმოადგენს საგადასახადო ორგანოთა სისტემის პირველადი რგოლი – საგადასახადო ინსპექცია.

როგორც უკვე აღინიშნა წინამდებარე შემთხვევაში დავის საგანია საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის გორის რეგიონალური ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) 2008 წლის 24 აპრილის '059-1489/415 «საგადასახადო მოთხოვნა», ხოლო რაც შეეხება ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის 2008 წლის 11 ივლისის 116/42 ბრძანებას, აღნიშნული გამოცემულია გორის რეგიონალური ცენტრის «საგადასახადო მოთხოვნის» კანონიერების შემოწმების მიზნით.

დავის საგანი და ზემოთაღნიშნული მუხლების მოთხოვნები საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს, დაასკვნას, რომ წინამდებარე საქმე განსჯადობით განსახილველად ექვემდებარება გორის რეგიონალურ ცენტრის (საგადასახადო ინსპექციის) ადგილსამყოფელ სასამართლოს, კერძოდ, გორის რაიონულ სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. კოოპერატივ «...ის» სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს გორის რაიონულ სასამართლოს;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ტერიტორიული განსჯადობა

განჩინება

18ს-127-121(გ-10)

24 თებერვალი 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: ნ. ქადაგიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ნ. სხირტლაძე,
ლ. მურუსიძე

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ელი მუხლის მე-2 ნაწილის, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის საფუძველზე განიხილა ე. კ-უას აღიარებით სასარჩელო განცხადებასთან დაკავშირებით წარმოშობილი დავა განსჯადობაზე გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონულ სასამართლოსა და ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს შორის.

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 6 ნოემბერს ე. კ-უამ აღიარებითი სასარჩელო განცხადებით მიმართა გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონულ სასამართლოს მოპასუხე – გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიმართ და მოითხოვა ტექნიკური სასწავლებლის დიპლომისა და საბაზო განათლების ატესტატის მასზე გაცემულად აღიარება.

გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლოს 2009 წლის 25 ნოემბრის განჩინებით მოსარჩელე ე. კ-უას სასარჩელო განცხადება თანდართული მასალებით გადაეგზავნა ზუგდიდის რაიონულ სასამართლოს იმ საფუძველზე, რომ საქმე გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლოს განსჯადო არ არის საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის შესაბამისად, რადგან მოპასუხე იურიდიული პირია, მის მიმართ სარჩელი წარდგენილი უნდა იქნეს იურიდიული პირის ადგილსამყოფელის მიხედვით. მოცემულ შემთხვევაში მოპასუხე – გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის ადგილსამყოფელია ზუგდიდი,¹/8.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 4 იანვრის განჩინებით მოსარჩელე ე. კ-უას სასარჩელო განცხადება გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიმართ განსჯადობის შესახებ დავის გადაწყვეტის მიზნით გადაეგზავნა საკასაციო სასამართლოს.

ზუგდიდის რაიონული სასამართლოს განმარტებით, აფხაზეთის მთავრობის, აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი დაწესებულებების და სხვა ადმინისტრაციული ორგანოების მიმართ სარჩელები, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში იურისდიქციის აღდგენამდე, მიუხედავად მათი დროებითი ადგილსამყოფელისა, წარდგენილ უნდა იქნეს სწორედ გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის და სოხუმისა და გაგრან-გუდაუთის რაიონულ სასამართლოებში.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო პალატა ე. კ-უას აღიარებითი სასარჩელო განცხადებისა და ამ განცხადების განსჯადობის თაობაზე სასამართლოთა მოსაზრების გაცნობის შედეგად მიიჩნევს, რომ ე. კ-უას აღიარებითი სარჩელი წარმოადგენს გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლოს განსჯად ადმინისტრაციულ დავას, რის გამოც, საქმე განსახილველად უნდა დაექვემდებაროს გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონულ სასამართლოს შემდეგ გარემოებათა გამო:

საკასაციო პალატა სასამართლოთა ყურადღებას მიაქცევს დავის საგანს და აღნიშნავს, რომ აღიარებითი სარჩელის საფუძველზე მხარე ითხოვს გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიერ ტექნიკური სასწავლებლის დიპლომისა და საბაზო განათლების ატესტატის აღიარებას. ამდენად, მოცემულ აღიარებით სარჩელეზე მოპასუხეს წარმოადგენს აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს ტერიტორიული ორგანო. აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის აღმასრულებელი ორგანოები აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში იურისდიქციის აღდგენამდე საქმიანობას ახორციელებენ საქართველოს სხვადასხვა ტერიტორიაზე (თბილისი, ზუგდიდი, ქუთაისი). აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის განათლებისა და კულტურის სამინისტროს იურიდიული მისამართია ზემო აფხაზეთი, სოფ. ჩხალთა, ხოლო დროებით ადგილსამყოფელს წარმოადგენს ქალაქი თბილისი, შესაბამისად, მისი ტერიტორიული ორგანოს ასევე დროებითი ადგილსამყოფელია ქ. ზუგდიდი.

საკასაციო პალატა არ იზიარებს გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლოს მსჯელობას იმასთან დაკავშირებით, რომ მოპასუხე გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრი იურიდიული პირია და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის თანახმად, სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფელის მიხედვით. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, მიუხედავად იმისა, რომ მოპასუხე ადმინისტრაციული ორგანო არის იურიდიული პირი და მისი ადგილსამყოფელია ქ. ზუგდიდი, გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრი წარმოადგენს აფხაზეთიდან იმულებით გადაადგილებულ იურიდიულ პირს.

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 439-ე მუხლი განსაზღვრავს აფხაზეთის ა/რ სასამართლოთა განსჯად დავებს. აღნიშნული მუხლის შესაბამისად, აფხაზეთის ავტონომიურ რესპუბლიკაში საქართველოს იურისდიქციის სრულად აღდგენამდე იძულებით გადაადგილებულ პირთა დარღვეული და სადავო უფლებების, აგრეთვე კანონმდებლობით გათვალისწინებული ინტერესების დაცვას ახორციელებენ აფხაზეთის ა/რ სასამართლოები მათი სამოქმედო ტერიტორიების მიხედვით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის თავის მოთხოვნათა დაცვით, თუ მოპასუხეც იძულებით გადაადგილებული პირია.

საკასაციო სასამართლო ყურადღებას მიაქცევს ნორმის შინაარსს და განმარტავს, ზემოაღნიშნულ მუხლში საუბარი არაა მოპასუხეზე, როგორც იძულებით გადაადგილებულ ფიზიკურ პირზე, რაც გამორიცხავს გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონული სასამართლოს მოსაზრების გაზიარების შესაძლებლობას იმის თაობაზე, რომ მითითებული მუხლი არ მოიაზრებს იურიდიულ პირებს.

ზემოაღნიშნული მუხლისა და დავის საგნის ანალიზი, საკასაციო სასამართლოს აძლევს საფუძველს, ე. კ-უას აღიარებითი სარჩელი განსახილველად დაექვემდებაროს გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონულ სასამართლოს.

ამასთან, საკასაციო სასამართლო იზიარებს ზუგდიდის რაიონული სასამართლოს მსჯელობას იმის თაობაზე, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის შესაბამისად, მხოლოდ მოპასუხის ადგილსამყოფელის მიხედვით საქმეთა დაქვემდებარების შემთხვევაში, გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის, სოხუმისა და გაგრა-გუდაუთის რაიონულ სასამართლოებში არ იარსებებს ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განსჯადი ადმინისტრაციული საქმეები, ვინაიდან ფაქტობრივად არც ერთი ადმინისტრაციული საქმე, ადგილსამყოფელის პრინციპის გათვალისწინებით, არ დაექვემდებარება მითითებულ სასამართლოს.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო თვლის, რომ დავა განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონულ სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი, მე-2 და 26-ე მუხლებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 439-ე და 408-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ე. კ-უას აღიარებითი სარჩელი მოპასუხე – გალის რაიონის საგანმანათლებლო რესურსცენტრის მიმართ განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს გალი-გულრიფშისა და ოჩამჩირე-ტყვარჩელის რაიონულ სასამართლოს.

2. საქმე გადაეცეს განსჯად სასამართლოს;

3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ტერიტორიული განსჯადობა ნივთის ადგილსამყოფელის მიხედვით

განჩინება

18ს-121-118(გ-10)

25 მარტი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა
შემადგენლობა: მ. ვაჩაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ნ. ქადაგიძე,

პ. სილაგაძე

დავის საგანი: სასამართლოთა შორის განსჯადობა

აღწერილობითი ნაწილი:

2009 წლის 5 ოქტომბერს ა. გ-ევმა სასარჩელო განცხადებით მიმართა თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოს, მოპასუხის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თეთრიწყაროს სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ.

მოსარჩელემ აღნიშნა, რომ 2009 წლის 22 ივლისს მან განცხადებით მიმართა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თეთრიწყაროს სარეგისტრაციო სამსახურს და მოითხოვა საკუთრების უფლების რეგისტრაცია საცხოვრებელ სახლზე, რომელიც მდებარეობდა თეთრიწყაროს რაიონის სოფელ თეთრიწყაროს სარეგისტრაციო სამსახურის 2009 წლის 13 აგვისტოს გადაწყვეტილებით სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდა და განმცხადებელს განესაზღვრა 30 დღე კორექტირებული საკადასტრო აზომვითი ნახაზის წარსადგენად, ვინაიდან წარმოდგენილი ნახაზით მიწის ნაკვეთის საზღვრები იჭრებოდა მეზობელი ნაკვეთის საზღვრებში. მოსარჩელის განმარტებით, თეთრიწყაროს სარეგისტრაციო სამსახურიდან გადაგზავნილი დოკუმენტებიდან გაირკვა, რომ 2008 წლის 5 ნოემბერს

მ. ჩ-დუზე (ჩ-ოვა) დარეგისტრირებული იყო თეთრიწყაროში, სექტორ ..., მე-2 კვარტალში ნაკვეთის 1744 საკარმი-დამო მიწის ნაკვეთი საცხოვრებელი სახლით, რომლის ფართობი იყო 1088 კვ.მ, რის შემდეგაც აღნიშნული უძრავი ქონება გაიყიდა და დარეგისტრირდა თ. თ-ძის სახელზე.

მოსარჩელემ სასარჩელო განცხადებით მოითხოვა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თეთრიწყაროს სა-რეესტრაციო სამსახურის მიერ 2008 წლის 5 ნოემბერს მ. ჩ-დუზე (ჩ-ვაზე) და 2008 წლის 6 დეკემბერს თ. თ-ძის სახელზე თეთრიწყაროში, სექტორ ..., მე-2 კვარტალში მდებარე 1744 ნაკვეთზე განხორციელებული რეგისტრაციის ბათილად ცნობა.

თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს 2009 წლის 2 დეკემბრის განჩინებით ა. გ-ვის სარჩელი განსჯადობით გადაეგზავნა თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს განმარტებით, საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის შესაბამისად, სარჩელი წარდგენილ უნდა ყოფილიყო იმ სასამართლოში, რომელიც უფლებამოსილი იყო, განეხილა და გადაეწყვიტა ადმინისტრაციული საქმე. არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში, სასამართლო სარჩელს უგზავნიდა განსჯად სასამართლოს და ამის შემდეგ აცნობებდა მოსარჩელეს. ასევე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის შესაბამისად, სასამართლოს სარჩელი წარდგინებოდა მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. მოცემულ შემთხვევაში კი მოპასუხე – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო მდებარეობდა ქ. თბილისში.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2009 წლის 30 დეკემბრის განჩინებით ა. გ-ვის სარჩელი მოპასუხის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თეთრიწყაროს სარეესტრაციო სამსახურის მიმართ საქმის მასალებთან ერთად განსჯადობის შესახებ სასამართლოთა შორის დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატას.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი უნდა წარედგინოს მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სარჩელი იურიდიული პირის მიმართ კი იურიდიული პირის ადგილსამყოფელის მიხედვით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის 1-ელი ნაწილის მიხედვით, სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისგან განთავისუფლების შესახებ, აგრეთვე, ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხებოდა უძრავ ნივთებზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილი ყოფილიყო სასამართლოში ადგილსამყოფელის მიხედვით. როგორც თბილისის საქალაქო სასამართლომ მიუთითა, მოსარჩელემ სადავოდ გახადა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თეთრიწყაროს სარეესტრაციო სამსახურის 2008 წლის 5 ნოემბრისა და 2008 წლის 6 დეკემბრის რეგისტრაციის შესახებ გადაწყვეტილებების კანონიერება, რითაც მ. ჩ-დუსა და თ. თ-ძის სახელზე დარეგისტრირდა საკუთრების უფლება უძრავ ნივთზე, რომელიც მდებარეობდა თეთრიწყაროში, სექტორ ..., მე-2 კვარტალში. ამდენად, მხარემ გაასაჩივრა მარეგისტრირებული ორგანოს გადაწყვეტილება საკუთრების უფლების რეგისტრაციის შესახებ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ ა. გ-ვეს სადავოდ არ გაუხდია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2009 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილების კანონიერება და არც მოპასუხედ დაუსახელებია მითითებული აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო. ამდენად, ხსენებული საქმე ვერ იქნებოდა განხილული თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ. სასამართლოს განმარტებით, იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოსარჩელე გაასაჩივრებდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებას საჩივრის განუხილველად დატოვების ნაწილში, მოცემული საქმე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლით განსაკუთრებული განსჯადობისა იქნებოდა, როდესაც არსებობდა რამდენიმე მოპასუხე და შესაძლებელი იქნებოდა სარჩელი წარდგენილი ყოფილიყო ერთ-ერთი მათგანის ადგილსამყოფელის მიხედვით. დადგენილი იყო ის ფაქტი, რომ მოსარჩელის მიერ არჩეულ იქნა სასამართლო და მან უფლებების დაცვის მიზნით მიმართა თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოს. ამას გარდა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლიდან გამომდინარე, ა. გ-ვის სარჩელი უნდა განეხილა იმ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობდა სადავო უძრავი ქონება. მოცემულ შემთხვევაში, კი აღნიშნულ სასამართლოს წარმოადგენდა თეთრიწყაროს რაიონული სასამართლო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო, ზეპირი მოსმენის გარეშე, გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს თეთრიწყაროს რაიონული სასამართლო.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის მე-2 მუხლში მოცემულია სასამართლოს განსჯადი ადმინისტრაციული საქმეების ჩამონათვალი, კერძოდ, ხსენებული მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, ამ კოდექსით დადგენილი წესით საერთო სასამართლოში განიხილება დავა იმ სამართლებრივ ურთიერთობებთან დაკავშირებით, რომლებიც გამომდინარეობს ადმინისტრაციული სამართლის კანონმდებლობიდან, ხოლო იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სასამართლოში ადმინისტრაციული დავის საგანს შეიძლება წარმოადგენდეს: ა) ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან; ბ) ადმინისტრაციული ხელშეკრულების დადება, შესრულება ან შეწყვეტა; გ) ადმინისტრაციული ორგანოს ვალდებულება ზიანის ანაზღაურების, ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის გამოცემის ან სხვა რა-

იმე ქმედების განხორციელების თაობაზე; დ) აქტის არარად აღიარება, უფლების ან სამართალურთიერთობის არსებობა-არარსებობის დადგენა.

საკასაციო სასამართლოს განმარტებით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მესამე თავით მოწესრიგებულია სარჩელის განსჯადობასთან დაკავშირებული საკითხები, თუ რომელმა სასამართლომ უნდა განიხილოს სასამართლოსადმი დაქვემდებარებული კონკრეტული საქმე. კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, სარჩელი სასამართლოს უნდა წარედგინოს მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სარჩელი იურიდიული პირის მიმართ კი იურიდიული პირის ადგილსამყოფელის მიხედვით.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს თეთრიწყაროს რაიონული სასამართლოს მსჯელობას, იმის თაობაზე, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის შესაბამისად, სარჩელი სასამართლოს უნდა წარედგინოს მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. მოცემულ შემთხვევაში, კი მოპასუხე – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო მდებარეობდა თბილისში.

საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისგან განთავისუფლების შესახებ, აგრეთვე, ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთის ადგილსამყოფელის მიხედვით.

საკასაციო სასამართლო იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ ა. გ-ვის სადავოდ არ გაუხდია საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს 2009 წლის 15 სექტემბრის გადაწყვეტილების კანონიერება (ა. გ-ვის ადმინისტრაციული საჩივრის განუხილველად დატოვებისა და ცვლილებების რეგისტრაციის განხორციელების შესახებ მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ) და არც მოპასუხედ დაუსახელებია მითითებული აქტის გამომცემი ადმინისტრაციული ორგანო. ამდენად, ხსენებული საქმე ვერ იქნება განხილული თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მოსარჩელე გასაჩივრებდა საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადაწყვეტილებას საჩივრის განუხილველად დატოვების ნაწილში, მოცემულ საქმეზე არსებობდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-16 მუხლით გათვალისწინებული განსაკუთრებული განსჯადობა, როდესაც მოპასუხე რამდენიმეა და შესაძლებელი იქნებოდა სარჩელის წარდგენა ერთ-ერთი მათგანის ადგილსამყოფელის მიხედვით. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ არჩეულ იქნა სასამართლო და მან უფლებების დაცვის მიზნით მიმართა თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოს. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლიდან გამომდინარე, ა. გ-ვის სარჩელი უნდა განეხილა იმ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც მდებარეობდა სადავო უძრავი ქონება. მოცემულ შემთხვევაში, კი აღნიშნულ სასამართლოს წარმოადგენს თეთრიწყაროს რაიონული სასამართლო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოცემული ადმინისტრაციული საქმე უნდა განიხილოს თეთრიწყაროს რაიონულმა სასამართლომ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ა. გ-ვის სარჩელი მოპასუხის – საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს თეთრიწყაროს სარეგისტრაციო სამსახურის მიმართ განსახილველად დაექვემდებაროს თეთრიწყაროს რაიონულ სასამართლოს;
2. საქმე გადაეგზავნოს განსჯად სასამართლოს;
3. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ტერიტორიული განსჯადობა

განჩინება

18ს-632-610(გ-10)

21 ივნისი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ლ. მურუსიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

მ. ვაჩაძე,

პ. სილაგაძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად, განიხილა მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიასა და გორის რაიონულ სასამართლოს შორის დავა ა. ჯ-შვილის სარჩელის განსჯადობის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

2010 წლის 21 აპრილს ა. ჯ-შვილმა სარჩელი აღძრა მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, მოპასუხე მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიუროს მიმართ.

მოსარჩელის განმარტებით, 2003 წლის 8 აპრილს გ. ჭ-მემ გ. გ-მის კუთვნილი ავტომანქანა მართვის უფლებით გადასცა მას. აღნიშნულთან დაკავშირებით, მხარეებს შორის გაფორმდა და სანოტარო წესით დამოწმდა გადაცემის აქტი. მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიუროს წარმომებაში იყო სააღსრულებო წარმომება, რომელიც ეხებოდა თბილისის ისანი-სამგორის რაიონული სასამართლოს მიერ გაცემული "სააღსრულებო ფურცლით აღსრულებას. აღნიშნული სააღსრულებო ფურცლის მიხედვით, ა. ჯ-შვილს, პ. ე-მისა და გ. ჭ-მის სასარგებლოდ დაეკისრა 1218 ლარის გადახდა, ხოლო 12/105 სააღსრულებო ფურცლის თანახმად, მოვალეებს – ა. ჯ-შვილს, ხ. ლ-შვილსა და გ. ხ-შვილს პ. ე-მისა და გ. ჭ-მის სასარგებლოდ დაეკისრათ 2258 ლარის გადახდა.

მოსარჩელის მტკიცებით, აღსრულება უკანონოდ იქნა მიქცეული მცხეთის რაიონის სოფელ ... მდებარე, მის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე და იგი უკანონოდ იქნა დაყადაღებული.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მოსარჩელემ მოითხოვა ქონების ყადაღისაგან გათავისუფლება და აღსრულების შეჩერება.

მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2010 წლის 22 აპრილის განჩინებით ადმინისტრაციული საქმე 1... ა. ჯ-შვილის სარჩელის გამო, მოპასუხე საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიუროს მიმართ, ქონების ყადაღისაგან გათავისუფლების თაობაზე, განსახილველად გადაეგზავნა გორის რაიონულ სასამართლოს.

მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ აღნიშნა, რომ «სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ტერიტორიული ორგანოების სისტემის და დებულების დამტკიცების შესახებ» აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის 2008 წლის 1 ოქტომბრის 1... ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე» აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის 2009 წლის 29 დეკემბრის 1... ბრძანების თანახმად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს ტერიტორიული ორგანო იყო შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიურო, რომლის მისამართად განისაზღვრა ქ. გორი, 152.

მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიამ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის 1-ელ ნაწილზე, რომლის თანახმად, სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. მოცემულ შემთხვევაში კი მოპასუხე იყო სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიურო, რომლის მისამართი იყო ქ. გორი, 152.

გორის რაიონული სასამართლოს 2010 წლის 4 მაისის განჩინებით ადმინისტრაციული საქმე ა. ჯ-ვილის სარჩელისა გამო, სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიუროს მიმართ, განსჯადობის შესახებ დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს.

გორის რაიონულმა სასამართლომ არ გაიზიარა მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრება მოცემული საქმის ტერიტორიულ განსჯადობასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელე სადავოდ ხდიდა აღმასრულებლის მოქმედებას, მის მიერ გამოცემულ აქტს, რომლითაც მცხეთის რაიონის სოფელ ...-ში მდებარე, ა. ჯ-შვილის კუთვნილ უძრავ ნივთზე დადებულ იქნა ყადაღა. ამდენად, სახეზე იყო ისეთი შემთხვევა, როდესაც სარჩელი შეიძლება აღძრულიყო სასამართლოში, როგორც მოპასუხის, ასევე უძრავი ნივთის ადგილსამყოფლის მიხედვით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლის თანახმად, სასამართლოს არჩევის უფლება, თუ საქმე რამდენიმე სასამართლოს განსჯადი იყო, ეკუთვნოდა მოსარჩელეს. ამ შემთხვევაში მოსარჩელემ მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში სარჩელის წარდგენით უკვე გამოხატა ნება და განახორციელა კანონით მისთვის მინიჭებული უფლება, აერჩია ორი განსჯადი სასამართლოდან ერთი – მცხეთის რაიონული სასამართლო.

გორის რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ საქმის გორის რაიონულ სასამართლოში გადაგზავნით შეიზღუდა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-20 მუხლით მოსარჩელისათვის მინიჭებული უფლება, საკუთარი შეხედულებისამებრ აერჩია განსჯადი სასამართლო. გარდა ამისა, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლით საქმის განსჯადობით გადაგზავნა გათვალისწინებული იყო მხოლოდ იმ შემთხვევისათვის, როდესაც სარჩელი იმთავითვე არაგანსჯად სასამართლოში იქნებოდა წარდგენილი. მოცემულ შემთხვევაში, ა. ჯ-შვილის სარჩელი მცხეთის რაიონულ სასამართლოში წარდგენილ იქნა 2010 წლის 21 აპრილს განსჯადობის წესების სრული დაცვით, უძრავი ნივთის ადგილსამყოფლის მიხედვით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლის თანახმად, სასამართლოს განსჯადობის წესების დაცვით თავის წარმომებაში მიღებული საქმე უნდა განეხილა და არსებითად გადაეწყვიტა, თუნდაც ეს საქმე შემდგომში სხვა სასამართლოს განსჯადი გამხდარიყო.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, გორის რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია, რომ შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიუროს ადგილსამყოფლად ქ. გორის განსაზღვრას მოცემული საქმის განმხილველი სასამართლოს ტერიტორიულ განსჯადობაზე გავლენა არ უნდა მოეხდინა, რადგან ა. ჯ-შვილის სარჩელი ნივთობრივ განსჯადობას მიკუთვნებული დავა იყო, უძრავი ნივთი კი მცხეთის რაიონში მდებარეობდა, ხოლო იურიდიული პირის რომელიმე ტერიტორიული ორგანოს ადგილსამყოფლის შეცვლა საქმის განსჯადობაზე გავლენას ვერ მოახდენდა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო ზეპირი მოსმენის გარეშე გაეცნო საქმის მასალებს, შეამოწმა მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიისა და გორის რაიონული სასამართლოს განჩინებების კანონიერება-დასაბუთებულობა, რის შემდეგაც მივიდა დასკვნამდე, რომ მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

საკასაციო სასამართლო, პირველ ყოვლისა, აღნიშნავს, რომ მოცემულ შემთხვევაში, ესაა სასამართლოთა შორის დავა ტერიტორიული განსჯადობის თაობაზე.

საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი.

საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ვინაიდან საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-3 თავით (განსჯადობა) გათვალისწინებული განსჯადობის წესები. აღნიშნულ თავში შემავალი მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) პირველი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, ხოლო სარჩელი იურიდიული პირის მიმართ კი იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. ამდენად, ხსენებული ნაწილი შეიცავს სარჩელის ტერიტორიული განსჯადობის განმსაზღვრელ საპროცესო ნორმას და პირდაპირ მიუთითებს, რომ სარჩელი იურიდიული პირის, საწარმოს, დაწესებულების, ორგანიზაციის, ორგანოს მიმართ წარედგინება სასამართლოს მისი ადგილსამყოფლის მიხედვით და, შესაბამისად, სარჩელის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს სწორედ ის სასამართლო, რომლის იურისდიქციაც ვრცელდება შესაბამისი მოპასუხის ადგილსამყოფელზე.

საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მიერ მოცემული სარჩელის გორის რაიონული სასამართლოსათვის განსჯადობით გადაგზავნის მოტივად იმაზე მითითებას, რომ, რადგან «სსიპ აღსრულების ეროვნული ბიუროს ტერიტორიული ორგანოების სისტემის და დებულების დამტკიცების შესახებ» აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის 2008 წლის 1 ოქტომბრის 1... ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე» აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის 2009 წლის 29 დეკემბრის 1... ბრძანების თანახმად, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს ტერიტორიული ორგანოს – შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიუროს მისამართად განისაზღვრა ქ. გორი, ... 1..., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, მოცემული საქმე გორის რაიონული სასამართლოს განსჯადია.

საკასაციო სასამართლო ეთანხმება გორის რაიონული სასამართლოს მოტივაციას, რომ შიდა ქართლისა და მცხეთა-მთიანეთის სააღსრულებო ბიუროს ადგილსამყოფლად ქ. გორის განსაზღვრა მოცემული საქმის განმხილველი სასამართლოს ტერიტორიულ განსჯადობაზე გავლენას ვერ მოახდენს, რადგან ამ შემთხვევაში ა. ჯ-შვილის სარჩელი წარმოადგენს ნივთობრივ განსჯადობას მიკუთვნებულ დავას, ხოლო შესაბამისი უძრავი ნივთი მცხეთის რაიონში მდებარეობს, იურიდიული პირის რომელიმე ტერიტორიული ორგანოს ადგილსამყოფლის შეცვლა კი საქმის განსჯადობაზე გავლენას ვერ მოახდენს.

ამასთან დაკავშირებით, საკასაციო სასამართლო ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ ამ შემთხვევაში მთავარი და არსებითია ის გარემოება, რომ ა. ჯ-შვილის კუთვნილი უძრავი ქონება, რომელზეც ყადაღა იქნა დადებული, მდებარეობს მცხეთის რაიონის სოფელ საკასაციო სასამართლო მიუთითებს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-18 მუხლის (ნივთობრივი განსჯადობა) პირველ ნაწილზე, რომლის თანახმად, სარჩელი საკუთრების უფლების, ქონების უფლებრივი დატვირთვის ან ასეთი დატვირთვისაგან გათავისუფლების შესახებ, აგრეთვე, ქონების გაყოფასთან, განაწილებასა და ფლობასთან დაკავშირებული სარჩელი, თუ დავა ეხება უძრავ ნივთებზე, მათ შორის, მიწის ნაკვეთზე უფლებას, შეიძლება შეტანილ იქნეს სასამართლოში ნივთების ადგილსამყოფლის მიხედვით. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ ადმინისტრაციული კატეგორიის საქმეთა ტერიტორიული განსჯადობის ზოგადი პრინციპის თანახმად, იმ ადმინისტრაციული კატეგორიის დავების განხილვა, რომლებიც უძრავ ქონებას ან ადგილთან მიბმულ უფლებას ან სამართალურთიერთობას ეხება, განეკუთვნება იმ სასამართლოს კომპეტენციას, რომლის მოქმედების სფეროშიც იმყოფება მოცემული ქონება ან მოცემული ადგილი. ამასთან, აღსანიშნავია ის, რომ ა. ჯ-შვილმა გამოხატა შესაბამისი ნება და სარჩელი აღძრა სწორედ მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში, რომელსაც უნდა განეხილა კიდევ მისი სარჩელი. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნივთობრივი განსჯადობიდან გამომდინარე, მოცემული საქმის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგია.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ა. ჯ-შვილის სარჩელი განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 1-ელი მუხლით, 26-ე მუხლის მე-3 ნაწილით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ა. ჯ-შვილის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს მცხეთის რაიონული სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას;
2. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ტერიტორიული განსჯადობა

განჩინება

1ბს-1215-1182(გ-10)

10 ნოემბერი, 2010 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატა

შემადგენლობა: ნ. სხირტლაძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),

ლ. მურუსიძე,

ნ. ქადაგიძე

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილის შესაბამისად განიხილა დავა ზესტაფონის რაიონულ სასამართლოსა და თბილისის საქალაქო სასამართლოს შორის ტ. ბ-შვილის სასარჩელო განცხადების განსჯადობის თაობაზე.

აღწერილობითი ნაწილი:

ტ. ბ-შვილმა სასარჩელო განცხადებით მიმართა ზესტაფონის რაიონულ სასამართლოს, მოპასუხე – სოციალური მომსახურების სააგენტოს ზესტაფონის რაიონული განყოფილების მიმართ. მოსარჩელემ 2007 წლის 1 ნოემბრიდან 2010 წლის 9 თებერვლის ჩათვლით კომპენსაციისა და საყოფაცხოვრებო სუბსიდიის მიღების უფლების აღდგენა, რაც შეადგენდა 4779 ლარს, 2010 წლის 9 თებერვლიდან დანიშნული 134 ლარის 177 ლართან გათანაბრება, 2010 წლის 9 თებერვლიდან სარჩელის აღძვრამდე მიუღებელი კომპენსაციისა და საყოფაცხოვრებო სუბსიდიის – 225 ლარის ანაზღაურება და კომპენსაციისა და საყოფაცხოვრებო სუბსიდიის – 177 ლარის დანიშვნა მოითხოვა.

ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 05.08.2010წ. განჩინებით მოპასუხის შუამდგომლობა საქმის განსჯად სასამართლოსთვის გადაცემის შესახებ დაკმაყოფილდა – ადმინისტრაციული საქმე განსჯადობის მიხედვით განსახილველად გადაეცა თბილისის საქალაქო სასამართლოს. ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხე სოციალური მომსახურების სააგენტოს ზესტაფონის რაიონული განყოფილების წარმომადგენელმა დააყენა შუამდგომლობა საქმის თბილისის საქალაქო სასამართლოში გადაგზავნის შესახებ, ვინაიდან ტ. ბ-შვილს სახელმწიფო კომპენსაცია და საყოფაცხოვრებო სუბსიდია დანიშნული ჰქონდა შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ. ზესტაფონის სოციალური სააგენტოს მიერ 01.08.09წ. მოსარჩელეს, როგორც არაპენსიონერს, დაენიშნა საყოფაცხოვრებო სუბსიდია და აღნიშნული კომპენსაციის საქმე 01.12.09წ. გადატანილ იქნა ძველი თბილისი-დიდგორის სოციალური მომსახურების ცენტრში, ვინაიდან ტ. ბ-შვილი რეგისტრირებული იყო ქ. თბილისში. ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ მიუთითა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლზე, რომლის თანახმადაც, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს ადმინისტრაციული საქმე. არაგანსჯად სასამართლოში სარჩელის წარდგენის შემთხვევაში სასამართლო სარჩელს გადაუგზავნის განსჯად სასამართლოს და ამის შესახებ აცნობებს მოსარჩელეებს. ზესტაფონის რაიონულმა სასამართლომ, აგრეთვე, მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 22-ე მუხლზე და აღნიშნა, რომ სარჩელი თავიდანვე არ იყო ზესტაფონის რაიონული სასამართლოს განსჯადი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 13.08.2010წ. განჩინებით ტ. ბ-შვილის სარჩელი მოპასუხე საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს ზესტაფონის რაიონული განყოფილების მიმართ ქმედების განხორციელების თაობაზე, საქმის მასალებთან ერთად განსჯადობის შესახებ სასამართლოთა შორის დავის გადასაწყვეტად გადაეგზავნა საქართველოს უზენაეს სასამართლოს. თბილისის საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის (საერთო განსჯადობა) 1-ელი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფელის მიხედვით. ამდენად, სარჩელი ადმინისტრაციულ ორგანოს, როგორც იურიდიული პირის მიმართ, წარედგინებოდა იმ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც იყო აღნიშნული ორგანოს ადგილსამყოფელი. მოცემულ შემთხვევაში, მოსარჩელის მიერ მოპასუხედ დასახელებული იყო საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სოციალური მომსახურების სააგენტოს ზესტაფონის რაიონული განყოფილება, რომლის იურიდიული მისამართია ქ. ზესტაფონი, გ. რობაქიძის ქ. 15. ამდენად, თბილისის საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ ტ. ბ-შვილის სარჩელის განხილვაზე უფლებამოსილ სასამართლოს წარმოადგენდა ის სასამართლო, რომლის იურისდიქციაც ვრცელდება მოპასუხის ადგილსამყოფელზე, მოცემულ შემთხვევაში – ზესტაფონის რაიონული სასამართლო.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების, განსჯადობის თაობაზე ზესტაფონის რაიონული სასამართლოს და თბილისის საქალაქო სასამართლოს განჩინებების გაცნობის შედეგად თვლის, რომ ტ. ბ-შვილის სარჩელი ზესტაფონის რაიონული სასამართლოს განსჯადია შემდეგ გარემოებათა გამო:

საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის პირველი მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, თუ ამ კოდექსით სხვა რამ არ არის დადგენილი, ადმინისტრაციულ სამართალწარმოებაში გამოიყენება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის დებულებანი. საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავას წყვეტს საკასაციო სასამართლო დასაბუთებული განჩინებით. ხსენებული მუხლი ითვალისწინებს სასამართლოებს შორის დავას არა მხოლოდ საგნობრივი, არამედ ტერიტორიული განსჯადობის შესახებაც. აღსანიშნავია, რომ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით მხოლოდ სარჩელის საგნობრივი განსჯადობა არის განსაზღვრული და შესაბამისად, ტ. ბ-შვილის სარჩელის ტერიტორიული განსჯადობის საკითხი განხილულ უნდა იქნეს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის შესაბამისი ნორმების საფუძველზე. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, სასამართლოს სარჩელი წარედგინება მოპასუხის საცხოვრებელი ადგილის მიხედვით. სარჩელი იურიდიული პირის მიმართ სასამართლოს წარედგინება იურიდიული პირის ადგილსამყოფლის მიხედვით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლი ადგენს ტერიტორიული განსჯადობის საერთო წესს, მის შესაბამისად ხდება საქმის მიბმა საქართველოს ტერიტორიაზე შექმნილი კონკრეტული სასამართლოსადმი. ამდენად, პირი თავისი უფლების და კანონიერი ინტერესის დასაცავად მიმართავს იმ სასამართლოს, რომლის იურისდიქციის სფეროშიც იმყოფება მოპასუხე, ანუ ნორმას საფუძველად უდევს პრინციპი, რომლის მიხედვით «სარჩელი მისდევს მოპასუხეს», მოსარჩელე მიმართავს მოპასუხის სასამართლოს. შესაბამისად, საკასაციო სასამართლო იზიარებს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მოსაზრებას იმის შესახებ, რომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15 მუხლის 1-ელი ნაწილის თანახმად, სარჩელი ადმინისტრაციულ ორგანოს მიმართ, ისევე როგორც იურიდიულ პირის მიმართ, წარედგინება იმ სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზეც არის აღნიშნული ადმინისტრაციული ორგანო, საერთო წესის თანახმად, თუ კანონით სხვა რამ არ არის დადგენილი, ტერიტორიული იურისდიქცია ეკუთვნის იმ სასამართლოს, რომლის მოქმედების ტერიტორიაზეც განლაგებულია ადმინისტრაციული ორგანო. მოსარჩელე ტ. ბ-შვილმა სასარჩელო განცხადებაში მოპასუხედ საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტოს ზესტაფონის რაიონული განყოფილება დაასახელა, რომლის იურიდიული მისამართია ქ. ზესტაფონი, გრ. რობაქიძის ქ. 15. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 27.06.07წ. 1190/5 ბრძანებით დამტკიცებული «საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს» დებულებების 5.1 მუხლის თანახმად, სააგენტო დაკისრებული უფლებამოსილებებს ახორციელებს ცენტრალური აპარატისა და ტერიტორიული ორგანოების მეშვეობით. მოსარჩელის მიერ მოპასუხედ დასახელებული განყოფილება სსკ-ის 85-ე მუხლის საფუძველზე არასათანადო მოპასუხედ სასამართლოს მიერ ცნობილი არ ყოფილა, მოსარჩელეს დასახელებული მოპასუხე არ შეუვცლია. ზესტაფონის რაიონული სასამართლოს 05.08.10წ. განჩინებაში არ არის მოყვანილი სასამართლოს რაიმე მოსაზრება იმის შესახებ, თუ რის გამო იქნა მიჩნეული ზესტაფონის რაიონული სასამართლო არაგანსჯად სასამართლოდ და რატომ უნდა იქნეს განხილული საქმე თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ. ამასთანავე, საქმის მასალებით დასტურდება, რომ მოსარჩელე ტ. ბ-შვილს სახელმწიფო კომპენსაცია და საყოფაცხოვრებო სუბსიდია დანიშნული ჰქონდა ზესტაფონის სოციალური მომსახურების სააგენტოს მიერ, მოსარჩელე ტ. ბ-შვილს სასამართლო უწყება ბარდებოდა სარჩელში მითითებულ მისამართზე – ზესტაფონის რაიონი, სოფ. ... აღნიშნულის შესაბამისად საკასაციო სასამართლო თვლის, რომ მოპასუხის ადგილსამყოფელზე ვრცელდება ზესტაფონის რაიონული სასამართლოს იურისდიქცია.

«საერთო სასამართლოების შესახებ» ორგანული კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, ყოველი პირი უნდა განსაჯოს მხოლოდ იმ სასამართლოში, რომლის იურისდიქციასაც ექვემდებარება მისი საქმე». სასკ-ის 26-ე მუხლის 1-ელი ნაწილის შესაბამისად, სარჩელი უნდა წარედგინოს იმ სასამართლოს, რომელიც უფლებამოსილია, განიხილოს და გადაწყვიტოს საქმე. ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლოთა შორის განსჯადობის შესახებ დავას წყვეტს საკასაციო სასამართლო დასაბუთებული განჩინებით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო ადგენს, რომ დავა განსჯადობით განსახილველად უნდა დაექვემდებაროს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26-ე მუხლით, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-15, 390-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. ტ. ბ-შვილის სარჩელი განსჯადობით განსახილველად დაექვემდებაროს ზესტაფონის რაიონულ სასამართლოს;
2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.